

მაია ახალაძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ
კომისიუსული იურიდიული პირების
მონაცილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი¹
(2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი)

¹ ანალიზი მოიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობით წარმოებულ იმ სამოქალაქო საქმეებს, რომლებზეც საკასაციო პალატის მიერ მიღებულია ახალი გადაწყვეტილება ან განჩინება საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სტილისტ-რედაქტორი

სოფიო გამულაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

გარიპა გაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020

შირვანისი

შესავალი	5
1. სამართლეო დავები	5
2. შრომითი დავები	26
3. ხანდაზმულობა (მოთხოვნის განხორციელებადობა)	44
4. მორალური ზიანი	50
5. სანივთოსამართლებრივი დავები	52
6. სახელშეკრულებო დავები	58
6.1. პირგასამტებლო	58
6.2. ნასყიდობა	68
6.3. ქირავნობა, იჯარა	89
6.4. ნარდობა	98
6.5. დავალება	122
6.6. მიპარება	132
6.7. დაზღვევა	135
6.8. სესხი, საბანკო კრედიტი	138
6.9. საბანკოგარანტია	157
6.10. ამხანაგობა	163
7. უსაფუძვლო გამდიდრება, კონდიცია	166
8. დელიქტური მოთხოვნები	171
8.1. საკუთრების უფლების დაცვა და სხვა მოთხოვნები	171
8.2. სარჩო	192
9. მტკიცების ტვირთი	194
10. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	198
11. სხვა დავები	212
სამართლებრივი დასკვნა	224

შესავალი

წინამდებარე განზოგადებაში განსილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის² მიერ 2016-2018 წლებში და 2019 წლის პირველ ნახევარში მიღებული ახალი გადაწყვეტილებები და განჩინებები საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე კერძო სამართლის იურიდიული პირების³ მონაწილეობით წარმოებულ დავებში.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კვლევაში მითითებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების (რომლითაც გაუქმდა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები და საკასაციო სასამართლოს მიერ შეიცვალა დავის გადაწყვეტის სამართლებრივი შედეგი ან ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეებზე რეკომენდაციები მიეცა საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს) ანალიზი, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკეთ წარმოაჩენს ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სამართალნარმოების პრობლემებს, ხელს უწყობს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შესწავლის პროცესს, გამჭვირვალესა და ხელმისაწვდომობის ხდის მას და, საბოლოოდ, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოსამართლო სამართლის განვითარების ყველაზე უმნიშვნელოვანესი და უპირველესი წყაროა. განხილულ დავათა კატეგორიები, შინაარსი, რიცხოვნობა, შედეგები აჩვენებს არა მარტო სასამართლო სისტემაში არსებულ სამართალნარმოების, არამედ ქვეყანაში ეკონომიკის, მეწარმეობის, სოციალური სფეროს, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სხვადასხვა და საბოლოოდ – სამოქალაქო ბრუნვის განვითარების ტენდენციებს და გარკვეულწილად განაპირობებს კიდეც მის სიმყარესა და სტაბილურობას.

პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ე.ნ. „წმინდა“ კომერციული დავები (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობიდან გამომდინარე) არცთუ ბევრია, უმეტესად, მეწარმე იურიდიულ პირებს შორის ან მათი მონაწილეობით წარმოებული დავები ვალდებულებითსამართლებრივი (სახელშეკრულებო) ხასიათისაა, თუმცა მნიშვნელოვანია არასახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე წარმოებული დავები ამ სუბიექტთა მონაწილეობით.

საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები/განჩინებები გაანალიზებული და დალაგებულია სამართლებრივი თემატიკის მიხედვით, რაც დაინტერესებულ პირებს გაუადვილებს კონკრეტულ საკითხზე მათთვის სასურველი ინფორმაციის მიღებას. თითოეულ საქმეზე მოკლე ფაბულასთან, სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებთან ერთად მეტი თვალსაჩინოებისთვის მითითებულია საკასაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები, ძირითადი განმარტებები და მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი, ხოლო ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეებზე ხაზგასმულია დაბრუნების საფუძველი და მოტივაცია. სამართლებრივ დასკვნაში მოცემულია საკვლევ პერიოდში წარმოჩენილი მნიშვნელოვანი და პრობლემური სამართლებრივი საკითხებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული მატერიალური და პროცესუალური დარღვევების ანალიზი.

შესრულებული განზოგადების მიზანია კერძო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობით გადაწყვეტილ დავათა შედეგების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა მომავალში დაინტერესებულ პირთა მიერ პოტენციური დავების პრევენციის, სამართლებრივი პერსპექტივის განსაზღვრისა და მიღებული შედეგის სასამართლო პრაქტიკასთან შესაბამისობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

² ტექსტში საკასაციო პალატა, საკასაციო სასამართლო გულისხმობს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

³ სსკ-ის 1509-ე მუხლი.

1. სამართლებრივი დაცვი

1.1.

გამოყენებული ცორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, სსკ-ის 115-ე მუხლი, სსსკ-ის 83-ე და 381-ე მუხლები.⁴

გამოარტებები:

ა. სანარმოში წლიური მოგების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მოგების დივიდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანი სწორედ მოგების მიღებაა და პარტნიორები ლეგიტიმურად ელიან იმას, რომ მოგების არსებობისას მიღებენ დივიდენდებს, პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანიც და სწორედ ეს მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას;

ბ. სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება, შეიქრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა მიანიშნებზე ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის სანარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინისერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა, სანარმოს დირექტორს დაევალა პარტნიორთა კრების მოწვევა შემდეგი დღის წესრიგით: წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და, მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-გაუნაწილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სამეწარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე დავაზე გადაწყვეტილების მიღება ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოსარჩელის დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც, სსსკ-ის 394.ე. მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და, საბოლოოდ, მოითხოვა, არა მოგების აუცილებლად განაწილება, არამედ მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევის დავალდებულება შემდეგი დღის წესრიგით: წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და, მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-გაუნაწილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა.⁵

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დაზუსტებისას დაცულია სსსკ-ის 83-ე და 381-ე მუხლების მოთხოვნები, სააპელაციო წესით საქმის განხილ-

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შემდეგში: სსკ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, შემდეგში სსსკ.

⁵ სუს გადაწყვეტილება, 6 აპრილი, 2017, №ას-552-527-2016.

ვისას მოსარჩელეს არ შეუცვლია დავის საგანი და არც დავის საგანი გადიდებულა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება (სუსგ №ას-1328-1170-2010, 2011 წლის 6 ივნისი). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დივიდენდის განაწილების საკითხს აგვარებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგინდეს წლიური მოგებისა და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. დივიდენდი უნდა გაიცეს წესდებით გათვალისწინებული ვადის მიხედვით, მაგრამ – არაუგვიანეს მოგების განაწილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 9 თვისა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საწარმოს წლიური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს დივიდენდის გაცემა-გაუცემლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, საწარმოში წლიური მოგების არსებობის შემთხვევაში, ამ მოგების დივიდენდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მენარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანი სწორედ მოგების მიღებაა და პარტნიორები ლეგიტიმურად ელიან, მოგების არსებობისას მიღებენ დივიდენდებს, პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური სამენარმეო მიზანიც და სწორედ ეს მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება, შეიქრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის სანარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილ-სინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს (იხ. სუსგ №ას-378-359-2015, 2015 წლის 21 დეკემბერი; №ას-457-436-2015, 2016 წლის 6 ივნისი). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ 2013 წლის წლიური მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობა მიუთითებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე, ვინაიდან მოპასუხე მხარემ მოსარჩელის კვალიფიციური სარჩელის საპირისპიროდ ვერ მიუთითა პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის ლეგიტიმურ სამენარმეო მიზანზე, რითაც უსაფუძვლოდ შეზღუდა პარტნიორის ქონებრივი უფლება დივიდენდის მიღებაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე კომპანიის წესდების თანახმად, დირექტორის ვალდებულებას წარმოადგენს საზოგადოების წლიური ანგარიშის შედგენა, ამასთან – სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში. შესაბამისად, მოპასუხე კომპანიის დირექტორს წლიური ანგარიში უნდა შეედგინა 2014 წლის მარტის ბოლომდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დირექტორს აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან დივიდენდი ნაწილდება სწორედ სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით, ქვემდგომი სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით თავად პარტნიორია უფლებამოსილი, მოინვიოს კრება, არ არის მართებული და საკმარისი, რადგან დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის შედგენის გარეშე პარტნიორის მიერ კრების მოწვევა არ იქნება შედეგის მომცემი და მისი უფლება დივიდენდის მიღებაზე ვერ იქნება რეალიზებული.

1.2.

გამოყენებული ცორვები: სსსკ-ის 105-ე, 251-ე, მე-4 მუხლები.

განმარტება: ყოფილ დირექტორსა და საწარმოს შორის ერთობლივი საქმიანობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ყოფილა, ვინაიდან საწარმოს სახელით დირექტორი (თავდაპირველი მოსარჩევე) მოქმედებდა, რომელიც პასუხისმგებელია მისი დირექტორად ყოფნის პერიოდში საწარმოს სახელით განხორციელებულ ქმედებებზე, რაც სამენარმეოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული.

გადაწყვეტილების შედეგი: ყოფილი დირექტორის სარჩელი საწარმოს მიმართ, საწარმოში შეტანილი თანხის დაკისრებისა და საწარმოს შეგებებული სარჩელი ყოფილი დირექტორის მიმართ მიყენებული ზიანის დაკისრების მოთხოვნით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საქმის ფაბულის მიხედვით – მოდავე მხარეებს საწარმო და ყოფილი დირექტორი წარმოადგენს. საკასაციო სამართლნარმოების ეტაპზე ყოფილი დირექტორი (თავდაპირველი მოსარჩევე) მოითხოვს საწარმოსა და დირექტორისათვის მის მიერ სესხად გადაცემული თანხის სოლიდარულად დაკისრებას, ხოლო საწარმო (მოპასუხე, შეგებებული მოსარჩევე) – ამ უკანასკნელისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

განსახილველ შემთხვევაში, თითოეული საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილებასა და გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო მხარეთა კუთვნილი მტკიცების ფარგლებში წარმატებით დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა და პროცესუალური მოწინააღმდეგის მიერ წარდგენილი არგუმენტაციის საპირისპიროდ დაძლეული მტკიცება.⁶

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთათვის საწარმოსთვის გადაცემული თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში არ გაიზიარა და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საწარმოში გარკვეული თანხა შეიტანა პირველმა მოსარჩელემ (ყოფილი დირექტორი), ამ უკანასკნელს მოთხოვნის უფლება შესაძლებელია, ჰქონდეს მხოლოდ საწარმოს და არა მისი პარტნიორის მიმართ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმოს არ წარუდგენია დასაბუთებული შედაგება სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებაზე, რომლითაც დამტკიცებულია საწარმოში თანხის შეტანა ყოფილი დირექტორის მიერ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის (ყოფილი დირექტორის) მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს კონდიქციური ნორმებიდან, რადგან ვალდებულების გარეშე საწარმოსათვის გადაცემული თანხით ეს უკანასკნელი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ხოლო დირექტორის (თავდაპირველ მოსარჩელეს), თავის მხრივ, წარმოეშვა უსაფუძვლოდ (ვალდებულების გარეშე) გადახდილი თანხის დაბრუნების უფლება სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, თავდაპირველ მოსარჩელესა და საწარმოს შორის ურთიერთობა შეიცავდა როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობისათვის, ისე – საკორპორაციო სამართლით მოწესრიგებულ ელემენტს (საწარმოს დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა) და

⁶ სუს გადაწყვეტილება, 10 ივლისი, 2017, №ას-918-884-2016.

მიიჩნია, რომ მოდავე მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ყოფილა. საწარმოს სახელით დირექტორი (თავდაპირველი მოსარჩევლე) მოქმედდა, რომელიც პასუხისმგებელია მისი დირექტორად ყოფნის პერიოდში საწარმოს სახელით განხორციელებულ ქმედებებზე, რაც სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლომ დასაბუთებლად მიიჩნია საწარმოს სახელით სარეალიზაციოდ დამზადებული საქონლის რაოდენობრივ დანაკლისთან დაკავშირებით საწარმოს პრეტენზია და მიუთითა, რომ საწარმომ დაამტკიცა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა მოპასუხე დირექტორისათვის ამ უკანასკნელის არასათანადო ქცევის გამო საწარმოსათვის მიყენებული ზიანის დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც ყოფილი დირექტორის სარჩელი საწარმოს, საწარმოში შეტანილი თანხის დაკისრების, ასევე – საწარმოს შეგებებული სარჩელი, ყოფილი დირექტორის მიმართ მიყენებული ზიანის დაკისრების მოთხოვნით, ნაწილობრივ დაქმაყოფილდა.

1.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი.

განმარტებები: საწარმოს დამფუძნებელსა და ყოფილ დირექტორს შორის შეთანხმების მიუხედავად, ეს უკანასკნელი, როგორც იმხანად საწარმოს დირექტორი, არ იყო ვალდებული, საწარმოს კაპიტალში პირადი თანხა შეეტანა, რის გამოც როგორც უსაფუძვლოდ (ვალდებულების გარეშე) გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას.

გადაცყვეტილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების საფუძველზე.

სამენარმეო დავაში,⁷ საწარმოს ყოფილმა დირექტორმა მოითხოვა საწარმოსათვის მის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანილი პირადი თანხის დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, სარჩელით მოთხოვნილი თანხა შეიტანა საწარმოს ერთპიროვნულ პარტნიორსა და დამფუძნებელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შეტანილი თანხის პიროპორციულად საწარმოს ნიღზე საკუთრების უფლების მიღების სანაცვლოდ. პარტნიორმა დაარღვია მხარეებს შორის არსებული შეთანხმება და მოსარჩელეს არ დაუთმო შეპირებული წილი. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უარყოფის მთავარ საფუძვლად მიუთითა მოსარჩელის მიერ იმ გარემოების შეუსრულებლობაზე, რომ შესრულების საგანი მას ეკუთვნოდა და არა პარტნიორს, აღნიშნული დასკვნა გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც.

ქვემდგომმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ არ დასტურდებოდა მხარეებს შორის ბათილი გარიგების არსებობა და ამ გარიგების საფუძველზე, მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი თანხის მიღება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ საწარმოს დამფუძნებელსა და ყოფილ დირექტორს შორის საერთოდ არ არსებობდა რაიმე შეთანხმება, ეს უკანასკნელი, როგორც იმხანად საწარმოს დირექტორი, არ იყო ვალდებული, საწარმოს კაპიტალში პირადი თანხა შეეტანა.

⁷ სუს გადაწყვეტილება, 14 სექტემბერი, 2017, №ას-270-258-2017.

საკასაციონ სასამართლომ მიიჩნია, რომ **მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არათანას-წორად გადანაწილებამ გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა**, რადგან, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, მოპასუხემ, გარდა მითითებისა, რომ მოსარჩელეს არ ეკუთვნოდა სადაცო თანხა, სასამართლოს ამ თანხის საწარმოს დამფუძნებლისადმი კუთვნილების შესახებ ვერცერთი მტკიცებულება ვერ წარუდგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალებების გამაქარწყლებლად მოპასუხე განმარტავს საწარმოს დირექტორის მიერ უკრაინიდან თანხების გადმორიცხვის შესახებ იმ პირობებში, როდესაც ყოფილი დირექტორი უთითებს საწარმოს კაპიტალის რამდენიმე გზით შევსებაზე: დამტუძნებლის მიერ საწარმოს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით; დირექტორისათვის გადარიცხული თანხით, რაც ამ უკანასკერლს იმავე დღესვე შეჰქონდა საწარმოს ანგარიშზე, ხოლო სადაცო თანხა მოსარჩელის პირადი თანხაა, სადაცო თანხის კუთვნილების თაობაზე მტკიცების ტვირთს მოპასუხეს უბრუნებს. ამ პირობებში კი მოპასუხის მხოლოდ კატეგორიული განცხადება მოსარჩელის პოზიციის გაუზიარებლობაზე, დაუსაბუთებელი და არასაკმარისია მოსარჩელის მითითებისა და მტკიცების გასაბათილებლად. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, გამოვლენილია ყოფილი დირექტორის მიერ საწარმოს საბანკო ანგარიშზე ვალდებულების გარეშე პირადი (მოსარჩელის კუთვნილი) თანხის შეტანა, რაც, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დაბრუნებას ექვემდებარება, რადგან მოსარჩელის კუთვნილი თანხის გადანაცვლებას საწარმოს საბანკო ანგარიშზე არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და, როგორც უსაფუძვლოდ (ვალდებულების გარეშე) გადახდილი, მის დაბრუნებაზე უფლებამოსილი პირი მოსარჩელეა.

1.4.

გამოყენებული ნორმები: „**მენარმეთა შესახებ**“ საქართველოს კანონის 46.5. მუხლი, სსკ-ის 180-ე მუხლი.

განერაციები:

ა. დერივაციული სარჩელი შპს-ის პარტნიორის სარჩელის უფლებას განსაზღვრავს, სადაც საუბარია საზოგადოების მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობაზე, ამ სარჩელის საგანი არის პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა, ასევე, დომინანტი პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ საკუთარი უპირატესობის გამოყენების წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნა;

ბ. საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, თუკი შესაძლებელია მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული იურიდიული ინტერესის უქონლობის გამო.

საწარმოს პარტნიორებსა (მოსარჩელეებს) და საწარმოსა და დანარჩენ პარტნიორებს (მოპასუხეებს) შორის დავაში სარჩელი აღძრულია საზოგადოების მინორიტარი პარტნიორების მიერ და სადაცო ხდიან საზოგადოების ქონების გასხვისების თაობაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულრეალიზაციას. სარჩელში იურიდიულ ინტერესად მითითებულია, რომ დომინანტ პარტნი-

ორთა მიერ საკუთარი ძალაუფლების გამოყენება სანარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდა განხორციელებული, მათ გაასხვისეს საზოგადოების საზესდებო კაპიტალში არსებული ქონება, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ახორციელებდა საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას. საკასაციო სასამართლოშ დაასკვნა, რომ აშკარაა მიზორიტარ პარტნიორთა მიერ აღძრული დერივაციული სარჩელი („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შპს-ის პარტნიორის სარჩელის უფლებას განსაზღვრავს 46.5. მუხლით, სადაც საუბარია საზოგადოების მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობაზე, თუმცა სამართლის დოქტრინაში ეს ნორმა ფართოდ განიმარტება და მას კორპორაციული სარჩელის უფლებად მოხსენიებენ, ამ სარჩელის საგანი არის პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა და არსებობს პარტნიორი, რომელიც არა საკუთარი, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად, დერივაციულ სარჩელთა სახეობას მიეკუთვნება მათ შორის დომინანტი პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ საკუთარი უპირატესობის გამოყენების წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნა), რომლის მიზანიც საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვაა და მიმართულია სადაც გარიგებებით განკარგული საზოგადოების სანესდებო კაპიტალის დაბრუნებისკენ. ამ მიზნის მიღწევა კი, მხოლოდ აღიარებითი სარჩელის პირობებში შეუძლებელია, ამ მოთხოვნის რეალიზაციის საშუალებას მიეკუთვნებითი სარჩელი წარმოადგენს, სასამართლო კი, სსკ-ის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებს მხარეს (საზოგადოებას) იმას, რაც არ უთხოვია ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. პალატამ დამატებით მიუთითა, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა იყოს ფორმალური, არამედ სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზე ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადანუვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. პალატამ ევროსასამართლოს განმარტებაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე – თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიეკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი წარმილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა რა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების თაობაზე უზენაესი სასამართლოს მყარ პრაქტიკაზე დაასკვნა, რომ საწარმოს პარტნიორთა აღიარებითი სარჩელი საწარმოს კრების ოქმისა და უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით დაუშვებელია და განჩინებით სსკ-ის 187.2.,-ე, 275-ე და მე-7 მუხლების საფუძველზე განუხილველად დატოვა.⁸

⁸ სუს გადაწყვეტილება, 30 მარტი, 2018, №ას-833-779-2017.

1.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 180-ე მუხლი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-ქტი, 187.2., 275-ე, მე-7 მუხლები.

გამოართები: იურიდიული ინტერესის ცნებაში იგულისხმება ის მატერიალურსა-მართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა გამართლებული იქ-ნებოდა, თუკი მოსარჩელე დაადასტურებდა, რომ სადავო გარიგებათა (საერთო კრე-ბისა და სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმები) და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობით, იგი გარკვეული იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებას შეძლებდა და სამართლებრივად გაიუმჯობესებდა მდგომარეობას.

გადაცევატილების შედეგი: აღიარებითი სარჩელი განუხილველად იქნა დატოვე-ბული იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

მოსარჩელემ საწარმოს მიმართ აღძრული აღიარებითი სარჩელით სააქციო საზოგადოების კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ოქმებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა, რაც, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლე-ლად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ნაწილობრივ დაქმაყოფილდა. საზარმოს საკასა-ციო საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 178. 1. „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლებიდან და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით, რომლის შესა-ბამისად, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და, აქედან გამომდინარე, სასამართლომ პრო-ცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (სუს-91-91-2018, 31 ივლისი, 2018 წელი, პ-15).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშ-ვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ არაა დასა-ბუთებული, იურიდიულად სასარგებლო რა შედეგს განაპირობებს მისთვის ამ გარიგებათა (საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმები) და საჯარო რეესტრის ჩანა-წერის ბათილად ცნობა ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ იკვეთება ის იურიდიული ინტე-რესი (სსკ-ის 180-ე მუხლი), რომელიც მოსარჩელეს ამ მოთხოვნათა მიმართ აქვს.

სასამართლომ მიუთითა, რომ იურიდიული ინტერესის ცნება გულისხმობს იმ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებას, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. მო-სარჩელის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა გამართლებული იქნებოდა, თუკი მოსარჩელე დაადასტურებდა, რომ სადავო გარიგებათა (საერთო კრებისა და სამეთ-ვალყურეო საბჭოს კრების ოქმები) და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობით, იგი გარკვეული იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებას შეძლებდა და სამართლებრი-ვად გაიუმჯობესებდა მდგომარეობას.

საქმის მასალებიდან და სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან ირკვევა, რომ გარიგებათა ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესად მოსარჩელე მიიჩნევს სს-ის მართვის განხორცი-ელებას მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პირების მიერ. ამასთან, სს-ის მართვაში კანო-ნით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აქტიური მონაწილეობის მიღების სურ-ვილს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ინტერესი, რომ სს-ის კანონიერი მართვა განე-ხორციელებინათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, რის გამოც ბათილად საცნობი იყო სარ-ჩელში მითითებული ყველა გარიგება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი, დაუსაბუთებელია და გასაზიარებელია მოპასუხის არგუმენტი, რომ სასამართლომ 65,6% აქციონერთა კრე-

ბის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბათილად, ისეთ გარემოებებზე მითითებით ცნო, რომელსაც არსებით გავლენას ვერ მოეხდენდა გადაწყვეტილების მიღებაზე. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ სარჩელში დასახელებული ინტერესი უნდა შეფასდეს მხარის სუბიექტურ ინტერესად, რომელსაც არავითარი მატერიალურსამართლებრივი სარგებლის მოტანა მოსარჩელისათვის არ შეუძლია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მატერიალურსამართლებრივი შედეგი მოსარჩელისთვის უფლების მიმნიჭებელი ვერ გახდება. რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი აღიარებითი სარჩელი სარჩელის იურიდიული ინტერესის კრიტერიუმის, როგორიცაა: а) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებას; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგს უნდა იღებდეს მხარე, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა არსებობის შესახებ სსსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო პირობას არ აკმაყოფილებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო, დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“⁹ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 275-ე მუხლის „ე-7“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვლინდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (სუსგ №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017 წელი; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა.

⁹ სუს გადაწყვეტილება, 12 სექტემბერი, 2018, №ას-609-609-2018.

1.6.

გამოყენებული ცორმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 47-ე მუხლები.

გამოარტებები:

ა. საწარმოს პარტნიორს იმ პირობებში, როცა არ დავობს არც კრების მოწვევის, არც მისი გამართვისა და არც კომპეტენციის კანონიერებას, დივიდენდის განაწილების საფუძვლით სარჩელის აღძვრის უფლება არ გააჩნია;

ბ. ვინაიდან საზოგადოების წმინდა მოგების განაწილების საკითხი საწარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეცუთვნება, იგი სწორედ პარტნიორთა კრებაზე უნდა იქნეს განხილული, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, შესაძლოა, სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს;

გ. სამეწარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება);

დ. როგორც კანონის, ისე, საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეცია, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლოს მონაწილეობას, თუ უფლებამოსილი პირები არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ, პარტნიორის უფლებებს განზრას უგულებელყოფენ ან დისკრიციას ბოროტად იყენებენ.

გადაწყვეტილების შედეგი: საწარმოსათვის დივიდენდის დაკისრების თაობაზე პარტნიორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო.

შპს-ს 50% წილის მესაკუთრე პარტნიორმა სარჩელი საწარმოს, მეორე 50%-იანი წილის მფლობელივე პარტნიორის, საწარმოსა და დირექტორის მიმართ აღძრული სარჩელით სუფთა მოგებიდან დივიდენდის დაკისრება მოითხოვა.

მეორე პარტნიორმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 38-ე, 46.2¹ მუხლებსა და საზოგადოების წესდების მე-7 მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ დივიდენდის განაწილება პარტნიორთა დღის წესრიგში არასოდეს შესულა, ამგვარი პრეტენზის წარდგენა გამართლებული იქნებოდა პარტნიორთა კრების მიერ საკითხზე მსჯელობისა და უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძვლით, გააუქმა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საწარმოს დივიდენდის გადახდა პარტნიორის სასარგებლოდ დაეკისრა და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელი უარყო.¹⁰ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება შემდეგია:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ორი პარტნიორის მიერ დაფუძნებულ საწარმოში, სადაც თითოეული პარტნიორი ფლობს თანაბარ, საწარმოს 50%-50%-იან წილს,

¹⁰ სუს გადაწყვეტილება, 30 ნოემბერი, 2018, №ას-1141-2018.

დივიდენდის განაწილების საკითხზე პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია და პარტნიორთა შორის უთანხმოების საგანს და დივიდენდის განაწილებაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არარსებობის საფუძველს წარმოადგენს დივიდენდის ოდენობა, რაზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს იურიდიული პირის, როგორც სამართალსუბიექტის დამოუკიდებლობის ზოგად პრინციპს და ყოველი კონკრეტული შემთხვევის რეგულირების მატერიალური საფუძველი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული. მითითებული კანონის მე-3 თავში მოცემულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მახასიათებელი სპეციალური წესები და 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სანარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არის დადგენილი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ უმთავრეს ინსტრუმენტს. სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება, დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება (ცვლილებამდელი რედაქცია). ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, წლიური მოგების/დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა შპს-ის მმართველობითი ორგანოს (საერთო კრება) კომპეტენციაა და, ასეთ შემთხვევაში, პარტნიორის, მათ შორის, მცირე პარტნიორის უფლება-დამცავ დანაწესს საერთო კრების მოწვევის განმსაზღვრული ნორმები ადგენს.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორს აქვს დივიდენდის მოთხოვნის უფლება, მიუთითა, რომ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საწარმოს ხელძღვანელობით უფლებამოსილებაში სასამართლოს მხრიდან ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად. საკითხის სამართლებრივად სწორად შეფასების მიზნით საკასაციო სასამართლო იმსჯელა დივიდენდის ინსტიტუტზე და განმარტა, რომ სამენარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მითხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წლიური შედეგების დამტკიცებისა თუ დივიდენდის განაწილების საკითხი საზოგადოების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომელიც ფორმირდება საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სახით. დივიდენდის მოთხოვნის უფლებას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი აწესრიგებს, რომელიც გულისხმობს როგორც დივიდენდის გაცემა-გაუცემლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე – გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონით არ გვარდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-გაუცემლობის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხები და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. პალატის აზრით, უდავოა, რომ, როგორც კანონის, ისე – სანარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სანარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრასაც და ეს გადაწყვე-

ტილება სასამართლომ უნდა მიიღოს, თუ უფლებამოსილი პირები არაკეთილსინდი-სიერად მოქმედებენ, პარტნიორის უფლებებს განზრას უგულებელყოფენ ან დისკრე-ციას ბოროტად იყენებენ. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათ-ვის, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა (სკ-ის 50-ე მუხ-ლი), რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და, სადავონბის შემთხვევაში, პარტნიორი, რომე-ლიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამარ-თლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ. ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნას სასამართლოს მეშვეობით დივიდენდის განაწილების თაობაზე და განმარტა, რომ პარტნიორს დივიდენდის მოთხოვ-ნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სადავო დროს მოგება საზოგადოება-ში დივიდენდის გაცემის გზით განანილდა. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემ-თხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცე-მის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალ-დებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის... პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ კომპანიის პარტნიორთა კრების გა-დაწყვეტილებით განაწილდა დივიდენდები და მას, როგორც პარტნიორს, თავისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს ან, თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილე-ბის თაობაზე“ (სუსგ-ებები: №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წ; №ას-863-813-2015, 17 დე-კემბერი, 2015 წელი).

1.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი.

განმარტება: საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამარ-თლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, ეს არ გულისხმობს სააპე-ლაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტი-ლებისას, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუ-ნოს საქმე. ასეთი მიდგომა ენინაალმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც ამ შემთხვევაში შებოჭილია სააპელა-ციო სასამართლო.

დაბრუნების მოტივაცია: სააპელაციო პალატამ ისე დაბრუნა პირველ ინსტანცი-აში საქმე განსახილველად, რომ სათანადოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ ვერ შეძლებ-და გადაწყვეტილების მიღებას.

სამენარმეო დავაში მოსარჩელემ (ყოფილმა დირექტორმა) მოპასუხის (საწარმოს) წინაალ-მდევ სარჩელი აღძრა და მოითხოვა 24 800 ლარის დაკისრება შემდეგ გარემოებებზე მითი-თებით: საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორთან ზეპირი შეთანხმების საფუძ-ველზე მან (მოსარჩელემ) იკისრა ვალდებულება, საწარმოს საწესდებო კაპიტალი 25-30

ათასი ლარის ფარგლებში შეეცვო, რომლის სანაცვლოდაც ის საკუთრებაში მიიღებდა წილს საწარმოში მის მიერ განხორციელებული შენატანის პროპორციულად. მან მოპასუხის სა-ნესდებო კაპიტალის შესავსებად შეიტანა პირადი ფულადი სახსრები, სულ – 24800 ლარი; პარტნიორმა დაარღვია მათ შორის არსებული შეთანხმება და მოსარჩევეს არ დაუთმო შეპირებული წილი. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რო-მელშიც მიუთითა, რომ მოსარჩელეს მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე პირადი თანხა არ შეუტანია; მან მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა მოპასუხის კუთვნილი თანხა, რის გამოც იგი მიცემულ იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მოპასუხის საწესდებო კაპი-ტალში შეტანილი თანხა წარმოადგენდა პარტნიორის საკუთრებას და ის საწესდებო კაპი-ტალში შეჭრილი მოსარჩელეს პარტნიორის მითითების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სა-სამართლოს განჩინებით – მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბ-რუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა საწარმოს (მოპასუხის) საკასაციო საჩივარი, გააუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის საქალაქო სასამართლოში განსა-ხილველად დაპრუნების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასა-მართლოს გადაუგზავნა.¹¹ საკასაციო სასამართლოს მსჯელობა შემდეგია: საქმის მასალე-ბის მიხედვით, მოსარჩელეს აღძრული აქვს მიკუთვნებითი მოთხოვნა. ის მოითხოვს მოპა-სუხისათვის 24 800 ლარის დაკისრებას. მას მკაფიოდ და გასაგებად აქვს ჩამოყალიბებული ის შედეგი, რისი მიღწევაც სურს. მისი მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ მან პარტნი-ორთან ზეპირი მოლაპარაკების შემდეგ, მოპასუხის საწესდებო კაპიტალის შესავსებად გაიღო კუთვნილი თანხა – 24800 ლარი; საწარმოს წესდების თანახმად, ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა დირექტორი, არამედ პარტნიორთა კრება. ასევეა გათვალისწინებული მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებითაც (3.5, 47.2 და 91.5. „გ“ მუხლები). საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების ანალიზი ქმნის იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ, მოსარჩელის აზრით, მან პირადი თანხა საწარმოში ვალდებულების გა-რეშე შეიტანა და ამიტომაც საწარმოსაგან მოითხოვს შესრულებულის უკან დაპრუნებას (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან 979-ე მუხლის პირველი ნაწილი). პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უარყოფის მთავარ საფუძვლად მიუთითა იმაზე, რომ მოსარჩელმ ვერ დაამტკიცა შესრულების საგანი – 24 800 ლარი არა პარტნი-ორს, არამედ თავად ეკუთვნოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოთხოვნის არსი და მისი საფუძველი ბუნდოვანია და ამიტომ შეუძლებელია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, დაუსაბუთებელია. პალატამ არ გაი-ზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობაც პარტნიორის მესამე პირად ჩართვის მოტი-ვით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაპრუნებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამგვარი მსჯელობა ენინააღმდეგება სსკ-ის 88-90 მუხლებით დადგენილ წე-სებს. სასამართლომ განმარტა, რომ კანონით სასამართლოს არა აქვს იმის უფლება, რომ საკუთარი ინიციატივით ჩააბას მესამე პირი საქმეში. საქმის მასალებით კი არ დასტურდე-ბა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, რომელიმე მხარემ ან თვით დაინტერესებულმა პირმა (პარტნიორმა) გამოიყენა აღნიშნული ნორმებით მინიჭებული საპროცესო უფლება.

საკასაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა შემდეგი: „სსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი არ-სებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, სააპელაციო სასა-

¹¹ სუს განჩინება, 16 თებერვალი, 2016, №ას-973-922-2015.

მართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, ეს არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ენინა-აღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც ამჯერად შებოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმიღვევი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება“... (შეად. საქმე №ას-471-450-2015 30.10.15) საკასაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ საქმის ხელახალი განხილვის მიზნით უკან დაბრუნების შესახებ მიღებული განჩინება ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებული იქნებოდა, თუ იარსებებდა სსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი. სააპელაციო პალატამ ისე დააბრუნა პირველ ინსტანციაში საქმე განსახილველად, რომ სათანადოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ ვერ შეძლებდა გადაწყვეტილების მიღებას, მით უფრო, როგორც უკეთ აღნიშნა, მოთხოვნაც და მისი ფაქტობრივი საფუძველიც მოსარჩელის მიერ მეაფიოდ და არაორაზროვნად იყო ჩამოყალიბებული. პალატამ სსკ-ის 377-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავად გამოყევლია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, გაეანალიზებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ისე გამოეტანა დასკვნა, სარჩელი იურიდიულად ამართლებდა თუ არა მოთხოვნას და განხორციელებული იყო თუ არა სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

1.8.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 992-ე მუხლი.

განეართება:

- ა. პირი უფლებას ბოროტად იყენებს მაშინ, როცა მისი ქმედება მიზნად არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახები ინტერესის დაცვას. ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების რეალიზაციას;
- ბ. უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება დელიქტის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმების ფარგლებში არის შესაძლებელი.

დაბრუნების საფუძველი: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა (სსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

საწარმო (მოსარჩელე) საწარმოს დამტუქნებლის (მოპასუხე) წინააღმდეგ წარმოებულ დავაში მოითხოვს მის სასარგებლოდ მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე ძირითად პარტნიორს შეგნებულად უშლიდა ხელს წარმოების ამუშავებაში, კერძოდ, მან ხსენებული ტურბინების გასაშვებად აუცილებელი ნახაზები და ელექტროსამართავი მოწყობილობები საწარმოს არ გადასცა, მიითვისა ჰესის მართვის კოდირებული გასაღები და ელექტრონული ვერსიის სამართავი პულტი, რის გამოც წარმოება ვერ მუშაობდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ნინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა მოპასუხისათვის თანხის დაკისრებისათვის ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა მოსარჩელის სასარგებლოდ. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დასაკისრებელი თანხის ოდენობა განისაზღვრა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარეობდა და მოპასუხის ქმედებაში სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის ყველა ნიშანი არსებობდა. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება, როგორც კანონის დარღვევით მიღებული, რომლის დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.¹²

საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადო არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის დაკმაყოფილება საკმარისი არგუმენტაციის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხემ ზეპირი გარიგების საფუძველზე საწარმოს წინაშე აღებული ექვსი ტურბინა-გენერატორის გადაცემის ვალდებულება დაარღვია, კერძოდ, გადასცა მხოლოდ ორი ტურბინა, ისიც მათ ასამუშავებლად განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ე.ნ. „გასაღების“ გარეშე, რის შედეგადაც საწარმომ მიიღო ზიანი. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეს საწარმოს 35%-იანი წილი გადაეცა სწორედ ამ ორი ტურბინის სანაცვლოდ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების ტვირთიც. შესაბამისად, მოსარჩელე იყო ვალდებული, მიეთითებინა და სარწმუნიდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი, ასევე – ზიანის ოდენობა. მოცემულ შემთხვევაში, ისეა დადგენილი ზიანის არსებობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას მართლინააღმდეგობაზე, კერძოდ, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობამ მოსარჩელის რომელი საგანგებოდ დაცული უფლება შელახა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასაღებით არ დასტურდება სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების არსებობა.

¹² სუს განჩინება, 5 მაისი, 2016, №ას-758-719-2013.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არც სსკ-ის 115-ე მუხლის (სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას) გამოყენების წინაპირობა არ არსებობდა. პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მართლწინააღმდეგობა სსკ-ის 115-ე მუხლის თვალსაზრისით იკვეთება, ვინაიდან ეს მუხლი გულისხმობს, რომ პირს აქვს რაიმე უფლება, მაგრამ ის იყენებს ამ უფლებას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. აქ იგულისხმება აღიარებული და უდავოდ ლეგიტიმური უფლების არსებობა. უფლების გამოყენების მართლზომიერების ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული უფლებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე დგინდება. ამასთან, უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება დელიქტის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემონმების ფარგლებში არის შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო არ უთითებს, თუ რომელი უფლება პქნდა მოპასუხეს, რა შინაარსის იყო ეს უფლება. პირი უფლებას ბოროტად იყენებს მაშინ, როცა მისი ქმედება მიზნად არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახები ინტერესის დაცვას. ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების რეალიზაციას. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი სასამართლოს არ დაუსაბუთებია.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია გასაჩივრებული წინასწარი გადაწყვეტილების მსჯელობა სასამართლო მოთხოვნის განხორციელების დამაპრკოლებელი საფუძვლის – ხანდაზმულობის თაობაზეც. სასამართლოს მითითებით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ზიანის მიყენების ფაქტთან ერთობლივად უნდა განიხილოს და გადაწყვეტილოს ხანდაზმულობის საკითხი მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ დაადგინა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია, ევალებოდა თუ არა მოპასუხეს საწარმოს წინაშე რაიმე მოქმედების განხორციელება, რისი შეუსრულებლობაც ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძვლის დადგენის წინაპირობა გახდებოდა, შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებული შუალედური გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობა – მოსარჩელისათვის ტურბინების სამართავი პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. „გასაღების“ გადაუცემლობა. ეს დასკვნა, სათანადოდ არგუმენტირებული და, აქედან გამომდინარე, დამაჯერებელი არ არის.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკულ, სათანადო და დასაშვები მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და დაადგინა ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას მან სწორად უნდა გაანანილოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები – მხარეთა ვალდებულებების შინაარსი, კერძოდ, მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით დაადგინოს, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება, მოპასუხეს წაუყენოს მოთხოვნა, ანუ წარმოიშვა თუ არა მოთხოვნა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იმსჯელოს განხორციელებადია თუ არა წარმოშობილი მოთხოვნა.

1.9.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 54-ე, 55-ე, 85-ე, 976-ე, 982-ე მუხლები.

განმარტება:

ა. სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის, უსაფუძვლო გამდიდრების თავის, შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციები ერთობლივად. დასახელებული ნორმები არათავსებადია, რადგან 976-ე მუხლი შესრულების კონდიქციას, ხოლო 983-ე შესრულებლობის – ხელყოფის კონდიქციას ეხება;

ბ. გარიგების ბათილად ცნობისას მხოლოდ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისია. სსკ-ის 55-ე მუხლით გარიგების ბათილად მისაჩნდავად საჭიროა ორი პირობის კუმულაციურად არსებობა, პირველი – გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის შესახებ გარემოება და, მეორე, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა საკუთარი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაპენტის მძიმე მდგომარეობით, ან გულუბრყვილობით.

დაპრუების საფუძველი: სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ორ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს, ერთი მხრივ, გარიგების ამორალურობასა და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების დადებაზე მხარის იძულებას ეხება, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სანარმოში წილის დათმობისა და იჯარის ხელშეკრულებები ბათილად ცნეს ქვემდგომმა სასამართლოებმა ამორალურობის საფუძვლით, რადგან აშკარა სანარმოში 52.5%-ის მფლობელის მიერ, წილის გასხვისების ხელშეკრულებისას, ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობა. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი კი ემყარება, მისი იძულების გამო, უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, კერძოდ, სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრებას. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში¹³ შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლომ განსახილველი დავის მოსაწერიგებლად გამოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი, თუმცა, გამიჯნა სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან და მხარეთა შორის დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნია ბათილად იმ საფუძვლით, რომ გარიგება ამორალურია (მიუხედავად მოსარჩელის მიმართ ძალადობის არარსებობისა), ხოლო მისი ამორალურად დაკვალიფიცირებისათვის, საკმარისად ჩათვალა ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობა, დისპროპორცია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით აშკარა და, ამ მსჯელობის დასასაბუთებლად, სამართლებრივი შეფასებისას, სამართლის პრინციპების, ავსტრიისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების, „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ შვეიცარიის კანონის სამართლებრივ რეგულაციებზე მიუთითა, სადაც საკითხის მსგავსი მოწესრიგება ქმნის ხელშეკრულების შედარებით სუსტი მხარის დაცვის ნინაპირობებს მეორე მხარის ძალმომრეობისაგან, რაც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობას მხარეთა შორის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის და კონკრეტულად სადაც გარიგების ბათილად მისაჩნდება, მარტო-

¹³ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1224-1149-2015.

დენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისია და გადაწყვეტილების სამართლებრივ დაუსაბუთებულობაზე მიუთითებს. ხელშეკრულების გაფორმების დროს, მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლით (რომელიც სახელდებული იყო შემდეგნაირად: გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო; 08.05.2012წ. № 6151 ცვლილებამდე რედაქციით), დადგენილია კონკრეტული ნინაპირობები გარიგების ბათილად მისაჩენევად და საჭიროა ორი პირობის კუმულაციურად არსებობა. დასახელებული ნორმის თანახმად, გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის შესახებ გარემოება, ამასთან ერთად, გარიგების ბათილად მისაჩენევად, აუცილებელია, რომ მეორე ნინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადგებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არათუ არ უნდა გამიჯნოს სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლები, არამედ უნდა გამოიკვლიოს გარიგების დადების დროისათვის მოქმედი ნორმით – 55-ე მუხლით დადგენილი კუმულაციური ნინაპირობები, კერძოდ, მარტოოდენ ნასყიდობის ფასის არააღევატურობა, დისპორმორცია, სუბიექტური ელემენტების დადგენის გარეშე – მხარემ ისარგებლა საკუთარი საბაზრო ძალაუფლებით ან მოსარჩელის გულუბრყვილობით, გამოუცდელობით, მისი მძიმე მდგომარეობით, არ არის საკმარისი და სამართლებრივად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იჯარის ხელშეკრულებების ბათილობისას სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი, რომ შესაძლოა, საკითხი მოსარჩელის კომპანიასთან კავშირის თავიდან აცილების მცდელობას უკავშირდებოდეს, მოითხოვს, სწორედ იმ სუბიექტური ელემენტის კვლევასაც, რომელიც სადაც გარიგების გაფორმების დროს სსკ-ის 55-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოსარჩელეს იმთავითვე ვერ მოუტანს სასურველ სამართლებრივ შედეგს, ამდენად, სააპელაციო სასამართლო უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, რა იურიდიულ შედეგს წარმოშობს ხელშეკრულების ბათილობა. დამატებით გამოკვლევას საჭიროებს საიჯარო ხელშეკრულებების ბათილობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თუკი მიკუთვნებით სარჩელის აღდვრა იყო შესაძლებელი, მაშინ პროცესუალურად უნდა შეფასდეს, რამდენად იყო დასაშვები აღიარებითი სარჩელი.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის, უსაფუძვლო გამდიდრების თავის, შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციები ერთობლივად. დასახელებული ნორმები არათავსებადია, რადგან 976-ე მუხლი შესრულების კონდიქციის ეხება, ხოლო 983-ე შეუსრულებლობის – ხელყოფის კონდიქციის. 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება გარიგების დადებამდე არსებულ ვითარებაში დაბრუნებას, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც არარა გარიგებით მიიღეს მხარეებმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. სსკ-ის 983-ე მუხლით კი, რომელიც ხელყოფის კონდიქციის მომწესრიგებელ ნორმას განეკუთვნება, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით; შესრულების კონდიქცია არის დამატება სახელშეკრულებო სამართლისათვის, ხოლო ხელყოფის კონდიქცია – დამატება დელიქტური სამართლისათვის.

1.10.

გამოყენებული ცორები: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონის 91.6.„ე“ ქვეპუნქტი), სსკ-ის 709-ე, 720-ე მუხლები.

განმარტება:

- ა. დაუშვებელია მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება;
- ბ. დირექტორთან დადებული შეთანხმება დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, მისი ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერების შემონმებისას „მენარმეთა შესახებ“ კანონის ნორმებთან ერთად, გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მომწერსიგებელი ნორმები, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემომდეს და არა დელიქტური ვალდებულების;
- გ. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა, შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა;
- დ. პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს, რომლის მიზანშენონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება;
- ე. ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორი არ უნდა გაირიცხოს თავისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაუწყვეტლად, რათა კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება არ შეილახოს;
- ვ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამართლის ნორმა პირს დამოუკიდებლად, ყოველგვარი წინაპირობების დაცვის გარეშე, ანიჭებს უფლებამოსილებას, შეცვალოს მეორე პირის უფლებრივი მდგომარეობა, რაც დამატებით სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებას აღარ საჭიროებს;
- ზ. კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების გათვალისწინებით ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელები არა დელიქტური ვალდებულების, არამედ სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმდეს;
- თ. პარტნიორის გარიცხვის წინაპირობების კვლევისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოპასუხის – როგორც პარტნიორისა და მოპასუხის, როგორც დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე.

დაბრუნების საფუძველი: გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის, როგორც ზიანის ანაზღაურების დაკისრების, ისე მისი კომპანიის პარტნიორობიდან გარიცხვის ნაწილში სამართლებრივად და ფაქტობრივად დაუსაბუთებელია. ზიანის დაკისრების მოთხოვნა ისეა დაკმაყოფილებული, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არც შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით/ნორმებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერ-

თობები და არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამდლვრები, ამასთან, არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტის-თვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოოდ არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

საწარმოსა და პარტნიორს (საზოგადოების დირექტორს შორის დავაში საქალაქო სასამართლომ საწარმოს სარჩელი მოპასუხის (საწარმოს პარტნიორისა და დირექტორისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების, დირექტორობიდან გათავისუფლებისა და პარტნიორბიდან გარიცხვის თაობაზე დააქმაყოფილა. მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარიღონივ დაემაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება საქმის პირველ ინსტანციაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა, სააპელაციო სასამართლომ ხელმეორედ განიხილა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ წანილში, რომლითაც მოპასუხე კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა და სარჩელი, იურიდიული ინტერესის არქონის გამო, უარყოფილ იქნა; დანარჩენ წანილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის (კომპანიის) საკასაციო საჩივარი დირექტორის თანამდებობიდან მოპასუხის გათავისუფლების მოთხოვნის უარყოფის წანილში არ დააქმაყოფილა და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარის დაკამაყოფილებით, წანილობრივ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს კომპანიის პარტნიორის გარიცხვისა და ამავე საწარმოსთვის მოპასუხის, როგორც საზოგადოების დირექტორის, მიერ მიყენებული ზიანის საკითხების დამატებითი გამოკვლევის მიზნით.¹⁴

საკასაციო პალატამ დირექტორის თანამდებობიდან მოპასუხის გათავისუფლების მოთხოვნის წანილში მოსარჩელის საჩივარის უარყოფას საფუძვლად დაუდო განმარტება, რომ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამართლის წორმა პირს დამოუკიდებლად, ყოველგვარი წინაპირობების დაცვის გარეშე, ანიჭებს უფლებამოსილებას, შეცვალოს მეორე პირის უფლებრივი მდგომარეობა, რაც დამატებით სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებას აღარ საჭიროებს. შესაბამისად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი არცერთი ზემოაღნიშნული კრიტერიუმი არ იკვეთება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონის 9¹.6.„ე“ ქვეპუნქტი). სამართლებრივად დირექტორთან დადებული შეთანხმება დავალების (სასამსახურო) ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, მისი ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერების შემოწმებისას „მენარმეთა შესახებ“ კანონის წორმებთან ერთად, გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წორმები (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები). სწორედ სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი წანილი ანიჭებდა უფლებას მოსარჩელეს, ცალმხრივად შეწყვიტა მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება. ამრიგად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი წება მესამე პირების მიმართ წამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (შდრ. მსგავს საქმეებზე სუსგ-ები: საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი; საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-131-127-2016; 23 სექტემბერი, 2016 წელი).

¹⁴ სუს განჩინება, 25 აპრილი, 2019, №ას-1203-2018.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6, სსკ-ის 709-ე, 394.1 და 408.1 მუხლებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მითითებული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობელი ფაქტობრივი გარემოებები არ დაუდგენია და არც გამოუკვლევია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულები ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. ვინაიდან, კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორისა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც, დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულები მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმდეს და არა დელიქტური ვალდებულების, როდესაც უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ყველა წინაპირობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი).

ვინაიდან განსახილველი სარჩელი არ მიეკუთვნება სსსკ-ით გათვალისწინებულ, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავათა კატეგორიას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი ვერ შეფასდება სსსკ-ის 309¹⁷.1-ე მუხლით განსაზღვრულ იმ მტკიცებულებად, რომელიც საკმარისი იქნება მოცემულ დავაზე ზიანის მიყენების ფაქტის დასადგენად. განაჩენი განსახილველ დავაში წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც, სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, საჭიროებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად შეფასებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა განაჩენით დასტურდება მოპასუხის მხრიდან სახელმწიფოსთვის და არა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მხოლოდ განაჩენზე დაყრდნობით მოპასუხის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საგადასახადო შემოწმების აქტი (რომელსაც განაჩენობან ერთად დააფუძნეს გადაწყვეტილება ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა) სრულყოფილად არ გამოკლეულა და არ შეფასებულა, თუ რამ გამოიწვია საგადასახადო დავალიანების წარმოშობა და რა ბრალი მიუძღვოდა ამაში კომპანიის დირექტორს. შესაბამისად, გამოუკვლეველია განაჩენსა და საგადასახადო შემოწმების აქტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, სახელდობრ, დარიცხული საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს თუ არა მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების უმჯალო შედეგს და რა მოცულობით (ფარგლები).

საკასაციო სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის ხელახალი განხილვის დროს დადგინდება, რომ დირექტორი საზოგადოების საქმებს არ უძღვებოდა კეთილსინდისიერად, კერძოდ, არ ზრუხავდა ისე, როგორც ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და არ მოქმედებდა იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოებისათვის, რასაც შედეგად საზოგადობისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა, სააპელაციო სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, ამ უკანასკნელის მხრიდან კომპანიის კრედი-

ტის პირადი სახსრებით ნაწილობრივ დაფარვასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, არსებობდა თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის ნინაპირობები და არ დაუდგენია პარტნიორის ნილის კომპენსირებასთან დაკავშირებული გარემოებები.

პალატამ განმარტა, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა, შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლიდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი აშეარაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა; სახელდობრ, როდესაც მისი ქცევით შეუძლებელია ან მნიშვნელოვნად რთულდება საზოგადოების მიზნის მიღწევა, რაც აუტანელს გახდიდა მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება, გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი, რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და, მაშასადამე, საფრთხეს უქმნის მის არსებობას (სუსგ № ას-812-1099-2009, 09.11.2009).

საკასაციო პალატის მითითებით, პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს, რომლის მიზანშეწონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობაზე, სახელდობრ, რამდენადა დაცული კანონითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადაც გადაწყვეტილების მიღებისას.

ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, პალატის მოსაზრებით, შესაბამისი ფაქტორიგი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორი არ უნდა გაირიცხოს წილის კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტლად, რათა კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება არ შეელახოს.

საკასაციო პალატამ, განმარტა, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და, სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას, გამოიკვლიოს საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე წაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება. საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება. პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამონმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა (პარტნიორმა) გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად (სუსგ №ას-201-201-2018, 08.10.2018).

პალატის მოსაზრებით, ქვემდებომი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობების კვლევისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოპასუხის – როგორც პარტნიორისა და მოპასუხის, როგორც დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე.

2. შრომითი დავები

2.1.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 394.1., 408.1, 411-ე, სშკ-ის 38.8 მუხლები.

განმარტებები:

იძულებითი განაცდური წარმოადგენს სწორედ იმ ზიანს, რომელიც ეკუთვნის დასაქ-მებულს, რათა აღდგეს პირვანდელი ვითარება იმ სახით, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 408.1 მუხ-ლით გათვალისწინებული ზიანი (განსახილველ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება სშკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, რო-დესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

გადაცვეტილების შედები: დასაქმებული სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითი-თებული რიგითობის გათვალისწინებით აღდგენილ იქნა სამუშაოზე.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითსამართლებრივ დავაში¹⁵ სამივე ინსტან-ციის სასამართლომ დაადგინა, რომ დამსაქმებელმა უკანონოდ შეწყვიტა შრომითი ურთი-ერთობა დასაქმებულთან, რითაც დაარღვია სშე-ის 37-ე მუხლის მოთხოვნები, ანუ იკვე-თება სანარმოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედება და ზიანი, ვინაიდან და-საქმებულმა ვერ მიიღო შრომის ანაზღაურების სახით ის შემოსავალი, რასაც მიიღებდა, რომ არა სანარმოს უკანონი მოქმედება, მას დაეყისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაუ-რება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – დასაქმებულის სარჩელი სამუშაო-ზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მის სასარგებლოდ, დამსაქმებელს დაეყისრა გარკვეული თან-სის გადახდა, საიდანაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიქვითებოდა საშემო-სავლო გადასახადი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფ-ლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძ-ლებლობას მოიცავს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება, იმ-გვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, ძა-ლუს მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელ-საც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გა-დაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებუ-ლი რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, განხორციელებუ-ლია სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 411-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამდღვრები.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შე-დეგი, აღადგინა დასაქმებული წინანდელ თანამდებობაზე და დამსაქმებელს იძულე-ბითი განაცდური დააკისრა.

¹⁵ სუს გადაწყვეტილება, 29 იანვარი, 2016, საქმე №ას-951-901-2015.

საკასაციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს სწორედ იმ ზიანს, რომელიც ეკუთვნის დასაქმებულს, რათა პირვანდელი მდგომარეობა აღდგეს იმ სახით, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ შემნილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სსკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანი (განსახილველ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება სშკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

2.2.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის მე-2, 21-ე, 22.4., 26-ე, 36.2.მ., 36.4. მუხლები

გამომარტება: ხელშეკრულების დარჩენილი ვადის განმავლობაში პირვანდელ მდგომარეობით დასაქმებულის აღდგენა-განაცდურის მიღება გამორიცხავს დამატებით გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილების შედეგი: დასაქმებულის სარჩელი უარყოფილ იქნა გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციისა და განაცდურის ერთდროულად მიღების შეუძლებლობის გამო.

დავაში, სადაც დასაქმებული ითხოვს სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე საწარმოს (დამსაქმებლის) ბრძანების ბათილად ცნობას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასა და გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის დაკისრებას საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს დამსაქმებლის საკასაციო საჩივრის ფარგლებში გამოუყენებელი შვებულებისთვის კომპენსაციის დაკისრების კანონიერება წარმოადგენს.

სასამართლომ მართებულად მიიჩნია კასატორის პოზიცია, რომ ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებების პირობებში დამსაქმებლისათვის იძულებითი მოცდენის პერიოდის შრომის ანაზღაურების სრულად დაკისრება გამორიცხავს დამატებით გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციას, რამდენადაც დაკისრებული თანხა მოიცავდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრულ ანაზღაურებას და დამატებით მე-13 თვის ანაზღაურებას ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, დასაქმებულის სარჩელი გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნით უარყო.¹⁶

საკასაციონ სასამართლომ განმარტა, რომ ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს შრომის სამართლით გარანტირებულ და საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც დასაქმებული არ ასრულებს სამუშაოს, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მას ეძლევა შრომის ანაზღაურება, შესაბამისად, გამოუყენებელი შვებულების საკითხი, თუ ხელშეკრულება სხვა დამატებითი მატერიალური სიკეთით დასაქმებულის სარგებლობას არ ითვალისწინებს (მაგალითად ე.წ. მეცამეტე ხელფასის ანაზღაურება), მოიცავს კალენდარული წლის (სკ-ის 126.1 მუხლი) განმავლობაში დასაქმებულის შესაძლებლობას, ისარგებლოს დასვენების უფლებით, თუმცა, სრულად მიიღოს ამ პერიოდის შრომის ანაზღაურება.

საკასაციონ პალატამ აღნიშნა, რომ არც მხარეებს არ მიუთითებიათ და არც ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს-თან დადებული 1-წლიანი შრომითი ხელშეკრულება, გარდა კანონით გარანტირებული შრომის ანაზღაურებისა, დამატებითი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას აძლევდა დასაქმებულს, ამასთანავე, უდავოა, რომ გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ცალმხრი-

¹⁶ სუს გადაწყვეტილება 28 ოქტომბერი, 2016, №ას-578-553-2016.

ვი ნება იყო კანონსაწინააღმდეგო (სკ-ის 54-ე მუხლი), რასაც ხელშეკრულების დარჩენილი ვადის განმავლობაში დასაქმებულის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა-განაცდურის მიღება მოჰყვა შედეგად (შკ-ის 32-ე და სკ-ის 411-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ ბრძანების ბათილად ცნობით გამოწვეული პირის უფლებრივი რესტიტუცია, სკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწვევს იმ მდგომარეობის აღდგენას, რაც ხელშეკრულების უსაფუძვლოდ მოშლის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. თავად რესტიტუციის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, ვიდრე ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იარსებებდა, რაც არსებითად განსხვავდება იმგვარი ვითარებისაგან, როდესაც პირი, რომელსაც ანაზღაურებადი შევებულების უფლება ჰქონდა მოპოვებული და სრულად ან ნაწილობრივ არ უსარგებლია ამ უფლებით, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდება დამსაქმებლის მიზეზით და სადაც არ გახდის გათავისუფლების მართლზომიერებას.

2.3.

გამოყენებული ნორმები: სკ-ის 316.1., სსსკ-ის 3.1., 248-ე, 266-ე, სშკ-ის მე-2, 31-ე, 34-ე მუხლები.

განმარტება: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადაც პერიოდში მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოსარჩელის მიერ მიუღებლობა, მისთვის შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაყოვნებასთან ვერ გაიგივდება, რადგან, რეალურად, ზემომითიებული დროის მონაკვეთში მოსარჩელე შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების მოცდენის სუბიექტი კი აღარ არის, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ დადგენილი თანხის დაყოვნების სუბიექტია და ეს ვითარება მას სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონისმიერი საურავის მიღების უფლებას არ ანიჭებს.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით¹⁷ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა 2011 წლის 22 თებერვლიდან უკვე შეწყვეტილი იყო და მას სასამართლოში სარჩელი ჰქონდა აღძრული მოპასუხის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე, ყოველთვიურად 650 ლარის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების, ასევე, აღნიშნული პერიოდისათვის ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის პირგასამტებლოს, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის, ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლო 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 7 აპრილს.

დასაქმებულმა ახალი სარჩელით გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანგარიშსწორების დაყოვნების გამო მოპასუხისათვის კანონისმიერი პირგასამტებლოს (დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%) დაკისრება მოითხოვა.

საკასაციო პალატამ სარჩელი უარყო შემდეგი დასაბუთებით: მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა წარმოადგენს პირის სამართლის ნორმით/ნორმებით უზრუნველყოფილ უფლებას, კონკრეტული მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება (ასევე მოქმედებისაგან

¹⁷ სუს გადაწყვეტილება, 27 ოქტომბერი, 2016, №ას-268-255-2016.

თავის შეკვებაც სსკ-ის 316.1 მუხლი). ამ უფლების ძალით კრედიტორს (მოსარჩელეს) კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მხოლოდ ერთხელ შეუძლია, აღძრას სარჩელი. მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს, ანუ მოთხოვნის ფარგლებს (სსკ-ის 3.1. მუხლი), შესაბამისად, სასამართლოც ამ ფარგლებითაა შებოჭილი (სსკ-ის 248-ე მუხლი). მოსარჩელეს 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამთავრებულ პროცესშივე შეეძლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანგარიშსნორების დაყოვნების გამო მოპასუხისათვის კანონისმიერი პირგასამტკებლოს (დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%) დაკისრება მოეთხოვა, რაც არ გაუკეთებია.

სსკ-ის 266-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს უფლებას უკარგავს, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ თავდაპირველად აღძრული სარჩელი მოთხოვნის გათვალისწინებით, მოპასუხეს ანგარიშსნორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07% დაპკისრებოდა 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე, სასამართლომ დააკმაყოფილა. ამჟამად კი, განსახილველი სარჩელით მოსარჩელე იმავე მოთხოვნას აყენებს, იმავე საფუძვლით, წინა სარჩელისგან განსხვავდება მხოლოდ ასანაზღაურებელი თანხის დროის მონაკვეთში და მოთხოვნა დაუშევებელია.

პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელია იმ საფუძვლითაც, რომ არ არის განხორციელებული იმ ნორმებით (სშკ-ის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და 31-ე მუხლის მესამე ნაწილი) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, საიდანაც ეს მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს. 2012 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 4 სექტემბრამდე იძულებითი განაცდურის ანგარიშსნორების დაყოვნების გამო მოპასუხისათვის კანონისმიერი პირგასამტკებლოს (დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%), 6 828 ლარის დაკისრების მოთხოვნა სშკ-ის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან და 31-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც: ა) მხარეებს შრომის არსებული შრომითი ურთიერთობა არ უნდა იყოს შენწყვეტილი. ბ) შეთანხმებული შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად უნდა გაიცემოდეს. გ) დამსაქმებელმა უნდა დაარღვიოს ძირითადი ვალდებულება – მან უნდა გადააცილოს შრომის ანაზღაურების შეთანხმებულ ვადას ან საბოლოო ანგარიშსნორების კანონით დადგენილ შვიდდღიან ვადას (სშკ-ის 34-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა დამსაქმებლის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სშკ-ის 31-ე მუხლის მესამე ნაწილი ვრცელდება მხოლოდ არსებული შრომითი ურთიერთობების იმ სფეროზე, როდესაც შრომის ანაზღაურება (ხელფასი) ყოვნდება. განსახილველ შემთხვევაში, შრომის ანაზღაურების დაყოვების გამო, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს ანგარიშსნორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე დაეკისრა და 2014 წლის 10 ივლისს აუნაზღაურდა. რაც შეეხება 2012 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 10 ივლისამდე დროის მონაკვეთში მითითებული თანხის ანაზღაურების დაყოვნების გამო აღძრულ მოთხოვნას, სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების სფეროში ვერ მოექცევა, რადგან იგი უკვე აღარ წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შრომის მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ მოთხოვნას – შრომის ანაზღაურების ანგარიშსნორების დაყოვნების გამო დაყოვნებული თანხის პროცენტის ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადაცო პერიოდში მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოსარჩელის მიერ მიუღებლობა, მისთვის შრომის ანაზღაურების ანგა-

რიშსწორების დაყოვნებასთან ვერ გაიგივდება, რადგან, რეალურად, მოსარჩევე არა შზემომითითებული დროის მონაკვეთში შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების მოცდენის, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ დადგენილი თანხის დაყოვნების სუბიექტია და ეს ვითარება მას სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონისმიერი საურავის მიღების უფლებას არ ანიჭებს.

2.4.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 54-ე, 408-ე, სშკ-ის 37-ე, 38-ე, 44-ე მუხლები.

გამომარტება: შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის ნების არა-მართლზომიერება დასაქმებულის სრულ უფლებრივ რესტიტუციას იწვევს, ანუ უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებები.

გადაცვეტილების შედეგი: გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ და სარჩელი შპს-ს მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა სარჩელის უარყოფის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი შპს-ს მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.¹⁸ სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა მოსარჩელის გათავისუფლება, მოპასუხე სანარმოს ერთპიროვნული პარტნიორის ნებით გაცხადებული ეკონომიკური გარემოებების ცვლილების საფუძველზე განხორციელდა და დამსაქმებლის გადაწყვეტილება სამუშაო ძალის შემცირების თაობაზე მოწონებულია უფლებამოსილი პირის მიერ. გათავისუფლებამდე დასაქმებულს ეკავა სპეციალისტის თანამდებობა (ქუთაისი). საყურადღებოა, რომ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დამსაქმებლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელის საშტატო ერთეულის დასახელების მიუხედავად (სპეციალისტი „ქუთაისი“), იგი სათავო ოფისს ეკუთვნოდა, ამასთანავე, რეორგანიზაციის გადაწყვეტილება ემყარება დამსაქმებლის იმ არგუმენტაციას, რომ ამ ცვლილების შედეგად უფროსი სპეციალისტი დაქვეითდა და გახდა მთავარი სპეციალისტი, ხოლო, მთავარი სპეციალისტი ასევე დაქვეითდა და დაიკავა სპეციალისტის თანამდებობა. სასამართლომ პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, თავად შეაფასა დამსაქმებლის მიერ გამოთქმული ზემოაღნიშნული პოზიცია და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების, ასევე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაგენილი გარემოებების ინდივიდუალურად და ერთობლივად, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების შედეგად დადასტურებულად (სსკ-ის 131-ე მუხლი) მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული საშტატო ერთეული შენარჩუნებულია, რამდენადაც დღეისათვის კვლავ არსებობს სათავო ოფისის კუთვნილი სპეციალისტის შტატი იმ ცვლილებით, რომ მას დამატებით აღარ ეწოდება „ქუთაისი“, ხოლო რელურად, განხორციელებული სტრუქტურული ცვლილება შეეხო არა სპეციალისტს, არამედ, უფროს სპეციალისტს, რომელიც დაქვეითდა და გახდა მთავარი სპეციალისტი, ხოლო მთავარმა სპეციალისტმა დაიკავა სპეციალისტის შტატი.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“

¹⁸ სუს გადაწყვეტილება, 27 იანვარი, 2017, №ას-943-908-2016.

ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შედეგად მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება ან ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა მართლზომიერი წინაპირობის არსებობა არ დასტურდება, ამასთანავე, არ იკვეთება კასატორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებელი მენარმის უპირატეს ინტერესი, შესაბამისად, დამსაქმებლის ბრძანება ბათილად უნდა იქნას მიჩნეული, მისი გამოცემის კანონით დადგენილი (სშკ-ის 37-ე მუხლი) წინაპირობების (სკ-ის 54-ე მუხლი) არარსებობის გამო. მითითებულიდან გამომდინარე, სასამართლომ მართლზომიერად მიიჩნია მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

2.5.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის მე-6, 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 44-ე მუხლები, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლები.

გამოყენების მიზანი: პირგასამტებლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს ანუ გადახდის ვალდებულების არსებობა აშკარაა საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობის ფროს – ხელფასის, გამოუყენებელი შვებულების სახით, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. ნებისმიერ ანაზღაურებასა თუ ანგარიშსწორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული დღისათვის გადახდის ვალდებულებას, არ იგულისხმება განაცდური, ვინაიდან არა სახელშეკრულებო შეთანხმება, არამედ დასაქმებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახეა.

გადაცვეტილების შედეგი: დასაქმებულის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში უარყოფილ იქნა.

საკასაციო სასამართლომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს (მენარმეს) შორის დავაში შეამოწმა დასაქმებულის მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურებისა და ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე და გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი, კერძოდ, მოთხოვნა დაკმაყოფილდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში უარყოფილ იქნა.¹⁹

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება სშკ-ის მე-6 მუხლის საფუძველზე ტრანსფორმირდა რა განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად, სადაც ბრძანება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით შეწყვეტის შესახებ ბათილია (სშკ-ის 54-ე მუხლი). შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე სანარმოს უნდა დაეკისროს იძულებით გაცდენილი დროის მანძილზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 44-ე მუხლის, აგრეთვე, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლით (სუსგ №ას-469-450-2016, 29.06.2016), ხოლო პირგასამტებლოს სახით იძულებითი განაცდური თანხის დაყოვნების ყოველი დღისთვის, ამ თანხის 0.07 პროცენტის გადახდის დაკისრებაზე მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფილია სამართლებრივად ვარგისი საფუძვლის არარსებობის გამო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, სშკ-ის 31-ე მუხლის თანახმად, პირგასამტებლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს, ანუ გადახდის ვალდებულება არსებობს საბოლოო ანგარიშსწორების

¹⁹ სუს გადაწყვეტილება, 09 მარტი, 2018, №ას-82-82-2018.

გადაუხდელობის დროს – ხელფასის, გამოყენებელი შვებულების სახით, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. ნებისმიერ ანაზღაურებასა თუ ანგარიშსნორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული დღისათვის გადახდის ვალდებულებას, არ შეიძლება მოვიაზროთ განაცდური, ვინაიდან განაცდური არა სახელშეკრულებო შეთანხმება, არამედ დასაქმებულის ზიანის ანაზღაურების სახეა (იხ. სუსგ 30/09/2013, №ას-285-271-2013).

2.6.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის 38.8.-ე, 44-ე, სსკ-ის 394.1.-ე, 408-ე მუხლები.

განმარტებები: სამედიცინო მომსახურების გამნევი ვალდებული იყო, პაციენტების უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით სამედიცინო მომსახურებისგან ჩამოეცილებინა დასაქმებული, რომელმაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არაერთგზის უხეშად დაარღვია.

გადაცვითილების შედეგი: დასაქმებულის სარჩელი უარყოფილ იქნა სამუშაო-დან მართლზომიერად გათავისუფლების გამო.

მეწარმე-დამსაქმებლის წინააღმდეგ შრომითსამართლებრივ დავაში დასაქმებულმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოთხოვა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მოთხოვნა დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო.²⁰

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა დაკავებული თანამდებობის / შესასრულებელი სამუშაოს შესატყვის კვალიფიკაცია და პროფესიული უნარ-ჩვევები, შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ მისი სამუშაოდან გათავისუფლება განხორციელდა მართლზომიერად და მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შრომითსამართლებრივ დავებს მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურება ახასიათებს, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. ამდენად, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების წორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს აქვს მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები (შდრ. სუსგ № ას-483-457-2015, 07.10.2015).

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მოპასუხებ ვერ უზრუნველყო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, რაც, პალატის მოსაზრებით, გამოიხატა იმით, რომ მან ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებების უტყუარობის გაქარწყლება და მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება. საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა არა მარტო დამაჯერებლობასაა მოკლებული, არამედ წინააღმდეგობრივიცაა, რადგანაც პალატა აფასებს რა მოპასუხის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, აღნიშნავს რომ დასაქმებული სამსახურიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გათავისუფლებულიყო, როდესაც, მის მიერ

²⁰ სუს გადაწყვეტილება, 17 აპრილი, 2019, №ას-1649-2018.

ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი ექნებოდა დაკარგული, ანუ არ უარყოფს დამსაქმებლის მხრიდან გადაცდომის ჩადენის ფაქტს.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებელმა წარმატებით გაართვა თავი მის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოებების მტკიცების მოვალეობას და, შესაბამისად, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შენწყვეტის მართლზომიერება ცხადად და დამაჯერებლად დაასაბუთა. მოპასუხე, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქმიანობს, ვალდებულია, დაიცვას თითოეული მოქალაქის/პაციენტის უფლება და კეთილდღეობა, რომელსაც უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო, პაციენტების უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით სამედიცინო მომსახურებისგან ჩამოეცილებინა მოსარჩევე. ამ დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ის გარემოება, რომ მოსარჩევე სამედიცინო ცენტრში მუშაობის უკანასკნელ თვეებში დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უხეშ შეცდომებს უშვებდა, რაც გამოიხატებოდა პაციენტების ანალიზების არასწორ კვლევასა და შედეგებში, რაც შრომითი ურთიერთობის შენწყვეტის საფუძველი გახდა.

2.7.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის 44-ე, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლები.

გამოართება: დაზარალებული მხარის ინტერესის დაცვა შესაძლებელი იქნებოდა დელიქტის მარეგულირებელი ნორმებით, თუ დარღვევა არასახელშეკრულებო ხასიათის იქნებოდა. სახელშეკრულებო მოვალეობის შესრულებისას გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისათვის კი, გამოიყენება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნის საფუძვლები, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების (სსკ-ის 394-ე მუხლი).

დაპრუნების საფუძველი: სასამართლომ უნდა გაარკვიოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, გამიჯნოს მოპასუხების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი და, პირობითადი, არაძირითადი ვალდებულებები და გაარკვიოს, დაარღვია თუ არა მოპასუხებ არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება, რის შემდეგ შეიძლება, განსაზღვროს ზიანის ოდენობა.

დამსაქმებელმა (საწარმომ) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების (33%-იანი წილის მფლობელი პარტიინორისა და ფინანსური საკითხების მმართველის) მიმართ მიყენებული ზიანის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩევე ამტკიცებდა, რომ ფინანსურმა მენეჯერმა დაარღვია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მოპასუხე დაეუფლა საზოგადოების შემოსავალში აღურიცხავ თანხას, რომელთა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები საზოგადოებაში არ არსებობს. საქალაქო სასამართლომ სარჩელი უარყო, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ იგი სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.²¹

მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მისი მოთხოვნის სამართლებრივი

²¹ სუს განჩინება, 22 აპრილი, 2016, №ას-458-432-2014.

საფუძველია სშკ-ის 44-ე, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლები.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით, შინაგანაწესით, სადაც პრძანებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და აუდიტის დასკვნებით, მოპასუხის მიერ შრომითი ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულების დარღვევა დგინდება, თუმცა, რადგან მოპასუხე (კასატორი) ამტკიცებს, აღურიცხავ თანხას არ დაუფლებია და დირექტორი განკარგავდა, ამით ფაქტობრივად მიუთითებს, რომ გულისხმიერების ვალდებულება – ე.წ. არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება არ დაურღვევია. ეს უკანასკნელი კი, ნიშნავს, რომ ყოველმა მხარემ უზრუნველყოს მეორე მხარის იმ ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვა, რომელზეც მას ხელი მიუწვდება და ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულების ვალდებულების მიღმაა.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დავის გადაწყვეტისათვის იხელმძღვანელეს სსკ-ის 992-ე მუხლით, რაც, პალატის მოსაზრებით, არასწორია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან გულისხმიერების ვალდებულების მიზანი, ძირითადად, სხვა პირის აბსოლუტური უფლებების (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება) დაცვაა, ის დელიქტური მოთხოვნით დაცულ სიკეთეს ემსაგასება, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, გადამწყვეტი ისაა, რომ ზიანი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესშია წარმოშობილი და არ სცილდება სახელშეკრულებო (არაძირითადი) პასუხისმგებლობის ფარგლებს, კერძოდ, ბუღალტრის ვალდებულება, რომ დამსაქმებლის თანხა არ მიეთვისებინა, სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარებდა და უშუალოდ იყო დაკავშირებული მის ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან – ბუღალტრული აღრიცხვა სწორად და სრულყოფილად ეწარმოებინა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულება და გულისხმიერების ვალდებულება ისეა დაკავშირებული, რომ არა შრომითი ხელშეკრულება, მოპასუხე მოსარჩევეს ამ ზიანს ვერ მიაყენებდა. შესაბამისად, დაზარალებული მხარის ინტერესის დაცვა შესაძლებელი იქნებოდა დელიქტის ნორმებით, თუ დარღვევა არასახელშეკრულებო ხასიათის იქნებოდა. სახელშეკრულებო მოვალეობის შესრულებისას გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისათვის კი, გამოიყენება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნის საფუძვლები, მათ შორის – ზიანის ანაზღაურების (სსკ-ის 394-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატას, პირველ რიგში, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი და, პირობითად, არაძირითადი ვალდებულებები უნდა გაემიჯნა. თუ ხელშეკრულება არ სრულდება ან არაჯეროვნად სრულდება (ზარალდება კრედიტორის პოზიტიური ინტერესი), მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა შესრულების ვალდებულების დარღვევისათვის, ხოლო, რამდენადაც გულისხმიერების ვალდებულება ნეგატიურ ინტერესს იცავს, მისი დარღვევისას ზიანდება ის სიკეთე, რომელიც არ დაზიანდებოდა, რომ არა ხელშეკრულება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფაქტორივი საფუძვლის არსებობის სწორად განსაზღვრის მიზნით სააპელაციო სასამართლო უნდა გამოიკვლიოს, დაარღვია თუ არა მოპასუხემ არაძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, წარდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის, ე.წ. „შავი ჩანაწერების“ გათვალისწინებით შედგენილი აუდიტის დასკვნის გათვალისწინებით განსაზღვროს ზიანის ოდენობა. ზიანის ოდენობის დადგენისას პალატამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ზიანის ანაზღაურებას არ უნდა მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ უშუალოდ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოწვეული ზიანის ოდენობა. ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უნდა დაადგინოს, გამოიწვია თუ არა მოპასუხის მიერ მხოლოდ შრომითი მოვალეობების დარღვევამ საზოგადოებისათვის მოთხოვნილი ზიანის მიყენება.

ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სწორად უნდა გაანა-

წილის მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

2.8.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

გამოართება:

ა. სასამართლოებმა ძალზე ფრთხილად და წინდახედულად უნდა იმსჯელონ სასამართლო კონტროლის ფარგლებში, კონკრეტული საწარმოს პიზნესგადაწყვეტილებასა და სამენარმეო პოლიტიკაზე, რათა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების – თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარების – ხელშეწყობას საფრთხე არ შეექმნას;

ბ. სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს, აკმაყოფილებდა თუ არა კონკურსანტი დამსაქმებლის მიერ დადგენილ შეფასების კრიტიკულებს, ხოლო საკითხის იმგვარი კვლევა, თუ: რა სახის კითხვები დაუსვეს დასაქმებულებს, სცილდება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს.

დაბრუნების დასაბუთება: გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა მიღებული, ვინაიდან, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საწარმოსა და დასაქმებულს შორის შრომითსამართლებრივ დაგაში, დასაქმებულის მიერ აღძრულ ორ სარჩელზე, პირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სადაც ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურება, ხოლო მეორე სასარჩელო მოთხოვნას – მოპასუხე ორგანიზაციის პროფესიული საქმიანობის შეფასების (ატესტაციის) შედეგების ბათილად ცნობა მოსარჩელის ნაწილში. მოსარჩელის ორივე მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ დამსაქმებლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება²² და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამობმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის განმაპირობებელი ყველა წანამდლვრის შესაძლო არსებობის კვლევით.

საქმის ფაბულის მიხედვით, სადაც ბრძანების სამართლებრივი საფუძველია სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი, რომლის ნორმატიული დანაწესი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად ითვალისწინებს ეკონომიკურ გარემოებებს, ტექნოლოგიურ ან ორგანიზაციულ ცვლილებებს, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, ხოლო, თავის მხრივ, ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებას ფაქტობრივად საფუძვლად დაედო მოპასუხე ორგანიზაციის პროფესიული საქ-

²² სუს განჩინება, 22 ნოემბერი, 2016, №ას-792-759-2016.

მიანობის შეფასების (ატესტაციის) შედეგები. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა კი უკავშირდება საკონკურსო გასაუბრების გაუმჯობესების, დასაქმებულები-სადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობასა და ვარაუდს, რომ მოპასუ-სებ კონკურსის შედეგების შეფასების უფლება არამართლზომიერად გამოიყენა.

სასამართლომ მიუთითა, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. „ფავორ პრესტიტორის“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასირობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით. დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რა ლონისძიებებს მიმართა დამსაქმებელმა, რათა უზრუნველეყო დასაქმებულისათვის თანამდებობის შენარჩუნება. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მომწერიოგებელი თითოეული საფუძვლის გამოყენებამდე ჯერ მისი წინაპირობა უნდა დასაბუთდეს.

სასამართლოს აზრით, დამსაქმებლის მოთხოვნა კონკურენტულ ადამიანურ რესურსებზე, შრომითი ურთიერთობების დინამიკურობისა და შრომით პაზარზე ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია. სამენარმეო გადაწყვეტილება, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადებას, მიღებას უკავშირდება, ექვემდებარება სასამართლოს სამართლებრივ კონტროლს, თუმცა გასათვალისწინებელია სანარმოს მენეჯმენტის მიზნები და სხრაფვაც, რათა გონივრულად, სამართლიანად და კანონიერად შეფასდეს სანარმოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, მათ შორის, ეკონომიკური მოთხოვნების საფუძველზე, დასაქმებულთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოებმა ძალზე ფრთხილად და წინდახედულად უნდა იმსჯელონ სასამართლო კონტროლის ფარგლებში, კონკრეტული საწარმოს ბიზნესგადაწყვეტილებასა და სამენარმეო პოლიტიკაზე, რათა კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების – თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების – ხელშეწყობას საფრთხე არ შეექმნას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, ვინაიდან არ ირკვევა, თუ რამდენად სამართლიანად გაიმართა კონკურსი, შეუძლებელია, ობიექტურად ჩაითვალოს ამ კონკურსის შედეგები, საკასაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად ჩათვალა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს, აკმაყოფილებდა თუ არა კონკურსანტი დამსაქმებლის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო საკითხის იმგვარი კვლევა, თუ: რა სახის კითხვები დაუსვეს დასაქმებულებს, მათ შორის, მოსარჩელეს, იყო თუ არა კითხვები სამუშაოს შესაბამისი, ფორმალურად დასმული, მოსარჩელემ როგორ გასცა პასუხები, შემფასებლები კანდიდატზე ინფორმაციას როგორ იძიებდნენ და აგროვებდნენ, იყო თუ არა კითხვები ერთი და იმავე შინაარსის, დაეთმო თუ არა ყველა კანდიდატთან გასაუბრებას ერთი და იგივე დრო, სცილდება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს. შესაბამისად, ამ მოსაზრებების მიხედვით, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება და დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოების მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტა, ენინააღმდეგება დისპოზიციურობის ფუნდამენტურ პრინციპს.

2.9.

გამოყენებული ცორები: სსსკ-ის 102-ე მუხლი.

განმარტება: ფაქტი იმის თაობაზე, რომ დამსაქმებელმა არ შეასრულა სამუშაო, რის გამოც დამსაქმებელი თავისუფლდება მისი შრომის ანაზღაურებისაგან, წარმოადგენს დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას.

დაპრუნების საფუძველი: სსსკ-ის 393.3. მუხლი, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაზილა მხარეთა შრომის მტკიცების ტვირთი, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

შრომითსამართლებრივ დავაში, რომელშიც დასაქმებულები (მოსარჩელეები) დამსაქმებელი საწარმოს (მოპასუხე) მიმართ მოითხოვენ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, სადაც ორ დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტი, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც მათ წარმოექმობათ სანაცვლო შრომის ანაზღაურების მიღების უფლება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორების მოსაზრება, რომ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი დისკიპლინური ღონისძიება ან/და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ დასაქმებულები ჯეროვნად ასრულებდნენ შრომითი ხელშეკრულებებით დაკისრებულ მოვალეობებს. შესაბამისად, ფაქტი იმის თაობაზე, რომ დასაქმებულმა არ შეასრულა სამუშაო, რის გამოც დამსაქმებელი თავისუფლდება მისი შრომის ანაზღაურებისაგან, წარმოადგენს დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას. სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რით გამოიხატა დასაქმებულების მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და, მაგალითად, რა კონკრეტული დისკიპლინური ღონისძიებები გამოიყენა დასაქმებულების მიმართ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობისას, რაც გახდა შემდეგ შრომის ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილვები შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორი განაზილება გამოიხატა იმით, რომ სააპელაციო პალატა სადაც ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ ელექტრონულ მიმოწერებს, რომელიც მოპასუხემ სადაც გახადა სხვადასხვა მიზეზთა გამო. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ სადაც ფაქტობრივი გარემოება დაადგინა მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაზილების პრინციპის დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, რაც გახდა სარჩელის უარყოფის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილვებად დაბრუნების საფუძველი.²³

²³ სუს განჩინება, 19 ივლისი, 2018, № ას-366-340-2017.

2.10.

გამოყენებული ცორმები: სშკ-ის მე-6, მე-7 მუხლი, სსკ-ის 629-ე, 636-ე-637-ე, 642-ე-644-ე მუხლები.

განმარტება:

- ა. შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით. სშკ-ის მე-6 მუხლის 12 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დაქვემდებარებული შრომის ობიექტს, განსხვავებულია შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა და ფორმა. ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში კი, მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია მისი სუბიექტების თანასწორობა (დამოუკიდებლობა), რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების მიზნის მიღწევაზე და არ ახასიათებს ორგანიზაციული დაქვემდებარება;
- ბ. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციაში დაბრუნება შეუზღუდავად, ენინაალმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპებსა და სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილაზრის.

დაპრუნების დასაპუთება: გადაწყვეტილების დასაპუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

კონკრეტული დავის საგანს სახელფასო დავალიანების ანაზღაურება წარმოადგენს. დამსაქმებლის სასარჩელო მოთხოვნა დამსაქმებელი საწარმოს მიმართ დასაბუთებულია იმით, რომ მხარეთა შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები და განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაო, ასევე, ანაზღაურების ოდენობა, რომელიც დასაქმებულმა შეასრულა ჯეროვნად, ხოლო დამსაქმებელს არ აუზაზღაურებია ხელფასი, თავის მხრივ, მოპასუხემ შესაგებელში განმარტა, რომ, მიუხედავად მხარეთა შორის გაფორმებული გარიგებების „მრომით ხელშეკრულებად“ დასათაურებისა, რეალურად, მათ შორის არსებობდა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ, როგორც მენარდემ, არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რითაც მოპასუხე საწარმოს მიადგა ზიანი.

გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ, სააპელაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკავშირებული და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ სასამართლოს არ შეუფასებია მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, არ დაუდგენია, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს წარმოეშვა შრომის კანონმდებლობისა თუ ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა.

საკასაციო პალატამ გააუქმა რა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში²⁴ მიუთითა, რომ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუ-

²⁴ სუს განჩინება, 17 თებერვალი, 2017, №ას-1132-1088-2016.

საბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ენინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც, მოცემულ შემთხვევაში, შებოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუტირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალიწინებით, მართლაც მიზანშენონილია საქმის უკან დაპრუნება. ამა თუ იმ სამართალურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაცია სამართლის საკითხს წარმოადგენს და იმ პირობებშიც კი, როდესაც მხარე ხელშეკრულების სამართლებრივ კვალიფიკაციას სადაც არ ხდის, სასამართლოს მოვალეობაა სწორად მოიძიოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი – დამფუძნებელი ნორმა, გამოარკვიოს ამ ნორმის აბსტრაქტული ელემენტები – ფაქტობრივი აღწერილობა, შეამოწმოს სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობა და იმის მიხედვით, თუ რომელ ფაქტს არ ეთანხმება მხარე, განსაზღვროს მტკიცების საგანი და მასში შემავალი გარემოებები.

საკასაციო პალატამ განმარტა, როგორც ნარდობის, ისე – შრომითი ხელშეკრულების უმთავრესი მსგავსება სამუშაოს შესრულებაა (მომსახურების გაწევა), თუმცა ამ ორ სამართლებრივ ურთიერთობას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაცაა: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ენევა დაქვემდებარებულ საქმიანობას, ასრულებს დამსაქმებლის მითითებას სათანადო ანაზღაურების პირობით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით (შრომითი ხელშეკრულება, შინაგანაწესი, საკანონმდებლო რეგულაცია და სხვა). სსკ-ის მე-6 მუხლის 12 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დაქვემდებარებული შრომის ობიექტს, განსხვავებულია შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა და ფორმა. ნარდობის ურთიერთობის ნამდვილობისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი კი ისაა, რომ ორმხრივად მავალდებულებელი, სასყიდლიანი ურთიერთობა ხასიათდება კონსესუალური ბუნებით, ანუ წარმოშობილად ითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მომენტიდან (სსკ-ის 327.1 მუხლი) და ნარდობის მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია მისი სუბიექტების თანასწორობა (დამოუკიდებლობა), რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების მიზნის მიღწევაზე და არ ახასიათებს ორგანიზაციული დაქვემდებარება, ხოლო შრომითი ურთიერთობა, შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, წარმოშობილად ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული. ვალდებულების დარღვევის თვალსაზრისით, განსხვავებულია კრედიტორისა და მოვალის როგორც პირველადი, ისე – მეორეული მოთხოვნებიც: თუკი შრომით ურთიერთობაში დამსაქმებელი უფლებამოსილია, გამოიყენოს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული სანქციები ან ცალმხრივად შეწყვიტოს ურთიერთობა (სსკ-ის 37-ე მუხლი), წარდობიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისას, იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, გამოიყენება, როგორც სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით გათვალისწინებული, ისე – უშუალოდ წარდობის სპეციალური რეგულაციები (სსკ-ის 636-ე-637-ე, 642-ე-644-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სადაც სამართალურთიერთობის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, ბუნებრივია, არ დაუდგენია დავის გადაწყვეტილისათვის მნიშვნელობის მქონე არცერთი ფაქტობრივი გარემოება, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს მხრიდან სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2

ნაწილით სარგებლობის შესაძლებლობას, შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების და-უდგენლობის პირობებში, იგი არ არის უფლებამოსილი, მხარეთა შორის წარმოშობილ ურ-თიერთობას კვალიფიკაცია მიანიჭოს.

2.11.

გამოყენებული ნორმები: სშკ-ის 38-ე მუხლის მერვე ნაწილი.

განვითარება: სააპელაციო სასამართლომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნი-დან გამომდინარე, ჯერ უნდა იმსჯელოს მოსარჩევის სამსახურში აღდგენის შესაძ-ლებლობაზე, ხოლო შემდგომ, საჭიროების მიხედვით, კომპენსაციის სამართლიან და გონივრულ ოდენობაზე.

დაპრუნების საფუძველი: გადაწყვეტილება უკანონოა იურიდიული დაუსაბუთებ-ლობის გამო.

შრომითსამართლებრივ დაგაში მოსარჩევემ (დასაქმებული) მოითხოვა დისციპლინურ პა-სუხისესებაში მიცემისა და შრომითი ხელშეკრულების შენწყვეტის შესახებ დამსაქმებლის ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღა-ურება. რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დაკავმაყოფილა: ბათილად ცნო შრომითი ურთიერთობის შენწყვეტის შესახებ დამსაქმებლის ბრძანება, დასაქმებული აღად-გინა სამსახურში და მოპასუხეს იძულებითი განაცდური დააკისრა. სააპელაციო სასამარ-თლომ დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკავმაყოფილებით, ნაწილობრივ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დამსაქმებელს კომპენსაცია დაა-კისრა დასაქმებულის სასარგებლოდ.

მითითებულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივრით დამსაქმებელს მიაჩ-ნია, რომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მუშაკისათვის კომპენსაციის სახით მისაცემი თანხა შეუსაბამო-და განსაზღვრული, ხოლო დასაქმებულის საკასაციო შედავება შეეხება სშკ-ის 38-ე მუხ-ლის მე-8 ნაწილის არასწორ სამართლებრივ განმარტებას.

საკასაციო სასამართლომ ორივე საკასაციო საჩივარი დააკავმაყოფილა და საქმე დააბრუნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.²⁵

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ და-საქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა არამართლზომიერად, არაკანონიერად. შე-საბამისად, შესაფასებელია მისი პრეტენზია, რომელიც უკანონოდ დათხოვნილი მუშაკის გათავისუფლებულ თანამდებობაზე აღდგენის იურიდიული შედეგის დადგომისკენაა მი-მართული სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის საფუძველზე, რო-მელიც დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გა-დაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამ-საქმებელს ავალდებულებს, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი. გამომ-დინარე იქიდან, რომ, თუკი იარსებებს დასაქმებულის საჩივრის გაზიარების საფუძველი, შედეგობრივი თვალსაზრით, გამოირიცხება შედავების მართებულობის კვლევა კომპენ-საციის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

სააპელაციო პალატის დასაბუთება სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში დასა-

²⁵ სშკ-ის განჩინება, 24 ნოემბერი, 2017, №ას-1122-1042-2017.

ბუთებულია იმ გარემოებებსა და მოსაზრებებზე მითითებით, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული გართულებული შრომითი ურთიერთობის ფონზე მართებული იქნებოდა არა მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა, არამედ მისი გონივრული კომპენსირება. სააპელაციო პალატის ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს მისი იმ მოსაზრებიდან, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ, როდესაც გართულებული შრომითი ურთიერთობა სამუშაოს შესრულების შემაფერხებელ გარემოებად განიხილება. სამსახურში აღდგენის შესახებ აღნიშული მოსაზრების გასამყარებლად სააპელაციო პალატამ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ ექთნის ვაკანტური თანამდებობა მოპასუხე პოლიკლინიკაში არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაქმებულის პრეტენზია მოსარჩელის ექთნის თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის თაობაზე სასამართლოს მსჯელობას ემყარება, რაც გაუმართლებელია, მაშინ, როდესაც მოსარჩელეს საერთოდ არ ეკავა ეს ადგილი და არა ამ სამუშაოზე, არამედ ამცრელ ექთნად აღდგენას ითხოვდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოდ, იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო, მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ, პირველ რიგში, ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს რა თანამდებობა ეკავა მოსარჩელეს გათავისუფლებამდე და ამის შესაბამისად იმსჯელოს სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნიდან გამომდინარე, მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობაზე, ხოლო შემდგომ, საჭიროების მიხედვით, იმსჯელოს კომპენსაციის სამართლიან და გონივრულ ოდენობაზე. ამ დროს გასათვალისწინებელია საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები: ამ ნაწილში სარჩელის დაემაყოფილებაზე უარის თქმის ობიექტური საფუძველი, სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივა, მუშაკის მატერიალური მდგომარეობა და ა.შ.

2.12.

გამოყენებული ნორმები: ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10, მე-14 მუხლები, სშკ-ის 37-ე (1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი, სსსკ-ის 363 3-ე მუხლი, სსკ-ის 115-ე მუხლი.

გამოარტება:

- კანონით გარანტირებული უფლების, თუნდაც კანონიერად გამოყენების შესაძლებლობა, ხშირად განსხვავებული მოპყრობის გადაფარვის მცდელობაა და სავალდებულოა, შემოწმდეს უფლების მქონე პირის მხრიდან ამ უფლების განკარგვის მართლზომიერება (სსკ-ის 115-ე მუხლი);
- კანონმდებლობის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა, თუკი მას რეალურად სხვა მიზნის მიღწევა (არასასურველი ურთიერთობისაგან თავის დაღწევა) უდევს საფუძვლად, სასამართლომ, როგორც დარღვეული უფლების დაცვის ინსტიტუტმა დისკრიმინაციის გადაფარვად უნდა განიხილოს და მიიჩნიოს იგი მიზანშეუწინელ და სრულიად მიუღებელი ქცევად.

დაპრუნების საფუძველი: არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, რომლის შედეგიც არასწორი გადაწყვეტილებაა (სსსკ-ის 393.3).

შრომითსამართლებრივ დავაში დასაქმებულმა სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე დამსაქმებლის სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტებლოს დაკისრება და მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა

მოითხოვა. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ დასაქმებული მართლზომიერად გათავისუფლდა, რომლის ფაქტობრივ საფუძველს ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები წარმოადგენს და ამას რაიმე კავშირი დისკრიმინაციულ მოპყრობასთან მიმართებით არ გააჩნია. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის (დასაქმებულის) საკასაციო განაცხადი და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.²⁶

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს დამსაქმებელ ორგანიზაციაში განხორციელებული რეორგანიზაციის პროცესის შედეგად, ხომ არ ვლინდებოდა განსხვავებული მოპყრობა მოსარჩელესა და მასთან ერთად დასაქმებულ, არსებითად იმავე ვითარებაში მყოფ სხვა დასაქმებულებთან მიმართებით. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ გაცხადებული არათანაბარი მოპყრობის შეფასების მატერიალურსამართლებრივ საფუძვლად შრომის კოდექსთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე – ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენებას. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, პირდაპირი დისკრიმინაცია არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობაა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება (*ibid. Willis v. the United Kingdom, №36042/97*). უნდა დადგინდეს, რომ სხვა პირებს, რომლებიც ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან, უკეთესად ეპყრობიან და ეს განსხვავება დისკრიმინაციულია (*ibid. Konstantin Markin v. Russia, №30078/06*).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონით გათვალისწინებული აბსტრაქტული ელემენტების არსებობა უპირობოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკმარის წინაპირობას არ ქმნის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე აღინიშნოს, რომ განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობს-თან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო-უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი – ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ. „დაცულ სფეროს“. ამ ფაქტების საპირისპიროდ, ჩარევის გამართლება გონივრული და წონადი არგუმენტებით ეკისრება განსხვავებული მოპყრობის ინიციატორს.

დისკრიმინაციის საქმეზე მტკიცების ტვირთის განსაზღვრისას საკასაციო პალატა დაეყრდნოს სსსკ-ის 7³ კარის დებულებებს, კერძოდ: 363³ მუხლს, რომლის თანახმად, სარჩელის ალძვრი-სას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს ქმნის, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს შეზღუდვის ინიციატორის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს ქმნის. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი მოცემულ სფეროში შემდეგია: მსა შემდეგ, რაც მომჩინეან დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (*Chassagnou and Others v. France [GC], №25088/94, №28331/95*).

საკასაციო პალატამ ამ განმარტების საპირისპიროდ გაიზიარა კასატორის პოზიცია სასა-

²⁶ სუს განჩინება, 29 სექტემბერი, 2017, №ას-247-235-2017.

მართლოს მხრიდან მოცემული საკითხის არასრულყოფილი გამოკვლევის თაობაზე (სსსკ-ის 393.3 მუხლი) და აღნიშნა, რომ, სარჩელის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთ ძირითად მოტივს მოსარჩელის საზოგადოებრივი აქტივობები, კერძოდ: მის შიერ პროფესიონალის შექმნა და დამსაქმებლის ხელმძღვანელობის კრიტიკა წარმოადგენდა. პალატის განმარტებით, როგორც საქართველოს კონსტიტუცია (მე-19 მუხლი), ისე-„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლი აღიარებს აზრის გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, რაც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ უფლების მიმართ არსებობს სახელმწიფოს წეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს მის განხორციელებაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. პალატამ გაითვალისწინა სარჩელზე დართული დამსაქმებლის წერილობითი განმარტებაც, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მთავარი ფაქტობრივი საფუძველი მესამე პირთან მუშაობის შედეგად შემუშავებული მართვის ორგანიზაციული მოდელია, ხოლო საქმის მომზადების ეტაპზე წარდგენილი მესამე პირის წერილობითი პასუხიდან ირკვევა, რომ: პროექტის ფარგლებში დამუშავებული მოდელი არ ითვალისწინებდა კადრების შემცირებას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სრულად იზიარებს „თავისუფალი მენარმეობის“ იდეას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებადაა მოხსენიებული და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლებასაც მოიცავს, თუმცა, პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კანონით გარანტირებული უფლების, თუნდაც კანონიერად გამოყენების შესაძლებლობა, ხმირად განსხვავებული მოპყრობის გადაფარვის მცდელობას ემსახურება და სწორედ ამ საკითხის კვლევის შედეგად სავალდებულოა, შემოწმდეს უფლების მქონე პირის მხრიდან ამ უფლების განკარგვის მართლზომიერება (სკ-ის 115-ე მუხლი).

პალატის აზრით, მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა (სშკ-ის 37-ე (1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ვე-ერთ მუხლის რეგულაციის ბრძანებაში მითითება), თუკი მას რეალურად სხვა მიზნის მიღწევა (არასასურველი ურთიერთობისაგან თავის დაღწევა) უდევს საფუძვლად, სასამართლომ, როგორც დარღვეული უფლების დაცვის ინსტიტუტმა, დისკრიმინაციის გადაფარვად უნდა განიხილოს და მიიჩნიოს მიზანშეუწონელ და სრულიად მიუღებელ ქცევად, რომელიც არღვევს, როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული სამართლის ნორმებსა და პირის თანასწორობის საყოველთაო პრინციპს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ დაუსაბუთებია გადაწყვეტილებაში ის გარემოება, მოპასუხემ რა სამუშაო შესთავაზა მოსარჩელესთან ერთად გათავისუფლებულ პირებს და რა სამუშაო – მოსარჩელეს, რატომ განაცხადა მან შეთავაზებულ სამუშაოზე კატეგორიული უარი და ამ მხრივ არ დაუდგენია, ხომ არ ვლინდებოდა განსხვავებული მოპყრობა მოსარჩელესა და იმ კომპარატორებს შორის (არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ იმ დასაქმებულებს შორის), რომლებმაც რეორგანიზაციისას სამუშაო დაკარგებს მოსარჩელესთან ერთად, ხოლო ამჟამად „დასაქმებული არიან თავიანთი სპეციალობის შესაბამის სამსახურებში“.

საკასაციო პალატის განსჯით, გასაჩივრებული განჩინებით, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოსათვის მოპასუხის განმარტება, ერთობლივად არ შეფასებულა დასკრიმინაციის თვალსაზრისით და სასამართლოს არ გამოუტანია დასკვნა იმის თაობაზე, ზემოხსენებული ფაქტებისა და არგუმენტების სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასება ხომ არ ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სსსკ-ის 363³ მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის მოსარჩელის მიერ დაძლევას, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

3. სანდაზმულობა (მოთხოვენის განხორციელებადობა)

3.1.

გამოყენებული ნორმები: 137-ე, 144-ე, 341-ე, 442-ე მუხლები.

განმარტებები: მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება წარმოადგენს მოსარჩელის და-ვალიანებაში მოპასუხის დავალიანების გაქვითვას და არა სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის აღიარებას.

გადაცევატილების შედეგი: სარჩელი უარყოფილია ხანდაზმულობის საფუძველზე.

საქმეში, რომელზეც საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო, სასა-მართლოს შეფასების საგანს მიღებული მომსახურების (მოხმარებული ელექტროენერგი-ის) ღირებულების ანაზღაურების კანონიერება წარმოადგენს, რომელსაც მოპასუხე გამო-რიცხავს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით ვალდებულების შეწყვეტით, ასევე – სარ-ჩელის ხანდაზმულობის გამო. სააპელაციო პალატამ მოთხოვნის გაქვითვის შესახებ მოპა-სუხის წერილობით მიმართვა ფულადი ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ დო-კუმენტად მიიჩნია და სწორედ მასზე დაყრდნობით არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.²⁷

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა სასამართლოს მიერ სადავო მტკიცებულების სააპელაციო სასამართლოსგან განსხვა-ვებული შეფასება. საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის გაქვითვის თაობაზე მოვალის (მოპასუხის) წერილი ფულადი ვალდებულების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებუ-ლებად არ მიიჩნია იმ საფუძვლით, რომ სადავო დოკუმენტში გამოვლენილი ნება წარ-მოადგენდა მოსარჩელის დავალიანებაში მოპასუხის დავალიანების გაქვითვას და არა სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის აღიარებას.

საკასაციო სასამართლომ სადავო მტკიცებულების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცი-ის მიზნით ვალდებულების არსებობის აღიარების საკითხი განმარტა სსკ-ის 137-ე, 144-ე და 341-ე მუხლების კონტექსტით:

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევათა რიცხვს მიეკუთვნება მოვალის იმგვარი ქმედება, როდესაც ვალდებული პირი უფლებამოსილი პი-რის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. წორმაში მოცემული რამდენიმე საფუძველთაგან ვალდებულების სხვაგვარად აღიარება შეფასებითი კატეგორია და, კონკრეტულ შემთხვევაში, გარემო-ბათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარე-ბად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით (სუს №ას-330-733-06, 19 დეკემბერი, 2006 წელი). სამართლის თეორიაში გაპატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთი-საგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება. მათი საერთო ნი-შანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმომობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდი-ული თვალსაზრისით, განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით. მარტივი აღიარება აშკარაა, მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერ-თობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს შესრულების მზაობას. (დაპირება). კაუზალუ-რი ვალის აღიარება მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურე-ბისაკენაც და, ბუნებრივია, უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან, შეიძლება არც იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრუ-ლების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე-

²⁷ სუს გადაწყვეტილება, 27 მაისი, 2016, №ას-383-364-2015.

კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო არ გაითვალისწინება, არამედ ვადა დაინტერია თავიდან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. საინტერესოა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას აქვს თუ არა იურიდიული ძალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის მოსაგვარებლად გამოყენებულ უნდა იქნას სსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლივად განიმარტება, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს, ასეთ შემთხვევაში მისი შესაგებელი არ შეიძლება, მათ შორის იმაზე მითითება იყოს, რომ შესრულების დროს არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტის შესახებ, ანალოგიური ძალის მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებაცაა მოთხოვნის იძულებითი განხორციელება ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ ვალდებულებას შეასრულებს. ეს მოწესრიგება ვრცელდება ვალის, როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 341-ე მუხლით მოწესრიგებული ვალის არსებობის აღიარება 137-ე და 144.3 მუხლებით გათვალისწინებული აღიარებისგან აბსტრაქტული ბუნებით განსხვავდება, იგი თავად წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. ვალის აღიარების ხელშეკრულება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადაცომბის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 341-ე მუხლის გაგებით, არ არის ვალის არსებობის აღიარება, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კასრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (**სუსკ №ას-392-371-2013, 8 ნოემბერი, 2013 წელი**). ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებული ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებული პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგანაც ახალ დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა.

საქმეში წარდგენილი სადაცომ მტკიცებულებით კრედიტორის მოთხოვნის პასუხად მოვალემ წერილობით გამოხატა ნება, სსკ-ის 442-ე მუხლის შესაბამისად, წარდგენილი მოთხოვნის მოსარჩელის წინამორბედის მიმართ არსებულ მოთხოვნაში გაქვითვის თაობაზე. წერილში არ არის იმგვარი მითითება, რომელიც რაიმე ფორმით დაადასტურებდა მოვალის მზაობას, მოსარჩელის წინაშე შეესრულებინა ვალდებულება, რაც ადასტურებს გასაჩივრებული განჩინების უმართებულობას ამ მტკიცებულების ვალდებულების აღიარებად მიჩნევის თაობაზე.

3.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 129-130-ე მუხლები.

განმარტებები: პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებში თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ხანდაზმულობის ვადა ცალ-ცალკე აითვლება.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ კი უარყოფილ იქნა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობისას მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლომ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი²⁸ მოთხოვნის განხორცილებადობის კონტექსტით. სასამართლომ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 15 თვის იჯარის ქირიდან, 7 (შვიდი) თვის ქირის მოთხოვნა ხანდაზმულად მიმირნია და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ვლინდება ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრება. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება (**სუსგ №ას-1688-1673-2011, 02.02.2012 წ.; №ას-1144-1090-2014, 23.02.2015, №ას-445-420-2014, 22.04.2015**). სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ განიმარტა, სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 130-ე მუხლის გამოყენების საკითხი, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია: „საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოპასუხეს ევალებოდა საიჯარო ქირის არა ერთიანად, არამედ პერიოდულად, წელიწადში ერთხელ გადახდა და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს მოთხოვნა წარმოეძობოდა თითოეული პერიოდისათვის ცალ-ცალკე. (**სუსგ № ას-1203-1130-2015, 01.06.2016**).

3.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე, 477-ე მუხლები.

განმარტებები: მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი დაკავშირებულია მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოებულ დავის შედეგთან, ვინაიდან სუბიექტურად მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელისთვის (კრედიტორისთვის) ცნობილი გახდა სწორედ ამ დროიდან.

გადაცვეტილების შედეგი: საკასაციო სასამართლომ მიმირნია, რა მოთხოვნა განხორციელებადად, ხოლო მოპასუხესისათვის საქონლის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება და ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი დადასტურებულად, ახალი გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა სარჩელი.

მოსარჩელესა და მოპასუხეს (მენარმე) შორის დადებული ზეპირი შეთანხმების თანახმად, მოპასუხის სახელით, ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, უნდა გატანილიყო მოსარჩელის კუთვნილი თხილი იტალიაში. საქონლის მიწოდება და ექსპორტი განხორციელდა, მაგრამ მოსარჩელეს საქონლის ღირებულება არ მიუღია. მოგვიანებით, მხარეებს შორის გა-

²⁸ სუს გადაწყვეტილება 30 სექტემბერი, 2016, №ას-183-176-2016.

ფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, მოპასუხის სახელზე რიცხული უძრავი ქონება აღირიცხა მოსარჩელის სახელზე, ხოლო შემდეგში იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის მიერ აღებული საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად. იპოთეკით დატვირთვას მოსარჩელე დასთანხმდა მხოლოდ იმიტომ, რომ ნასესხები თანხით დავალიანება გაისტუმრებოდა.

სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, როგორც თვალმაქცური გარიგება, რომლითაც რეალურად დაიფარა მხარეებს შორის შეთანხმებული იპოთეკის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის, სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ვადა მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღების დღიდან უნდა აითვალოს.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მოსაზრებას და მოთხოვნა არ მიიჩნია ხანდაზმულად შემდეგი მოტივაციით: საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა, მაგრამ არ გაბათილებულა იპოთეკის ხელშეკრულება. მოსარჩელე (კრედიტორმა) საქონლის მიწოდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამუალების გამოყენებით დაიცვა საკუთარი მატერიალური უფლება და მოპასუხესთან (მოვალესთან) გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში აღირიცხა მოვალის (მოპასუხის) ქონება. შესაბამისად, მოსარჩელემ (კრედიტორმა) იმ პერიოდისთვის დაიკმაყოფილა მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

სასამართლოს აზრით, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და გაუქმდა მოსარჩელის (კრედიტორის) საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი დაკავშირებულია მხარეთა შორის სწორედ ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოებულ დავის შედეგთან, ვინაიდან სუბიექტურად მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელისთვის (კრედიტორისთვის) ცნობილი გახდა სწორედ ამ დროიდან. შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, ვინაიდან მოსარჩელემ მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაიკმაყოფილა მოვალის ქონების ხარჯზე (იპოთეკის საგნით), ამ მოცემულობაში მას მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაბათილდა კრედიტორის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, მოსარჩელეს წარმოეშვა მოვალისთვის სესხის დაპრუნების მოთხოვნის უფლება.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რა მოთხოვნა განხორციელებადად, ხოლო მოპასუხისათვის საქონლის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება და ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი დადასტურებულად, ახალი გადაწყვეტილებით – სრულად დაკმაყოფილა სარჩელი.²⁹

²⁹ სუს გადაწყვეტილება, 10 თებერვალი, 2017, № ას-158-154-2016.

3.4.

დამხმარე ნორმები: სსკ-ის 867-ე, 623-ე მუხლები.

განმარტება: პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ფარგლებში თითოეული შესრულების მიმართ კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა აითვლება ინდივიდუალურად, თუმცა ხანდაზმულობის საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობისა და პრეტენზის წარდგენის მომენტი.

დაგრუების საფუძველი: სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი არასწორად გამოიკვლია.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში მოსარჩელის (ბანკის) მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 867-ე და 623-ე მუხლები წარმოადგენს. მხარეთა შეთანხმებით, სესხი უნდა დაპრუნებულიყო ნაწილ-ნაწილ, ყოველი თვის 3 რიცხვში ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად. ვალდებულების სრულად შესრულების ვადა იყო 2014 წლის 5 მარტი, ასევე, დადგენილია, რომ მსესხებელმა თანხის გადახდა შეწყვიტა 2008 წლის დეკემბრიდან. თანხის დაკისრების შესახებ სარჩელის წინააღმდეგ მოვალის მხრიდან წარდგენილ იქნა არსებითი ხასიათის შედავება, რომლის დადასტურებაც აფერხებს მოთხოვნას, კერძოდ, მან მიუთითა ხანდაზმულობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ფარგლებში თითოეული შესრულების მიმართ კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა აითვლება ინდივიდუალურად, თუმცა ხანდაზმულობის საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობისა და პრეტენზის წარდგენის მომენტი. სსკ-ის 130-ე მუხლის ძალით, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ კრედიტორმა მოთხოვნის წარმოშობის შესახებ შეიტყო ვალდებულების დარღვევისას – 2008 წლის დეკემბრიდან, თუმცა შესაფარებელია, თუ როდის წარადგინა პრეტენზია (**აღძრა სარჩელი**).

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია სააპელაციო პალატის მხრიდან მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის არასწორად გამოკვლევა-შეფასების თაობაზე და მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ბანკის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დააპრუნა იმავე სასამართლოში.³⁰

3.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 873-ე, 130-ე, 129-ე მუხლები.

განმარტება: იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, ხანდაზმულობის ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად.

³⁰ სუს განჩინება, 18 მაისი, 2018, №ას-1543-1463-2017.

დაპრუნების დასაბუთება: სააპელაციო პალატას სრულად არ გამოუკვლევია მო-
ცემული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი და მა-
ტერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, არსებითად არ შეუფასებია მოსარჩე-
ლის მოთხოვნა.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში ბანკის სარჩელი, მოთხოვ-
ნის განუხორციელებლობის გამო, უარყოფილ იქნა. საკასაციო სასამართლომ დააკმაყო-
ფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი სასამართლო მოთხოვნის სრული მოცულობით ხან-
დაზმულად ცნობის ნაწილში და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილ-
ველად.³¹

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდ-
გენილი მტკიცებულებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასების შედეგად საკასა-
ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა საკრედიტო და თავდებობის ხელ-
შეკრულებების საფუძველზე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე მხოლოდ
ნაწილობრივად ხანდაზმული.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადაში იგულისხმება დრო, რომლის
განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია საკუთარი უფლების რეალიზაცია ან დაცვა.
ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა ისაა, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემ-
დეგ მოთხოვნის უფლება იძიექტურად არსებობს, თუმცა იძულებით ვერ განხორციელდე-
ბა, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრე-
სატის ნება-სურვილზე (სსკ-ის 144.1-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 130-ე (მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო,
როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ) და 129-ე მუხლე-
ბის საფუძველზე (ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერი-
ოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია) აღნიშნა, რომ კანონის მითი-
თებული დანაწესი ითვალისწინებს ერთგვარ სპეციფიკას იმ ვალდებულებათა მიმართ ხან-
დაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით
სრულდება, რაც იმით აიხსნება, რომ ხსენებული ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად
შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად (სუსგ 19.03.2015 საქმე №ას-
868-830-2014).

პალატამ მიუთითა, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მსესხებელს ბანკისათვის კრე-
დიტის დაბრუნება არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული
გრაფიკის მიხედვით ევალებოდა (სსკ-ის 873-ე მუხლი), შესაბამისად, ხანდაზმულობის
ვადა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედ-
ვით უნდა აითვალონ.

ზემოაღნიშვნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო
პალატას სრულად არ გამოუკვლევია მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელო-
ვანი ფაქტობრივი გარემოებანი და, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არსე-
ბითად არ შეუფასებია მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი ვალდებულების შესრულების, რო-
გორც ძირითადი საკრედიტო დავალიანების, სარგებლის, მოთხოვნილი პირგასამტებლოს
დაკისრებისა და გადასახდელი თანხის ოდენობის ნაწილში.

³¹ სუს განჩინება, 6 ნოემბერი, 2018, №ას-902-2018.

4. მორალური ზიანი

4.1.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 413-ე, მე-1000-ე მუხლები.

განმარტებები: მორალური ზიანის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით გამოიხატება.

გადაცვეტილების შედეგი: გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა მორალური ზიანის ოდენობა (მორალური ზიანის ოდენობა გაიზარდა).

დელიქტური სამართალდარღვევიდან გამომდინარე დავაში³² საკასაციო ინსტანციის მიერ ახალი გადაწყვეტილებით შეიცვალა მორალური ზიანის ოდენობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს (საწარმოს) დაეკისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 100 000 ლარის გადახდა. საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია პირველი დაზარალებულის საკასაციო პრეტენზია მის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის სიმცირის ნაწილში; მოსარჩელის მიერ თერმული დაზიანების შედეგად განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილი, როგორც დაზიანების დროს, ისე შემდეგ, ოპერაციისა და მკურნალობის განვევამდე და თვით ოპერაციის შემდეგაც, როდესაც დაზარალებულს ორივე ხელი ამპუტირებული აქვს, დაკარგული აქვს შრომის უნარი, საკუთარ თავზე მზრუნველობა და სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უჭირს სხვისი დახმარების გარეშე, ბუნებრივია, რომ მას წარმოუშობს არა მხოლოდ უბედური შემთხვევის დროს, დაზარალებულის არასრულწლოვანებისას, არამედ – შემდეგ პერიოდში განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილისა და ტანჯვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, რაც, ცხადია, რთული წარმოსადგენია ფულადი თანხით იმგვარად განისაზღვროს, რომ სამართლიანად და განცდილი მორალური ზიანის (რომელიც, როგორც უშუალოდ ზიანის მიყენების დროს განცდილი ემოციური და ფიზიკური ტანჯვისა და ტკივილის, ისე – დაზიანების შემდეგ, ასევე, ოპერაციის შემდეგ, არა მხოლოდ პოსტოპერაციული თანმდევი შესაძლო გართულებების მაქსიმალურად მაკომპენსირებელი, არამედ – მძიმე შედეგის მიხედვით) ადეკვატურ კომპენსაციად იქნეს მიჩნეული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულისათვის თერმული დაზიანებით ფიზიკური შედეგის, განცდილი ფიზიკური, სულიერი ტრავმის, მისი მუდმივი ხასიათისა და თანმდევი შედეგების გათვალისწინებით (პროთეზირების გარეშე, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ შეფასებაზე თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების შეუძლებლობის, საზოგადო ცხოვრებაში ინტეგრაციის შესაძლო პრობლემების, მათ შორის, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ბარიერების გადასხვის სირთულეების), ამასთან, დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანისა და ტკივილის მატერიალურად ადეკვატური კომპენსაციის შეუძლებლობით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის უკვე დაკისრებული 100 000 (ასი ათასი) ლარის გარდა, ამ უკანასკნელს დაზარალებულის მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, უნდა დაეკისროს დამატებით 200 000 (ორასი ათასი) ლარის გადახდა.

³² სუს გადაწყვეტილება, 23 დეკემბერი, 2016, №ას-543-518-2016.

4.2.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 413-ე, მე-18.6. მუხლები.

გამომარტებები:

- ა. იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუ-
ტაცია, რომლის შელახვის გამო, არა მორალური, არამედ მატერიალური ზიანის
დაკისრებაა შესაძლებელი;
- ბ. იურიდიულ პირს არ აქვს სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორი-
ცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორა-
ლურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის
უფლება. მორალური ზიანი არ შეიძლება, მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მო-
რალური ზიანის შინაარსი გულისხმობს სამართლებრივად დაცული იმ არაქონებ-
რივი ინტერესის ხელყოფას, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სუ-
ლიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა).

გადაწყვეტილების შედები: სარჩელი უარყოფილ იქნა საწარმოს სასარგებლოდ
მორალური ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობის მოტივით.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ არაქონებრივ-სამართლებ-
რივ დავაში საკასაციო სასამართლომ შეცვალა, მოსარჩელე იურიდიული პირის სასარგებ-
ლოდ, მოპასუხეთათვის (ფიზიკური პირები და იურიდიული პირი) მორალური ზიანის და-
კისრების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ამ ნაწილში სარჩელი
არ დააკმაყოფილა.³³

სასამართლომ მიუთითა რა სსკ-ის 413.1 მუხლზე (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი
ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემ-
თხვევებში), აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-18.6 მუხლიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებო-
ბისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), გამომდინარე-
ობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის
სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვე-
ბი. იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებით, რომელიც
თვისებრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ
პირს შეიძლება, მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით ჰქონდეს. იურიდიულ პირს არ გააჩ-
ნია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა,
პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორა-
ლური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლოს განმარტე-
ბით, მორალური ზიანი არ შეიძლება, მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის
შინაარსი გულისხმობს სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყო-
ფას, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი,
განცდა და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურე-
ბის შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა (**სუსგ №33/924-01, 26.12.2001, №ას-1052-1007-
2014; 30.09.2015**).

საკასაციო სასამართლომ განმარტებით, უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქო-
ნებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, არა მორა-
ლური, არამედ მატერიალური ზიანის დაკისრებაა შესაძლებელი, ასეთის არსებობის შემ-
თხვევაში. მატერიალურ ზიანის თაობაზე მოთხოვნას კი, წარმოდგენილი სარჩელი არ შეი-
ცავს.

³³ სუს გადაწყვეტილება, 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

5. სანივთოსამართლებრივი დაცვი

5.1.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 180-ე მუხლი, სემეკის დადგენილებები.

განმარტებები:

არალიცენზიანტის კუთვნილ ქსელში ელექტროენერგიის გატარებაზე გაწეულია იმ ოდენობის მომსახურება, რამდენიც ტარიფის სახით ამ მომსახურებისთვის არის დადგენილი.

ელენერგიის გატარების მომსახურება და თმენის კომპენსაცია, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში გაიგივდა და, თუ არ არსებობს მხარეთა განსხვავებული შეთანხმება, სემეკის დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ, 2015 წლის 01 იანვრიდან მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ქსელით სარგებლობისათვის თანხის დაკისრების ნაწილში, სემეკის №15 დადგენილების საფუძველზე, დაკმაყოფილდა, ხოლო 2014 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გატარებული ელექტროენერგიის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

მოსარჩელე საწარმომ (ქსელის მფლობელ-არალიცენზიატმა) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე საწარმოს (ელენერგიის მესაკუთრე) მიმართ 2014 წლის ენერგეტიკული მომსახურების ღირებულების დაკისრების, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან, მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზით სარგებლობის შეწყვეტამდე, თმენისათვის კომპენსაციის განსაზღვრის მოთხოვნით.³⁴

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს ქსელის მფლობელის მიერ გატარების მომსახურების საფასური – ერთ კვტ.საათზე 2014 წლის 1 იანვრიდან 0.0016 თეთრის გადახდა დაეკისრა, ხოლო ელგადამცემი ხაზით სარგებლობისათვის თმენის კომპენსაციის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარჩელი ქონებით სარგებლობის შეწყვეტამდე თმენის ვალდებულებისათვის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

მოპასუხეს 2015 წლის 1 იანვრიდან მოსარჩელის კუთვნილი ელექტროგადამცემი ქსელით სარგებლობისათვის ყოველ გატარებულ 1 კვტ/სთ ელენერგიაზე დაეკისრა 0,0016 თეთრის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გატარებული ელექტროენერგიის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

განსახილველ დავაში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სემეკის დადგენილების ამოქმედების შემდგომ ქსელის მფლობელ არალიცენზიანტსა და ელენერგიის მესაკუთრეს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ანაზღაურების კანონიერების განსაზღვრა როგორც სახელშეკრულებო, ისე საკუთრებით სარგებლობის კანონისმიერი შეზღუდვის ფარგლებში.

³⁴ სუს გადაწყვეტილება, 11 მარტი, 2016, საქმე №ას-1174-1104-2015.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მხარეთა სახელშეკრულები და კანონის ძალით წარმოშობილი ურთიერთობანი, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სისტემურად შეფასდეს არალიცენზიატი მესამე პირის ქსელით სარგებლობის მარეგულირებელი სამართლებრივ აქტები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქსელის მფლობელ არალიცენზიატთან (შემდგომში-მესამე პირი) განაწილების ლიცენზიატის შეიძლება აკავშირებდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, როდესაც სპეციალური აქტებით (სემეკის შესაბამისი დადგენილება) განსაზღვრული მაქსიმალური ფარგლების გათვალისწინებით, მხარეები შეიძლება, შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სკ-ის 327-ე მუხლი). ასეთ დროს კონტრაპენტებს სრული უფლება აქვთ, განსაზღვრონ ხელშეკრულების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სემეკის მიერ ლიცენზიატისათვის დადგენილ ტარიფს. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიკვეთება საკუთრებით სარგებლობის ბოჭვის სახელშეკრულებო წინაპირობა, ქსელის მესაკუთრე მესამე პირის, უფლებადამცავი დანაწესია სემეკის №15 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოიშვა სემეკის მითითებული დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად საფასურის გადახდის ვალდებულება, მაგრამ ამგვარი მსჯელობა გამართლებულია მხოლოდ იმ დროისათვის, როდესაც მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი არა. 2014 წლის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხის სწორად განსაზღვრის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდის შეწყდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გატარებული ელენერგიის საფასურის განსაზღვრის ნაწილში იქმნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საფუძველი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოყვლევა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სემეკის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით მოგვარდა საკითხი და, მსგავსად ლიცენზიატებისა, კომისიამ განსაზღვრა არალიცენზიატი მესაკუთრების კომპენსაციის გამოანგარიშების მეთოდოლოგია, თმენის კომპენსაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობა გაუქმდა და იგი მთლიანად მოაწესრიგა სემეკის №15 დადგენილებამ, ანუ გატარების მომსახურება და თმენის კომპენსაცია, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებთან გაიგივდა და, თუ არ ვლინდება მხარეთა განსხვავებული შეთანხმება, სემეკის ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება.

5.2.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 170-ე, 172-ე, 115-ე, 179-ე მუხლები.

გამოართებები: სკ-ის 179-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეებს ეკისრებათ თმენის ვალდებულება.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა სამართლებრივი საფუძვლის დაუსაბუთებლობის გამო. შეიცვალა სამართლებრივი დასაბუთება.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებით – სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს (საწარმოს), როგორც მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დაევალა მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე აგებული ბეტონის კედლის დემონტაჟი და ბეტონის კედელსა და მოპასუხეს მიწის ნაკვეთს შორის არსებული სივრცის (მიწის ზედა და მიწის ქვედა ინფრასტრუქტუ-

რის) პირვანდელი სახით აღდგენა. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო იმ დასაბუთებით, რომ არ არსებობს ბეტონის კედლის დანგრევის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, სსკ-ის 179-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელებს ეკისრებათ თმების ვალდებულება.³⁵ შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 168-ე და 172-ე მუხლები და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა (სსკ-ის 179-ე მუხლი), რის შედეგადც გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 179-ე მუხლის შესაბამისად, თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია, გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბეტონის კედელი აშენდა 2010 წელს. მოსარჩელეთავის მშენებლობის თაობაზე ცნობილი გახდა 2010 წლის დეკემბერში. კედელი აღმართული იყო და ყველა სამუშაო უკვე დასრულებული, როცა მათ 2010 წლის დეკემბერში პრეტენზით მიმართეს მოპასუხეს, რომელიც შეპირდა, რომ 2011 წლის ოქტომბერში კომპენსაციას შესთავაზებდა. 2011 წელსაც მიმართეს, მაგრამ მოპასუხემ უარი უთხრა კომპენსაციის გადახდაზე. მოსარჩელეთა განმარტებით, მხარეები ამაზე შეთანხმდნენ სიტყვიერად. მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს, რომ მათ მოპასუხის მიერ ბეტონის კედლის მშენებლობის წინააღმდეგ მშენებლობის დაწყებამდე ან მშენებლობის შეტყობისთანავე განაცხადეს.

5.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 158-ე, 186-197-ე, სააღსრულებო წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, მე-40 მუხლები.

განმარტება:

- a. მოძრავი წივთის (ავტომანქანის) შეძენის წესებს სამოქალაქო კოდექსი და არა საჯარო სფეროს მიკუთვნებული რომელიმე კანონი ან კანონქვემდებარე აქტი აწესრიგებს. საკუთრების შეძენის საფუძვლები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავი წივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ წივთზე საკუთრების შესაძლენად სავალდებულო რეგისტრაციას;
- b. სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმეცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, სანინააღმდეგოს დამტკიცებამდე, წივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ.

დაპრუნების საფუძველი: სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (მოპასუხე, რომლის უფლებებსაც ეხებოდა გადაწყვეტილება, არ იყო სათანადო მიწვეული საქმის განხილვაზე).

დავაში მოსარჩელე პრეტენზითა აცხადებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელზე რეგისტრირებულ წივთზე, მოითხოვს მის საკუთრებაში აღრიცხვას და ყადა-

³⁵ სუს გადაწყვეტილება, 28 ნოემბერი, 2016, № ას-142-138-2016.

ლისაგან გათავისუფლებას და მიიჩნევს, რომ მან ამ საზოგადოებასთან დადებული ხელ-შეკრულების საფუძველზე მოიპოვა ნივთის საკუთრების უფლება. საკუთრების წარმოშობამდე ნივთზე რეგისტრირებული უფლება არ გაუქმებულა და იგი სსიპ შემოსავლების სამსახურმა არასწორად დააყადაღა. როგორც სარჩელით, ისე – მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და თანამოპასუხედ მითითებულ იქნა საწარმო. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააქმაყოფილეს, საკასაციო სასამართლომ კი გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში – სსკ-ის 394-ე მუხლის საფუძველზე.³⁶

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე, რომლის უფლებებსაც ეხებოდა გადაწყვეტილება, არ იყო სათანადო მიწვეული საქმის განხილვაზე, ამასთანავე, ქვემდგომ სასამართლოებს არ გამოუყენებიათ სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით გარანტირებული ყველა საპროცესო საშუალება მხარის ინფორმირებისათვის, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველია.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო პრეტეზიის საწინააღმდეგოდ განმარტა, რომ მოძრავი ნივთის შეძენის წესებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი და არა საჯარო სფეროს მიკუთვნებული რომელიმე კანონი ან კანონქვემდებარე აქტი (მათ შორის კასატორის მიერ მოხმობილი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი). საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, განმარტა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის მიზნით უნდა შემოწმდეს სსკ-ის 186-ე მუხლის წინაპირობები, რომლითაც დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, მესაკუთრერემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს, საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგისათვის რა განიხილება ნივთის გადაცემად. საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განსახვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, უზენაესი სასამართლოს მყარ პრაქტიკაზე მითითებით, განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. ამავე კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. სსკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმეცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაზილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას გასარკვევია, შეშეპირობებული საკუთრების თაობაზე მხარეთა შეთანხმების პირობებში, წარმოეშვა თუ არა მოსარჩელეს საკუთრების უფლება.

³⁶ სუს განჩინება, 23 თებერვალი, 2018, №ას-1107-1027-2017.

5.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 170-ე, 172-ე, 183-ე, 154-ე მუხლები.

განვითარება:

- ა. ადმინისტრაციული ორგანოს (მაგ: მარეგისტრირებელი ორგანო) მხრიდან გარკვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება არ შეიძლება, ნამდვილი მესაკუთრისათვის უფლების ჩამორთმევის საფუძველი გახდეს, რადგანაც რეგისტრაციის ფორმალური ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ ტიტულის დაკარგვა უფლების გაქარწყლებას არ იწვევს;
- ბ. სსკ-ის 54-ე მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, რადგანაც მას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. იმის დასადგენად, პირის მიერ გამოვლენილი ნება ენინააღმდეგება თუ არა მართლწესრიგს, გამოყენებული უნდა იქნეს თავად ამ მართლწესრიგის განმსაზღვრელი სამართლის კონკრეტული დანაწესი და არა ზოგადი ხასიათის ნორმა;
- გ. საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე მოსარჩევის მოთხოვნის შემოწმების დროს, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენებას შეუძლებლად, ხოლო განსახილველი დავისადმი მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გამოიკვეთება, მაშინ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს.

დაპრუნების დასაპუთივა: მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, ასევე, დავის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია საპროცესო წესების დარღვევით და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ დაუდგენიათ მოსარჩელეთა უფლებრივი კავშირი ნივთთან მიმართებით, კერძოდ, მოსარჩელეები კვლავ წარმოადგენენ თუ არა ქონების მესაკუთრეებს.

საქმეში, სადაც დავის საგანს მოსარჩელეების მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების შემდგომი მიმოქცევის კანონიერება წარმოადგენს, სარჩელის ფარგლებში მოსარჩელეებს სურთ ქონების გამოთხოვა (ვინდიცირება) და მიაჩნიათ, რომ ეს ქონება მართლსაწინააღმდეგოდ ირიცხება მეორე მოპასუხის საკუთრებაში. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ბათილად ცნეს კორპორაციული აქტები, რომელთა საფუძველზეც ქონება სახელმწიფოსათვის საკუთრებაში დაბრუნების შემდგომ ჯერ მესამე მოპასუხეს გადაეცა საკუთრებაში, ხოლო, საბოლოოდ – მის მიერ დაარსებულ მეორე კომპანიას. კასატორები (მოპასუხები) არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ განჩინებას და მათი უმთავრესი პრეტეზია აუქციონის შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად სადაცო ქონებაზე ჯერ სახელმწიფოს საკუთრების წარმოშობის კანონიერებისკენ და შემდგომ – მესაკუთრეთა მიერ ამ ქონების მართლზომიერად განკარგვისკენაა მიმართული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლინდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნინაპირობები, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა სააპელაციო სასამართლოში.³⁷

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეები ძირითადად იმაზე აპელირებენ, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სახელმწიფოს, კონკრეტულ შემთხვევაში, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათი-

³⁷ სუს განჩინება, 8 თებერვალი, 2019, №ას-427-427-2018.

ლად იქნა ცნობილი. სააპელაციო პალატამ შეაფასა რა ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ, როგორც ქონების უკურევისტრაცია სახელმწიფოს სახელზე, ისე – მისი შემდგომი განკარგვა სამენარმეო საზოგადოებების სახელზე მოხდა საჯარო წესრიგის წინააღმდეგ და მოთხოვნის საფუძვლად სსკ-ის 54-ე მუხლი გამოიყენა.

საკასაციო სასამართლომ, დიდი პალატის ბოლოდროინდელ პრაქტიკაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის დამტუქნებელ ნორმას, რადგანაც მას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს (**იხ. სუსგ [დიდი პალატა] №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წლი**). იმის დასადგენად, პირის მიერ გამოვლენილი ნება ეწინააღმდეგება თუ არა მართლწესრიგს, გამოყენებული უნდა იქნეს თავად ამ მართლწესრიგის განმსაზღვრელი სამართლის კონკრეტული დანაწესი და არა ზოგადი ხასიათის ნორმა.

პალატამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან, მოსარჩელეთა მიზანი ქონების დაბრუნებაა, დავის გადაწყვეტისათვის უმთავრეს წინაპირობებს სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები ადგენენ. მოხმობილი ნორმების თანახმად, მოსარჩელე უნდა წარმოადგენდეს სადაცო ქონების მესაკუთრეს, რაც ქონების შემდგომ ყოველ მიმოქცევას გახდის მართლსაწინააღმდეგოს. არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოსარჩელეთა უფლებრივი კავშირი ნივთთან მიმართებით, კერძოდ, მოსარჩელები კვლავ წარმოადგენენ თუ არა ქონების მესაკუთრებს. საკასაციო პალატამ, ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე მითითებით, რომელიც საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას ადგენს და განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მესაკუთრეს უფლებით სარგებლობაში, აღნიშნავს, რომ თავად საკუთრების სუბსტანციიდან გამომდინარე, საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა ამ უფლებით დაცული სფეროს ობიექტზე ვრცელდება უკვე წარმოშობილი საკუთრების მიმართ.

საკასაციო პალატის აზრით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ დადგენილა უფლების საკითხი, არამედ, გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. არც სასამართლოს დაუდგენია და არც მხარეები არ მიუთითებენ, რომ ადმინისტრაციულ-მა ორგანომ ახალი აქტის გამოცემით განსაზღვრა მოსარჩელეთა უფლების საკითხი, უფრო მეტიც, მან ქონება მისი 100%-იანი წილით მონაწილეობით შექმნილ კერძო სამართლის სუბიექტს გადასცა საკუთრებაში, ხოლო ამ უკანასკნელმა – საკუთარ შვილობილ კომპანიას. საკასაციო პალატის განსჯით, საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დავის საგანზე მოსარჩელეთა თავდაპირველი საკუთრება საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა.

პალატის მითითებით, სასამართლოს მიერ სადაცო ბრძანების ბათილად ცნობის მიუხედავად, სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების ფართო ზღვრის თეორიის ფარგლებში, მოსარჩელეთა უფლებრივი მდგომარეობის განსასაზღვრად, უნდა შემოწმდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგებული ხელშეკრულება ბათილია იმ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაშიც, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე მოსარჩელის მოთხოვნის შემოწმების დროს, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენებას შეუძლებლად, ხოლო განსახილველი დავისადმი მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გამოიკვეთება, მაშინ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს.

6. სახელშეკრულებო დავითი

6.1. პირგასამტებლო

6.1.1.

გამოყენებული მუხლები: სსკ-ის 420-ე, 867-ე მუხლები.

განვითარები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციებს.

გადაცვის მიღები: შემცირდა პირგასამტებლოს ოდენობა.

გადაწყვეტილება,³⁸ რომლითაც მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამოყინარე თანხის გადახდა, გასაჩივრდა მხოლოდ პირცენტისა და პირგასამტებლოს ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ პირგასამტებლოს დაკაირების მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა. პირცენტის ნაწილში უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, ხოლო პირგასამტებლოს ნაწილში ახალი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც შეამცირა პირგასამტებლოს ოდენობა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის სანინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ სარჩელის საფუძვლიანობა დაუკავშირა იმგვარ გარემოებებს, როგორიცაა პირგასამტებლოს ოდენობის შემცირებით კეთილსინდისიერი გადამხდელების ნახალისება, რათა პირგასამტებლოს შემცირების იმედით მათ აღარ შეასრულონ ვალდებულება, რაც, პალატის მოსაზრებით, ხელს შეუშლის სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და არ ნააღება სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო ბრუნვის პროგნოზირებადი ხასიათით განხორციელებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების გახანგრძლივების შემთხვევაში, საბანკო კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებელისა და პირგასამტებლოს გადახდის აღსრულების ვადების გაჭიანურებაზე და, ზოგადად, სხვა არაკეთილსინდისიერ მოვალეთა პასუხისმგებლობისაგან უსაფუძვლო გათავისუფლების, აგრეთვე, კეთილსინდისიერ მოვალეთა წაქეზების საშუალებებზე დეკლარირებული სახის მსჯელობამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური არბიტრის როლს, ისე, სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის სრულფასოვან განხორციელებას, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, მოითხოვს ყოველ კონკრეტულ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას და არა ზოგადი ხასიათის პრევენციებს.

საკასაციო პალატის არაერთი მითითებით, სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს ოდენობის შემცირებისას სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან. პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა – ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პირცენტი, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (სუსკ 28.12.2012, №ას-1560-1463-2012, სუსკ 16.05.2014, №ას-1200-1145-2013).

³⁸ სუს გადაწყვეტილება, 13 აპრილი, 2016, №ას-1199-1127-2015.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება წარმოადგენს სარგებლიან სესხს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს, როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს. რაც შეეხება პირგა-სამტებლოს ოდენობის გონივრულობას, საკასაციო პალატამ, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, დარღვევის თანაზომიერ, გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია ხელშეკრულებაზე დარიცხული პირგასამტებლოდან – 1534 აშშ დოლარი, რომელიც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, კანონშესაბამისია და სავსებით უზრუნველყოფს მინიმალური ზიანის ანგარიშში კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას (**სუსგ 04.12.2015წ. №ას-914-864-2015**).

6.1.2.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 420-ე მუხლი.

გამოართებები: პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

გადაწყვეტილების შედეგი: გადაწყვეტილებით შემცირდა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მენარმე-გამსესხებლის სარჩელი მსესხებლებისა და თავდების წინააღმდეგ დაქმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამტებლოს გადახდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირგასამტებლოს ოდენობა შეიცვალა და მსესხებლებს დაუკისრათ გაზრდილი პირგასამტებლოს გადახდა.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით, ძირითადი ვალდებულებისა და დაკისრებული სარგებლის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემცირებული პირგასამტებლო გონივრულად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრული პირგასამტებლო გონივრულ ფარგლებს აღემატება და, ფაქტობრივად, ძირითადი დავალინების ოდენობას უთანაბრდება.³⁹

პალატამ უზრუნველყოფილი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ პირგასამტებლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან – ანუ პირგასამტებლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის აქვს, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩება.

³⁹ სუს გადაწყვეტილება, 22 ივნისი, 2016 №ას-214-204-2016.

პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: а) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას, კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

პირგასამტებლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

პალატის მითითებით, ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგი ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფად წინასწარი ზომების მიღების, ანუ პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს, ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტებლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული სანქცია ეკისრება.

პირგასამტებლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაა, ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტებლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (**სუსგ 6.05.2015, №ას-1158-1104-2014**).

პირგასამტებლოს ფუნქცია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფითა და მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას ერთგვარი სანქციის ამოქმედებით შემოიფარგლება. იგი კრედიტორის გამდიდრებას არ ემსახურება და ამ მიზნით არ უნდა იქნეს გამოყენებული.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან. პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: **ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი**, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (**სუსგ №ას-1560-1463-2012, 28.12.2012; №ას-459-438-2015, 07.10.2015**).

სხვა დაგაში, რომელშიც მოსარჩელის (მენარმე, მენარდე) ნარდობის სახელშეკრულებო-სამართლებრივ მოთხოვნას შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება და პირგასამტებლოს დაკისრება წარმოადგენს, სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დაკავშირდება, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში და შეამცირა პირგასამტებლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, ⁴⁰ კერძოდ, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს პროცენტი – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.4%-დან 0.2 %-მდე შემცირდა.

⁴⁰ სუს გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2016, №ას-336-317-2014.

6.1.3.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 405-ე, 417-418-ე, 641-645-ე მუხლები.

გამომარტებები: ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს. პირგასამტებლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.

გადახყვათილების შედეგი: შემცირდა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო.

ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში⁴¹ საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შეცვალა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები სარჩელის ნაწილობრივ დაკამაყოფილების თაობაზე. შემკვეთის (მოპასუხის – საწარმოს) პრეტენზია ნაწილობრივ დააკამაყოფილა, ხოლო მენარდის (მოპასუხის – საწარმოს) მოთხოვნა – სრულად, რომელიც შემკვეთის სარჩელის უარყოფით გამოიხატა. გადაწყვეტილების მიღებისას საკვანძო საკითხი მენარდის მიერ სამუშაოების დასრულების ფაქტის სამართლებრივი შეფასება გახდა. დადგენილი ფაქტების მიხედვით, მენარდემ ძირითადი სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით შესარულა, ხოლო მცირე ხარვეზებისთვის დამატებითი 40-დღიანი ვადა დაწესდა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა კეთილსინდისიერების ნაგულვები პრეზუმაციის გათვალისწინებით, შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია.

საკასაციო სასამართლომ სამუშაოების ღირებულების დარჩენილი ნაწილის, 230 000 ლარის, მენარდისათვის 22 დღის ვადაგადაცილებით გადახდის გამო, შემკვეთისათვის პირგასამტებლოს დაკისრების შესახებ მენარდის მოთხოვნა დააკამაყოფილა.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 417-418 მუხლებით დადგენილი პირგასამტებლოს ფუნქციისა და მიზნიდან გამომდინარე, განმარტა, რომ პირგასამტებლოს ოდენობის თაობაზე არაერთი გადაწყვეტილების/განჩინების არსებობის მიუხედავად, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის საფუძვლების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაა“ (*იხ. სუსკ №ას-654-620-2015, 17.12.2015*). განსახილველ საქმეზე და ანალიგიურ სხვა შემთხვევებში, პირგასამტებლოს, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (*სსკ-ის 319-ე მუხლი*) დათქმული პირობის მიუხედავად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტებლოს გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან რამდენიმე დღის ვადაგადაცილებისათვის, ხელშეკრულების საერთო თანხის გათვალისწინებით, პირგასამტებლოს დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებებისა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. საკასაციო სასამართლო მხარს უჭერს მიღებობას, რომ პირგასამტებლო დაანგარიშებული იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან. განსახილველ შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებული იყო, 230 000 ლარი გადაეხადა მენარდისათვის, თუმცა 22 დღის ვადაგადაცილებით შეასრულა ვალდებულება, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების საერთო

⁴¹ სუს გადაწყვეტილება, 28 ივლისი, 2016, №ას-164-160-2016.

ღირებულებიდან პირგასამტეხლოს დაანგარიშება არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი დისკრეციით და, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში კი, 22 დღის დაგვიახებით სამუშაოების ღირებულების ჩარიცხვისათვის ქვემდგომი სასამართლოების მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, შეამციროს.

6.1.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 416-420-ე მუხლები.

განმარტება: პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენა კანონით განსაზღვრული პირგასამტეხლოს მიზნებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ჯამით სცდება და მოვალის მიმართ გადაჭარბებული სანქციის დაწესებას იწვევს.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირგასამტეხლოს ოდენობა გაიზარდა.

ერთ-ერთ საქმეში⁴² სსიპ-ის სარჩელის საფუძველზე ინდივიდუალურ მენარმეს დაეკისრა შემცირებული პირგასამტეხლო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვალდებულება შესრულდა მხოლოდ 1/3-ით, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობამ კი შეადგინა 23 დღე, შესაბამისად, მოვალეს ნარმოებვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა. სასამართლომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე უნდა შეესრულებინა 81680 ლარის სამუშაო, რეალურად კი – სრული მოცულობის 1/3, ანუ დაახლოებით 27226,67 ლარის შესრულება და შეუსრულებელი სამუშაოს მოცულობა შეადგენდა 54 453,33 ლარს, ასევე, ვალდებულების დარღვევა შემოიფარგლებოდა 23 დღით, მოსარჩელის მიერ, როგორც სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო 31 038,40 ლარი, საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი 16907 ლარი ვალდებულების დარღვევის სიმძიმისა და ხანგრძლივობის ადეკვატურად არ ცნო და შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ჯამით კანონით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს მიზნებს სცდება და მოვალის მიმართ გადაჭარბებულ სანქციას იწვევს, თუმცა სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობაც არ შეესაბამება სადავო შემთხვევაში პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან მოცულობას.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს 1879 ლარით განსაზღვრის შესახებ და პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან ოდენობად 10 000 ლარი მიიჩნია. პირგასამტეხლოს გაზრდა სასამართლომ იმ გარემოებითაც დაასაბუთა, რომ შესრულების ვადაგადაცილების შემდეგ მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულება შეწყდა, რაც ხაზს უსვამს მხარის ინტერესს სადავო სამუშაოების დროულად შესრულებასთან დაკავშირებით და მოპასუხის მიმართ პასუხისმგებლის მეტისმეტად შემცირებას გაუმართლებელს ხდის.

⁴² სუს გადაწყვეტილება, 28 დეკემბერი, 2016, №ას-848-814-2016.

6.1.5.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 420-ე, 442-ე, 629-ე, 417-418-ე მუხლები.

განვითარები:

- ა. გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურსამართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ეს უფლება ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის შეტყობინებით რეალიზდება, შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების განევა. პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით – მას შეუძლია, წარადგინოს მოთხოვნის მომსპობი შესაგებელი;
- ბ. შეტყობინების მიმღები მხარის (მენარდე) დაუთანხმებლობა გაქვითვაზე, შესაბამისი წინაპირობების განხორცილების შემთხვევაში, ვერ შეცვლის სამართლებრივ სურათს;
- გ. სსკ-ის 442-ე მუხლი შემკვეთს ანიჭებდა უფლებას, შესაბამისი წინაპირობების განხორცილების შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეეცვალა მენარდის უფლებრივი მდგომარეობა და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, თავისი ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლებულიყო, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამას მეორე მხარე.

გადახყვეტილების შედეგი: შემკვეთის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მენარდეს შემკვეთის სასარგებლოდ დაეკისრა შემცირებული პირგასამტებლოს გადახდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მენარდის სარჩელიც, კერძოდ, შემკვეთს დაეკისრა მომსახურებისათვის გარკვეული თანხის გადახდა.

წარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში⁴³ საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია შემკვეთისა და მენარდის (კასატორების) პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორადვე განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები როგორც ძირითადი სარჩელის საფუძვლიანობის, ისე შეგებებული სარჩელის უარყოფასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტების ნაწილი სამართლებრივად არასწორად გაანალიზა, შესაბამისად, ამ ნაწილში გამოტანილი დასკვნები იურიდიულად დაუსაბუთებელია. უფრო მეტიც, ის ენინააღმდეგება სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმების მიზანსა და შინაარს. იგულისხმება სსკ-ის 420-ე, 442-ე და მომდევნო მუხლების დანაწესები.

საქმის ფაბულის მიხედვით, მენარდემ დაარღვია ხელშეკრულებით დადგენილი შესრულების ვადები: ვადას გადააცილა 240 დღით, დაარღვია მრავალბინიანი სახლის ექსპლუატაციაში მიღების ვადაც 350 დღით. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, შემკვეთს წარმოეშვა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მენარდისათვის პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება. შემკვეთი, თავის მხრივ, ვალდებული იყო, საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 საბანეო დღის განმავლობაში, მენარდისათვის გადაეხადა 7 132 აშშ დოლარი. იმ დროისთვის, როცა შემკვეთს ჩაჰპარდა მენარდის წერილობითი პრეტენზია, შემკვეთს, სსკ-ის 417-418-ე მუხლებიდან გამომდინარე, უკვე ჰქონდა მენარდის მიმართ ვადამოსული პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება. შემკვეთმა იმავე წლის 27

⁴³ სუს გადაწყვეტილება, 27 იანვარი, 2017, №ას-708-678-2016.

დეკემბრის საპასუხო წერილობითი პრეტენზიით, სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მენარდეს მოსთხოვა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურსა-მართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ეს უფლება ერთ-ერთი მხარის მიერ რეალიზდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების განევა. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მას შეუძლია, ნარადგინოს მოთხოვნის მომსპობა შესაგებელი. ის, რომ განსახილველ საქმეში შეტყობინების მიმღები მხარე (მენარდე) არ დაეთანხმა გაქვითვას, ვერ შეცვლის სამართლებრივ სურათს, ვინაიდან მენარდის ძირითად ფულად მოთხოვნას შემკვეთმა დაუპირისიპირა პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება, რომელიც ვადამოსული და შესაგებლისაგან თავისუფალი იყო. საკასაციო სასამართლო შემკვეთის ვალდებულების შეწყვეტა დაუკავშირა შემკვეთის მიერ მენარდისათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტს. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის სააპელაციო სასამართლოსეულ განმარტებას⁴⁴ და საპირისიპიროდ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა შემკვეთს ანიჭებდა უფლებას, შესაბამისი წინაპირობების განხორცილების შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეეცვალა მენარდის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ თავისი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებულიყო, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამას მეორე მხარე. მენარდის თანხმობის საჭიროება მხოლოდ მაშინ იარსებებდა, თუ გასაქვითი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ დამდგარი არ იქნებოდა (სსკ-ის 442-ე მუხლის მეორე ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთმა წერილით წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი. მის მიერ გამოვლენილ (კალმხრივ ნებას (სსკ-ის 51-ე მუხლი) შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვა, რადგანაც აშკარა იყო გარიგების ნამდვილობის ყველა წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება, რომელიც ადრესატს მიუვიდა, გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება (ორივე მათგანი ფულადი ხასიათისაა), ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

სასამართლომ უზენაესი სასამართლოს მყარ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა რა პირგასამტებლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები, საქმის კონკრეტული გარემოებების, შესრულების ლირებულების, პირგასამტებლოს ოდენობასთან ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯერვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული პირგასამტებლო ხელშეკრულების საგნის ლირებულებასთან მიმართებით შეუსაბამოდ მაღალია და გადაწყვეტილებით შეამცირა იგი.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 629-ე მუხლის საფუძველზე სამართლებრივად და ფაქტობრივად დასაბუთებულად მიიჩნია შემკვეთისათვის განეული მომსახურების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე მენარდის მოთხოვნა.

⁴⁴ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებრივი შედეგისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ მენარდემ აღიარა შემკვეთის მიმართ ვალდებულების არსებობა...“.

6.1.6.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 420-ე მუხლი.

განმარტება: სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენებისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს კონტრაპენტთა, როგორც ხელშემკვრელ პირთა, სტატუსი და, როდესაც საკითხი მენარმე სუბიექტის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებას ეხება, მას ფიზიკური პირისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით უნდა მოეთხოვოს, შეუსრულებელი ვალდებულების გამო, მხარისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

გადახყვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოიჯარეს დაეკისრა გაზრდილი პირგასამტებლო.

კონკრეტულ დავაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია კასატორის პრეტენზია, მზარდი პირგასამტებლოს სახით, თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილის ნაცვლად, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს საიჯარო ქირის 0.02%-ის მოპასუხისათვის (სანარმო) დაკისრებული თანხის დაუსაბუთებულობა, კერძოდ, მისი სიმცირე დარღვევის ხასიათსა და სიმძიმესთან შეუსაბამობის გამო. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის თითოეული ხელშეკრულების დარღვევის გამო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0.1%-ის დაკისრებას ქირის ვადახდამდე. საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, პირგასამტებლოს ძირითადი არსის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოს მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, ხოლო, ამ თვალსაზრისით წინასწარი ზომების მიღების მიზნით, დარღვევის შემთხვევაში – კრედიტორს მისცეს შესაძლებლობა, მტკიცების გარეშე, დარღვევის ფაქტიდან გამომდინარე, მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს დარღვევის ხასიათი და სიმძიმე, თუმცა სასამართლოსათვის სსკ-ის 420-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო, მოითხოვს იმგვარ დასაბუთებას, რომ კრედიტორს სიმბოლურად კი არ მიეკუთვნოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის გამო განცდილი ზიანის ანაზღაურება, არამედ, როგორც კონკრეტულ, ისე – განზოგადებულ შემთხვევაში, მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა რეალურად – ფინანსური სახით შეუსრულებელი ვალდებულების გამო.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენებისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს კონტრაპენტთა, როგორც ხელშემკვრელ პირთა, სტატუსი და, როდესაც საკითხი მენარმე სუბიექტის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებას ეხება, მას ფიზიკური პირისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით უნდა მოეთხოვოს, შეუსრულებელი ვალდებულების გამო, მხარისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

საკასაციო სასამართლომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოვალე მხარე მენარმე სუბიექტია, რომელმაც ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, ახალი გადაწყვეტილებით წარმოდგენილი დაკმაყოფილა საკასაციო განაცხადი და გადაწყვეტილებით გაზარდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პირგასამტებლოს ოდენობა, თითოეული ხელშეკრულების დარღვევის გამო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0,02%-დან 0,05%-მდე.⁴⁵

⁴⁵ სუს გადაწყვეტილება, 23 მაისი, 2017, №ას-1031-992-2016.

6.1.7.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 420-ე მუხლი.

გამოართდები:

- ა. მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტებლოს კონკრეტულ ღდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის არარსებობის პირბებში მოთხოვოს პირგასამტებლოს შემცირება;
- ბ. პირგასამტებლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტებლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს;
- გ. თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა.შ, ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტებლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეუსაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.

გადაცვითილების შედეგი: სარჩელი პირგასამტებლოს შემცირების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – დაკისრებული პირგასამტებლოს შემცირებაზე მენარმე სუბიექტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირგასამტებლო შემცირდა, მაგრამ არა სარჩელში მითითებული იდენტიტით. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. საკასაციო სასამართლომ სარჩელი უარყო⁴⁶ შემდეგი მოტივაციით:

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, პირგასამტებლოს შემცირების მოთხოვნა სსკ-ის 420-ე (სასამართლოს შეუძლია, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო) მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასაატორის ძირითადი პრეტენზია ქვემდგომი ინსტაციის სასამართლოების მიერ მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტებლოს ოდენობის დაუსაბუთებლად შემცირების შესახებ და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები იურიდიულად არგუმენტირებული არ არის, უფრო მეტიც, ის ენინააღმდეგება სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმების მიზანსა და შინაარს, იგულისხმება სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელესა (მეიჯარე) და მოპასუხეს (მოიჯარე) შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის ვადაში სამინისტროსთან დაედო უძრავი ქონების მოვლაპატრონობის ხელშეკრულება. მოპასუხის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის ფაქტი მხარეთა შორის სადავო არაა, რის გამოც დარღვევის პერიოდის განმავლობაში მოპასუხეს დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტებლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. „ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზ-

⁴⁶ სუს გადაწყვეტილება, 13 ნოემბერი, 2018 №ას-1451-1371-2017.

რუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტებლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხდავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...”, „პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედები; ბ) დარღვევის სიმძმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“ (შდრ. სუსგ-ები № ას 848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირგასამტებლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტებლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტებლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა.შ, ივარაულება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტებლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.

განსახილველ დავაში, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩევე, რომელიც მენარმე სუბიექტია, დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არის შეუსაბამოდ მაღალი შეთანხმებული პირგასამტებლო. ის არ მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საკასაციო სასამართლოს დაარწმუნებდა სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაში. პალატის მოსაზრებით, მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტებლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოქლებულია შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის არარსებობის პირობებში მოითხოვოს პირგასამტებლოს შემცირება.

საბოლოოდ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩევეზე დარიცხული პირგასამტებლოს შემცირების საფუძველი არ არსებობდა და, შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლოს შემცირებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია, რაც გახდა კიდეც სარჩელის წარუმატებლობის საფუძველი.

6.1.8.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629.1, 417-ე-418, 879-ე მუხლები.

გამოარტივები: გარანტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით და ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული შეთანხმებით და ნარდობის ხელშეკრულების დებულებები სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის.

გადაცევის მიზანი: შემკვეთის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მენარდეს დაეკისრა გაზრდილი პირგასამტებლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებულ პირგასამტებლოსთან შედარებით.

ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში შემკვეთმა მენარდისათვის (მენარმე) მიყენებული ზიანისა და პირგასამტებლოს დაკისრება მოითხოვა. საქალაქო სასამართლომ პირგასამტებლოს ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილა და, სარჩელით მოთხოვნილი 98999.67 ლარის ნაცვლად, მენარდეს 19 799.93 ლარის ანაზღაურება დაკისრა. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტებლოს ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, შეცვალა პირგასამტებლოს ოდენობა და მენარდეს 50 000 ლარი დაკისრა.⁴⁷

საკასაციო სასამართლომ, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მიიჩნია, რომ პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნა სსკ-ის 629.1, 417-ე-418, ხოლო საბანკო გარანტიით განსაზღვრული ფულადი თანხის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 879-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მენარდის სახელშეკრულებო ვალდებულების არსზე, სახელდობრ, ამ უკანასკნელს უნდა შეესრულებინა საბავშვო ბალთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული ვალდებულება უხეშად დაარღვია, კერძოდ, 299 999 ლარად დირებული სამუშაოებიდან შეესრულა მხოლოდ 95 468.80 ლარის სამუშაო. საკასაციო პალატამ სწორედ, დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და მიყენებული ზიანის მოცულობის გათვალისწინებით მიიჩნია 50000 ლარი შესატყვის პირგასამტებლოდ.

6.2. ნასყიდობა

6.2.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 405-ე, 352-ე, 411-ე, 394-ე მუხლები.

განვარტებები:

- ა. მიუღებელი შემოსავალი (ბინის ქირა, რომელსაც მიიღებდა მოსარჩელე და რომ-ლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა, ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე დროისათვის) არ ექცევა 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში;
- ბ. ბინის გაქირავება უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებული და პარობირებული ფორმაა, ამიტომ მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მას ამ პერიოდში (ანუ ხელშეკრულებიდან გასვლამდე) ბინის გაქირავების შემთხვევაში ექნებოდა;
- გ. ბინის შესყიდვის მიზნით ბანკიდან აღებული კრედიტი და ამ კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი არ არის ის ზიანი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით, რადგან, ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას, თუმცა იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადოდ გადაცემის, არამედ მისი ღირებულების დაპრუნების ვალ-

⁴⁷ სუს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2019, №ას-1511-2018.

დებულება, ამიტომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი – ხელშეკრულები-დან გასვლის დროისათვის პროცენტის სახით გადასახდელი თანხა.

გადაწყვეტილების შედეგი: ბინის გაქირავებით მოსარჩელის მიერ მიუღებელი შე-მოსავლის ოდენობა შეიცვალა და განისაზღვრა ხელშეკრულების შესრულების (ბი-ნის გადაცემის) პერიოდიდან ხელშეკრულებიდან გასვლამდე მისაღები ბინის ქირის გათვალისწინებით.

ერთ-ერთ დავაში⁴⁸ მოსარჩელემ (ფიზიკურმა პირმა) მოითხოვა საცხოვრებელი ბინის აშე-ნებისა და საკუთრებაში გადაცემის მიზნით სანარმოსთან გაფორმებული წინარე ნასყი-დობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა, სანარმოსათვის მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარ-ჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე სანარმოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვ-რებელი ფართის შესაძენად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ასევე – ზიანისა და მიუ-ღებელი შემოსავლის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებიდან გასვლის დროიდან საცხოვრებელი ფართის შესაძენად გა-დახდილი თანხის უკან დაბრუნებამდე ამ თანხის ყოველწლიური 14%-ის, ხელშეკრულები-დან გასვლის დროიდან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებამდე ამ თანხის ყოველწლი-ური 10%-ის ანაზღაურება.

მოპასუხემ, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის გამო, საცხოვრებელი ფართის შე-საძენად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ნაწილში, საკასაციო საჩივარზე უარი თქვა, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო საჩივრის ფარგლებში იმსჯე-ლა მხოლოდ მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავ-ლის დაკისრების მართებულობაზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ და-ეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით, ხელშეკრულებიდან გასვლის დროიდან საცხოვრე-ბელი ფართის შესაძენად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებამდე ამ თანხის ყოველწლიუ-რი 14%-ის ანაზღაურება, არაუმეტეს კონკრეტული თანხისა, ხოლო ხელშეკრულებით გან-საზღვრული ბინის გადაცემის დროიდან ხელშეკრულებიდან გასვლამდე მიუღებელი შე-მოსავლის სახით კონკრეტული თანხის ანაზღაურება. ამასთან, განისაზღვრა გადაწყვე-ტილების აღსრულების წესი, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა და მოსარჩელის მიერ მოპასუხის ბინაზე საკუთრების უფლება დაუბრუნდეს საჯარო რეესტრში რეგის-ტრაციის გზით ერთდროულად.

საკასაციო სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტი-ლება კანონიერად მიიჩნია და განმარტა, რომ ბინის ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-ლად გადაცემის შემთხვევაში, მოსარჩელე ამ ბინას გააქირავებდა, რაც საესებით შესაძ-ლებლად მიიჩნია სასამართლომ, რადგან, თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, მისი გაქირავება ნარმოადგენს უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფარ-თოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას, ამიტომ მოსარჩელეს შეუძლია, მო-ითხოვოს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მას ამ პერიოდში (ანუ ხელშეკრულე-ბიდან გასვლამდე) ბინის გაქირავების შემთხვევაში ექნებოდა. ბინის გაქირავებით მო-სარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის ოდენობა შეიცვალა.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამი-

⁴⁸ სუს გადაწყვეტილება, 14 მარტი, 2016, № ას-945-895-2015.

სად, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაპრუნების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი (პინის ქირა, რომელსაც მიიღებდა მოსარჩელე და რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა, ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე პერიოდისათვის) არ ექცევა 352-ე მუხლის სფეროში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პინის შესყიდვის მიზნით ბანკიდან აღებული კრედიტი და ამ კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი არ არის ის ზიანი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით, რადგან ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას (სუსგ №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012 წლი), თუმცა იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადო მდგომარეობაში გადაცემის, არამედ მისი ღირებულების დაბრუნების ვალდებულება, რომლის შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს, თავის მხრივ, მიეცემოდა ბანკისათვის დარჩენილი საკრედიტო დავალიანების დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ არ ეძლევა. შესაბამისად, ბინის ღირებულების დაბრუნებამდე, აღნიშნული თანხის ნლიური 14% წარმოადგენს მოსარჩელის ზიანს, თუმცა არა უმეტეს იმ თანხისა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის გადასახდელი ჰქონდა მას პროცენტის სახით.

6.2.2.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 103-ე, 709-ე, 477-ე, საგადასახადო კოდექსის 75-ე მუხლები.

განმარტება: შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის გამოყენებით ავტორიზებული მომხმარებლის მიერ დადასტურებული „ნსაფი“ ქმნის იმ პრეზუმუციის დაშვების წინაპირობას, რომ გამყიდველის ვალდებულება შეწყდა შესრულებით.

გადაწყვეტილების შედეგი: გაუქმდა განჩინება სარჩელის უარყოფის თაობაზე და შემძენს ნასყიდობის საფასურის გადახდა დაეკისრა.

ორ მენარმე სუბიექტს შორის დავაში, მოსარჩელის (გამყიდველის) მოთხოვნას მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება წარმოადგენს.⁴⁹ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს. სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა კვლევის სტანდარტის დარღვევა გახდა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. საკასაციო სასამართლომ შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი და შემძენს დააკისრა ნაყიდი ნივთის ღირებულების ანაზღაურება. სასამართლომ მოპასუხის (შემძენის) პოზიციის საპირისპიროდ, რომელიც უარყოფდა ზოგადად ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მოპასუხის მიერ დადასტურებული ელექტრონული „ნსაფი“, ასევე, შემძენის სახელით მესამე პირის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ შემძენმა მიიღო საავტომობილო საწვავი – 1000 ლიტრი დიზელი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის გამოყენებით ავტორიზებულმა მომხმარებელმა დაადასტურა „ნსაფი“ (რაც, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, უდავოდ უქმნიდა გამყიდველს რწმენას, რომ შემძენი დაეთანხმა ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებს); „ნსაფში“ მითითებული პირობების შესაბამისად, ნასყიდობის საგნის მიღებაზე ხელი მოაწერა პირმა, რომელმაც განაცხადა,

⁴⁹ სუს გადაწყვეტილება, 20 იანვარი, 2017, №ას-793-760-2016.

რომ მოქმედებს შემძენის დავალების ფარგლებში. ამ გარემოებათა ერთობლივი ანალიზი ქმნის იმ პრეზუმუციის დაშვების წინაპირობას, რომ მესამე პირი შემძენის დავალების ფარგლებში მოქმედებდა, რომლის მიმართაც განხორციელებული შესრულებით გამყიდველის ვალდებულება შეწყდა, ხოლო საპასუხო შესრულების ვალდებულება წარმოეშვა შემძენს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

6.2.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 198-ე მუხლები.

განმარტებები: მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, თუ რა უფლება (მოთხოვნა) გადაეცა მოთხოვნის დამთმობისაგან და მას არ აქვს საფუძველი, მოპასუხეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე წაუყენოს მოთხოვნა.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოთხოვნის ფაქტობრივი დაუსაბუთებლობის გამო.

მოსარჩელემ, როგორც მოთხოვნის მიმღებმა, სარჩელი აღძრა მეორე მოიჯარის (მენარმის) წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისაგან მოითხოვა წასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.⁵⁰ მოთხოვნის მიმღების მტკიცებით, მას პირველმა მოიჯარემ დაუთმო მეორე მოიჯარისაგან გაყიდული წივთების (საქონლის) მიღების საფასურის მოთხოვნის უფლება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შინაარსის განმარტებისა და მოწმის ჩვენების ერთობლივი ანალიზით, სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ მოძრავი წივთების წასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ჰქონდა მოპასუხისათვის თანხის მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, დაკმაყოფილა იგი.

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა განაპირობა მხარეთა და მოწმის განმარტებების, სადაც ხელშეკრულების შინაარსის განსხვავებულმა სამართლებრივმა შეფასებამ (განმარტებამ). საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველ მოიჯარესა და მეორე მოიჯარეს შორის არ ყოფილა წასყიდობის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რადგან, სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არ დასტურდება, რომ გამყიდველმა (პირველმა მოიჯარემ) გადასცა (მიაწოდა) რაიმე საქონელი მყიდველს (მეორე მოიჯარეს), შესაბამისად, ამ უკანასკნელს არარსებული ვალდებულების ძალით ვერ წარმოეშობოდა საფასურის გადახდის ვალდებულება.

6.2.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 352-ე, 405-ე მუხლები.

განმარტებები: სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა, ვინაიდან მყიდველს არ შეიძლება, დაეკისროს წასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებში,

⁵⁰ სუს გადაწყვეტილება, 27 იანვარი, 2017, №ას-455-437-2016.

როდესაც მას ქონება (ნასყიდობის საგანი) საკუთრებაში არ გადასცემია.

მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელემ (გამყიდველი-მენარმე) მიაწოდა საქონელი მოპასუხეს (მყიდველს). ნაკლის გამო მყიდველმა საქონლის ნაწილი გადაარჩია და უკან დააბრუნა. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მყიდველს არ შეიძლება, დაეკისროს ნასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებში, როდესაც მას ქონება (ნასყიდობის საგანი) საკუთრებაში არ გადასცემია (სსკ-ის 477-ე მუხლი). სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ძირითადად ხელშეკრულების შესრულების და არა მეორეული მოთხოვნის წარმომშობ ფაქტებზე მიუთითობს. მას სასამართლო წესით არ უთხოვია მყიდველის დავალდებულება, მიიღოს ნასყიდობის საგანი ან/და მიღებულად ჩაითვალოს. მოსარჩელე არ დავობს მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით განხორციელებული შესრულების (ნასყიდობის საგანი) მისთვის დაბრუნების ფაქტზეც.

საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლით მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე⁵¹ შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, მყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან გამყიდველის მიერ შესრულების ვადის დარღვევის გამო და მხარეთა შორის განხორციელდა რესტიტუცია – მოსარჩელეს დაუბრუნდა ვადის დარღვევით მიწოდებული საქონელი. ხელშეკრულებიდან კრედიტორის გასვლა მოსარჩელეს სადავო არ გაუხდია და არც იმგვარ ფაქტებზე არ მიუთითობია, რასაც სამოქალაქო კოდექსი შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტად განიხილავს (მაგ: სსკ-ის 434-ე მუხლით განსაზღვრული დეპონირება). საკასაციო ჰალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება. კანონის სხვაგვარი განმარტება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას დაარღვევს და გამოიწვევს ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და გამყიდველის ქონებრივი რესტიტუციის გამო არ არსებობს მყიდველისათვის იმ საქონლის ღირებულების დაკისრების წინაპირობა, რომელზეც მას საკუთრების უფლება არ გადასცემია.

6.2.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 352-ე, 405-ე, 421-ე, 423-ე, 505-ე, 508-ე მუხლები.

განმარტებები:

- ა. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად გაფორმებული ბეს ხელშეკრულებაც წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს;
- ბ. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა იგი საჯარო რეესტრში, წარმოშობს ნასყიდობის მომწერიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

გადახყველების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ უარყოფილ იქნა.

საქმის ფაბულის მიხედვით, მყიდველმა (მოსარჩელემ) ფიზიკურ პირს (პირველ გამყიდველს) უძრავი ქონების შეძენის მიზნით, გადასცა ბე – 4000 აშშ დოლარი. უძრავი ქონების

⁵¹ სუს გადაწყვეტილება, 31 მარტი, 2017, №ას-75-71-2017.

5/6 ნაწილის მესაკუთრეა საწარმო (მეორე გამყიდველი), ხოლო 1/6-ის საწარმოს დამფუძნებელი – ორი ფიზიკური პირი (პირველი და მესამე გამყიდველი). მოგვიანებით, სანოტარო წესით გაფორმდა საწარმოს 100%-იანი წილისა და უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მყიდველმა, საწარმოს დამფუძნებლებს და უძრავი ქონების თანამესაკუთრებებს გადასცა 4600 აშშ დოლარი. მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაფორმებულა. მოსარჩელემ მოითხოვა გამყიდველთათვის ბეს სახით გადაცემული 8600 აშშ დოლარის დაბრუნება, იმ საფუძვლით, რომ პირველ შემთხვევაში – დაცული არ ყოფილა ბეს ნამდვილობისთვის კანონით გათვალისწინებული ფორმა, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ხელშეკრულება გამყიდველთა ბრალით არ დაიდო. მოპასუხეთა კვალიფიციური შესაგებლის მიხედვით, მყიდველს (მოსარჩელეს) უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დარჩენილი თანხა 59 000 აშშ არ გადაუხდია და მხარეთა შორის დაიდო არა უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ – ბეს ხელშეკრულება, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ გამყიდველთა საკასაციო საჩივრის საფუძველზე შეცვალა დავის სამართლებრივი შედეგი და გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილა გამყიდველთათვის 4600 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო 4000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში – უარყო შემდეგი მოტივაციით: საკასაციო სასამართლომ შეაფასა რა თითოეული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და სამართლებრივი შედეგები, დასკვნა, რომ პირველი ხელშეკრულება ბეს, ხოლო მეორე – განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაა.⁵²

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 323-ე და 327.3.-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ უძრავი ნივთის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება წერილობით ფორმას საჭიროებს, სხვა დათქმა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად გაფორმებული ბეს ხელშეკრულებაც წერილობითი ფორმის უნდა იყოს, რაც განსახილველ შემთხვევაში – აშკარაა. აქედან გამომდინარე, მყიდველსა და პირველ გამყიდველს მორის დადებული ბეს ხელშეკრულება ნამდვილია ვალდებულებითსამართლებრივი თვალსაზრისით. მართალია, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს (სსკ-ის 311'-ე მუხლი) და, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მესამე პირთათვის იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუმცა, ეს ვალდებულება სანივთოსამართლებრივი ვალდებულებაა, გამიზნული კონკრეტული პირის საკუთრების უფლების დადასტურებისათვის, რისი შეუსრულებლობაც უძრავ ქონებაზე წერილობით დადებულ გარიგებას ბათილად ვერ აქცევს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ უძრავი ქონების შესაძნად, ბეს სახით გადახდილი 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარით გადახდით, მოპასუხებთან დაიდო თავიაწო საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველმა ვალდებულებით (ნასყიდობის ხელშეკრულებით) გათვალისწინებული შესრულება, ნასყიდობის დარჩენილი თანხის გადახდა, ვერ უზრუნველყო, რის გამოც ბე დარჩა მის მიმღებს (სსკ-ის 423-ე მუხლი).

მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულება, თავისი შინაარსის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ კონტექსტში არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა გარიგების ბუნდოვან შინაარსთან დაკავშირებით (სსკ-ის 505-ე მუხლი). ამ ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონების შესყიდვის მიზნით მოსარჩელემ მოპასუხებს გადაუხადა 4 600 (ოთი ათას ექვსასი) აშშ დოლარი და იკისრა ვალდებულება,

⁵² სუს გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2018, №ას- 875-817-2017.

რომ დარჩენილ თანხას გადაიხდიდა კონკრეტულ თარიღამდე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, თუ მხარეთა შორის ბეს შესახებ არ იქნება სპეციალური შეთანხმება, სასამართლო მხარეთა შორის ურთიერთობას ბედ ვერ შეაფასებს. ვინაიდან მყიდველმა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა – არ გადაიხადა დარჩენილი თანხა, შესაბამისად, გამყიდველმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე და ნასყიდობის საგანი დაიბრუნა. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ გამყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან, რადგან მყიდველმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, სსკ-ის 508-ე, 477-ე, 352-ე, 405-ე მუხლების საფუძველზე, მხარეთა შორის ორმხრივი რესტიტუცია უნდა მოხდეს და გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს (მოსარჩელეს) დაუბრუნოს ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 4600 აშშ დოლარი (მოპასუხეთა ვალდებულება სოლიდარულია, სსკ-ის 463-464-ე მუხლები).

6.2.6.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 327-ე, 429-ე მუხლები, სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლები.

განვითარება:

- a. სასაქონლო ზედდებული, საჯაროსამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, ადასტურებს ხელშეკრულების არსებით პირობებს;
- b. როდესაც ვალდებული პირი უარყოფს შესრულებას, ნეგატიური მტკიცების ტვირთის მისთვის დაკისრების შესაძლებლობა გამოირიცხება.

გადაცვალითი შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოთხოვნის განუხორციელებლობის გამო.

მენარეებს შორის ნასყიდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში – ნასყიდობის საფასურის დაკისრების თაობაზე გამყიდველის სარჩელი საკასაციო სასამართლომ ხანდაზმულობის გამო უარყო.⁵³ სასამართლომ არ გაიზიარა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის შესახებ მოსარჩელის პოზიცია მოპასუხის მიერ ნასყიდობის საფასურის ნაწილობრივ გადახდის გამო. სასამართლომ შეაფასა რა გამყიდველის მიერ წარდგენილი მტკიცებულება სსსკ-ის 105-ე მუხლის კონტექსტით, მიიჩნია, რომ იგი მოვალის მხრიდან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას არ დასტურებს, დოკუმენტი, იურიდიული სანდოობის თვალსაზრისით, არ არის დადასტურებული რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნით, არ აქვს რაიმე დამცავი ნიშანი და უფლებამოსილი პირის ხელმონერა ან საიდენტიფიკაციო მონაცემი. სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე პალატამ მხარეთა შორის ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ჩათვალა (სსკ-ის 477-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ მოპასუხება მიაწოდა ზედდებულში მითითებული 15 590 ლარის საქონელი. ამასთანავე, არც სარჩელშია მითითებული და არც საქმის მასალებით არ დასტურდება მხარეთა შეთანხმება მინოდებული საქონლის ლირებულების გადახდის წესზე, რის გამოც, სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (**მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიღლოს ნაკიდი ქონება**), მყიდველს საქონლის მიღებს-თანავე – 2011 წლის 12 მაისს წარმოეშვა საზღაურის გადახდის ვალდებულება, ხოლო გამყიდველს – ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მან კი სარჩელი სასამართლოში 2014 წლის 13 ივნისს, მოთხოვნის 3-წლიანი ვადის დარღვევით აღძრა.

⁵³ სუს გადაწყვეტილება, 11 მაისი, 2018, №ას-1437-1357-2017.

6.2.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 405-ე, 352-ე მუხლები.

განმარტებები: სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიონი.

გადაწყვეტილების შედეგი: სამი მოსარჩელის სარჩელი უარყოფილ იქნა, მტკიცებულების განუკუთვნადობის საფუძვლით.

მოსარჩელე ფიზიკური პირების (მყიდველები) მიერ გამყიდველის (მოპასუხე საწარმო) წინააღმდეგ ხელშეკრულებიდან გასულად აღიარებისა და გამყიდველის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ დავაში მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი და განხორციელების შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შედავება, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების არარსებობით, კერძოდ, ნასყიდობის საგნის უხარისხობის დაუდასტურებლობითა და, თავის მხრივ, მყიდველთა მხრიდან თესვის შემდგომ რეკომენდაციების დაუცველობით გამოიხატებოდა.

საკასაციო პალატის კვლევისა და მსჯელობის საგანია ოთხივე მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისა და ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მართლზომიერება (სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლები).

საქმის ფაბულის მიხედვით განსახილველი დავა წარმოშობილია ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომლის ფარგლებშიც მყიდველებს გამყიდველმა მიაწოდა დადგენილი ოდენობით პროდუქცია (ნასყიდობის საგანი), რომელსაც, მყიდველების მოსაზრებით, ჰქონდა იმგვარი ნაკლი/წუნი, რაც მათ წარმოუშობდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, გამყიდველს კი, პირიქით, მიაჩნია, რომ, დაუდასტურებელია მყიდველების მიერ მითითებული გარემოებები ნასყიდობის საგნის პირობებთან შეუსაბამობის თვალსაზრისით და მყიდველების მიზნის მიუღწევლობა განაპირობა არა პროდუქციის (ნასყიდობის საგანი) შეთანხმებულისაგან განსხვავებულმა ხარისხმა, არამედ – მყიდველების მხრიდან ნასყიდობის საგნის გამოყენებისთვის აუცილებელი წესების დაუცველობამ.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ნასყიდობის საგნის სათესლე სიმინდის პიბრიდის ნიმუშის ლაბორატორიის კვლევის შედეგების უარსაყოფად კასატორს დამაჯერებელი შედავება არ წარუდგენია, თუმცა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ გასაზიარებელია მტკიცებულებათა განუკუთვნადობის კუთხით (სსკ-ის 393.2 მუხლი).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში მიწოდებული პროდუქციის უხარისხობასა და ხელშეკრულებისაგან განსხვავებულობის დასადასტურებლად მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი ლაბორატორიული დასკვნა უკავშირდება მხოლოდ სათესლე სიმინდის „პიონერის“ PR35F38-პიბრიდის ნიმუშის გამოკვლევას, რომელიც მხოლოდ მესამე მოსარჩელემ (მესამე მყიდველმა) შეისყიდა სრულად, ხოლო პირველმა მოსარჩელემ (პირველმა მყიდველმა) – ნაწილობრივ. გასაჩივრებული განჩინებით კი, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები განხორცილებულად იქნა მიჩნეული ერთდროულად ოთხივე მოსარჩელის ნაწილში (სსკ-ის 394-ე, 405-ე, 352-ე მუხლები), მაშინ, როდესაც ამ ნაწილში, სიმინდის თესლის უხარისხობის დასადასტურებლად მეორე და მეოთხე მოსარჩელების მხრიდან სათანადო მტკიცებულებები არ წარდგენილა.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარე-მოებები ქმნიდა მხოლოდ – ჰიბრიდის ნიმუშზე წარმოშობილი ხელშეკრულებიდან გას-ვლის უფლებას, ხოლო დანარჩენი ჰიბრიდის ნიმუშებზე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფ-ლება წარმოშობილად არ მიიჩნევა სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო. საკა-საციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში სასამართლო პრაქტიკიაზე დაყრდნობით იმსჯე-ლა ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერ საფუძვლებზე და სამართლებრივ ბუნება-ზე.⁵⁴

საკასაციო პალატის დასკვნით, მოთხოვნა სწორად დაქმაყოფილდა ნასყიდობის ხელშეკ-რულებიდან გასვლისა და გამყიდველისათვის, პირველი მყიდველის სასარგებლოდ, ნასყი-დობის ხელშეკრულების საფასურის ანგარიშში გადასახდელი 31440 ლარის, ხოლო მესამე მყიდველისათვის 16 800 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო, ვინაიდან, საკასაციო პა-ლატის მოსაზრებით, ჰიბრიდის დანარჩენ ნიმუშებზე: PR38R92 da PR35P12 არ იყო წარ-მოშობილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ამიტომ საკასაციო სასამართლოს გა-დაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და გამყიდველისათვის, პირველი, მეორე და მეოთხე მყიდ-ველის სასარგებლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის ანგარიშში თანხის ანაზ-ღაურების ნაწილში და საში მოსარჩელის სარჩელი უარყოფილ იქნა.⁵⁵

6.2.8.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 319-ე, 327-ე, 477-ე, 361.3, 286. 153.3 მუხლები, საჯა-რო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ და მე-11 მუხლის „ე“ პუნქტები.

განმარტებები:

- ა. ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა ევა-ლება იმ პირს, რომელსაც ვალდებულების შესრულებას ედავებიან. მოცემულ შემ-თხვევაში, გამყიდველის წინაშე ვალდებულების შესრულების (ნასყიდობის თანხის გადახდის) მტკიცების ტვირთი მყიდველს ეკისრება;
- ბ. მოვალისათვის დაკისრებული მტკიცების ვალდებულების შეუსრულებლობა, გა-ნაპირობებს მის მიერ წარდგენილი სარჩელის უარყოფას, კრედიტორის ფულადი მოთხოვნის შესრულებამდე კი, უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულ (დატ-ვირთულ) უძრავ ნივთზე უნდა შენარჩუნდეს წარმოშობილი ვალდებულება (იპო-თეკა).

გადაწყვეტილების შედეგი: მყიდველისა და მესაკუთრის სარჩელი უარყოფილ იქნა მოვალისათვის დაკისრებული მტკიცების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

პირველმა მოსარჩელემ (სანარმომ, მყიდველმა) და მეორე მოსარჩელემ (მენარმემ, მესა-კუთრემ) მოპასუხე სანარმოს (იპოთეკარის, გამყიდველ-მიმწოდებლის) მიმართ აღძრული სარჩელით სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა და ნასყიდობისა და იპოთეკის ხელ-შეკრულების შეწყვეტილად აღიარება მოითხოვეს.

⁵⁴ სუსგ-ები №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015, №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017, №ას-1189-1119-2015, 23 მარტი, 2016, №ას-146-142-2016, 23 მარტი, 2016.

⁵⁵ სუს გადაწყვეტილება, 08 ივნისი, 2018, №ას-38-38-2018.

სარჩელის მიხედვით, გარდა იმისა, რომ იპოთეკის ხელშეკრულება შეწყვეტილია ვადის გასვლით, მყიდველმა შეასრულა ნასყიდობა-მიწოდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალ-დებულება მიწოდებული პროდუქციისა და მოწყობილობების ღირებულების გადახდის თა-ობაზე, შესაბამისად, არა მარტო დაფარულია იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბული ზღვრული თანხა, არამედ გადახდილია ხელშეკრულებით შეთანხმებულზე მეტიც. ნოტარიუსმა კი, მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკის ხელშეკრულება შეწყვეტილია, გასცა სააღსრულებო ფურცელი იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით აღსასრულებლად.

მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში მოპასუხემ უარყო მოვალისაგან შესრულების მი-ლება და, მაშასადამე, ვალდებულების შესრულებით შეწყვეტილად აღიარება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნოტარიუსის მიერ მოპასუხის მოთხოვნით გაცემული სააღსრულებო ფურცელი გაუქმდა ნაწილობრივ იპოთეკით დატვირ-თული ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის ნაწილში, შეწყვეტილად იქნა აღიარებული მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დააკმაყოფილა მოპასუხის – გამყიდველის საკასაციო საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უარყო მყიდვე-ლისა და მესაკუთრის სარჩელები.⁵⁶ საკასაციო სასამართლოს მოტივაცია შემდეგია:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნასყიდობა-მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველის მიერ მიღებული საქონლის (პროდუქციის) ღირებულების გამყიდველისათვის/ მიმწოდებლისათვის გადახდა განეკუთვნება ფაქტს, რომლის დადასტურების შემთხვევა-ში, შესაძლებელია, სამართლებრივად შეფასდეს კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებუ-ლების შესრულებით (შესრულება), შეწყვეტის შესახებ ვალდებულებითი ურთიერთობა (სსკ-ის 427-ე მუხლი).

ამ დრომდე კი, კრედიტორის ფულადი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის საშუა-ლებად გამოყენებულ (დატვირთულ) უძრავ ნივთზე უნდა შენარჩუნდეს ნარმოშობილი ვალდებულება (იპოთეკა) (სსკ-ის 286-ე და 153.1 მუხლები; საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ და მე-11 მუხლის „ე“ პუნქტები).

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე კასატორის პრეტენზია, ძირითადი სადაცო ფაქტობრი-ვი გარემოების, ნასყიდობა-მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველის მიერ მიღებული საქონლის (პროდუქციის) ღირებულების გამყიდველისათვის/ მიმწოდებლისათ-ვის გადახდის, შესახებ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების თა-ობაზე.

საკასაციო პალატამ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა რა სსკ-ის 429-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების მტკიცების სტანდარტი მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოება მიღებული საქონლის (პრო-დუქციის) ღირებულების გამყიდველისათვის/ მიმწოდებლისათვის გადახდის შესახებ მყიდველის მტკიცების ტვირთს ნარმოადგენდა, რომლის სადაცობის შემთხვევაში, მხო-ლოდ მყიდველის ახსნა-განმარტება ვერ შეფასდება საკმარის მტკიცებულებად, რაც შე-იძლებოდა საფუძვლად დასდებოდა შედავებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურე-ბულად მიჩნევას და, მაშასადამე, სარჩელის დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის, ნასყიდობა-მიწო-დების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეწყვეტილად აღიარებისა

⁵⁶ სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას- 860-860-2018.

და ამავე ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული სანიკორო საშუალების გაუქმების გათვალისწინებით, სსკ-ის 102-ე მუხლისა და სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორედ იმ პირს ევალება ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა, რომელსაც ვალდებულების შესრულებას ედავებიან. მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველის (მოსარჩევის) ნინაშე ვალდებულების შესრულების (ნასყიდობის თანხის გადახდის) მტკიცების ტვირთი მყიდველს (მოპასუხეს, მოვალეს) ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეასრულა და ვერ შეძლო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის კრედიტორისათვის გადახდის დადასტურება.

სასამართლოს დასკვნით, მოვალისათვის დაკისრებული მტკიცების ვალდებულების შეუსრულებლობა, განაპირობებს მის მიერ წარდგენილი სარჩელის უარყოფას. კრედიტორის ფულადი მოთხოვნის შესრულებამდე კი, უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულ (დატვირთულ) უძრავ ნივთზე უნდა შენარჩუნდეს წარმოშობილი ვალდებულება (იპოთეკა) (სსკ-ის 286-ე და 153.1 მუხლები; საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ და მე-11 მუხლის „ე“ პუნქტები).

6.2.9.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 490-ე, 492-ე, სსკ-ის 477-ე, 487-ე, 491-ე, 405.1-ე, 352.1-ე, 494.1-ე, 394-ე.1-ე და 408.1-ე მუხლები.

განმარტებები: კანონიდან გამომდინარე, ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი შესრულება. დამატებითი შესრულების მოთხოვნა უპირატესია სხვა მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო.

მენარმე სუბიექტებს შორის ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში, სა-დაც გამყიდველის მოთხოვნას მყიდველის მიმართ ნასყიდობის საფასურის გადახდა და, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პირგასამტებლოს დაკისრება წარმოადგენს, მოსარჩელემ მოპასუხეს ხარისხობრივი ნაკლის მქონე გვაროვნული ნივთი გადასცა, რის თაობაზეც, მყიდველმა გამყიდველს წარუდგინა პრეტენზია და მოითხოვა დამატებითი შესრულება, რაც, სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გულისხმობდა ნასყიდობის საგნის შეცვლას. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ნაკლიანი პროდუქციის ნაცვლად, მოპასუხისათვის ახალი პროდუქცია არ მიუწოდებია. სარჩელი ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დააკმაყოფილეს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სააპელაციო სასამართლომ შეამცირა საქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებული პირგასამტებლო. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარყო სარჩელი სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების გამო.⁵⁷

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, კანონიდან გამომდინარე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი შესრულება (სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა და საკითხი უკავშირდება გვაროვნულ ნივთს, გამყიდველმა უნდა შეცვალოს ეს ნივთი საამისოდ აუცილებელი ვადით). დამატებითი შესრულების მოთხოვნა უპირატესია სხვა მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით (იგულისხმება სსკ-ის 477-ე და 492-ე მუხლები – ფასის შემცირება,

⁵⁷ სუს გადაწყვეტილება, 19 დეკემბერი, 2018, №ას-940-2018.

სსკ-ის 477-ე, 487-ე, 491-ე, 405.1-ე და 352.1-ე მუხლები – ხელშეკრულებიდან გასვლა, 477-ე, 494.1-ე, 394.1-ე და 408.1-ე მუხლები – ზიანის ანაზღაურება), რადგანაც, კონკრეტულ შემთხვევაში, მყიდველმა გამყიდველს შესრულებულის ახლით შეცვლა მოსთხოვა, სსკ-ის 492-ე მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის საფასურის შემცირების მოთხოვნის უფლებას ვერ გამოიყენებდა.

პალატამ სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის გათვალისწინებით აღნიშნა, როდესაც ნასყიდობის საგანს ნაკლებხარისხიანი გვაროვნული ნივთი ნარმოადგენს, გამყიდველის ვალდებულება არა მისი გამოსწორება, არამედ მისი ახლით შეცვლაა. ამდენად, ნაკლიანი გვაროვნული ნივთის ნასყიდობისას, მყიდველის მხრიდან ნასყიდობის საფასურის შემცირება იმდენით, რამდენიც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად, აზრს მოკლებულია, ვინაიდან ნაკლიანი გვაროვნული ნივთი მთლიანად შეცვლას ექვემდებარება.

სასამართლოს აზრით, ვინაიდან, მოპასუხის მოთხოვნის მიუხედავად, მოსარჩელემ უხარისხო ნივთი არ შეცვალა ხარისხიანით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს და, აქედან გამომდინარე, მოპასუხეს ნაკლიანი ნივთის (რომელიც შეცვლას ექვემდებარება) საფასურის გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა, შესაბამისად, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნული საფასურის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე.

6.2.10.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 477-ე, 352-359-ე, 398-399-ე მუხლები.

გამომარტივები:

- ა. ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს, რომელთა შორის უმთავრესი სხვაობა მხარეთა პოსტსახელშეკრულებო მდგომარეობაა.
- ა.ა. ხელშეკრულების/ვალდებულების შეწყვეტის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მხარები ინარჩუნებენ მიღებულ სიკეთეს;
- ა.ბ. ხელშეკრულებიდან გასვლისას, შეწყვეტისაგან განსხვავებით, კანონი ითვალისწინებს მხარეთა რესტიტუციის შესაძლებლობას;
- ა.გ. ხელშეკრულების მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ხსნებულ საკითხს აგვარებს, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირთვა აქვს და უკავშირდება სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირთა რესტიტუციას.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა, მყიდველს დაეკისრა ნასყიდობის საგნის საფასურის ლირებულების ანაზღაურება.

მენარმეებს შორის ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში, გამყიდველმა მოითხოვა მყიდველის მიერ მიუღებელი ნასყიდობის საგნის – საქონლის ნაწილის საფასურის დაკისრება ამ უკანასკნელისათვის. საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელი დააკმაყოფილა.⁵⁸

⁵⁸ სუს გადაწყვეტილება, 19 აპრილი, 2019, №ას-1076-996-2017.

საკასაციო სასამართლომ სარჩელის ფაზულაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სურს, მიიღოს იმდენი თანხა, რაც მას მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში გადაეცემოდა, თანხის ანაზღაურების ნინაპირობად კი, მხარე მყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უარს მიიჩნევს. სასამართლოს მითითებით, მართალია, მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას მოიაზრებს (სკ-ის 394-ე, 408.1, 411-ე, 412-ე მუხლები), თუმცა თანხის მოთხოვნას მოპასუხე ძირითადად იმ არგუმენტს უპირისპირებს, რომ მან ხელშეკრულებით განსაზღვრა შესაძენი საქონლის სავარაუდო მოცულობა საჭიროების მიხედვით. მისი განმარტებით, სწორედ ამას ემსახურებოდა ხელშეკრულების დათქმა მიწოდების წესთან დაკავშირებით (მოთხოვნის საფუძვლით გადაეცემოდა მოპასუხეს ნასყიდობის საგანი).

დავის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გამოთქმული პოზიციების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორი ითხოვს ხელშეკრულების შესრულებას (ე.წ. პირველადი მოთხოვნა) და არა მოვალის ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას (ე.წ. მეორეული მოთხოვნა). ამ მხრივ მოსარჩელის სამართლებრივი პოზიცია დაუსაბუთებელია, თუმცა ეს ვერ გახდება სარჩელის უარყოფის საფუძველი. სასამართლოს ამგვარი მიდგომა, გამომდინარეობს ერთგვაროვანი პრაქტიკიდან, რომლის თანახმადაც, მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და შეარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემსლელი. სამართალში დამკვიდრებული პრინციპი – „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი) საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული (პრაქტიკის თვალსაზრისით – მრავალთა შორის იხ. სუსგ-ეგები: №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017 წელი; №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი, ასევე, სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი).

ლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ, გავიდნენ ხელშეკრულებიდან (**სკ-ის 398.3 მუხლი**). ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე მსჯელობისას, რა საფუძვლითაც არ უნდა ხდებოდეს, შესამონმებელია, ხომ არ არსებობს გასვლის გამომრიცხველი წინაპირობები (რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ კანონმდებლობაში, მაგალითად, სკ-ის 358-ე, 442-ე-447-ე მუხლები, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა). რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი, რომელებიც ხსენებულ საკითხს აწესრიგებს, მას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დაცვირთვის დასკვნის საფუძველს უქმნის (მოშლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთვად უკავშირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირთა რესტიტუციას, იხ მაგ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა).

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ვალდებულება არ დაურღვევია, მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით შეიძინა ნასყიდობის საგანი და ვადის დაცვით შესთავაზა მოპასუხეს მისი მიღება, მყიდველმა ნასყიდობის საგანი ნაწილობრივ მიიღო კიდეც, თუმცა დარჩენილი ნაწილის მიღებაზე უარი გაანაცხადა. ამ უკანასკნელს არც შესაგებელში მიუთითებია და არც საქმის მასალებით არ არის დადგენილი იმგვარი წინაპირობები, რომლებიც სასამართლოს დასკვნას გამოატანინებდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მოიშალა, უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ გამყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის დათქმულ ვადაში ეტაპობრივად უნდა მიეწოდებინა, არ შეიძლება, შეფასდეს მხარეთა გრძელვადიან ურთიერთობად (მაგ: ქირავნობა, იჯარა და სხვა), თუმცა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, მყიდველს არ მიუთითებია იმგვარ გარემოებებზე, რომლებიც სსკ-ის 399-ე მუხლის მიზნებისათვის მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის პატივსადებ მიზეზად.

ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობს მისი მოშლილად მიჩნევის საფუძველი.

სასამართლომ ხელშეკრულების იურიდიული ძალმოსილების პირობებში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიიჩნია, რომელიც გამყიდველის უფლებადამცავი ნორმაა და ადგენს მყიდველის ვალდებულებას, მიიღოს საქონელი და გადაიხადოს ფასი. სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, მოსარჩელე არა საქონლის მიღების დაგალდებულებას არამედ, მხოლოდ ფასის ანაზღაურებას მოითხოვს და, სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ამ ფარგლებს ვერ გასცდება, თუმცა ეს გარემოება მოპასუხის მდგომარეობას არ გააუარესებს, რადგანაც, სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მას არ დაუკარგავს უფლება, გამყიდველს მოსთხოვოს ქონების გადაცემა.

6.2.11.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 491-ე მუხლები.

გამოარტება: შემსყიდველმა სარჩელზე შესაგებლის წარდგენით, სადაც აღნიშნავდა, რომ საერთოდ არ მიუღია მოსავალი, უარყო ნასყიდობის საფასურის გადახდა, რითაც უარი თქვა ხელშეკრულებაზე.

დაბრუნების მოტივაცია: დასადგენია ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, გასარკვევია სათესლე სიმინდის იგივეობა (იდენტობა) დროის თვალსაზრისით და სავეგეტაციო ქოთხებში მომზადებული ნიადაგის მსგავსება იმ ნიადაგსა და პირობებთან, რომელიც, ჩვეულებრივ, კონკრეტული სპეციფიკაციის სათესლე მასალის აღმოცენებას უკავშირდება.

საწარმომ (გამყიდველი) სარჩელი აღძრა შემსყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპა-
სუხისათვის სიმინდის თესლის ნასყიდობის საფასურის დაკისრება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო
სასამართლომ, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა გამ-
ყიდველის საკასაციო საჩივარი და დაბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელა-
ციო სასამართლოში,⁵⁹ სადავო სამართალურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისას, ყუ-
რადღება გაამახვილა, რომ კრედიტორმა (მოსარჩელემ, გამყიდველმა) ნასყიდობის საგნის
გადაცემის შემდეგ, მოითხოვა შესრულება, ხოლო შემდეგ, სარჩელის აღმდებრით, გავიდა
ხელშეკრულებიდან. საგულისხმოა, რომ მოპასუხეს (მყიდველს), ნივთის ნაკლის გამო, არ
მოუთხოვია ხელშეკრულების მოშლა სსკ-ის 352-ე მუხლის საფუძველზე (სსკ-ის 491-ე მუხ-
ლი), არც მოთხოვნათა გაქვითვა ან ნივთის გამოცვლა. შემსყიდველმა სარჩელზე შესაგებ-
ლის წარდგენით, სადაც აღნიშნავდა, რომ საერთოდ არ მიუღია მოსავალი, უარყო ნასყი-
დობის საფასურის გადახდა, რითაც მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე.

საკასაციო სასამართლომ შეაფასა რა საქმის მასალებში წარდგენილი მტკიცებულება-ლა-
ბორატორიული დასკვნა (რომლის მიხედვით – „ლაბორატორიულ პირობებში წარმოდგე-
ნილი თესლის გარკვეული ნაწილი ჩაითხსა სავეგეტაციო ქოთნებში მომზადებულ ნიადაგში
და მარცვლის 8% აღმოცენდა“), აღნიშნა, რომ მასში მითითებული მსჯელობით, არ დგინ-
დება, სავეგეტაციო ქოთნებში მომზადებული ნიადაგი არის თუ არა კონკრეტული სასი-
მინდე თესლის აღმოცენებისათვის შესატყვისი ის ბუნებრივი გარემო და პირობები, რომე-
ლიც დაადასტურებდა, რომ სათესლე მასალა გამოყენებულია იდენტურ ნიადაგსა და პი-
რობებში, რომელიც, ჩვეულებრივ, კონკრეტული სპეციფიკის სათესლე მასალის აღ-
მოცენებას უკავშირდება; ასევე, დაუდგენელია, ლაბორატორიული ანალიზის შედეგებით,
ქოთნებში აღმოცენებული სიმინდის მარცვლის 8% ადასტურებს თუ არა, რომ სათესლე
ჯიშის მასალის ბუნებრივ გარემოში დათესვით, მარცვალი უფრო მეტი ან ნაკლები პრო-
ცენტით აღმოცენდებოდა. ამ ფაქტების კვლევისა და დადგენის კომპეტენცია სცილდება
საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, თუმცა სასამართლოს მნიშვნელოვნად მი-
აჩნია კონკრეტული ფაქტების დადგენა, რათა შეფასდეს, საერთოდ მიიღო თუ არა შემ-
სყიდველმა მოსავალი შეძენილი სასიმინდე მასალით.

კასატორის (გამყიდველის) პრეტენზიდან გამომდინარე, რომ ლაბორატორიული ანალი-
ზისათვის სათესლე მასალა გადაცემულია 2013 წელს, მაშინ, როდესაც 2011 წელს უნდა
დათესილიყო მოსავალი, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასადგენია, 2013 წელს
საკვლევად გამოყენებული სათესლე მასალა იდენტური იყო თუ არა 2011 წელს გაყიდული
სასიმინდე მარცვლის ბუნებრივი თვისებებისა, დროის გარკვეული პერიოდის გასვლამ
იმოქმედა თუ არა საკვლევ მასალაზე. მითითებული ფაქტების კვლევა და დადგენა უტყუ-
არ და დამაჯერებელ მტკიცებულებებს შექმნის, რომელთა გარეშე შეუძლებელია სადავო
სამართალურთიერთობის შეფასება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

6.2.12.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, 115-ე, 477-ე მუხლები,
განვითარება: შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ვადის დარღვევით საქონლის მი-
ღების საფუძვლის, ასევე, დაწუნებული საქონლის 6-7 თვის გასვლის შემდეგ დაბრუ-
ნების მოტივის გარკვევა მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში მხარეთა კეთილ-
სინდისიერი მოქმედების, სამოქალაქო უფლებათა ბოროტად გამოყენების არიდების
თვალსაზრისით.

⁵⁹ სუს განჩინება, 15 იანვარი, 2016, №ას-777-734-2015.

დაპრუნების დასაბუთება: გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუქტი, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუქტი.

საწარმომ სარჩელი აღძრა სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებულად აღიარება და მოპასუხის დავალდებულება, მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია 904 ერთეულ საქონელზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საწარმოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღიარებულ იქნა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი 564 ერთეული საქონლის მიწოდების ნაწილში, იმავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 7 596 ერთეული საქონლის მიღებაზე სამინისტროს დავალდებულების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

საპეტარიო სასამართლოს გადაწყვეტილებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და, ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. არ დაკმაყოფილდა საწარმოს მოთხოვნა, რომლითაც ითხოვდა, აღიარებულიყო მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი, 564 ერთეულ საქონელზე. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლომ საწარმოს საკასაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, რომლის საგანია მოძრავი ნივთი და მისი მიწოდების ვალდებულება ეკისრება საწარმოს. მხარეთა შორის არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი ჩაბარების წესიც განისაზღვრა კონკრეტულ ვადით.

საკასაციო სასამართლოს აზრით, დაზუსტებული საკასაციო საჩივრის ფარგლებში დამატებით კვლევასა და დასაბუთებას საჭიროებს მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის – გაფორმებული ხელშეკრულების კონტექსტით, მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამინისტროს მიერ 39 280.90 ლარის საქონლის მიღებას. გასარკვევია, ხელშეკრულების ვადის დარღვევით, რა საფუძვლით მიიღო შემსყიდველმა საქონელი, ასევე, რამ განაპირობა დანუნებული საქონლის დაბრუნება 6-7 თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილისა და 115-ე მუხლის გათვალისწინებით, სამოქალაქო ბრუნვაში მხარეთა კეთილსინდისისერი მოქმედების, სამოქალაქო უფლებათა ბოროტად გამოყენების არიდების თვალსაზრისით, ასევე, შესაფასებელია, საქონლის მიწოდების აქტებზე კონკრეტული რეკვიზიტების არარსებობა თუ მონაცემების მიუთითებლობა, რამდენად შეიძლება, დაედოს საფუძვლად ვალდებულების შესრულებულად აღიარების უარყოფას იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ მხარეთა შორის საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე აქტებზე ხელმომწერ პირთა უფლებამოსილება სადაცო არ გამხდარა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში, სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების არასაკრისი იურიდიული დასაბუთებულობის გამო.⁶⁰

⁶⁰ სუს განჩინება, 21 მარტი, 2016, №ას-992-936-2015.

6.2.13.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 477-ე, 394.1.-ე. 408.1.-ე, 409-ე მუხლები.

განმარტება: მოსარჩელების მიერ მოხმარებული ელენერგიის გადახდის ვალდებულების დარღვევა მოპასუხეს არ აძლევდა უფლებას, სათანადო წინაპირობების არსებობის გარეშე თვითდახმარების გზით (სსკ-ის 118-ე მუხლი) მხარისათვის ელენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. მას უფლება ჰქონდა, შესრულების (დავალიანების დაფარვის) მოთხოვნით (პირველადი მოთხოვნა) სასამართლოსათვის მიემართა.

დაპრუცების დასაპუთიება: სააპელაციო სასამართლომ მხარებს შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და მცდარად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები განაპირობა.

ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გამო, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მენარმის წინააღმდეგ აღძრულ დავაში მოპასუხე მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მიუთითებდა სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ დაგალიანების გამო, რადგანაც აბონენტი ვალდებული იყო, დადგენილი ვადით გადაეხადა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ მიმწოდებელს შეუძლია, მოხმარებელს პროდუქციის მიწოდება შეუწყვიტოს. საკასაციო სასამართლომ გააუქმა რა სარჩელის უარყოფის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე დააპრუნა ხელახლა განსახილველად⁶¹ შემდეგი მოტივაციით: სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელების მხრიდან მოხმარებული ელენერგიის გადახდის ვალდებულების დარღვევა მოპასუხეს არ აძლევდა უფლებას, სათანადო წინაპირობების არსებობის გარეშე თვითდახმარების გზით (სსკ-ის 118-ე მუხლი) მხარისათვის ელენერგიის მიწოდება შეუწყიტა. მას უფლება ჰქონდა, შესრულების (დავალიანების დაფარვის) მოთხოვნით (პირველადი მოთხოვნა) სასამართლოსათვის მიემართა. ის ფაქტი, რომ მოპასუხებ სახელშეკრულებო ვალდებულება დაარღვია (მართლსანინააღმდეგო მოქმედება) მოსარჩელებმა დაამტკიცეს, მათ მიუთითეს დარღვევის შედეგად წარმოშობილ ზიანსა და მის ოდენობაზეც, რომლის შემდეგაც მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადავიდა და სწორედ ამ უკანასკნელს ევალებოდა სსკ-ის 494-ე მუხლისა და 394-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების დამტკიცება.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ გენერატორის ხარჯის გაღება დამქირავებელს ევალებოდა და აღნიშნა, ვინაიდან სადაცო პერიოდში მოპასუხებ მართლსანინააღმდეგო შეუწყვიტა მოსარჩელებს გენერატორით გამომუშავებული ელექტროენერგია, რომლის საწვავის ხარჯის გაღებაც დამქირავებლის ვალდებულებას არ წარმოადგენდა, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გენერატორს საწვავით უზრუნველყოფნებ მოსარჩელეები და ამ პრეზუმფციის უარყოფის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება, რაც გულისხმობს მოპასუხეს მიერ მტკიცებას – გენერატორი საწვავით არა მოსარჩელეებმა, არამედ სხვა პირებმა მოამარაგეს. სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიერს, გენერატორი რამდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა ყოველდღიურად სადაცო პერიოდში. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარებს შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და მცდარად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები განაპირობა.

⁶¹ სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1002-923-2017.

6.2.14.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 128-130, 144-ე, 341-ე მუხლები.

განმარტება: ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება.

დაპრუნების საფუძველი: გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა მიღებული, ვინაიდან გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მიმწოდებელსა და აბონენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, აბონენტს 96 თვეზე გადაუნაწილდა ელექტროენერგიის გადაუხდებობით წარმოშობილი დავალიანება, თვეში გარკვეული თანხის გადახდის პირობით. მოსარჩელემ (მიმწოდებელმა) მოპასუხის (აბონენტის) წინააღმდეგ დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით აღძრულ სარჩელში აღნიშნა, რომ მხარეთა შეთანხმება წარმოადგენდა ვალის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებას. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან დავის გადაწყვეტა დაკავშირებულია დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის სწორ გადაწყვეტასთან, საკასაციო საჩივარი წარმოადგენდა უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.⁶²

საქმეში მოსარჩელის მიერ საკასაციო შედავება (პრეტენზია) წარდგენილია სწორედ სსკ-ის 341-ე მუხლისა და 144-ე მუხლის არასწორი განმარტებისა და გამოყენების თვალსაზრისით. მისი მტკიცებით, სადაც დავალიანება წარმოადგენდა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით აღიარებული დავალიანებიდან გადაუხდელ წარმოშობილი და მუხლის 341-ე მუხლის კვალიფიკაციის ვარგის საფუძვლად. აგრეთვე, შეამოწმოს სსკ-ის 144-ე მუხლის წანამდლვრები. ამ მიზნით, გამოსაკვლევია ელექტროენერგიის გადაუხდებობით წარმოშობილი დავალიანების გადანაწილება რა სამართლებრივი დატვირთვის მქონეა, რამდენად შეიძლება, იგი იქცეს სახელშეკრულებო თვითბოჭვის ქმედით მექანიზმად იმ პირობებში, როდესაც აბონენტი დამოკიდებულია მიმწოდებელზე სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათის (ელენერგიის მიწოდება) გათვალისწინებით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს, წარმოადგენს თუ არა სადაც შეთანხმება სსკ-ის 341-ე მუხლის სამართლებრივი წანამდლვრებისა და წორმატიული შინაარსის გათვალისწინებით, ვალის არსებობის აღიარებას.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 341-ე მუხლის წორმატიული შინაარსის განმარტების საკითხზე დადგენილ სტაბილურ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით – „ვალის აღიარების ხელშეკრულება თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა, კერძოდ, კონსტიტუციური ან დეკლარაციული ხასიათის. კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით ახალი ხელშეკრულება იდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, წარმოშობა ახალი მოთხოვნა,

⁶² სუს განჩინება, 10 ნოემბერი, 2017, №ას-791-740-2017.

მიუხედავად ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ასეთივე ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა თუ შინაარსზე. სწორედ აღნიშნული სახის ვალის არსებობის აღიარებას ითვალისწინებს სსკის 341-ე მუხლის პირველი ნაწილი. ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი, ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (სუსკ №ას-839-890-2011, 08.11.2011წ.; №ას-226-213-2015, 18 მაისი, 2015წ.; №ას-226-213-2015, 18 მაისი, 2015).

6.2.15.

გამოყენებული ნორმები: საგადასახადო კოდექსის 136.4.-ე, 286-ე მუხლები.

განვითარება: სასაქონლო ზედნადები არის საქონლის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი და მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მიწოდებული საქონლის ოდენობასა და მის ფასს.

დაბრუნების საფუძველი: საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამყიდველის – საწარმოს (მოსარჩევის) მოთხოვნა მყიდველის (მოპასუხის) მიმართ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარდენის გზით მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების – მოპასუხესთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულების არსებობის თაობაზე. ამდენად, არ არსებობდა საწარმოს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ნასყიდობის საფასურის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, ვინაიდან საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.⁶³

საწარმომ (მოსარჩელემ) საკუთარი მოთხოვნის ფაქტობრივსამართლებრივ საფუძვლად მიუთითა იმაზე, რომ მოპასუხეს ზეპირი ხელშეკრულებით მიაწოდა საქონელი, ხოლო გადაცემული საქონლის დასტურად სასამართლოს წარუდგინა სასაქონლო ელექტრონული ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას ეხება საკითხი, საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლითაც საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში დადგენილია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები, ამავე კოდექსის 286-ე მუხლით დადგენილია საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და აღურიცხველობის შედეგი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო

⁶³ სუს განჩინება, 13 ნოემბერი, 2017, №ას-599-558-2017.

მტკიცების ტვირთის უთანაბრო წილი დააკისრა მოსარჩელეს და მის მიერ წარდგენილი არაერთი მტკიცებულების (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები), საქმე-ზე მოწმედ დაკითხული პირების განმარტებების, რომელთაგან ერთ-ერთი მოპასუხის (მყიდველის) სიმამრია, საპირისპიროდ ჯეროვნად არ შეამოწმა მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცების სამართლებრივი ვარგისიანობა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალურად გაანალიზება არ ქმნის იმ დასკვნის ცალსახად გამოტანის შესაძლებლობას, რომ საწარმოს მიერ შექმნილი ღოკუმენტი – სასაქონლო ზედნადები, მხარეებს შორის ხელშეკრულების დადების ფაქტს არ ადასტურებს. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ღოკუმენტზე, როგორც მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შექმნილ და არასარწმუნო მტკიცებულებაზე მსჯელობა, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო უთითებს, თანაც იმ პირობებში, როდესაც ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ინსტრუქციაზე დაყრდნობით არ არსებობს მყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადების დადასტურების ვალდებულება, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საგადასახადო მოწესრიგებიდან.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი კვლევის დროს, საწარმოს მიერ აღძრული სარჩელის გასაქარწყლებლად მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებების სარწმუნობა ხელახლა უნდა შეფასდეს და დადგინდეს, სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, რომლებშიც ყველა რეკვიზიტი ამომწურავად არის მითითებული, გამყიდველის მხრიდან რა ფასიანი

საქონლის მოთხოვნის უფლება შეიძლება, ჩაითვალოს დასაბუთებულად.

6.2.16.

გამოყენებული ნორმები: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 477-ე, 488-ე, 493-ე მუხლები, სსკ-ის 131-ე მუხლი.

განმარტება: მიმწოდებლის (გამყიდველი) მხრიდან ნაკლიანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, მოთხოვნის წინაპირობა მოცემულია სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმადაც, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთს მცირე რაოდენობით. მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, სსკ-ის 493-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება და „წესების“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი წარმოადგენს.

დაპრუნების საფუძვლი: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. დავის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია საპროცესო წესების დარღვევით და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე, რომელიც ითხოვს მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, ნარმოადგენს აბონენტს, ხოლო მოპასუხე – განაწილების ლიცენზიატს, რომელიც აბონენტს აწვდის ელექტროენერგიას. ლაბორატორიული შემოწმების შედეგად მრიცხველი, მექანიკური დაზიანების გამო, აღმოჩნდა გაუმართავი, რის გამოც ელექტროენერგიას აღრიცხავდა ცდომილებით მომხმარებლის საზიანოდ. მრიცხველის დაზიანების ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია. ქვემდგომმა სასამართლებმა სარჩელი უარყვეს, საკასაციო სასამართლომ, მიიჩნია, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში ვლინდება გასაჩივრებული განჩინების გა-

უქმების სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებით გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.⁶⁴

საკასაციო სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის არსებობს ნასყიდობის სამართალურთიერთობა, რომელიც სსკ-ის 477-ე და შემდგომ ნორმებთან ერთად რეგულირდება აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სემეკის დადგენილებით დამტკიცებული წესებით, სასარჩელო მოთხოვნის საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის (გამყიდველი) მხრიდან ნაკლიანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ასეთ ვითარებაში კი, მოთხოვნის წინაპირობა მოცემულია სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმადაც, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთს მცირე რაოდენობით. რაც შეეხება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, მას სსკ-ის 493-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება და „წესების“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი წარმოადგენს.

მოპასუხის არსებითი ხასიათის შესაგებელი, მართალია, მოთხოვნის წარმოშობის დროს ხდის სადავოდ, მაგრამ სადავოდ არა იმას, რომ შემოწმების შედეგად დადგენილია მრიცხველის ცდომილების ფაქტი, ამასთანავე, გამოთქვამს მზაობას, აუნაზღაუროს აბონენტს ბოლო სამი თვის ზედმეტად გადახდილი თანხა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ეს გარემოება შეაფასეს სსკ-ის 131-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტის აღიარების წინაპირობების არსებობის შეუმოწმებლად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მრიცხველის დაზიანების ზუსტი დრო, ამ მხრივ, არც საკასაციო საჩივრი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტეზიას, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სრულად უარყოფის საფუძველი ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკანონებული გაზომვის საშუალებების სავალდებულო დამოწმებისათვის ელექტრონურგიის მრიცხველებისათვის ვადა განისაზღვრება 12 წლით. „წესების“ მე-11 მუხლის მე-3, მე-7, 8¹ პუნქტების ანალიზით ცალსახად დგინდება, რომ, როგორც გეგმური, ისე – საცალო მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არაგეგმური შემოწმებისათვის მრიცხველის წარდგენა განაწილების ლიცენზიატის ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს გეგმური 12-წლიანი შემოწმების საკითხი.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ქვემდგომა სასამართლოებმა ისე დაადგინეს მრიცხველის კანონით დადგენილი ვადით გეგმურად შემოწმების ფაქტი, რომ არ გამოუკვლევიათ, ზემოხსენებული თარიღების გათვალისწინებით, განაწილების ლიცენზიატმა დაიცვა თუ არა შემოწმების ვადა და ამ გზით ხომ არ დაარღვია ხელშეკრულება. ამასთანავე, შესაფასებელია გადამოწმების 12 წელს გადაცილება, თვეთა რაოდენობა ხომ არ წარმოშობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წინაპირობას.

სასამართლოს აზრით, მართალია, საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის ის ფაქტი, რომ აბონენტის საწინააღმდეგოდ, მრიცხველის ცდომილება დადგენილია დასშვებ ფარგლებში, მაგრამ, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების წინაპირობებისა და მოპასუხის მიერ შესაგებელში გადმოცემული 3 თვის კომპენსაციის გათვალისწინებით, ეს გარემოება სარჩელის წარმატების გამომრიცხველი არ შეიძლება გახდეს.

⁶⁴ სუს განჩინება, 22 თებერვალი, 2019, №ას-1164-1084-2017.

6.3. ქირავნობა, იჯარა

6.3.1.

გამოყენებული წორმაპი: სსკ-ის 50-ე, 52-ე, 548.1. და 573.2. მუხლები.

გამონართება: კანონმდებელი განასხვავებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე რემონტის და არსებითი გაუმჯობესებისათვის განეულ ხარჯებს იმისდა მიხედვით, თუ დამქირავებელმა რა სახის, რა მასშტაბისა და ხასიათის სამუშაო შეასრულა, კერძოდ, ფართი არსებითად გააუმჯობესა თუ არა, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ადგენს ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის. ერთ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელმა მიმდინარე რემონტის ხარჯი გაიღო, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუკი შესრულებული სამუშაოები სცდება მიმდინარე რემონტის ფარგლებს და ამ სამუშაოთა შედეგად ქირავნობის საგანი არსებითად გაუმჯობესდა, ამისათვის განეული ხარჯები ექვემდებარება გამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას, თუკი გამქირავებლის თანხმობით გაუმჯობესდა ფართი.

გადაწყვეტილების შედეგი: გამქირავებელს მიმდინარე რემონტის ხარჯები არ დაეკისრა.

ქირავნობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავის საგანს გამქირავებლის ძირითად სარჩელში-ქირავნობის საგანზე განეული ხარჯების ანაზღაურება და ქირის გადახდევინება, ხოლო დამქირავებლის შეგებებულ სარჩელში – ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივრები (სარჩელები) და კამაყოფილდა ნაწილობრივ, ახალი გადაწყვეტილებით – დამქირავებელს, გამქირავებლის სასარგებლოდ, ხოლო გამქირავებელს, დამქირავებლის სასარგებლოდ, მათ მიერ სარჩელებში მოთხოვნილი გარკვეული თანხის ნაწილის გადახდა დაეკისრათ.

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით **სამართლებრივი შედეგის შეცვლა და სარჩელთა უარყოფა** განაპირობა მხარეთა შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულების მე-6 და მე-7 პუნქტების სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებულმა სამართლებრივმა ანალიზმა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია შეთანხმების დადების დროს გამქირავებლისა და დამქირავებლის მიერ გამოვლენილი ნების დადგენა (სსკ-ის 50-ე, 52-ე მუხლები). ქირავნობის ხელშეკრულების მე-6 პუნქტით, დამქირავებელი „მოვალეა უძრავი ქონება იქონიოს გამართულ მდგომარეობაში, განახორციელოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, მეპატრონის თანხმობით მოახდინოს სარგებლობაში გადაცემული ფართის რეკონსტრუქცია-გადაკეთება“, ხოლო მე-7 პუნქტით დამქირავებელი „მიმდინარე კაპიტალურ რემონტსა და რეკონსტრუქციას დაახლოებით 20 000 (ოცი ათასი) ლარის ფარგლებში განახორციელებს საკუთარი სახსრებით, ეტაპობრივად. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება მესაკუთრეს“.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით მსარებებ შეთანხმდნენ არა მხოლოდ მიმდინარე და კაპიტალურ რემონტზე, არამედ რეკონსტრუქციაზეც, რასაც დამქირავებელი საკუთარი სახსრებით განახორციელებდა ეტაპობრივად. „სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე. დამქირავებელი მოვალეა, ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. ამავე კოდექსის 573-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო, გამქირავებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფ-

⁶⁵ სუს გადაწყვეტილება, 12 იანვარი, 2016, №ას-744-705-2015.

ლება აქვს, წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში... მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებლი განასხვავებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე რემონტისა და არსებითი გაუმჯობესებისათვის განხეულ ხარჯებს იმისდა მიხედვით, თუ დამქირავებელმა რა სახის, რა მასშტაბისა და ხასიათის სამუშაო შეასრულა, კერძოდ, მიმდინარე რემონტი ჩაატარა თუ ფართი არსებითად გააუმჯობესა, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ადგენს ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის. ერთ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელმა მიმდინარე რემონტის ხარჯი გაიღო, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუკი ჩატარებული სამუშაოები სცდება მიმდინარე რემონტის ფარგლებს და ამ სამუშაოთა შედეგად ქირავნობის საგანი არსებითად გაუმჯობესდა, ამისათვის განხეული ხარჯები ექვემდებარება გამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას, თუკი გამქირავებლის თანხმობით გაუმჯობესდა ფართი (სუსგ № ას 648-616-2013, 02.06.2014წ.)."

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ გაზიფიცირების სამუშაოებით გამქირავებელმა მიიღო სარგებელი და ამ სამუშაოთა შედეგით მას შეეძლება, ისარგებლოს ისე, რომ თავად აღარ დასჭირდება ხარჯების გაწევა ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურით სამეწარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის აღსაფურვად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით, მხარეები შეთანხმდნენ გრძელვადიან ურთიერთობაზე, ამასთან, დამქირავებელს საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებოდა გარკვეული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ფართი, რისთვისაც ხელშეკვრელმა მხარეებმა იტვირთეს ის ვალდებულებებზე, რაც უკავშირდებოდა მათ მიზნებს, ამასთან, მოემსახურებოდა დამქირავებლის საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დასაბუთებულად მიაჩნია გამქირავებლის შედავება, რომ მას არასწორად დაეკისრა დამქირავებლის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ, გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ გაზიფიცირების სამუშაოები იყო ის მიმდინარე სამუშაოები, რომელიც დამქირავებელს საკუთარი საქმიანობისათვის სჭირდებოდა და ხელშეკრულების ხელმოწერიდან, შენობის გათავისუფლებამდე, თვითონვე სარგებლობდა ამ ინფრასტრუქტურით. პალატის აზრით, აღნიშნული დასკვნის მართებულობას ის ფაქტობრივი გარემოებაც ადასტურებს, რომ გამქირავებლის წერილობითი მოთხოვნისთანავე, დამქირავებელს არ შეუწყვეტია დაქირავებული ფართის მფლობელობა, იგი აგრძელებდა ნივთით სარგებლობას, მათ შორის – გამქირავებელთან შეუთანხმებლად, ქვექირავნობით ჰქონდა გაცემული ფართი, რომლის ქირასაც იღებდა, ამიტომ დამქირავებლის მიერ გაზიფიცირებისათვის განხეული ხარჯების გამქირავებლისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადგებული ხელშეკრულება მათ ნებას შეესაბამებოდა, ამასთან, დამქირავებლის დაინტერესების საგანი იყო მისი საქმიანობიდან გამომდინარე, საკუთარი სახსრებით (ეტაპობრივად, გარკვეული თანხის ფარგლებში), სამუშაოთა შესრულება, რაც არა მხოლოდ მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, არამედ რეკონსტრუქციის უფლებასაც აძლევდა. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ პირვანდელი ვითარების აღსადგენად, ზიანის აღმოსაფხვრელად დამქირავებლისათვის თანხის დაკისრება გამქირავებლის სასარგებლოდ, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებებიდან. გამქირავებელს არ მისდგომია ზიანი, გაქირავებულ ფართში შესრულდა გარკვეული სამუშაოები მხარეთა შეთანხმების შესაბამისად და არ არსებობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

6.3.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 411-ე, 326-ე, 982-ე მუხლები, პაციენტის უფ-ლებების შესახებ კანონის მე-8 მუხლი.

გამომართებები: სსკ-ისს 411-ე მუხლი იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნა-ხები და არა კრებიტორის სუბიექტური შეფასებით.

მიუღებელი შემოსავალი არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულის-ხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმა-ლური განვითარების შედეგად.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი გადახდილი საიჯარო ქირის დაბრუნების ნა-ნილში დაკმაყოფილდა, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების ნა-ნილში უარყოფილ იქნა ასეთი ზიანის არარსებობის გამო.

მენარმე სუბიექტებს შორის დავაში საკასაციო სასამართლომ უარყო სარჩელი მოპასუხი-სათვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე.⁶⁶

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით მიღებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა იმ გარემოებას დაემყარა, რომ მის მიერ იჯარით აღებულ ფართში გარკვეული პერიოდი უნებართვოდ განთავსდა და ფუნქციონირებდა მოიჯარის ყოფილი თანამშრომლების მიერ დაფუძნებული სამენარმეო სუბიექტი, რომელიც ახორციელებდა მოსარჩელე პოლიკლინიკის ანალოგიურ საქმიანობას. ამით მოპასუხემ მიისაკუთრა მოსარჩელის ბენეფიციარები, რის შედეგად მოსარჩელემ დაკარგა გარკვეული შემოსავალი თვიურად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, განხორციელებულად არ მიიჩნევა სსკ-ის 411-ე მუხლის ნანამდღვრები, რაც საფუძვლად დაედებოდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას. ვინაიდან, მიუღებელი შემოსავალი გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში – არც იარესებებდა (**სუს-№ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015 წელი**).

პალატის განმარტებით, იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, პირდაპირ და უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას. პირდაპირი კავშირი გულისხმობს მოვლენების, მოქმედებისა და შედეგის იმ ლოგიკურ ბმას, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (**სუს-ის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011**).

მოსარჩელის მიერ დასახელებული და საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე პოლიკლინიკის მიერ იჯარით აღებულ ფართში განმავლობაში ფუნქციონირებდა მოპასუხე პოლიკლინიკა, საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია იმის საფუძვლად, რომ მოსარჩელემ დაკარგა ბენეფიციარები და მისთვის მიყენებული ზიანი გასულ წლებში მის მიერ მიღებული შემოსავლის პროპორციულია. დაუსაბუთებელია ბენეფიციარების დაკარგვით მიყენებული ზიანის დაანგარიშება

⁶⁶ სუს გადაწყვეტილება, 12 იანვარი, 2018, №ას-1006-927-2017.

მოსარჩელე პოლიკლინიკის ფილიალის მიერ გასულ წლებში ბენეფიციარებისათვის განეული მომსახურების მიხედვითაც.

პალატის აზრით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ მართლზომიერი საფუძვლის გარეშე ისარგებლა მოსარჩელის მიერ იჯარით აღებული ფართით და პაციენტებს შესთავაზა იგივე მომსახურება, არსებითი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საიჯარო ქირის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევის და არა – მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „პაციენტის უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონით, პაციენტი (ბენეფიციარი) აღჭურვილია თავისუფალი არჩევანის უფლებით, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ პირს დაუბრკოლებლად შეუძლია, თავად აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი (მუხლი 8. ამ კანონის ერთ-ერთ მიზანს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვა წარმოადგენს იხ. მუხლი 1), ამიტომ დაუდასტურებელია, რამდენი ბენეფიციარი დაკარგა სადაც პერიოდში მოსარჩელემ და, რაც უმთავრესია, საექსპერტო კვლევაში ასახულ წლებში მოსარჩელე პოლიკლინიკის მიერ მიღებული ბენეფიციარები კვლავ იმავე პოლიკლინიკი-საგან მიღებდნენ თუ არა მომსახურებას, ხოლო სამედიცინო მომსახურების მოსარჩელე პოლიკლინიკისაგან მიუღებლობას რა ბრალი შეიძლება პერიოდა მოპასუხე პოლიკლინიკის მიერ კანონით ნებადართულ და მის შესაბამისად განხორციელებულ საქმიანობაში. სასამართლომ აღნიშნა, არათუ მიუღებელი შემოსავლის სახით წარმოშობილი ზიანის დაკისრების განმაპირობებელი მიზეზშედეგობრივი კავშირი, არამედ ზიანის ფაქტის არსებობა არ არის დადასტურებული, რაც სარჩელის უარყოფისა და დაუსაბუთებლობის მოტივით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საკმარისი საფუძველია.

6.3.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 581-ე მუხლი, საგადასახადო კოდექსის მე-80, 81-ე მუხლები.

განმარტება: სახელმწიფოს მიმართ ანგარიშსნორებისას საშემოსავლო გადასახადი გამოიანგარიშება მიღებული შემოსავლიდან და თავად ეს გადასახადი წარმოადგენს არა ცალკეულ, დამოკიდებელ თანხას, არამედ რეზიდენტი ფიზიკური პირის შეირგოვითვების გათვალისწინებით მისაღები შემოსავლის პროცენტს.

დაგრუების საფუძველი: სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

იჯარის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში ქვემდგომმა სასამართლოებმა მეიჯარის სარჩელი (მოთხოვნა) მოიჯარისათვის (მენარმე) საშემოსავლო გადასახადისა და ერთი თვის ქირის გადახდის ნაწილში დააკმაყოფილეს. მოიჯარის (მოპასუხის) საკასაციო საჩივრის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა დამატებითი შეთანხმების ნამდვილობა და ამ შეთანხმების საფუძველზე მოიჯარისათვის საშემოსავლო გადასახადის დაკისრება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორის (მოიჯარის) პოზიცია, რომ დამატებითი შეთანხმების ფარგლებში გამოვლენილი მხარეთა ნება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნისა და განხორციელებული შესრულების (გადახდილი საიჯარო ქირის ოდენობის) ფარგლების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნა, რომ არსებობდა საშემოსავლო გადასახადის, ასევე – ბოლო თვის ქირის მოიჯარისათვის დაკისრების თაობაზე სარჩე-

ლის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარება საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (სსკ-ის 105.2 მუხლი), შეკრებილი მტკიცებულებები სათანადოდ არ შეფასდა, რის გამოც საშემოსავლო გადასახადისა და ერთი თვის საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია და მისი სისწორე გაიზიარა საკასაციო სასამართლოც იმის შესახებ, რომ დამატებითი გარიგებით მოიჯარემ, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, იკისრა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომელიც არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელ პირზე შეთანხმებას. დადგენილია ის გარემოებაც, რომ მოიჯარე ყოველთვიურად იხდიდა ქირას და მან ეს ვალდებულება შეასრულა მეტობით, თუმცა ქვემდგომა სასამართლომ არ გაიზიარა მოიჯარის მტკიცება იმის შესახებ, რომ შესრულება იყო ქირის წინსწრებით დაფარვა და არა ქირისაგან დამოუკიდებლად საშემოსავლო გადასახადის გადახდა;

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ იჯარის ქირა იყო 3 000 აშშ დოლარი, რომელიც სრულად უნდა მიეღო მეიჯარეს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი ამ ქირის ოდენობასთან ერთად – 600 აშშ დოლარი, რომელიც ცალკე ანგარიშსწორებას ექვემდებარებოდა. სასამართლოს ამგვარი განმარტება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ გამომდინარეობს საშემოსავლო გადასახადის არსიდან, ვინაიდან ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში – გამოდის, რომ საიჯარო ქირა 3 600 აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის 20% (საშემოსავლო გადასახადი) არა 600 აშშ დოლარი, არამედ მეტია. ამ გარემოების გაზიარება კი, მით უფრო დაუშვებელია იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, მხარეთა მიერ ქირის ოდენობის გაზრდის ფაქტი არ დგინდება, ხოლო მეორე, მხრივ უდავოა მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებულზე მეტი ოდენობით თანხის (ქირის) გადახდის ფაქტი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოიჯარეს ერთი თვის ქირა არ გადაუხდია, მოიჯარემ წერილით აცნობა მეიჯარეს, ალარ აპირებდა ქირის წინსწრებით გადახდას და მოითხოვდა უკვე გადახდილ (წინსწრებით) თანხაში მის გაქვითვას. მოიჯარის აღნიშნული მოთხოვნა ქვემდგომმა სასამართლომ იმ დასაბუთებით არ გაიზიარა, რომ წინსწრებით გადახდილი თანხები საშემოსავლო გადასახადის ანაზღაურებას წარმოადგენდა. ამ ნაწილში საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გადაწყვეტილების მართებულობა, ვინაიდან დაუდგენელია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.⁶⁷

6.3.4.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 581-ე, 352-ე – 360-ე, 405-ე მუხლები.

გამოართება:

ა. სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გადაწყვეტილების სამოტივა-

⁶⁷ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-147-143-2016.

ციონ ნაწილში ემსჯელა მოთხოვნაზე, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გამოტანილა (სსსკ-ის 364-ე მუხლი);

ბ. სსკ-ის 357-ე მუხლის ნინაპირობების არარსებობის შესახებ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) კვალიფიკაცია უმართებულოა, ანუ იჯარის ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) უნდა შემოწმდეს მოთხოვნის ნარმომშობ (დამფუძნებელ) მატერიალურსამართლებრივ ნორმასთან. სსკ-ის 357-ე მუხლი შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას და არა თვით ამ უფლების ნარმოშობას.

დაბრუნების დასაბუთება: გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული, რადგან, მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ, ხელშეკრულების შეწყვეტის უარყოფის სამართლებრივი საფუძველი დაუსაბუთებელია, ასევე, გასარკვევია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის ნარმოშობის საფუძველი.

საიჯაროსამართლებრივ დავაში ფიზიკური პირის (მეიჯარის) სარჩელი საწარმოს (მოიჯარის) მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის, უძრავი ქონების გამოთავისუფლებისა და მოსარჩელისათვის ჩაბარების ნაწილში, უარყოფილია სსკ-ის 357-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ განიხილა სარჩელის უარყოფის კანონიერება, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.⁶⁸

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ხელშეკრულების მეიჯარე მხარეს ნარმოადგენდნენ უძრავი ქონების თანამესაკუთრეები, რომლებიც საიჯარო საგანს საზიარო უფლების საფუძველზე განკარგავდნენ, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის სურვილით ხელშეკრულების შეწყვეტა, მაშინ როდესაც მეორე თანამესაკუთრე უარყოფდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტას, დაუშვებელი იყო.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უარყოფის სამართლებრივი საფუძველი დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი საფუძვლები მოცემულია სსკ-ის 352-ე – 360-ე, 405-ე მუხლებში, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნას კი, ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) ნარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების გაუქმებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს ორმხრივი რესტიტუცია ვლინდება, მხარეები აღადგენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობას. ამასთან, თუ გრძელვადიან ურთიერთობაზე მხარე, პატივსადები მიზეზის გამო, ამბობს უარს, მაშინ აშკარაა ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) და არა გასვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესრულება ძალაში დარჩება.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს კვალიფიკაცია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) სსკ-ის 357-ე მუხლის ნინაპირობების არარსებობის თაობაზე, უმართებულოა, ანუ იჯარის ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) შემოწმებული არაა მოთხოვნის ნარმომშობ (დამფუძნებელ) მატერიალურსამართლებრივ ნორმასთან (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „პუნქტი“).

⁶⁸ სუს განჩინება, 04 ოქტომბერი, 2018, №ას-360-360-2018.

საკასაციო პალატის აზრით, სსკ-ის 357-ე მუხლი უზრუნველყოფს ვალდებულების მონაწილეთა სიმრავლის დროს (სოლიდარული კრედიტირები ან სოლიდარული მოვალეები) ხელშეკრულების ერთოანობას. სწორედ ამიტომაა აქცენტირებული, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება, განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 357-ე მუხლი შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას და არა თვით ამ უფლების წარმოშობას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვისას პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს წარმოება თუ არა კრედიტორს მოვალის მიმართ ის მოთხოვნა, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს მისთვის სამართლებრივად განპირობებულ ინტერესს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის (მოშლა) სსკ-ის 581-ე 558-ე, 561-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამდგრების განხორციელებულად მიჩნევის საფუძველზე, ხოლო, თუ მოთხოვნის წარმოშობა აშკარაა, მაშინ შესამოწმებელი იქნება მოთხოვნის შემწყვეტი, მოთხოვნის შემაფრხებელი ნორმები (სსკ-ის 427-ე მუხლები და ა. შ).

კასატორის მეორე მოთხოვნის თაობაზე, რომელიც უძრავი ქონების გამოთავისუფლებისა და მოსარჩელისათვის ჩაბარებას გულისხმობს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უძრავი ქონება იმყოფება მოპასუხეთა თანასაკუთრებაში, თანამესაკუთრებს შორის, თავთავიანთი წილი საჯარო რეესტრში რეალურ წილებად გამიჯნული სახით არაა დარეგისტრირებული, ნივთის გამოთხოვის შესახებ მოსარჩელის უფლება უნდა შემოწმდეს სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი წანამდგრებით მიმართებით.

6.3.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 528-ე, 581-ე, 564-ე, 573.1.-ე და 408-ე მუხლები.

გამოართება: ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში – ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომელიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი).

დაბრულების საფუძველი: სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

ქირავნობის სახელშეკრულებო დავაში საკასაციო სასამართლომ (დამქირავებლის – საწარმოს), გამქირავებლის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე კასატორის პრეტენზია დასაბუთებულად მიიჩნია და ამ ნაწილში საკასაციო განაცხადის ნანილობრივ დაკამაყოფილებით, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს ზიანის წარმოშობასთან დაკავშირებით დამატებითი კვლევისა და შემოწმების, კონკრეტული ფაქტების დადგენის მიზნით.⁶⁹

სასამართლომ აღნიშნა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადაცო დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის დაბრუნებული ფართის მდგომარეობა, კერძოდ, რამდენად ვარგისია დაბრუნებული და რამდენად შესრულდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ დამქირავე-

⁶⁹ სუს განჩინება, 13 აპრილი, 2017, №ას-810-777-2016.

ბელმა შეასრულა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ან ობიექტი გადააკეთა იმდაგვა- რად, რაზედაც გამქირავებლის წერილობითი თანხმობა იქნებოდა საჭირო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არც საქალაქო სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ არის აღნერილი, თუ რატომ დაეკისრა მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება და რამდენად დასაბუთებულია ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომელმაც გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დას- კვნა, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ იმას უთითებს, რომ „დამქირავებელმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა“ დაქირავებულ ფართში, თუმცა რა მოცულობისაა ე.წ. „გარკვეული სამუშაოები“, თავსდება მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით დადგენილ შე- თანხმებაში თუ სცილდება მას, დაუდგენელია. გაურკვეველია – ექსპერტიზამ რომელი ფართი გამოიკვლია, ამ დასკვნაზე დამქირავებელი პირველი ინსტანციის სასამართლო- დან დავობს და საკასაციო საჩივარშიც წარადგენს დასაბუთებულ შედავებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რით გამოიხატა დაქირავებული ფართის დამქირავებლის საქმიანობისათვის ვარგისად ქცე- ვა, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით; დამქირავე- ბელმა რომელი ფართის (ფართები) და რა სამუშაოები შეასრულა საამისოდ. აღნიშნული ფაქ- ტობრივი გარემოების გამოკვლევა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ რა სახით უნდა დაპირუხობოდა გამქირავებელს გაქირავებული ფართი, რაც საიჯარო ხელშეკრულებით გან- საზღვრულ ნორმალურ ცვეთასაც ითვალისწინებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მი- ხედვით, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, რომლებიც ორმხრი- ვად წარმოშობს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, არ არის გამოკვლეული, ასევე უნდა გაირ- კვეს, რას ასახავს საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა, მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტის გასაწევად საჭირო ხარჯებს, რადგან მეიჯარეს (გამქირავებელს) არ წარუდგენია სასამართლოსათვის იმ ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც, მისი მტკიცებით, განია მოიჯარის (დამქირავებლის) მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე მიტო- ვებული ფართების მოსაწესრიგებლად. აღნიშნული საკითხების გამოკვლევა და დადგენა, მნიშვნელოვანია, რათა სამართლებრივად შეფასდეს დამქირავებლის (მოიჯარის) ვალდე- ბულება სსკ-ის 564-ე მუხლის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განმაპირობებელი გარემოებები სსკ-ის 573.1-ე მუხლის პირველი წინადადებისა და 408.1-ე მუხლის შესაბამისად.

6.3.6.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 581-ე, 559-ე, 976-991-ე მუხლები.

განმარტება:

- ა. იჯარა სამოქალაქო გარიგებაა, რომლის ნამდვილობის შესამოწმებლად ადმინის- ტრაციული სამართლის სფეროს მომწესრიგებული ნორმების გამოყენება მიზანშე- უწონელია.
- ბ. იჯარის ხელშეკრულების ნორმები საიჯარო ურთიერთობის ფაქტობრივად გაგრძე- ლების სპეციალურ დანაწესებს არ შეიცავს, ამასთან, არც ამგვარი ურთიერთობის ამკრძალავ დებულებას აღვენს კანონი, შესაბამისად, სადაც სამართალურთიერ- თობის მოსაწესრიგებლად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 559-ე მუხლი.
- გ. კონდიქციური დანაწესების (სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლები) გამოყენების უმთავრესი წინაპირობა მისი სუბსიდიურობით ვლინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დაასკვნის,

რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება.

დაბრუნების საფუძველი: სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტი.

სამინისტრომ მოპასუხე საწარმოს მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა უძრავი ქონების სარგებლობისათვის კონკრეტული თანხის, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად გარკვეული თანხის დაკისრება. მოპასუხე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მხარეები სახელშეკრულების ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ, ასევე, არ არსებობდა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველი. თანხის გაანგარიშების შესახებ აუდიტორული დასკვნა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. მოპასუხის განმარტებით, მოთხოვნილი თანხა ფაქტობრივად წარმოადგენს პირგასამტებლოს დაკისრების მცდელობას, თუმცა ამისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს. მოპასუხე ქონების მართლზომიერი მფლობელია, რადგანაც უძრავი ნივთი გადაეცა უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრე საწარმოსგან დაგენილი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელემ ამ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩაანაცვლა მეიჯარე. თავის მხრივ, იჯარის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ მისი შეწყვეტის წესზე, რაც არ ვლინდებოდა, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება გაგრძელდა უვადოდ. საქალაქო სასამართლომ უარყო, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკმაყოფილა სარჩელი. საკასაციო სასამართლომ ორივე მხარის საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.⁷⁰

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის საკასაციო პრეტენზია მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე, მოპასუხის მიერ ნარდგენილი ნინა მესაკუთრესთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ვადის ამონტურვის შემდეგ ფაქტობრივად გაგრძელდა და მიუთითა, რომ იჯარის ხელშეკრულების ნორმები საიჯარო ურთიერთობის ფაქტობრივად გაგრძელების სპეციალურ დანაწესებს არ შეიცავს, ამასთან, არც ამგვარი ურთიერთობის ამკრძალავ დებულებას ადგენს კანონი, შესაბამისად, სადაც სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 559-ე მუხლი.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფება მოპასუხესთან, ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული მოიჯარის უფლება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა სამოქალაქო გარიგებაა, რომლის ნამდვილობის შესამოწმებლად ადმინისტრაციული სამართლის სფეროს მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება მიზანშეუწონელია, თუმცა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, თუკი იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობა მის რეესტრში რეგისტრაციზე იქნებოდა დამოკიდებული, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სამართლებრივი ურთიერთობა 2004 წელსაა წარმოშობილი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი კი 2008 წელს შევიდა ძალაში და, კანონის დროში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, ხსენებული დათქმა ვარგისიანი ვერ იქნება. საკასაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია ანაზღაურების წესის განსაზღვრის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნია, რომ აშკარაა სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობაზე, მან დაადგინა, რომ ვლინდებოდა კონდიქციური ვალდებულება და, სსკ-ის 982-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ, თუმცა თანხის გამოანგარიშებისას იხელმძღვანელა როგორც იჯარის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურით, ისე – აუდიტორული გაანგარიშებით.

⁷⁰ სუს განჩინება, 11 ოქტომბერი, 2017, №ას-774-723-2017.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონდიქციური დანაწების (სკ-ის 976-ე-991-ე მუხ-ლები) გამოყენების უმთავრესი წინაპირობა მისი სუბსიდიურობით ვლინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დასკვნის, რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება (მაგ: პოსესორული ან ვინდიკაციური სარჩელები (სანივთო სამართალი), სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ (როგორც პირველადი, ისე – მეორეული მოთხოვნები) და სხვა.

6.4. ნარდობა

6.4.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, 636-ე, 410-ე, 411-412-ე მუხლები.

განვითარების:

- ა. სსკ-ის 636-ე მუხლის მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განცეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას. ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო შეუსრულებული ნაწილის მიმართ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი კი, ის ხარჯებია, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ ჯერ კიდევ შეუსრულებელი (თუმცა სამომავლოდ შესასრულებელი) სამუშაოსთვის გაიღო;
- ბ. სსკ-ის 636-ე მუხლის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ნორმა ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით არ ითვალისწინებს;
- გ. ბანკის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ჯარიმის დაკისრებით მენარდის მიერ განცდილი ზიანი არ არის ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი და იგი შემკვეთისთვის წინასწარ სავარაუდო კერ იქნება. მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

გადაცვეტილების შედეგი: მოპასუხეს (შემკვეთს) მიუღებელი შემოსავლის სახით და საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ჯარიმის დაკისრებით მენარდის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრა.

ნარდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში⁷¹ შემკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების საკონტროლოდ ზედამხედველი კომპანია დაინიშნა. მოპასუხის დამფუძნებლისა და 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის დადგენილებით ხელშეკრულება შეწყდა. მენარდემ (მოსარჩელე) მოითხოვა შემკვეთისგან (მოპასუხე) შესრულებული სამუშაოს, დღგ-ს, დღგ-ის გადაუხდელობის გამო, ყოველდღიურად გადაწყვეტილების აღსრულებამდე დარიცხული საურავის 0.06%-ის, ბანკის მიერ მოსარჩელისთვის დარიცხული ჯარიმის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მენარდის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

⁷¹ სუს გადაწყვეტილება, 28 იანვარი, 2016, №ას-468-442-2014.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის პირველი მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 629.1 მუხლი) გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში კანონიერად მიიჩნია სსკ-ის 636-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების დადგება; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაწილის შესრულება; სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოვალეობისგან.

საკასაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ „სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის გაწეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, გაიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (შდრ. ას-697-663-2015, 15.12. 2015).

ამდენად, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო შეუსრულებული ნაწილის მიმართ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი კი, ის ხარჯებია, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ ჯერ კიდევ შეუსრულებელი (თუმცა სამომავლოდ შესასრულებელი) სამუშაოსთვის გაიღო. ამ ხარჯის განვის მტკიცების ტვირთი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება, ანუ მან უნდა ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა ხელშეკრულების მოშლით.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივად დასაბუთებულია დღგ-ის თანხის, რომელიც მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის უნდა ყოფილიყო გადახდილი და, მისი გადაუხდელობის გამო, დარიცხული საურავის 0.06%-ის ყოველდღიურად გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების თაობაზე მენარდის მოთხოვნა, ვინაიდან ეს მენარდისათვის ფაქტობრივი ე.ნ. საკომპენსაციო ზიანი და უნდა ანაზღაურდეს, მაგრამ დასაბუთებულად მიიჩნია შემკვეთის (მოპასუხის) პრეტენზია მიუღებელი შემოსავლისა და პანკის მიერ დარიცხული ჯარიმის დაკისრების ნაწილში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 636-ე მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, ნორმაზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით არ ითვალისწინებს, თუმცა, ასეც რომ არ იყოს და შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი იმდაგვარად განიმარტოს, რომ მასში მიუღებელი შემოსავალიც მოიაზრებოდეს, მოსარჩელის ამ მოთხოვნას საფუძველი მაინც ეცნობა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 410-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე მხარეებმა უარი თქვეს. კანონმდებელმა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას დაუშვა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობა, ანუ ხელშეკრულებით შესაძლოა, მხარეებმა, ზიანის ანაზღაურ

რების ვალდებულებასთან მიმართებით, პასუხისმგებლობა სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდონ ან გამორიცხონ, თუმცა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან მისი შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვისა თუ მისი გარკვეული ფარგლებით შეზღუდვის შესახებ უნდა განიმარტოს მხარეთა ინტერესების დაბალანსების ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, სახელშეკრულების დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა ხელშეკრულების მოშლის საგამონაკლისო წესს ადგენს. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება მით უფრო შესაძლებელია, როდესაც მხარე ვალდებულებას კი არ არღვევს, არამედ ხელშეკრულების მოშლის ნარდობის მომნესრიგებელი სპეციალური ნორმით განმტკიცებულ უფლებას იყენებს. მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების კანონმდებლობით დაშვება პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგვადა და ამ დაშვების მიზანი განუხორციელებელი დარჩებოდა. ამდენად, მხარეებმა ზუსტად განსაზღვრეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ფარგლები, რომელიც მიუღებელ შემოსავალს არ მოიცავს, შესაბამისად, შემკვეთის მიერ ხელშეკრულების ცალშერივად შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეებმა გამორიცხეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ ბანკის ჯარიმის მოსარჩელისათვის ანაზღაურების კანონიერებას, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხისათვის მისი დაკისრების სსკ-ის 412-ე მუხლით (ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო იყო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) გათვალისწინებული წინაპირობები. მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ არაპირდაპირი ზიანი, რომელსაც, ნორმით განმტკიცებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოვალე ვერ ივარაუდებდა, არ ანაზღაურდება. არც იმგვარი ზიანი არ ანაზღაურდება, რომელიც, სავარაუდოა, თუმცა მოვალის მოქმედების უშუალო შედეგი არ არის.

განხილულ დავაში ბანკმა მოსარჩელის დავალებით გახსნა საბანკო გარანტია. ბანკსა და მოსარჩელს შორის დადებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო გარანტიის მომსახურების საკომისიო, რომელიც მოპასუხებ არ გადაიხადა. გადაუხდელ საკომისიოს დაერიცხა ჯარიმა, რომლის ანაზღაურებასაც მოსარჩელე მოითხოვს. პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარე კისრულობს, ვალდებულებას და თავის თავზე იღებს მხოლოდ იმ რისკს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. ამდენად, მოვალემ ზიან უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის არსიდან გამომდინარე, მომსახურების საკომისიოსა და მასზე დარიცხული ჯარიმის გადახდის რისკი ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მოპასუხებ არ აულია. საბანკო გარანტია არააქცესორული ბუნებისაა და დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან, კერძოდ, პრინციპალსა (მენარდესა) და გარანტს (ბანკს) შორის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობისას (როგორიცაა, მაგალითად, საკომისიო მომსახურების გადახდა) არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც გაიცა. ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას შემკვეთს არ აულია ამგვარი რისკი და ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი, ბანკის მიერ ჯარიმის დაკისრებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი არ არის ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი და იგი მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველია.

6.4.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 636-ე მუხლი.

განმარტებები:

- ა. სსკ-ის 636-ე მუხლი ადგენს შემკვეთის უფლებას, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, შემკვეთის ვალდებულებაა, აუნაზღაუროს კონტრაპენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წანაძლვრებს კი არ აწესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამანონას-წორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს;
- ბ. ვალდებულების დარღვევის ზოგადი დებულებების (სსკ-ის 398-399-ე მუხლი) კონკურენციისას სპეციალურ რეგულაციასთან (სსკ-ის 636-ე მუხლი) უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის, სსკ-ის 636-ე მუხლის, საფუძველზე.

ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში⁷² საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გაიზიარეს მოსარჩელის (მენარდის) მოსაზრება, რომ მოპასუხემ (შემკვეთმა) უსაფუძვლოდ არ მისცა სამშალება, დაესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და, როგორც მენარდმე პირს, მიეღო შესაბამისი მოგება. სააპელაციო სასამართლომ დაკავმაყოფილა მენარდის სარჩელი ხელშეკრულების შემკვეტის გამო ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) შემკვეთისათვის დაკავისრების თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ შემკვეთმა დაარღვია კეთილსინდისიერი მხარის ქცევის ვალდებულება, კერძოდ, არ მისცა მენარდეს სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა და ისინი დაასრულებინა სხვა კომპანიას.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მენარდის სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისას, შემკვეთს უნდა დაეცვა ხელშეკრულებიდან გასვლის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი (სსკ-ის 398-ე მუხლი), ასევე, სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლოს მითითება პატივსადები საფუძვლებით ხელშეკრულებიდან გასვლის წესზე (სსკ-ის 399-ე მუხლი), რადგან ვალდებულების დარღვევის ზოგადი დებულებების კონკურენციისას სპეციალურ რეგულაციასთან (სსკ-ის 636-ე მუხლი), სწორედ ეს უკანასკნელი გამოიყენება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 636-ე მუხლი ადგენს შემკვეთის უფლებას, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 636-ე მუხლის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია, ცალ-

⁷² სუს გადაწყვეტილება, 5 თებერვალი, 2016, საქმე №ას-901-851-2015.

მხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება გალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანაბარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწეულისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის გაწეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები” (სუსკ №ას-697-663-2015, 15.12. 2015).

უზენაესი სასამართლოს დასკვნით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება ნინაპირობების დაცვა, რადგან მოხმობილი ნორმის შინაარსს „ეწინააღმდეგება შემკვეთის იძულება, და ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მენარდეს სამუშაოების დასრულებაში. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაპენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წანამდლვრებს კი არ აწესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამანონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მქეანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს“ (სუსკ №ას-697-663-2015, 15.12. 2015).

6.4.3.

გამოყენებული ნორმები: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილება, კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, სსკ-ის 632-ე, 415-ე, მე-8, მე-10.3. მუხლები.

განმარტებები: საკასაციო სასამართლომ შერეული ბრალის გამო მხარეთა შორის პასუხისმგებლობა თანაბრად გაანაწილა.

გადაწყვეტილების შედეგი: მხარეთა შერეული ბრალისა და კეთილსინდისიერების გათვალისწინებით სარჩელი ნანილობრივ დაკმაყოფილდა.

ერთ-ერთ საქმეში⁷³ ორ სამენარმეო სუბიექტს შორის დავის საგანია მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმწოდებლის სასარ-

⁷³ სუს გადაწყვეტილება, 4 ივლისი, 2016, №ას-1-1-2016.

გებლოდ მომხმარებლისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება – როუმინგული მომსახურების ხარჯის – 50 611 ლარის გადახდა. საქმის ფაბულის მიხედვით, (მოსარჩელე, მენარდე) ელექტროკომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირია, რომელმაც განსაზღვრა და შესთავაზა მომხმარებელს ხელშეკრულების ის სტანდარტული პირობები, რომლითაც მომხმარებლისათვის ცნობილი ტარიფი, შესაძლოა, მცირედით მეტი ყოფილიყო ხელშეკრულებით განსაზღვრულზე. ამ შეთავაზებას მომხმარებელი დაეთანხმა იმ განჭვრეტადი რისკის გათვალისწინებით, რომელიც უცხოელი პროვაიდერის ტარიფებს, დადგენილზე მცირედით აღმატებულს, უკავშირდებოდა, თუმცა, კონკრეტულად უცხოეთში ჩასვლისას, აპონენტს არ მიუღია მიმწოდებლისაგან ის ინფორმაცია, გამაფრთხილებელი, მოკლე ტექსტური შეტყობინებით (სმს), რომლის უტყუარი, ამომწურავი და გასაგები ფორმით მიწოდება, ელექტრონული კომუნიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სპეციალური კანონისა და კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილების საფუძველზე, სწორედ მენარდის ვალდებულება იყო, რაც ვალდებულების შესრულების პირობების, სამართლიანობის საფუძველზე, განსაზღვრას ენინააღმდეგება. ხელშეკრულების გაფორმებისას ცნობილი რომ ყოფილიყო, მაღალი ალბათობით, შეთავაზებულ პირობას არ მიიღებდა შემკვეთი, რაც მისი შემდგომი მოქმედებითაც დადასტურდა, როდესაც მენარდემ შემკვეთს მიაწოდა ინფორმაცია დარიცხული ტარიფის შესახებ, რის შემდეგაც, მომხმარებლის მოთხოვნით, აპონენტი პირველიდან მესამე კატეგორიის მომხმარებლთა ჯგუფში გადაიყვანეს, ხოლო მოგვიანებით – სხვა სერვისებიც გაუთიშეს.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მომხმარებლის აპონენტმაც დაარღვია მომხმარებლის მოქმედების გონივრული წინდახედულების ფარგლები. საზღვარგარეთ, უწყვეტი როუმინგული მომსახურებით სარგებლობისას, ნებისმიერ აპონენტს, განსახილველ შემთხვევაში კი, სოლიდური სამენარმეო საზოგადოების ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირს, რომელსაც საკუთარმა სამსახურმა შეუქმნა საზღვარგარეთ ინტერნეტმომსახურების მისაღებად პირველი კატეგორიის მომხმარებლად ყოფნის საფუძველი, მენარდესთან გაფორმებული ხელშეკრულებით, პქონდა საზღვარგარეთ განსხვავებული ტარიფებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ინფორმაცია. სხვა პირისათვის, როგორც აპონენტმა განმარტა, მეგობრის შვილისათვის ტელეფონის თხოვებით, აპონენტმა დაარღვია წინდახედულების მინიმალური სტანდარტი, რომელიც მას ობიექტურად უნდა, და შეეძლო კიდეც, გაეთვალისწინებინა.

სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სსკ-ის 632-ე, 415-ე, 325-ე, მე-8, მე-10.3. მუხლებზე და დაასკვნა, რომ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოდავე მხარეებს თანაბრად მიუძღვით ბრალი ზიანის (დავალიანების) წარმოშობაში, რადგან თითოეულის მოქმედება ამ დავალიანების წარმოქმნაში ფაქტობრივად დადგენილია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის პასუხისმგებლობა თანაბრად გაანაწილა და, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, ნაწილობრივ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მომხმარებელს დაკისრა, მენარდის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხის ნახევარი.

6.4.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე მუხლი, დაზღვევის შესახებ კანონის 334 მუხლის მე-9 პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის 177-ე დადგენილება.

განხარტებები: №177 დადგენილებით განსაზღვრული „მიმწოდებლისა“ და მზღვეველის სამართლებრივი კავშირი მომსახურების ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობა, სადაც „მიმწოდებელი“ გვევლინება მენარდედ, ხოლო მზღვეველი – შემკვეთად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს

შესრულება (სამედიცინო მომსახურების გაწევა). სკ-ის 799-ე და შემდგომი ნორმებით რეგულირებული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მზღვეველი, დამზღვევი და/ან დაზღვეული. ურთიერთობის საგანი სადაზღვევო რისკით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაა დამზღვევის და/ან დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა, რადგან მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა გამორიცხავს კრედიტორის მე-5 რიგის-თვის მიკუთვნებას.

მენარმებს შორის დავისა და, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს⁷⁴ წარმოადგენს მზღვეველის გაკოტრების საქმისწარმოების პროცესში კრედიტორის მოთხოვნის რიგის განსაზღვრის კანონიერება. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებობდა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება და, სსკ-ის 349-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს წარმოებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება „მზღვეველისაგან“, რადგან ამ უკანასკნელთან მესამე პირთა სასარგებლოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მან „დამზღვევების“ მიმართ კანონით გათვალისწინებული „მზღვეველის“ ვალდებულება უკვე შეასრულა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მომსახურების გამწევის მოთხოვნა უთანაბრდებიდა დამზღვევის მოთხოვნის უფლებას, რის გამოც იგი მზღვეველის გაკოტრების პროცესში მე-5 რიგით უნდა განსაზღვრულიყო.

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შედეგი და სარჩელი უარყო იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა შორის 177-ე დადგენილებით განსაზღვრული სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო, რაც გამორიცხავდა კრედიტორის მე-5 რიგისთვის მიკუთვნებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მზღვეველსა და მოსარჩელეს შორის ურთიერთობა სრულად ექცევა საქართველოს მთავრობის №177 დადგენილებით განსაზღვრულ ურთიერთობაში, კერძოდ, ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად, მხარეებს შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე წარმოადგენდა „მიმწოდებელს“ და სამედიცინო მომსახურებას უწევდა მზღვეველის ბენეფიციარებს, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებდა მზღვეველი.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, №177 დადგენილებით განსაზღვრული „მიმწოდებლისა“ და მზღვეველის სამართლებრივი კავშირი მომსახურების ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობის ელემენტებზე მიანიშნებს და ყველაზე ახლოს სკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ურთიერთობასთან დგას, რომლის ფარგლებშიც, სამედიცინო დაწესებულება (№177 დადგენილების მიზნებისთვის – „მიმწოდებელი“) გვევლინება მენარდედ, ხოლო მზღვეველი – შემკვეთად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება (სამედიცინო მომსახურების გაწევა). რაც შეეხება უშუალოდ დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობას, მას სკ-ის 799-ე და შემდგომი ნორმები არეგულირებს და ურთიერთობის ელემენტებიც განსხვავებულია: ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენენ მზღვეველი, დამზღვევი და/ან დაზღვეული. ურთიერთობის საგანი სადაზღვევო რისკით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაა დამზღვევის და/ან დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლებმა არასწორად შეაფასეს მენარდესა და მზღვეველს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33⁴ მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ფარ-

⁷⁴ სუს გადაწყვეტილება, 24 თებერვალი, 2017, №ას-906-872-2016.

გლებში არასწორად განსაზღვრეს კრედიტორის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

იმის გათვალისწინებით, რომ მე-5 რიგის კრედიტორებად გვევლინებიან პირები, რომლებიც მზღვეველთან დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნა, კანონით დადგენილი წესის თანახმად, ანაზღაურდება მე-7 რიგში, ასევე, ვინაიდან მხარეები არ იმყოფებოდნენ დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, არამედ, მოსარჩელე, როგორც მენარდე, №177 დადგენილების ფარგლებში მომსახურებას უწევდა მზღვევლის, როგორც შემკვეთის ბენეფიციარებს, სასამართლოს განსჯით, მისი მოთხოვნა მზღვეველის გაკოტრების საქმისნარმოების პროცესში „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33⁴ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მე-7 რიგის მოთხოვნად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც იგი, როგორც ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან ნაწარმოები, მიეკუთვნება კანონით განსაზღვრულ „დანარჩენ მოთხოვნებს მზღვეველის მიმართ.

6.4.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლები, სსსკ-ის 4.1., 201-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები, 219-ე, 102-ე მუხლები.

გამოარტება:

- ა. სააპელაციო სასამართლო გასცდა შეფასების საგანს და შესაგებელში შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებში საკუთარი ინიციატივით მიიჩნია არასაკმარისად მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით ნარდენილი ალტერნატიული კვლევის შედეგები;
- ბ. შემკვეთის დასაბუთებული შედავების არარსებობის პირობებში გასაზიარებელია მოსარჩელის პოზიცია სამუშაოს უნაკლოდ შესრულების შესახებ.

გადაწყვეტილების შედეგი: მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა შემკვეთის არსებითი შესაგებლის არარსებობის გამო.

საკასაციო განხილვის საგანს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერება, რომლის ფარგლებშიც მენარდე (მე-წარმე) აცხადებს, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულა ჯეროვნად, ხოლო შემკვეთი, რომელმაც ფაქტობრივად მიიღო შესრულება, დაუსაბუთებლად აცხადებს უარს შემხვედრ შესრულებაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, საზღაურის სრულად გადახდაზე უარს ასაბუთებს იმით, რომ მენარდემ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, სათანადო მტკიცებულების ნარდგენით არ დაადასტურა სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტი, რის გამოც გავიდა ხელშეკრულებიდან და ალარ არსებობს შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები.

ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უმთავრეს წინაპირობად მიიჩნიეს სწორედ ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ, ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, ვერ შეძლო შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარისხთან შესაბამისობის დადასტურება. სასამართლოების ამ დასკვნას არ ეთანხმება მენარდე და პრეტენზიას აცხადებს საქმეში ნარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის არასათანადო შეფასებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორმა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასების ნაწილში ნარმოდგენია დასაშვები საკასაციო პრეტენზია, რომლის ანალიზი ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების

სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტი სისპ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ ვერ დაადასტურა სათანადო მეთოდოლოგიის არასებობის გამო, ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით კი, დგინდება, რომ შესრულებას არ გააჩნია ნივთობრივი ნაკლ.

სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით დასტურდება, რომ შემკვეთი დარჩენილი საზღაურის გადახდაზე უარს ასაბუთებს ნარდობის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ პირდაპირ გათვალისწინებული მტკიცებულების – სისპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარუდგენლობით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შემკვეთის დასაბუთებული შედავების არარსებობის პირობებში – გასაზიარებელია მოსარჩელის პოზიცია სამუშაოს უნაკლოდ შესრულების შესახებ. ამ დასკვნის საპირისპიროდ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, შემკვეთს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ გერმანული სტანდარტით შესრულებული შავი საფრის სამუშაოები არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტს და („გოსტ“) 9128-84 სტანდარტთან შედარებით – გამოსაყენებლად უფარგისია.

საქმის მასალებით მთავარი სხდომის დანიშვნამდე მოპასუხის მხრიდან დამატებითი შედავების წარდგენა არ იკვეთება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლო გასცდა შეფასების საგანს და შესაგებელ-ში შესაბამისი შედავების არასებობის პირობებში საკუთარი ინიციატივით მიიჩნია არასაკერისად მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით წარდგენილი ალტერნატიული კვლევის შედეგები. მტკიცებულებათა შეფასების საპროცესო წესებიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დამოუკიდებელი ექსპერტის კვლევის უარყოფა.

სასამართლომ მიუთითა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც კვლევას ვერ ახერხებს ექსპერტი გარკვეული მიზეზით, ეს გარემოება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მენარდეს და წაერთვას შესაძლებლობა, სხვა სპეციალისტის/ექსპერტის კვლევაზე დაყრდნობით ადასტუროს მოვალეობის ჯეროვანი შესრულების ფაქტი. კანონის სხვაგვარი განმარტება მიგვიყვანდა სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით გარანტირებული კერძო ხასიათის ურთიერთობაში დამკვიდრებულ „პირთა თანასწორობის“ პრინციპის უარყოფამდე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მენარდემ სამუშაოს ჯეროვანი შესრულების ფაქტის დადასტურება შეძლოვანია და მტკიცებულებით, რომლის წინააღმდეგ გაც შემკვეთს არსებითი შესაგებელი არ აქვს წარდგენილი, არსებობს მენარდის სარჩელის დაკმაყოფილების სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი. სწორედ არსებითი შესაგებლის წარუდგენლობა გახდა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საკმარისი პროცესუალური საფუძველი, რომლითაც მენარდის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.⁷⁵

⁷⁵ სუს გადაწყვეტილება, 9 ივნისი, 2017, №ას-1100-1057-2016.

6.4.6.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, 636-ე, 411-ე მუხლები.

განმარტებები: სსკ-ის 636-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებლომა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება. ერთა-დერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, შემკვეთის ვალდებულება, აუნაზღაუროს კონტრა-ჰენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

გადაცყვეტილების შედეგი: სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორი განმარტება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანში გაითვალისწინა მიუღებელი შემოსავალი.

მენარმეებს შორის ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც მოსარჩელის (მენარდე) მოთხოვნა შემკვეთის (მოპასუხე) მიმართ შესრულებული სამუშაოების ლირებულების ანაზღაურებისა და პირგასამტკებლოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო ხელშეკრულების მოშლით მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორი განმარტება (სსკ-ის 393.1.გ. მუხლი), სახელდობრ, სააპელაციო სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანში გაითვალისწინა ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში – ანუ მიუღებელი შემოსავალი (სსკ-ის 411-ე მუხლი).⁷⁶

საკასაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს მყარ პრაქტიკაზე მითითებით განმარტა, რომ შემკვეთმა ისარგებლა სწორედ სსკ-ის 636-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება. ერთა-დერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, შემკვეთის ვალდებულებაა, აუზაზღაუროს კონტრა-ჰენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წარმატების კი არ ანესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამანონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს (სუსგ №ას-697-663-2015; 2015 წლის 15 დეკემბერი).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ თავად მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, თუ რა ფაქტობრივი ზიანი მიადგა მას კონკრეტული ხელშეკრულების მოშლით. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უკავშირდება მხოლოდ მიუღებელ შემოსავალს. მოცემულ შემთხვევაში, მენარდის მიერ მოთხოვნილი ასანაზღაურებელი ზიანი კი, ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოდ, მიიღებდა მენარდე, თუ მან საამისოდ გარკვეული მოქმედება შეასრულა. შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებული სპეციალური ნორმების თანახმად, იგი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

⁷⁶ სუს გადაწყვეტილება, 2 ივნისი, 2017, № ას-319-304-2016.

6.4.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, სსსკ-ის 377-ე (1) და 384-ე, 264-ე მუხლები.

გამომარტივები: მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთმა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარადგინა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შემკვეთისავე საკასაციო საჩივარი აღნიშნულ საკითხზე შედავებას არ შეიცავს, სასამართლომ შესრულების მოთხოვნა დასაბუთებულად მიიჩნია.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა, შეიცვალა დაკისრებული თანხის ოდენობა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით შემკვეთს დააკისრა თანხა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებულ თანხას.

ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს მენარდის მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი, რაც მას მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს შემკვეთის მიმართ, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებულია. რაც შეეხება მოპასუხის პოზიციას, იგი თავს იცავს ვალდებულების შესრულების ფაქტზე მითითებით (მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი) და შედავების ფარგლებში ვალდებულია, წარადგინოს შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. იმ გარემოების თაობაზე, რომ მოპასუხებ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი საკასაციო მტკიცებულებები ვერ წარადგინა, საკასაციო საჩივარი შედავებას არ შეიცავს, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემკვეთისათვის 63 165 ლარის დაკისრების ნაწილში გამართლებულია.

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო წარმოების ფარგლებში განხილვის ფარგლების დარღვევა.⁷⁷ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი 23 874 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით მენარდეს უარი ეთქვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შემკვეთისათვის 63 165 ლარის, ასევე, მიუღებელი შემოსავლის – 9 078 ლარის დაკისრებაზე. საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ მენარდის მიერ და სააპელაციო განვცხადის მოცულობა, ბუნებრივია, აპელანტის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ შეეხებოდა. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილება, სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატამ 63 165 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია რა აპელანტის მოთხოვნა, გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს (სსსკ-ის 377-ე (1) და 384-ე მუხლები) და ახალი გადაწყვეტილებით შემკვეთს დააკისრა 87 039 ლარი, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებულ თანხას. შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული).

⁷⁷ სუს გადაწყვეტილება, 20 ოქტომბერი, 2017, №ას-856-800-2017.

6.4.8.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 744-ე, 709-ე, 930-ე, 629-ე მუხლები, სსსკ-ის 129-ე, 102-ე მუხლები.

გამომარტივები: ფაქტების შესახებ მხარის ყოველი განმარტება მის სასარგებლოდ, მართალია, მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო, რადგან მოსარჩელემ თავისი წილი მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია.

მოსარჩელემ შემკვეთის (მეწარმე) წინააღმდეგ აღძრული სარჩელით ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ მას საშუამავლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.⁷⁸ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობა შუამავლობის ხელშეკრულებად მიიჩნია და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სადავო შეთანხმების შინაარსზე, რომელიც განსხვავებულად განმარტეს პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებმა და სხვადასხვა ხელშეკრულებების შუამავლობის, ნარდობის, ერთობლივი საქმიანობის, დავალების სამართლებრივი ბუნების დიფერენცირების გზით დაასკვნა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ ყოფილა საშუამავლო სახელშეკრულებო ურთიერთობა, რადგან, სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არ დასტურდება, რომ შუამავლობის საგანი (მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემკვეთის სასარგებლოდ შესაბამისი საზღაურის ფასად დათმობა, მშენებლობის ზედამხედველობა და სხვა) იყო ის, რასაც სარჩელი ეყრდნობა და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ყველაზე მეტად ნარდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ბუნება აქვს, ვინაიდან მოიცავს მომსახურებას შემკვეთის მითითებების ფარგლებში, სადაც ანაზღაურება შეთანხმდა შემსრულებლისათვის სამშენებლო ფართის 3%-ის გადაცემის სახით. ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაშიც მენარდეს (შემსრულებელს) შემკვეთის მითითებების საფუძველზე ეკისრება გარკვეული მომსახურების (სამუშაოს შესრულება, ნაკეთობის დამზადება) განევა, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს, კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებების ანუ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ანაზღაურებაზე.

საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა რა სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო, რადგან მოსარჩელემ თავისი წილი მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია. სასამართლომ მხოლოდ მხარის განმარტება არ მიიჩნია სადავო გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებად და აღნიშნა, რომ ფაქტების შესახებ მხარის ყოველი განმარტება მის სასარგებლოდ, მართალია, მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შემსრულებელმა (მოსარჩელემ) ვერ შეასრულა. სსკ-ის 629.1-ე მუხლის წინაპირობებიდან გამომდინარე, შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება და ასეთად ვერ იქნება მესამე პირებთან გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე შემსრულებელმა სხვისი (მოპასუხების) ქონების განკარგვის ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი, რაზედაც არც სამშენებლო კომპანიის (მოპასუხების) თანხმობა არ ჰქონია და არც ამ უკანასკნელისაგან არ მიუღია ქონება საკუთრებად.

⁷⁸ სუს გადაწყვეტილება, 13 ოქტომბერი, 2017, №ას-304-287-2017.

6.4.9.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 629-ე, 930-ე მუხლები.

განმარტება:

- ა. ამხანაგობის წევრად გახდომის შესახებ ხელშეკრულებებში, მოპასუხეების ამხანაგობის წევრებად მოხსენიება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ აღნიშნული პირები ამხანაგობის მონაწილეებად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირებად იქნენ მიჩნეული;
- ბ. ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ისინი, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონომიკური საქმიანობის ვალდებულება იკისრეს;
- გ. ბინის შეძენის ინტერესის მქონე პირთა სამართლებრივი კავშირი ამხანაგობასთან ნარდობად უნდა შეფასდეს.

გადაცყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის (შემდეგში – იბა) სარჩელი მოპასუხე – ფიზიკური პირების მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების (დამატებითი შენატანების განხორციელების დაკისრების) თაობაზე, ევემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დააკმაყოფილეს, მაგრამ საკასაციო სასამართლომ უარყო, იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ ურთიერთობა მოდავე მხარეთა შორის არასწორად დაკვალიფირა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად და არა ნარდობად და, შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.⁷⁹ სასამართლოს აზრით, ხელშეკრულებები, რომელსაც მოსარჩელე ეყრდნობა, ასეთი მოთხოვნის წარდგენის საშუალებას არ ქმნის, რადგანაც მოპასუხებს სრულად შესრულებული აქვთ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და, აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულება შეწყვეტილია (სსკ-ის 427-ე მუხლი). მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელია ის გარემოება, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნდა წარმოშობოდათ მოპასუხებს ე.წ. „ჩვეულებრივი წევრის“ უფლება-მოვალეობები, სანოტარო წესით დამოწმდა, ანუ მხარეებმა გარიგების წამდვილობა წერილობითი შეთანხმების სანოტარო წესით დადასტურებას დაუკავშირეს და, აქედან გამომდინარე, ამხანაგობის წევრობასთან დაკავშირებით ყველა შემდგომი გარიგებებიც სანოტარო წესით უნდა დამოწმებულიყო (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც მოპასუხებს არ დაუცავთ და, შესაბამისად, მათ არ წარმოშობოდათ საერთო საქმიანობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები.

საკასაციო პალატამ იმსჯელა რა ერთობლივი საქმიანობის გარიგების სამართლებრივ ბუნებაზე, აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აზუსტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის – გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარი წინაპირობაა, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე. პალატამ მიიჩნია, რომ ამხანაგობაში უნდა გაიმიჯნონ ის წევრები, რომელთაც ამხანაგობა დააფუძნეს და ამხანაგობის ფინანსური ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა იკისრეს, ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ამხანაგობის წევრები მხოლოდ იმ მიზნით გახდნენ, რომ ამხანაგობისაგან ბინა შეეძინათ ან ამხანაგობას მათ-

⁷⁹ სუს გადაწყვეტილება, 17 ოქტომბერი, 2017, №ას-866-808-2017.

თვის ბინა აეშენებინა. პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან არა ამხანაგობის ის წევრები, რომელთა მიზანი მხოლოდ ბინის შეძენა იყო, არამედ ამხანაგობის ის წევრები, რომელთაც ამხანაგობის სახელით, ეკონო-მიკური საქმიანობის ვალდებულება იყისრეს. ამხანაგობის დასახელებული წევრები პასუ-ხისმგებელი არიან ამხანაგობის ფინანსურ ვალდებულებებზე და მათი მიზანი ამხანაგობა-ში არა მხოლოდ შენატანის პროპორციული უძრავი ქონების მიღება, არამედ ამხანაგობის შემოსავლებში მონაწილეობა და მოგება-ზარალის განაწილებაცაა (სსკ-ის 931-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქ/პუნქტი, 935-ე მუხლები).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემ-სგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამხანაგო-ბის შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანე-ბისათვის, რომელიც მოიცავს კორპორაციული სტრუქტურის როგორც ორგანიზა-ციულ, ასევე – ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოად-გენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფი-ლია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმია-ნობის ხელშეკრულების თავისებურება იმით ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით. შესაბამისად, ამხა-ნაგობაში განევრების შესახებ ხელშეკრულებებში, მოპასუხეების ამხანაგობის წევრებად მოხსენიება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ აღნიშნული პირები ამ-ხანაგობის მონაწილე წევრებად და მის ვალდებულებებზე პასუხისმგებელ პირებად მი-ვიჩინიოთ.

პალატის დასკვნით, მოპასუხეებთან გაფორმებული შეთანხმებები სააპელაციო სასამარ-თლომ არასწორად შეაფასა საერთო საქმიანობის სამართლებრივ ურთიერთობად და არას-წორად გამოიყენა 930-ე და მომდევნო მუხლები. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპე-ლაციო სასამართლოს დასკვნების გაზიარების შემთხვევაშიც კი, არ იარსებებდა სარჩე-ლის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც იმ კრებებს, რომელზეც გადაწყდა დამატებითი შენატანის ვალდებულების დაკისრება, მოპასუხეები არ ესწრებოდნენ და არც ვალდებულება არ აუღიათ. **საკასაციო სასამარ-თლომ ამხანაგობასა და მოპასუხეებს შორის ურთიერთობა წარდობად შეაფასა** (სსკ-ის 629-ე და მომდევნო მუხლები). შინაარსობრივად, ხელშეკრულების დადების მიზანი იყო შესრულებული სამუშაოს შედეგის, კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გა-დაცემა, რისთვისაც მოპასუხეებმა არა არაფულადი სახის რაიმე შენატანი, არამედ კონ-კრეტული ფართის განსაზღვრული ლირებულება გადაიხადეს. საკასაციო პალატის გან-მარტებით, მოპასუხეებთან დადებული ხელშეკრულებებით ცალსახად დგინდება, რომ მა-თი ინტერესი შემოიფარგლებოდა ინდივიდუალურად გათვალისწინებული ფართის (ბინის) მიღებით. მათ ხელშეკრულება გააფორმეს უკვე შექმნილ ამხანაგობასთან. შესაბამისად, მათ ამხანაგობის დამფუძნებლებისაგან განსხვავებული სამართლებრივი კავშირი აქვთ ამხანაგობასთან. ისინი ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები კი არა, არამედ, შეთანხმე-ბული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ აშე-ნებულ მრავალბინიან კორპუსში გახდნენ განსაზღვრული ფართის მესაკუთრეები. რადგა-ნაც განსახილველ შემთხვევაში, ნარდობა არ ითვალისწინებდა უძრავი ნივთის დამზადე-ბას (აშენებას) მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (სსკ-ის 629.2-ე და 631-ე 1 მუხ-ლები), ამხანაგობას (მენარდეს) არ შეუძლია, მოითხოვოს შეთანხმებულ საზღაურზე მე-ტი.

6.4.10.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, 137-ე, 341-ე, სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლები.

განმარტებები:

- ა. სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარების ხელშეკრულება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადაცობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას ნარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს;
- ბ. ვალდებულების სსვაგვარად აღიარება შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით დგინდება. მოვალის ასეთ ქმედებად – სსვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით.

გადაცყვატილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა მოპასუხის აღიარების გამო.

მხარეთა შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ (შემკვეთმა) მოითხოვა მენარდის (მეწარმის – მოპასუხის) მიერ ვალდებულების შესრულება – ნარდობის შედეგად დამზადებული ნივთის – აშენებულ სახლში კონკრეტული საცხოვრებელი ფართის გადაცემა, რაც ნივთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციასაც მოიცავს – იმ დასაბუთებით, რომ მან სრულად შეასრულა ვალდებულება და მენარდეს გადაუხადა ნარდობის საზღაური, თუმცა ეს უკანასკნელი, შეუსრულებელი ვალდებულების არაერთხელ აღიარების მიუხედავად, მაინც არ ასრულებდა მას. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს, საკასაციო სასამართლომ შეცვალა სამართლებრივი შედეგი და გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, კერძოდ, სადაცო უძრავი ქონება შემკვეთის საკუთრებად აღირიცხა.⁸⁰

საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე შეამოწმა 629.1-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები, ამ კონტექსტში გააანალიზა სარჩელსა და შესაგებლის სტადიებზე მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, მათ უარსაყოფად დასახელებული გარემოებები და კონკრეტული მტკიცებულებები და დაასკვნა, რომ მოპასუხებ აღიარა შეუსრულებელი ვალდებულება და ამ შემთხვევაში გამოვლენილია არა აბსტრაქტული, არამედ კაუზალური – ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების აღიარება. შესაბამისად, მიიჩნია, რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული და განხორციელებადია. მოსარჩელის მტკიცების გასაბათილებლად მოპასუხებ არაკვალიფიციური შედავება განახორციელა, კუთვნილი მტკიცების სტანდარტი ვერ დაძლია და სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით სრულყოფილად და თანმიმდევრობით არ ასახა საკუთარი მოსაზრებები შესაგებელში, ვერ გააბათილა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და ნარდგენილი მტკიცებულებები, არ გააანალიზა ვალის აღიარების ხელშეკრულების პირობები, საწარმოს პარტნიორთა კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი, რათა დაპირისპირებიდა სასარჩელო მოთხოვნას და მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადებიდან დაწყებული ურთიერთობისა და შემდგომში განვითარებული მოვლენების საკუთარი ვერსია შეეთავაზებინა სასამართლოსათვის.

⁸⁰ სუს გადაწყვეტილება, 5 დეკემბერი, 2017, №ას-679-633-2017.

6.4.11.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 636-ე, 639-ე, 641-ე, 642-ე, 643.1-ე, 405-ე, 644-ე, 408.1-ე, 409-ე მუხლები, სსსკ-ის 37-ე და 53 -ე მუხლები.

განვითარებები:

ა. მხარეს არ შეიძლება, მტკიცების ტვირთი გადაეკისროს იმ პირობებში, როდესაც წარდგენილი აქვს დასაშვები და განკუთვნადი მტკიცებულება – ამ შემთხვევაში – ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო მის საპირნონედ პროცესუალური მოწინააღმდეგე თავს იცავს ზეპირსიტყვიერი განმარტებით, საკუთარი გაანგარიშებითა და შემკვეთის მიერ მესამე პირებთან (სხვა მენარდებთან) დადებული ხელშეკრულებებით;

ბ. ვინაიდან მხარეს დასახელებული მტკიცებულებები არ წარუდგენია თავისი საპროცესო ვალდებულების – მტკიცების ტვირთის რეალიზაციის ფარგლებში, მისთვის გადებული დანახარჯი არ წარმოადგენს საპროცესო ხარჯს და არ ანაზღაურდება.

გადაწყვეტილების შედეგი: მენარდის სარჩელი პირგასამტებლოს ანაზღაურების, ხოლო შემკვეთის შეგებებული სარჩელი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განეული ხარჯებისა და ზედმეტად გადახდილი თანხის დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელი ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურების თაობაზე უარყოფილ იქნა.

ნარდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში მენარდე (მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე) მოითხოვს შემკვეთისათვის (მოპასუხე, მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე) შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტებლოს დაკისრებას, ხოლო შემკვეთი შეგებებული სარჩელით მენარდისათვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად განეული ხარჯების, ზედმეტად გადახდილი თანხისა და ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურებას ითხოვს. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე მენარდის მოთხოვნა და შემკვეთის პირველი ორი მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილა, ხოლო მოთხოვნა ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურების ნანილში უარყო.⁸¹

საქმის მასალების მიხედვით, მენარდემ ნაკლის მქონე ნაკეთობა (ამ შემთხვევაში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსი) დაამზადა (ააშენა და ანარმოა სხვადასხვა სამუშაოები). შემკვეთმა მენარდეს განუსაზღვრა ვადა ნაკლის გამოსასწორებლად, რაც მენარდეს არ გამოუსწორებია.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მოშლა განპირობებული იყოს მენარდის ბრალეული მოქმედებით, კერძოდ, მის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით და ამ მიზეზით გამართლებულად ჩათვალა შემკვეთის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა (სსკ-ის 636-ე მუხლი).

სასამართლომ აღნიშნა, რომ შემკვეთს ჰქონდა ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების ინტერესი, რაც დადგენილია შემკვეთის ქმედებით და ასახულია მენარდისადმი მიმოწერასა და ამ უკანასკნელისათვის შეთავაზებაში – სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. აღსანიშნავია, რომ საექსპერტო კომპანიის დასკვნაში მითითე-

⁸¹ სუს გადაწყვეტილება, 26 აპრილი, 2018, №ას-717-670-2017.

ბული ხარვეზების გამოსწორებაზე ასახული რეკომენდაციების შესრულებაზე უარი მე-ნარდეს გასაწევი არათანაზომიერი ხარჯების გამო კი არ უთქვამს, არამედ – ნაკეთობის ნაკლის დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, რის გა-მოც შემკვეთში თვითონ აღმოფხვრა ნაკლი, რაბაც მას წარმოუშვა გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება (სსკ-ის 643.1-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შემკვეთის საკასაციო პრეტენზია მენარდის მიერ ხარვეზებით შესრულებული სამუშაოების აღმოსაფხვრელად მენარდისათვის თანხის და-კისრების თაობაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მენარდემ ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია და ვერ გააქარწყლა შემკვეთის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში დადგენილი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, მხარეებს მო-ეთხოვებათ საკუთარი მტკიცების ტვირთის იმგვარად რეალიზება, რომ თითოეულმა მათგანმა სამართლებრივად ვარგისი, სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება წარადგინოს მისთვის ხელსაყრელ გარემოებებთან დაკავშირებით, ამასთან, მხარეს არ შეიძლება, მტკიცების ტვირთი გადაეკისროს იმ პირობებში, როდესაც წარდგენი-ლი აქვს დასაშვები და განკუთვნალი მტკიცებულება – ამ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა, ხოლო მის საპირზენედ პროცესუალური მონინააღმდეგე თავს იცავს ზე-პირსიტყვიერი განმარტებით, საკუთარი გაანგარიშებითა და შემკვეთის მიერ მესამე პირებთან (სხვა მენარდეებთან) დადებული ხელშეკრულებებით.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შემკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამარ-თლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 639-ე, 641-ე, 642-ე, 643.1-ე, 405-ე, 644-ე, 408.1-ე, 409-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლომ შეაფასა შემკვეთის საკასაციო პრეტენზია, რომელიც უკავშირ-დება მის მოთხოვნას – მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაო-ბაზე და სრულად დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მონინააღმდეგე მხარეს – მენარ-დეს არ წარუდგენია ამ თვალსაზრისით დასაბუთებული შედავება, ასევე – შემკვეთის მიერ წარდგენილი ექსპერტის ბიუროს დასკვნის გასაბათილებლად მენარდეს რაი-მე მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენია, შესაბამი-სად, მხარემ არ შეასრულა დაკისრებული მტკიცების ტვირთის საპროცესო მოვალე-ობა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის საკასაციო პრეტენზია, მის სასარგებ-ლოდ, მენარდისათვის ექსპერტის ხარჯების, 15 500 ლარის, სრულად დაკისრების თაო-ბაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შემკვეთმა ექსპერტის დასკვნებისათვის 15 500 ლარი გადაიხადა და აღნიშნული მტკიცებულებები მენარდეს წარუდგინა სახელშეკ-რულები ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შემოწმების მიზნით, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს დასახელებული მტკიცებულებები არ წარუდგენია თავისი საპ-როცესო ვალდებულების – მტკიცების ტვირთის რეალიზაციის ფარგლებში და არ წარ-მოადგენს საპროცესო ხარჯს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემ-კვეთის მტკიცება, რომ წარდობის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მენარდის სამუშაოების შემოწმების პერიოდში გაწეული ხარჯები სასამართლო დავის ფარგლებში უნდა დაეკისროს მხარეს (მენარდეს) (სსსკ-ის 37-ე და 53-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მენარდის საკასაციო პრეტენზია და სრულად დააკმაყოფილა მენარდის სასარჩელო მოთხოვნა მის სასარგებლოდ შემკვეთისათვის

პირგასამტებლოს, 780 000 აშშ დოლარის, დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ასახავს მხარეთა შეთანხმებას (სსკ-ის 319-ე მუხლი) იმის თაობაზე, რომ მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოების 33 თვით გახანგრძლივებით, ამ უკანასკნელს შემკვეთი ერთჯერად კომპენსაციის სახით 780 000 აშშ დოლარს გადაუხდიდა ეტაპობრივად.

საბოლოოდ, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, მენარდის სასარგებლოდ, შემკვეთს დაეკისრა 29 787.80 აშშ დოლარის ანაზღაურება (სსკ-ის 442-ე და შემდგომი მუხლები).

6.4.12.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, 442-ე, 394.1-ე, 408.1-ე და 409-ე მუხლები.

გამოართებები: სსკ-ის 629.1 მუხლით გათვალისწინებული ამ სამართლებრივი შედეგის მისალებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი ნინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნარდობის ხელშეკრულება; ბ) მენარდეს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) შემკვეთს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

გადაწყვეტილების შედეგი: მენარდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილებით შემცირდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მენარდის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ოდენობა.

მენარმების შორის ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში მოსარჩელემ (მენარდე) მოითხოვა მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც მოპასუხებ (შემკვეთი) არასწორად გაუქვითა დარიცხულ პირგასამტებლოში. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის, შემკვეთის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული მასალის ღირებულების დაკისრება.⁸²

სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 651 148.94 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ცვლილებები შეიტანა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლითაც უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხის სწორად დაანგარიშებით შემკვეთს 636 814.54 (ექსსას ოცდათექვსმეტი ათას რვაას თოთხმეტი ლარისა და ორმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის გადახდა დაკისრა.

მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე ეფუძნება სსკ-ის 629.1 მუხლს. სსკ-ის 629.1 მუხლით გათვალისწინებული ამ სამართლებრივი შედეგის მისალებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი ნინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნარდობის ხელშეკრულება; ბ) მენარდეს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) შემკვეთს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

საქმის ფაბულის მიხედვით, სადაცო არაა, რომ მენარდემ შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული 3 098 208.17 ლარის სამუშაო, შემკვეთმა კი გადაიხდა 2 284 272.00 ლარი, ანუ – 813 936.17 ლარით ნაკლები. სწორედ ამ თანხის გადახდას მოითხოვს მენარდე შემკვეთისაგან. შემკვეთის შესაგებელი მითითებული თანხის გადაუხდელობის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მენარდემ დაარღვია ხელშეკრუ-

⁸² სუს გადაწყვეტილება, 15 თებერვალი, 2019, №ას-537-537-2018.

ლეგიტ გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადები, რის გამოც მას დაეკისრა პირ-გასამტებლო 796 018.18 ლარი. ეს თანხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, შემკვეთმა გაქვითა მენარდისათვის ასანაზღაურებელ თანხაში. გარდა ამისა, სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთმა მენარდეს გადასცა 3 602.17 მეტრი სიგრძის მილი, რომლის გაუხარვავი ნანილი (17 917.99 ლარის) მენარდემ შემკვეთს არ დაუბრუნა, ამიტომ შემკვეთმა ეს თანხაც გაუქვითა მენარდეს ნარღობის საზღაურში.

საკასაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირგასამტებელი შეუსაბამოდ მაღლალია და შემცირებას ექვემდებარება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტკებლო (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%, რაც თვეში 30%-ს, ხოლო წელიწადში 360%-ს შეადგენს), საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუსაბამოდ მაღალია და არ შეესაბამება დადგენილ პრაქტიკას. ამასთან, შემკვეთის მიერ დარიცხული პირგასამტკებლო შეუსაბამოდ მაღალია შესრულების საგანთან მიმართებითაც გარდა ამისა, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა დარღვევის სიმძიმე და მოცულობა და ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხი, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მენარდე სამუშაოების შესრულებისას გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა, რის გამოც სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება მოითხოვა. შემკვეთმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და მენარდეს ვადა გაუგრძელა. უდავოა, რომ გაგრძელებული ვადით მენარდემ ყველა სამუშაო შეასრულა, ამასთან – შემკვეთმა მენარდეს პირგასამტკებლო დააკისრა არა მარტო ვალდებულების დარღვევიდან ვადის გაგრძელებაშიდე, არამედ ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების შემდეგაც. კასატორი განმარტავს, რომ პროექტის დროულად დასრულების განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა, მაგრამ იგი ვერ უთიოებს, სამუშაოთა შესრულების ვადაგადაცილებით, კონკრეტულად რა საფრთხე წარმოქმნა კრედიტორს და როგორია ამ საფრთხის ხარისხი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს მენარდისათვის დარიცხული პირგასამტებლო, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ს, თვეში 6%-ს, ხოლო წელიწადში 76%-ს შეადგენს და მეტიც არის სასამართლოს მიერ დამკაიდრებულ პრაქტიკაზე, თუმცა საკასაციო პალატამ მასზე არ იძსჯელა, ვიზანდან მოსარჩელეს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

სასამართლომ გაიზიარა შემკვეთის მოსაზრება მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხესის არასწორად დაანგარიშების თაობაზე, კერძოდ, რაკი დადგენილია, რომ მენარდემ სამუშაოების შესასრულებლად შემკვეთისაგან მიღებული მასალა არ დააბრუნა, სსკ-ის 646.2 მუხლის მიხედვით, შემკვეთს შეეძლო, მასალის დაპრუნება მოეთხოვა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მასალის დაპრუნება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, სსკ-ის 394.1-ე, 408.1-ე და 409-ე მუხლების საფუძველზე, შემკვეთს მასალის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნებოდა. მართალია, სსკ-ის 442.1 მუხლის საფუძველზე (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მასალის ღირებულების ნარდობის საზღაურში გაქვითვა, თუმცა, ფაქტობრივად, გამოქვითა არა მასალის სრული ღირებულება, არამედ მისი 1/5, რაც, ცხადია, შეცდომაა, ვინაიდნ ზემოხსენებული თანხა მასალის ღირებულებაა და არა პირგასამტებლო, შესაბამისად, მისი შემცირება, სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, დაუშეგინებელია.

6.4.13.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 477-ე, 629-ე, 623-ე, 286-ე, 289-ე, 509-ე მუხლები.

განვითარდეთ:

- ა. სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო განხილვის შედეგი არაორაზ-როვნად, მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს მიღებული გადაწყვეტილების სახით, იმ-გვარად, რაც იქნება ობიექტურად აღსრულებადი და არა – სადაც სამართალურ-თიერთობის რომელიმე მხარის ნებაზე დამოკიდებული;
- ბ. გამყიდველისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული გამოსყიდვა არის უფლება და არა ვალდებულება, შესაბამისად, მეორე მყიდველსა და ამხანაგობას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც, ამხანაგობამ, როგორც გამ-ყიდველმა იკისრა ვალდებულება, სამ თვეში დაეპრუნებინა მყიდველისათვის საც-ხოვრებელი ბინის საფასური, თავისი შინაარსით, ენინააღმდეგება, ნასყიდობისას, გამოსყიდვის შესაძლებლობის სამართლებრივ ბუნებას, რადგან გამოსყიდვის ნე-ბის გამოხატვა გამყიდველზეა დამოკიდებული და ასეთი ნების იძულებად გადაქ-ცევა, სსკ-ის 509-ე მუხლის მიზნის სანინააღმდეგოა, უფლების განხორციელების შესაძლებლობა კი – კონკრეტული ვალითაა ღიმიტირებული.

დაბრულების მოტივაცია: დამატებით კვლევას საჭიროებს ამხანაგობასა და პირ-ველ და მეორე მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელემ (ფიზიკური პირი) მოპასუხესთან (ბინათმშენებ-ლობის ამხანაგობა) გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომ-ლის მიხედვით, ამხანაგობამ ივალდებულა მყიდველისათვის საცხოვრებელი სახლის სა-კუთრებაში გადაცემა და ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება საცხოვრე-ბელი სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ. მოგვიანებით, ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების საფუძველზე, ამხანაგობამ იგივე უძრავი ნივთი გამოსყიდვის უფლებით მიჰყიდა სხვა მყიდველს, რომელმაც ბინა თავის საკუთრებად აღრიცხა. მოსარჩელემ ამხანაგობისა და ბინის მესაკუთრის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვა გამოსყიდვის უფლე-ბით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საცხოვრებელი ბი-ნის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილე-ბით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – მყიდ-ველის სარჩელი დაკმაყოფილდა, ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის „უძრავი ქონე-ბის ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით“ როგორც თვალთმაქცური გარი-გება, ბათილად იქნა ცნობილი.

საკასაციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად, განჩინებაში⁸³ მიუთითა, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს მხარეთა – ამხანაგობასა და მყიდველს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, ნასყიდობის წინარე ხელშეკ-რულება, რომელიც თავისი შინაარსიდან, და არა სათაურიდან, გამომდინარე, მხარეთა შორის ნარდობის ურთიერთობის მოწესრიგებას უფრო ასახავს, ვიდრე ნასყიდობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „...ასაშენებელ მრავალსართუ-ლან სახლში „მყიდველისათვის“ საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა და, ამასთან დაკავშირებით, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება საცხოვრებელი სახ-ლის მშენებლობის დასრულების შემდეგ“. საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 629-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ გარიგებით მხარეები შეთანხმდნენ გარკვეული სამუშაოს შეს-

⁸³ სუს განჩინება, 5 თებერვალი, 2016, №ას-871-821-2015.

რულებაზე და არა, გამყიდველის მიერ, ქონებაზე მყიდველისათვის საკუთრების უფლების, მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემაზე, რაც გამყიდველის მოვალეობაა, როგორც ეს სსკ-ის 477-ე მუხლითა დადგენილი. ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება, ეწებოდეს მყიდველისათვის უკვე არსებული ქონების გადაცემას, განსახილველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო აშენებულ და არა ასაშენებელ სახლში, საცხოვრებელი ბინა. მოხმობილი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობასა და მყიდველს შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა გაფორმდა, არ იყო სავალდებულო, აღნიშნული გარიგება წერილობით გაფორმებულიყო, შესაბამისად, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომელიც, თავისი არსით, ნარდობის გარიგება იყო, არ მოითხოვდა სსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წერილობითი ფორმის დაცვასა და შემძენზე განსაზღვრული საკუთრების უფლების, თუნდაც სამომავლო უფლების რეგისტრაციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად უნდა შეაფასოს გარიგება და დამატებით გამოიკვლიოს აღნიშნული საკითხი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე დამატებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს ამხანაგობასა და მეორე მყიდველის (კასატორის) მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გამყიდველი (ამხანაგობა) ვალდებულია, დაუბრუნოს მყიდველს გარკვეული თანხა სამ თვეში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გამყიდველისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული გამოსყიდვა არის უფლება და არა ვალდებულება, შესაბამისად, მეორე მყიდველსა და ამხანაგობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამხანაგობამ, როგორც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, სამ თვეში დაებრუნებინა მყიდველისათვის საცხოვრებელი ბინის საფასური, აღნიშნული შეთანხმება, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება, ნასყიდობისას, გამოსყიდვის შესაძლებლობის სამართლებრივ ბუნებას, რადგან გამოსყიდვის ნების გამოხსატვა გამყიდველზე დამოკიდებული და ასეთი ნების იძულებად გადაქცევა, ეწინააღმდეგება სსკ-ის 509-ე მუხლის მიზანს, უფლების განხორციელების შესაძლებლობა კი – კონკრეტული ვალითაა ლიმიტირებული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნით მხარეთა შორის თვალთმაქცური გარიგება დაიდო (სსკ-ის 56-ე მუხლი), რეალურად -ნასყიდობა სესხის ხელშეკრულების დასაფარავად გამოსყიდვის უფლებით. საკასაციო სასმართლოს განსჯით, აღნიშნული საკითხიც დამატებით კვლევასა და შეფასებას მოითხოვს, რადგან, თუკი მხარეებმა გარიგებით სასესხო ურთიერთობა დაფარეს, მაშინ სავალდებულოა მისი უზრუნველყოფის – იპოთეკის საკითხის გამოკვლევაც, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა (სსკ-ის 623-ე, 286-ე, 289-ე).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტზეც, რომლითაც ამხანაგობას დაევალა, საკუთრებაში გადასცეს მყიდველს სადავო ბინა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არსებული ფორმულირებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, ვერ იქნება აღსრულებადი, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი არ შეიძლება იყოს დამოკიდებული რომელიმე მხარეზე სააპელაციო სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში მკაფიოდ, არაორაზროვნად უნდა ჩამოაყალიბოს სასამართლო განხილვის შედეგი, მიღებული გადაწყვეტილების სახით, იმგვარად, რაც იქნება ობიექტურად აღსრულებადი და არა სადავო სამართალურთიერთობის რომელიმე მხარის ნებაზე დამოკიდებული.

6.4.14.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, 636-ე, 637-ე მუხლები.

განმარტება: მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატორი მხარის დადგენა არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან სამოქალაქო კოდექსი ნარდობის მომზესრიგებელ ნორმათა შორის კონკრეტულ და განსხვავებულ პირობებს განსაზღვრავს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, იმის მიხედვით, იქნება ეს შემკვეთისა თუ მენარდის ინიციატივით.

დაპრუნების მოტივაცია: გამოსაკვლევია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, ნაკისრი ვალდებულებებისა და შესრულების შეფასება.

მეწარმეებს შორის ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში მენარდემ მოითხოვა შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის გადახდა. შემკვეთმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მენარდეს დაჰკისრებოდა მენარდის ნაცვლად მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების, ასევე – პირგასამტებლოსა და ჯარიმის გადახდა.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა როგორც სარჩელი, ისე შეგებებული სარჩელი და ორივე მხარის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკამაყოფილება. საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკამაყოფილა მენარდისა და შემკვეთის საკასაციო საჩივრებიც და საქმე ხელახლა განსაზილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.⁸⁴

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2010 წლის 5 იანვრიდან 30 ოქტომბრამდე, გამოსაკვლევია ორივე კასატორს შორის არსებული ურთიერთობა, ნაკისრი ვალდებულებებისა და შესრულების შეფასება. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია როგორც პირველი კონტრაქტი, რომლის მონაწილე მხარეები არიან შემკვეთი, მენარდე და მეორე კონტრაქტი, ასევე მენარდესა და მეორე კონტრაქტორს შორის დადებული ე.ნ. კონსორციუმის შეთანხმება, რომლის თანახმად, მეორე კონტრაქტორის ვალდებულება იყო მხოლოდ პროდუქციის მიწოდება, ხოლო სამუშაოები მენარდეს უნდა შეესრულებინა.

საკასაციო სასამართლომ წინააღმდეგობრივად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, და განმარტა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დადგენას, კერძოდ, პირველად რომელმა მხარემ მოშალა ხელშეკრულება – ჯერ მენარდემ მიატოვა სამუშაოები თუ შემკვეთმა მოშალა ხელშეკრულება. მოდავე მხარეთაგან, მენარდის მიერ 05.01.2010 ხელშეკრულების იმავე წლის მაისში მოშლის შემდეგ, თუკი მათ შორის აღარ არსებობდა ვალდებულებები, რის საფუძველზე შეასრულა მან იმავე წლის სექტემბრიდან ძირითადი სამუშაოები, თუ მაისში უკვე მიტოვებული პქონდა ნარმოება და ოქტომბრამდე მხარეთა შორის ურთიერთობა არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს 30.10.2010 შეთანხმების ფარგლებში, რა ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდათ მხარეებს, როგორ, როდის და რამდენი შეასრულეს, თუკი სექტემბერში მენარდე ასრულებდა ძირითად სამუშაოს, მაშინ როდის მოიშალა ხელშეკრულება და ვის მიერ, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, მენარდემ 2010 წლის მაისში მიატოვა სამუშაოები ანუ მოშალა ხელშეკრულება, ხოლო იმავე გადაწყვეტილებაში შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლის თარიღად 2010 წლის 13 ივნისია მითითებული, ამასთან, როგორც დადგენილია, მხარეთა შორის მხოლოდ 2010 წლის 30 ოქტომბერს აღდგა ურთიერთობა ძველ კონტრაქტში ცვლილებების შეტანით, რომელსაც მხოლოდ შემკვეთმა და მენარდემ მოაწერეს ხელი.

⁸⁴ სუს განჩინება, 15 იანვარი, 2016, №ას-700-670-2014.

საკასაციო სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორის დადგენა, რადგან გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 636-ე მუხლზე მიუთითა. მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატორი მხარის დადგენა არსებითი მნიშვნელობისაა, რადგან სამოქალაქო კოდექსი ნარდობის მომწესრიგებელ ნორმათა შორის კონკრეტულ პირობებს განსაზღვრავს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, იქნება ეს შემკვეთისა თუ მენარდის ინიციატივით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასარკვევია ლითონის მილების შეძენისა და მათ ჩასადებად გაწეული სამუშაოების საკითხი. სააპელაციო სასამართლომ შესატყვისი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა გაარკვიოს, დასტურდება თუ არა ლითონის მილების შეძენა, ხოლო დადასტურების შემთხვევაში – ვინ და რა ფასად შეიძინა, ასევე, გამოსაკვლევია, მილების მიწისქვეშა სამუშაოებისათვის გამოყენების ფაქტი, სად, რა ღირებულების მილები ჩაეწყო მიწისქვეშ, ვინ განია კონკრეტული სამუშაოები და როდის, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დადგინდეს თითოეული მოდავე მხარის კავშირი აღნიშნულ გარემოებასთან და მათ მიერ დახარჯული რესურსი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯერ უნდა დადგინდეს სადაც სამართალურ-თიერთობის შესაბამისად, მოდავე მხარეთა პრეტენზიების ნარმოშობის იურიდიული დასაბუთებულობა, საკასაციო განაცხადის ფაქტობრივი საფუძველი და შესაბამისი ნორმით დადგენილი სამართლებრივი შედეგი, ხოლო შემდეგ – თითოეული მხარის მოთხოვნის შესაბამისობა საქმეში ნარმოდგენილი სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.

6.4.15.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629.1-ე, 493.1-ე, 495-ე მუხლები.

განვითარება: ვინაიდან გამყიდველმა ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარი მასალებით იკისრა მყიდველისათვის საქონლის დამზადება და მიწოდება, რასაც ყიდულობს შემკვეთი, ამასთან, დამზადებულია გვაროვნული ნივთი, სსკ-ის 629.1-ე მუხლის საფუძველზე სადაც სამართალურ-თიერთობა ნასყიდობის სახელშეკრულები ნორმებით უნდა გადაწყდეს.

დაპრუნების საფუძველი: საჭიროა დამატებითი ფაქტების გამოკვლევა.

მენარმეთა შორის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავანსად გადახდილი თანხის, მიუღებელი შემოსავლისა და პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე მყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გამყიდველის შეგებებული სარჩელი, დამზადებული საქონლის მილების დავალდებულების, საქონლის შენახვის ხარჯისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნით – დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის (მყიდველის) სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. დამატებითი ფაქტების გამოკვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო განაცხადი და საქმე განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად.⁸⁵

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მხარეთა შორის ნარმოშობილი განსახილველი ურთიერთობა შეიცავს როგორც ნარდობის, ისე – ნასყიდობის სამართლებრივი

⁸⁵ სუს განჩინება, 10 ნოემბერი, 2017, №ას-629-588-2017.

ურთიერთობების ელემენტებს. საკასაციო სასამართლომ კი განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ნასყიდობის წესები (სსკ-ის 629.1-ე მუხლი), ვინაიდან გამყიდველმა ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარი მასალებით იყისრა მყიდველისათვის საქონლის დამზადება და მიწოდება, ამ ვითარებაში გამყიდველი, როგორც მენარდე, ამზადებს კონკრეტულ პროდუქციას, რასაც ყიდულობს შემკვეთი, რომელიც თავის მხრივ, სხვა მესამე პირებთან იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ამასთან, დამზადებულია გვაროვნული ნივთი. **სსკ-ის 629.1-ე მუხლის საფუძველზე სადაც სამართალურთიერთობა ნასყიდობის სახელშეკრულებო ნორმებით უნდა გადაწყვდეს.**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მცდარია რაიონული სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომ მყიდველი (თავდაპირველი მოსარჩევე), ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დაგვიანებით მიღებით, დაეთანხმა ხელშეკრულების „ახალ პირობებს“, რადგან გამყიდველის (შეგებებული მოსარჩევე) მიერ დამზადებული საქონლის მყიდველისათვის (თავდაპირველი მოსარჩელისათვის) ერთი თვის დაგვიანებით მიწოდება არ შეიძლება განხილულ იქნეს ოფერტად და აქცეპტად, შესაბამისად, მყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ახალ, შეცვლილ პირობებზე დუმილით თანხმობის მიცემად.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა რამდენიმე დამატებითი ფაქტის გამოკვლევა-დადგენა. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად დადგენილად მიიჩნია ისეთი გარემოებები, რაც მოცემული შემთხვევის ნასყიდობის წესებით შეფასებისას, შესაძლოა, სსკ-ის 495-ე მუხლის წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევაზე მიუთითებდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავის ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმებით შეფასებისას, თავდაპირველი მოსარჩეველის (მყიდველის) სასარჩევო მოთხოვნის დასაბუთებულობის შემოწმების თვალსაზრისით, ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტების დასადგენად, რომ მყიდველმა ხელშეკრულებით შეთანხმებული პროდუქციის მხოლოდ ნაწილი მიიღო და ისიც დაგვიანებით, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს, არსებობს თუ არა სსკ-ის 493.1-ე მუხლით განსაზღვრული ფაქტობრივი წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ნასყიდობის წესების საფუძველზე დამატებით დასადგენი ფაქტობრივი წინაპირობების გარეშე, შეუძლებელია საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სამართლებრივად შეფასდეს, ერთი მხრივ, მყიდველის (როგორც თავდაპირველი მოსარჩეველის) და, მეორე მხრივ, გამყიდველის (როგორც შეგებებული მოსარჩეველის) მოთხოვნების დასაბუთებულობა და სამართლებრივი საფუძვლიანობა, რაც გახდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

6.4.16.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 629-ე, სსსკ-ის 105-ე მუხლები.

განმარტება: იმის გათვალისწინებით, რომ დავა სწორედ იმ საკითხებს შეეხება, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნაშია ასახული, ხოლო დასკვნა, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, დასაშვებად იქნა მიჩნეული სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად.

დაპრუნების საფუძველი: საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, მენარდის (მიმწოდებლის) სარჩევი შემკვეთის (შემსყიდველის, მოპასუ-

ხის) მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

შემკვეთის საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად არ გამოიკვლია და არ შეაფასა სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე აპელანტის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა შეფასდეს გამგეობის (შემკვეთის) მიერ წარდგენილი მტკიცებულება – ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა №2-ით) წარდგენილი შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების შესაბამისობას ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობასა და ღირებულებასთან მიმართებით. დასკვნა უკავშირდება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხსაც. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, ვინაიდან დავა ექსპერტიზის ზემოხსენებულ დასკვნაში ასახულ საკითხებზე, ხოლო დასკვნა, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, დასაშვებად იქნა მიჩნეული სააპელაციო სამართალწარმოების „ეტაპზე“, უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, რადგან შეუძლებელია ამ მტკიცებულების გვერდის ავლით სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული დავის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტით გადაწყვეტა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული გარემოების (მეორე ეტაპის სამუშაოთა მოცულობა და ხარისხი) გამოკვლევის გარეშე, შეუძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეაუნიტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია.⁸⁶

6.5. დავალება

6.5.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 35-ე, 709-ე, 710-ე, 720-ე, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლები.

განვითარებები:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი ელემენტების შემოღების მიუხედავად, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, იგი სასამართლო ხელშეკრულებაა, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნების-მიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მოქმედიდან.

გადაცევეტილების შედეგი: ა(ა) იპ-ის ყოფილი დირექტორის სარჩელი უარყოფილი იქნა სსკ-ის 709-720-ე მუხლების საფუძველზე.

⁸⁶ სუს განჩინება, 22 მარტი, 2019, №ას-455-455-2018.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორის გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, მისი სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელი ქვედა ინსტანციის სასამართლომა დააკმაყოფილეს. სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია ა(ა)იპ-ის დირექტორთან შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის წესი, კერძოდ, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წინასწარი შეუტყობინებლობით, ასევე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ბრძანების გამოცემით მან გამოავლინა ბათილი წება (სკ-ის 54-ე მუხლი), რაც სარჩელის დაკმაყოფილებას დაედო საფუძვლად.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.⁸⁷ სარჩელის უარყოფას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად დაუდო არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ამ მხრივ შრომის კანონმდებლობის გამოყენების მართლზომიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად დავის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმები და არასწორად მიიჩნია მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოპასუხის მიერ გამოვლენილი წება არამართლზომიერად.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ა(ა)იპ-ის მარეგულირებელი ნორმებით, კერძოდ, 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ხელმძღვანელობითი და ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმესუბიექტის ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით კი მოწესრიგებულია სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და სანარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები გვარდება სამოქალაქო კოდექსით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განსახვავებს სანარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე განხესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და, შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის წების შესრულების საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე განწესების აქტს, იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა.

⁸⁷ სუს გადაწყვეტილება, 15 ივლისი, 2016, №ას-302-287-2016. იხ. იმავე საკითხზე სუს გადაწყვეტილება, 15 ივლისი, 2016, №ას-101-97-2016, სუს გადაწყვეტილება, 23 სექტემბერი, 2016, №ას-131-127-2016.

დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით, ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, პალატამ აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ მუხლი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომ-ლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონით დადგენილია სამი შემთხვევა: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულებული პირის გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს სსკ-ის 38-ე მუხლით (მრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 72 პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები.

პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხესენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და საკსეპიო განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.

საკასაციო პალატის განმარტებით, საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე-გადაიხილოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, დამყარებულია განსაჯუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფილუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული.

საკასაციო პალატის დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მენარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, მსგავს მოწესრიგებას შეიცავს ამ კუთხით სსკ-სის 35.2 და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 მუხლები, ასევე, მოსაგვარებელი ურ-

თიერთობა ყველაზე მეტ მსგავსებას დავალების ხელშეკრულების ნორმებთან ავლენს. სსკ-ის 709-ე, 710-ე, 720-ე მუხლების დანაწესების გათვალისწინებით ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

საკასაციო პალატის განმარტებით, არასამენარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით ალქურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას აქვს დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნებიც, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა – შრომის უფლება, რომელიც მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვა, რაც, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად მოწესრიგდეს არასამენარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით.

სხვა დავაში,⁸⁸ სადაც საკასაციო სასამართლომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად განმარტა ა(ა)იპ-ის დირექტორის სამუშაოდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები, იმსჯელა დასაქმებულისათვის გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის მართლზომიერებაზე. მან შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე და დააკმაყოფილა მოთხოვნა შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორის აქვს შრომის კოდექსის V თავით რეგლამენტირებული უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (შე-ის 21.1 მუხლი), თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს (ამავე ნორმის შემდგომი დანაწესები), ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვინაიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველი არა სშე-ის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობაა, არამედ დავალების მიმცემის ცალმხრივი ნებაა, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საკითხის ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით შეზღუდვა კანონის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების საკითხი სრულად ექცევა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის რეგულაციის სფეროში (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995 დადგენილებით, ძალაშია 22.06.1997 წლიდან), რომლის პირველი მუხლით დადგენილია მისი გამოყენების სფერო, თუმცა იგი არ არის ამომწურავი და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოცემული ჩამონათვალით კონვენციის მოქმედების შეზღუდვა მისი სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს, იგი მიღებულია 1936 წელს მაშინ, როდესაც მრავალი სპეციალიზაცია და საქმიანობის სახე არ არსებობდა (იხ. სუსგ №ას-1222-1073-10, 13 იანვარი, 2011 წელი. მოხმობილ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მხრიდან „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის ფართო განმარტება

⁸⁸ სუს გადაწყვეტილება, 23 სექტემბერი, 2016, №ას-131-127-2016.

და არ დაუშვა განსახილველად დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი). ამავე კონვენციის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია შემდეგი: პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ, ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შევბულებას, შევბულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა სრულად ექცევა, როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მოწესრიგების სტანდარტში და კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამოანგარიშების ნესი მოცემულია შრომის კოდექსის 26-ე მუხლში.

6.5.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 424-426, 90-ე, 92-ე, 94-ე, 400-ე, 402-2, 411-ე მუხლები.

განმარტებები: საკასაციო სასამართლომ ბლოკირებული ბონუსი მოვალის გარანტიად მიიჩნია, ხოლო ამ ბონუსის დაბრუნების წესზე შეთანხმება ბათოლ ნებაზე დამკიდებულ პირობით გარიგებად.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი ქვედა ინსტანციების მიერ უარყოფილი ბონუსის ბლოკირებული თანხისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

საწარმოს ყოფილმა დირექტორმა საწარმოს მიმართ წარმოებულ შრომით-სამართლებრივ დაფაში მოითხოვა სამი თვის ხელფასის ოდენბით კომპენსაციის, შეთანხმებული ბონუსისა და მიუღებელი შემოსავლის სახით ბონუსის 10%-ის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეყისრა კომპენსაციის სახით ორი თვის ხელფასისა და სარჩელით მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის ნაწილის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი უარყოფილ იქნა. საპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, კრედიტორის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით, სამი თვის ხელფასისა და მიუღებელი შემოსავლის გაზრდილი ოდენბით გადახდა მოპასუხეს დაეკისრა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქვედა ინსტანციების მიერ უარყოფილი ბონუსის ბლოკირებული თანხისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი დაკმაყოფილდა.⁸⁹

საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ, მიუხედავად მხარეთა შორის კორპორაციული ურთიერთობის არსებობისა, ფართო გაგებით დირექტორთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულება შეიცავს კერძოსამართლებრივ ელემენტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ამ ურთიერთობის სახელშეკრულებო მხარე ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულებასთან დგას (**სუსგ №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი**). მას აქვს სოციალური დატვირთვაც – დირექტორის შრომის ანაზღაურება წარმოადგენს ხელფასს და იგი საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა (ეკროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი), თავად საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე კი, ამ უფლებისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი ელემენტის გამოყენება (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა) მესაკუთრის ნებაზეა დამოკიდებული (სკ-ის 170.1 მუხლი). საკუთრების სანივთო უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ქონების რაობები განკარგვის შეზ-

⁸⁹ სუს გადაწყვეტილება, 25 იანვარი, 2019, №ას-164-164-2018.

ღუდვა გამართლებულია მხოლოდ კანონის ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ დირექტორზე საზოგადოებას გაცემული აქვს წლიური ბონუსი, შესაბამისად, თანხა, რომლისგანც ამ ბონუსის 100% შედგება, გაცემის დროიდან წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას, თუმცა სასამსახურო ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ამ უფლების გარკვეულ შეზღუდვაზე. მოხმობილი გარემოებების, ხელშეკრულებით დირექტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ბლოკირებული თანხების გაცემა უკავშირდებოდა კომპანიის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგებს, პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის შემდეგი პოზიცია – მხარეები შეთანხმდნენ სასამსახურო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოვალის გარანტის გამოყენებაზე (სკ-ის 424-ე-426-ე მუხლები: მოცემულ შემთხვევაში, დაცულია გარანტის ფორმაც). სასამართლომ გარანტია ნამდვილად მიიჩნია, რადგანაც საკუთრების სახელშეკრულებო ბოჭვის ამგვარი პირობა არც საკუთრების უფლების არს არ ენინაალდეგება და არც ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს (სკ-ის 425-ე მუხლი).

სასამართლომ შეაფასა რა ბლოკირებული ბონუსის დაბრუნების წესი, რომლის თანახმადაც ბლოკირებული თანხის მესაკუთრისათვის დაბრუნებისათვის უნდა გამოვლინებულიყო 2 კუმულაციური წინაპირობა: უნდა გასულიყო 1-წლიანი ვადა (მორიგი აუდიტორული შემოწმების შედეგები) და დირექტორს კვლავ „შრომით ურთიერთობა“ უნდა ჰქონოდა საზოგადოებასთან (ანუ შრომითი ურთიერთობა არ უნდა იყოს შეწყვეტილი), დაასკვნა, რომ ამგვარი შეთანხმება, შეიცავს პირობითი გარიგების ელემენტებს: სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად მიიჩნევა გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ გარიგების შესრულება გადაიდება მის დადგომამდე ან გარიგება შეწყვეტა ამ მოვლენისთანავე. თავად პირობა წარმოადგენს ნეგატიურს, რამდენადაც სსკ-ის 94-ე მუხლის პირველი წარმომისათვის კანონისმიერი წინაპირობის დაუდგომლობა – მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის შეუწყვეტელობაა დათქმული, რაც შეეხება კუმულაციურ პირობათაგან მეორეს – აუდიტორული შემოწმების შედეგებს, იგიც ნეგატიურია, რადგანაც ბლოკირებული ბონუსი გაიცემა, თუ მომდევნო წლის აუდიტორული შემოწმება უარყოფითი არ იქნება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი პირობით დადებული გარიგება, სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, უცილოდ ბათილია, რადგანაც ენინაალდეგება კანონს – სსკ-ის 92-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ნებაზე დამოკიდებულად მიიჩნევა ისეთი პირობა, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია. მოხმობილი ნორმისა და ხელშეკრულების მოშლის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამსახურო ხელშეკრულება, გარდა კორპორაციული აქტისა, კერძოსამართლებრივ ელემენტებსაც ემყარება და, ბუნებრივია, მასზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების მოშლისათვის სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლები (ხელშეკრულებიდან გასვლა), ასევე, 399-ე მუხლი (უარი გრძელვადიან ურთიერთობაზე), მით უფრო სასამსახურო ხელშეკრულებაზე მსჯელობისას, რომელიც, დავალების ნორმებს ემყარება, გასათვალისწინებელია სსკ-ის 720-ე მუხლის პირველი წანილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. ამ უფლებაზე უარის შესახებ შეთანხმება ბათილია. ამდენად, ბლოკის მოხსნის დროისათვის მხარეების სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყოფნის აუცილებლობის თაობაზე მხარეთა შორის გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულების პირობა წარმოადგენს სწორედ ხელშემკვრელ მხარეთა ნებაზე დამოკიდებულ პირობას და ბათილია, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების წანილის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობას (სსკ-ის 62-ე მუხლი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კომპანიას დირექტორთან სასამსახურო ურთიერთობის მოშლისას წარმოეშვა ბლოკირებული ბონუსის ანაზღაურების ვალდებულებაც, რომელიც,

მიუხედავად კრედიტორის წერილობითი მოთხოვნისა, არ შეუსრულებია, შესაბამისად, მოვალე კომპანიამ სსკ-ის მე-400 მუხლით გათვალისწინებულ ვადას გადააცილა. ასეთ ვითარებაში, ამავე კოდექსის 404-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე კრედიტორს წარმოეშვა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის, მათ შორის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. გასაჩივრებული ვადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს დაყოვნებული თანხის წლიურ 10%-ს. ამ ნანილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264.2 მუხლი). ამიტომ, სსსკ-ის 266-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მოთხოვნა – ბლოკირებული ბონუსის წლიური 10%-ის დაკისრების მოთხოვნის ნაწილშიც საფუძვლიანად მიიჩნია.

6.5.3.

გამოყენებული წორმები: სსკ-ის 709-ე, 710.1.-ე მუხლები.

განმარტება: სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, სარჩელის წარმატებულობისათვის უნდა ვლინდებოდეს შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შორის უნდა არსებობდეს დავალების სამართლებრივი ურთიერთობა; რწმუნებულს უნდა ჰქონდეს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი მოქმედება; მარწმუნებელს არ უნდა ჰქონდეს მისოვის განკუთვნილი შესრულება მიღებული. პირველი ორი ფაქტის მტკიცება, ეკისრება მარწმუნებელს, ხოლო მესამე ფაქტისა – რწმუნებულს.

დაგრუების საფუძველი: საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საწარმომ (მარწმუნებელმა) მოპასუხის (რწმუნებულის) მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა ფულადი დაგალიანების დაკისრება. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა იმავე სასამართლოში.⁹⁰

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეაფასეს მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებად (სუ-ის 709-ე და 710.1 მუხლები), სწორედ ამ ვალდებულების ფარგლებში მოითხოვს მარწმუნებელი რწმუნებულისათვის მინდობილი მოქმედების შედეგად მიღებულის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, სარჩელის წარმატებულობისათვის უნდა ვლინდებოდეს შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შორის უნდა არსებობდეს დავალების სამართლებრივი ურთიერთობა; რწმუნებულს უნდა ჰქონდეს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი მოქმედება; მარწმუნებელს არ უნდა ჰქონდეს მისოვის განკუთვნილი შესრულება მიღებული. პირველი ორი ფაქტის მტკიცება, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მარწმუნებელს, ხოლო მესამე ფაქტისა – რწმუნებულს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარადგინა დავალების ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ფარგლებში მინდობილი მოქმედების შესრულების ფაქტის მტკიცებით – საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ ამონაწერი და ამ ამონაწერის საფუძველზე შედგენილი აუდიტორული გაანგარიშება. მოპასუხემ მოთხოვნას დაუპირისპირა მისი განხორციელების გამომრიცხველი შესაგებელი და აღნიშნა, რომ მან დავალების ხელშეკრულება შეწ

⁹⁰ სუს განჩინება, 11 მაისი, 2018, №ას-1190-1110-2017.

ყვიტა ცალმხრივად, ხოლო მის ნაცვლად მარწმუნებელმა ურთიერთობა გააგრძელა სხვა პირთან (**მოპასუხის ყოფილ დამხმარესთან**), შესაბამისად, მას, როგორც რწმუნებულს, დავალიანება არ გააჩნია, გარდა ამისა, მხარემ სადაც გახადა დავალიანების მტკიცების შიზნით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ხსენებული მტკიცებულებების შეფასების კანონიერება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ის გარემოება, რომ შესაგებელში, სოციალურ ქსელ „სკაისა“ და საბანკო ამონანერში მითითებული რწმუნებულის დამხმარის მიერ მოსარჩელე კომპანიის წინაშე გარკვეული შესრულება ხომ არ ქმნის იმ პრეზუმაციის დაშვების საფუძველს, რომ რწმუნებულის ნება მართლაც მიუვიდა მარწმუნებელს, რაც დავალების შეწყვეტილად მიჩნევის საფუძველია. ამ მხრივ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე კვლევას. საპირისპირო ვითარებაშიც კი, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებში მოხსენიებული რწმუნებულის დამხმარე მართლაც ასრულებდა გარკვეულ იურიდიულ მოქმედებებს. არც მოსარჩელეს მიუთითებია და არც სასამართლოებს არ დაუდგენიათ ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ დავალების ხელშეკრულება მინდობილი მოქმედების გადანდობას კრძალავს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს, ხომ არ ვლინდება სსკ-ის 711-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დავალების შესრულების გადანდობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში, ამავე ნორმის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, რწმუნებულის პასუხისმგებლობის საკითხიც განსხვავებულია (თუ ნებადართულია დავალების გადანდობა მესამე პირისათვის, მაშინ რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტები არასრულყოფილადაა გამოკვლეული, ასევე – ხელახალ შესწავლას მოითხოვს (**მოპასუხის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი, კომპანიისა და ინდმენარმის სამართლებრივი კავშირი, დავალიანების წარმოშობის პერიოდი, დავალიანების ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა**), რაც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის უმთავრესი საკითხია.

6.5.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 31-ე (3) მუხლი, 429-ე, 709-ე და მომდევნო მუხლები, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.7.-ე მუხლი.

გამოართება:

ა. საზოგადოების დირექტორი არ წარმოადგენს მის თანამდებობაზე განსაწესებელ პირთან დამოკიდებულებაში მყოფ პირს, არამედ თავისუფალია და საკუთარ საქმიანობას, საზოგადოების წესდებისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით ახორციელებს კომერსანტის გულისხმიერებით, იმ მიზნით, რომ მის მიერ მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებები ორიენტირებულია მეწარმე სუბიექტის ინტერესების გაუმჯობესება-გამყარებისკენ;

ბ. დავალების მომწესრიგებელი ნორმები და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების წერილობით დადების დათქმას არ შეიცავს, შესაბამისად, იგი ფორმათავისუფალ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის ის დებულება, რომელიც ადგენს, რომ ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

დაპრუნების საფუძველი: საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

შრომითსამართლებრივ დავაში მოსარჩელემ (კლინიკის ყოფილმა დირექტორმა) მიუღებელი ხელფასი და ხელფასის დაყოვნებისთვის ზიანის ანაზღაურება მოთხოვთ. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოთხოვნა უარყვეს, ხოლო საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაპრუნა იმავე სასამართლოში.⁹¹

საკასაციო სასამართლომ შეაფასა საწარმოს ყოფილი დირექტორის მოთხოვნის კანონიერება, რომელიც შეეხება დირექტორობის პერიოდში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას. მოსარჩელის (კასატორის) განმარტებით, საწარმოში მისი საქმიანობა იყო ანაზღაურებადი, კერძოდ, საზოგადოების პარტნიორებთან ზეპირად დადგებული ხელშეკრულების საფუძველზე, მან, როგორც ხელმძღვანელობითა უფლებამოსილების მქონე პირმა, დაინიშნა ხელფასი, რომელიც იურიდიული პირის სამენარმეო და სხვა ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, ანაზღაურდებოდა ეტაპობრივად. მოპასუხე საწარმოს ძირითადი შედავება სარჩელის წინააღმდეგ არის ის, რომ ხელფასის დანიშვნა არ იყო შეთანხმებული პარტნიორებთან, შესაბამისად, არც დავალიანება აქცის მოპასუხეს ყოფილი დირექტორის მიმართ. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უმთავრეს წინაპირობად მიჩნეულ იქნა მოსარჩელის (ყოფილი დირექტორის) მიერ შრომის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის თაობაზე პარტნიორთა ნების არსებობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ სადაც სამართლურთიერთობა, ნაცვლად შრომითისა, არასწორად მიიჩნია დავალების ხელშეკრულებად და განმარტა, რომ სშე-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც შრომითი ურთიერთობის დეფინიციას ნარმოადგენს და ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს გამოკვეთს, ადგენს დაქვემდებარებულ შრომას, კერძოდ, სამუშაო სრულდება დამსაქმებლის მითითების შესაბამისად – ხელფასის ანაზღაურების სანაცვლოდ. სწორედ უმთავრესი ნიშანი, რაც განასხვავებს კომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მხრიდან მოვალეობათა შესრულებას, ეს არის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებული ავტონომიურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების დირექტორი არ წარმოადგენს მის თანამდებობაზე განამწესებელ პირთან დამოკიდებულებაში მყოფ პირს, არამედ თავისუფალია და საკუთარ საქმიანობას, საზოგადოების წესდებისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით ახორციელებს კომერსანტის გულისხმიერებით, იმ მიზნით, რომ მის მიერ მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებები მოიწოდებულია მენარმე სუბიექტის ინტერესების გაუმჯობესება-გამყარებისკენ.

საკასაციო პალატამ სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციის თვალსაზრისით, სრულად გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება და მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით, რომლითაც არაერთხელ განიმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს. უზენაესმა სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ საკორპორაციო სამართლი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე განწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დი-

⁹¹ სუს განჩინება, 3 ნოემბერი, 2017, №ას-650-606-2017.

რექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯარო-ებისა და, შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების შესრულების სა-ფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსი-ლი, განახორციელოს მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თა-ნამდებობაზე განხესების აქტს, იგი ნარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებითსა-მართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა.

საკასაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ შესაფა-სებელი სამართალურთიერთობა ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულებასთან დგას, რამდენადაც, სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად, დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუ-ნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწ-ვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას. რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რამე მო-ნესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამო-კიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ განსაზიდველი დავის სამართლებრივი მოწესრიგები-სათვის სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა დავალების წესებით.

საკასაციო პალატის აზრით, შემოწმებას ექვემდებარება სასარჩელო მოთხოვნის საფუძ-ვლიანობა, კერძოდ, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ გასამრჯელოს გადახდა.

პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის შედავება ხელშეკრულების ფორმასთან და-კავშირებით და განმარტა, რომ არც დავალების მომწესრიგებელი ნორმები და არც „მენარ-მეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკ-რულების წერილობით დადების დათქმას არ შეიცავს, შესაბამისად, იგი ფორმათავისუ-ფალ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის ის დებულება, რომელიც ადგენს, რომ ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გა-რიგება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავალების სასყიდლიან ხელშეკრულებაზე ზეპირი ფორ-მით შეთანხმების მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მო-სარჩელეს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებუ-ლები უნდა შეფასდეს ერთობლივად და უნდა დადგინდეს, მათი ანალიზი ხომ არ ქმნის პრეზუმუციას, რომ დავალების ხელშეკრულება მართლაც სასყიდლიანი იყო. დადებით შემთხვევაში, პრეზუმირებული ფაქტის ბუნებიდან გამომდინარე, მისი გა-ქარწყლების ვალდებულება დაკისრება მოპასუხეს. რაც შეეხება დავალიანების არ-სებობის მტკიცებას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგი მხოლოდ იმ შემთხვე-ვაში გახდება მსჯელობის საგანი, თუკი საქმეში არსებული მტკიცებულებების ანა-ლიზით დადგინდება მხარეთა შეთანხმების არსებობა გასამრჯელოზე. ასეთ შემთხვე-ვაში, სსკ-ის 429-ე მუხლის თანახმად, მტკიცების ტვირთი სრულად მოპასუხეს უნდა დაეკისროს.

საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია დავალიანების დაყოვნების გამო პირგასამტკე-ლოს დაკისრების მოთხოვნა, რამდენადაც ამ საკითხს აწესრიგებს სშკ-ის 31-ე (3) მუხლი,

რომელიც ამ ურთიერთობის მიმართ არ ვრცელდება, ხოლო ზეპირი ხელშეკრულებით პირ-გასამტეხლოზე შეთანხმება ნამდვილი არ არის სსკ-ის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერა-ტიული დათქმიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, ვინაიდან სასამსახურო ხელშეკრუ-ლების პირობები არ არის დადგენილი, პალატამ ამ მოთხოვნის ნაწილში ვერ მიიღო გადაწ-ყვეტილება.

6.6. მიმართება

6.6.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 681-ე, 682-ე-684-ე, 744-ე 763-ე, სსსკ-ის 85-ე მუხ-ლები.

განვითარება:

- ა. გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები წარმოადგენს ხელშემკვრელი მხარის უფლებაგანმკარგავ აქტებს, რამდენადაც სწორედ დოკუ-მენტის ხელთმქონე პირი განიხილება ტვირთის მართლზომიერ მფლობელად;
- ბ. გადაზიდვის ხელშეკრულების დასრულებისას, თუ ტვირთის მიღების დაყოვნება გამოწვეულია ტვირთმიმღების ბრალით ან სხვა, კანონით გათვალისწინებული ობი-ექტური საფუძვლით, გადაზიდვის დასრულების მიზნით გადამზიდავს, ბუნებრი-ვია, შეუძლია, ტვირთმიმღების სასარგებლოდ და მისივე ხარჯით გააფორმოს მათ შორის მიპარების ხელშეკრულება.

დაპრუნების საფუძველი: განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამარ-თლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მიპარების სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, მიპარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასყიდლის ანაზღაურებაზე ვალ-დებულ პირს წარმოადგენს თუ არა მოპასუხე. მიპარების საზღაურის გადახდის შესახებ მოსარჩელის (მენარმე-შემნახველის) მოთხოვნას მოპასუხემ საპროცესო ხასიათის შედა-ვება დაუპირისპირა და განმარტა, რომ იგი არ იყო შემნახველის მოთხოვნაზე პასუხისმგე-ბელი პირი. ამ თვალსაზრისით, მან მიუთითა გადამზიდავის მიერ ხელშეკრულების პირო-ბების დარღვევის ფაქტზე (კონოსამენტის გადაუცემლობა) და აღნიშნა, რომ მას ბრალი არ მიუძღვოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნივთის შემნახველის საწყობში განთავ-სებაში. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ გადამზიდავმა შეიძინა შეთანხმებული ავ-ტომობილი და ჩამოიყვანა საქართველოში. ტვირთის მიმღებად თავად იყო მითითებული; მოპასუხემ ავტომობილის მისაღებად, წერილობით მოითხოვა კონტეინერის კონისამენ-ტის ასლი, თუმცა იმ მოტივით, რომ ავტომობილი რეგისტრირებული იყო გადამზიდავის სახელზე, მას ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვა. ამის შემდეგ მოპასუხემ აღძრა სარჩელი გა-დამზიდავის წინააღმდეგ და მოითხოვა ავტომობილის გამოთხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან; საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ავტომობილი მოპასუხეს გადაეცა.

ქვემდგომი სასამართლოების მიერ, რომელთაც სარჩელი უარყვეს, დადგენილია, რომ მო-სარჩელესა (მენარმე) და მოპასუხეს შორის მიპარების ხელშეკრულება არ დადებულა, არა-მედ გააფორმა გადამზიდავმა, რომელიც ტვირთის საზღვაო გადაზიდვის კონოსამენტში თავად იყო ტვირთმიმღებად რეგისტრირებული, შესაბამისად, მოპასუხე არ წარმოადგენ-და შემნახველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს და მის მიმართ სარჩელი იყო უსაფუძვლო. შემნახველი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს და

მიიჩნევს, რომ მოპასუხე, რომელიც მიბარებული ტვირთის მესაკუთრეა, სწორედ ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 681-ე მუხლის თანახმად, ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე მიმღები უფლებამოსილია, გადამზიდავს მოსთხოვოს ტვირთის მიღების დადასტურებით ზედნადების მეორე პირის გადაცემა და ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად. დოკუმენტის ხელთ მქონე პირი განიხილება ტვირთის მართლზომიერ მფლობელად. ამასთანავე, სსკ-ის 682-ე-684-ე მუხლების სისტემური ანალიზით პალატამ დაასკვნა, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების დასრულებისას, თუ ტვირთის მიღების დაყოვნება გამონვეულია ტვირთმიმღების ბრალით ან სხვა, კანონით გათვალისწინებული ობიექტური საფუძვლით, გადაზიდვის დასრულების მიზნით გადამზიდავს, პუნქტოვია, შეუძლია, ტვირთმიმღების სასარგებლოდ და მისივე ხარჯით გააფორმოს მათ შორის მიბარების ხელშეკრულება.

საქართველოს საზღვაო კოდექსისა და საზღვაო ტვირთზიდვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენციაზე დაყრდნობით სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან გადამზიდავს ტვირთმიმღებისათვის არ გადაუცია ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, ქვემდგომმა სასამართლომ უნდა დაადგინოს მიბარების ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი სათანადო მოპასუხის ვინაობა და, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, იმსჯელოს პროცესში მის ჩაბმაზე, არასათანადო მოპასუხის მიმართ დადგენილ ფაქტებთან დაკავშირებით კი, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებით და მიიღოს გადაწყვეტილება, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.⁹²

6.6.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 763-764-ე მუხლები.

გამოიყენეთა: სსკ-ის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე ნინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისით, თუ შემნახველი ინახავს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი ამ დროს უშვებს სასყიდლიანი მიბარების პრეზუმეციას, რომლის თანახმად, თუ შემნახველის მიერ ნივთის შენახვა მის კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს, მაშინ მიბარება ანაზღაურებადია და არ არის აუცილებელი მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების არსებობა.

დაბრუნების საფუძვლი: გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

მოსარჩელე კომპანიამ მოპასუხე ავტომანქანის მფლობელებს მოსთხოვა მისი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე ავტომანქანების დგომის საფასური. მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენს საბაჟო კონტროლის ზონაში მომსახურე ორგანიზაციას, ავტომანქანების მფლობელებს განუბაჟებელი მანქანები შემოჰყავთ და იხდიან მანქანების ტერიტორიაზე დგომის საფასურს. თითოეული ავტომანქანის მფლობელისათვის ცნობილია საბაჟო კონტროლის ზონაში დადგენილი წესების შესახებ, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და საზოგადოების ვებგვერდზე.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის განჩინება, 10 მაისი, 2017, №ას-1085-1042-2016.

ჩელის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.⁹³

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხებმა თავიანთი ავტომანქანები სხვადასხვა დროს განათავსეს მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე, მხარეთა შორის წარმოშობილია მიპარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა. სსკ-ის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისით, თუ შემნახველი მოქმედებს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი უშვებს სასყიდლიანი მიპარების პრეზუმუციას, რომლის თანახმად, თუ შემნახველის მიერ ნივთის შენახვა მის კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს, მაშინ მიპარება ანაზღაურებადია და არ არის აუცილებელი ამის თაობაზე მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების არსებობა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, ვინაიდან უდავოა, რომ მოსარჩელე კომპანია (შემნახველი) მოქმედებს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, წარმოშობა პრეზუმუცია, რომ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად მიიჩნევა.

პალატის დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხებმა (მიმპარებლებმა) თავიანთი ავტომანქანების მოსარჩელე კომპანიის საბაჟო ტერმინალზე განთავსებით ანუ კონკლუდენტური მოქმედებებით დადეს ზეპირი სასყიდლიანი მიპარების ხელშეკრულებები.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, სწორედ კასატორს ეკისრება კონკრეტული ტარიფების თვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მოპასუხებისათვის ხელმისაწვდომობის მტკიცების მოვალეობა, რაც მან ვერ განახორციელა. მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი მითითება, რომ კონკრეტული სადგომისთვის გათვალისწინებული იყო შესაბამისი ტარიფი, არ არის საკმარისი მხარეთა შორის შეთანხმების ფაქტის დასადასტურებლად.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ კონკრეტულ ტარიფზე შეთანხმების არარსებობა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს, დაუსაბუთებლად მიიჩნია და მიუთითა სსკ-ის 764-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, ვინაიდან არ დასტურდება მხარეთა შორის კონკრეტულ სატარიფო განაკვეთზე შეთანხმების ფაქტი, განიხილება ისეთ შემთხვევად, როდესაც ტარიფები არ არის განსაზღვრული და წარმოშობა ჩვეულებრივი საზღაურის დადგენის ვალდებულება, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა. შესაბამისად, უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სარჩელი. აღნიშნული არგუმენტი გახდა კიდეც სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

⁹³ სუს განჩინება, 23 ოქტომბერი, 2017, № ას-965-930-2016.

6.7. დაზღვევა

6.7.1.

გამოყენებული წორმები: სსკ-ის 832-ე, 843.2. მუხლები.

განხარტებები:

ა. სუბროგაციის დროს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში იცვლება კრედიტორი და, შესაბამისად, უფლება დამზღვევიდან მზღვეველზე გადადის. რეგრესის დროს კი, კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება;

ბ. სსკ-ის 843-ე მუხლი რეგრესული მოთხოვნის გამოყენებას ეხება;

გ. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, მზღვეველს რეგრესის უფლება ენიჭება ისეთ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა ზიანი განზრას გამოიწვია.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ უარყოფილია დამზღვევის ბრალის არაარსებობის გამო.

ერთ-ერთ საქმეში⁹⁴ მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმდა ფინანსური რისკების დაზღვევის გენერალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ (მზღვეველმა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის (მესამე პირის) წინაშე დააზღვია მოპასუხის (დამზღვევის-გადამზიდველის) მიერ ტვირთვის ტრანზიტული გადაზიდვისას წარმოქმნილი რისკი. ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ გასცა პოლისი. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტულად შემოვიდა ტვირთი, რომლის ტვირთის მიმღები სანარმოს ტერიტორიაზე შემოწმებისას, აღმოჩნდა, რომ მოპასუხის (გადამზიდავის) მიერ დეკლარირებული ნავთობპროდუქტის (გ-100 მარკის მაზუთი) ნაცვლად, ვაგონცისტერნებში მოთავსებული იყო ზღვის წყალი. მესამე პირის დადგენილების საფუძველზე მზღვეველს საინკასო წესით ანგარიშიდან ჩამოეჭრა გარკვეული თანხა.

მოსარჩელე-მზღვეველმა მოითხოვა დამზღვევი-გადამზიდველისთვის მესამე პირისათვის გადახდილი თანხის, მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრება. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მესამე პირისათვის გადახდილი თანხის დაკისრების ნაწილში, ხოლო მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში სარჩელს უარი ეთქვა. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულებაა და, ამასთან, დაზღვეულია დამზღვევის ფინანსური პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე (სსკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო). საქმის ფაბულის მიხედვით დადგენილი ფაქტია, რომ მოსარჩელემ (მზღვეველმა) მოპასუხის ფინანსური პასუხისმგებლობა დააზღვია მესამე პირის წინაშე და თანხა, სსკ-ის 839-840 მუხლების შესაბამისად, ჩამოეჭრა ანგარიშიდან.

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნა სსკ-ის 843.2 მუხლს დააფუძნა და განმარტა, რომ ამ წორმის მიზანია მესამე პირის დაცვა სავალდებულო დაზღვევისას, როდესაც კა-

⁹⁴ სუს გადაწყვეტილება, 25 თებერვალი, 2016, №ას-278-260-2014.

ნონმდებელი ამ უკანასკნელის ინტერესს უპირატესობას ანიჭებს, მზღვეველს კი, რეგ-რესული მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. პალატამ არ გაიზიარა ქვე-და ინსტანციის სასამართლების მსჯელობა, რომ მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 832-ე მუხლით რეგულირებული სუბროგააციიდან გამომდინარეობს და განმარტა, ვინაიდან აშკარაა სავალდებულო დაზღვევა, მოთხოვნა სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილი სპეციალური დანაწესიდან გამომდინარეა (სსკ-ის 843.2 მუხლი). მითითებული ნორმა სწორედ რეგრესული მოთხოვნის გამოყენებას ეხება. რეგრესი უნდა გაიმიჯნოს სუბროგაციისგან, როდესაც ვალდებულებითსამარ-თლებრივ ურთიერთობაში იცვლება კრედიტორი და, შესაბამისად, უფლება დამზღვე-ვიდან მზღვეველზე გადადის. რეგრესის დროს კი, კონკრეტული ვალდებულებითსა-მართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას, მზღვე-ველს რეგრესის უფლება ენიჭება ისეთ შემთხვევაში, თუ დამზღვევმა ზიანი განზრას გა-მოიწვია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო დაფარვით გათვალისწინებულ ფარგლებ-ში ზიანის მიყენებისას მზღვეველის მიერ ასეთი მოთხოვნის გამოყენება შეენინააღმდე-გებოდა თავად პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევისას, მზღვეველის მიერ რეგრესული მოთხოვნის გამოყენების წინაპირობებია: 1-ლი – მის მიერ მესამე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მე-2 – დამზღვევის მიერ ზიანის განზრას გამოწვევა. შესაბამისად, სასამართლომ პირველი წინაპირობა უდავოდ შესრულებულად მიიჩნია, რადგან მოსარჩელემ მესამე პირს თანხა აუნაზღაურა. რაც შეე-სება მეორე წინაპირობას, პალატამ მიუთითა, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით მზღვევე-ლის რეგრესული უფლება ბრალს დაუკავშირეს, რის გამოც მოპასუხეს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, დაამ-ტკიცა გამგზავნის მიერ ტვირთის დატვირთა, დალუქვა და მისი დაკარგვა, კერძოდ, სა-ქართველოს ტერიტორიაზე წყლის შემოტანა, დეკლარირებული ტვირთის ნაცვლად, დაზ-ღვეულის ბრალი არ არის. ამასთან, მოსარჩელე არ უთითებს და არც საქმის მასალებით არ დგინდება, რომ გადამზიდავს ტვირთის შემცველობის შემოწმება ევალებოდა (სსკ-ის 676.3 მუხლი). ამდენად, რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უარყოფას სწორედ დამ-ზღვევის ბრალის არარსებობა დაედო საფუძვლად.

6.7.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 814.1., 814.3., 832-ე მუხლები.

განმარტებები: ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალ-დებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას.

გადაცვეტილების შედეგი: დამზღვევის სარჩელი უარყოფილ იქნა, იმ საფუძვლით, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების მოვალეობის შეუს-რულებლობით არსებითად დაირღვა მზღვევლის ინტერესი.

მენარე სუბიექტებს შორის საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევის შესახებ გენერა-ლური ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში საკასაციო სასამართლომ უარყო სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული დამზღვევის სარჩელი იმ სა-

ფუძვლით, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობით არსებითად დაირღვა მზღვევლის ინტერესი.⁹⁵

სასამართლომ აღნიშნა, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანათა დაკარგვის) შესახებ შეტყობინებისა და დამზღვევის მიერ სადაზღვევო თანხის სრულად ანაზღაურების მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოება, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოყენებინა სსკ-ის 814-ე მუხლი (814.1. მუხლი: სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს). აღნიშნული მუხლი ავალდებულებს დამზღვევს, სადაზღვევო შემთხვევის გაგებისთანავე შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს, თუმცა დამზღვევის მხრიდან შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობა ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან მაინც არ ათავისუფლებს მზღვეველს (თუნდაც ეს პირობა მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული იყოს), გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუტყობინებლობით მზღვეველის ინტერესები არსებითად ირღვევა (814.3 მუხლი: მზღვეველს არ შეუძლია, დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევი არ შესარულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვევლის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა).

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში დამზღვევის მიერ მზღვევლისთვის სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანების გაუჩინარების) შეუტყობინებლობით არსებითად დაირღვა მზღვევლის ინტერესი. მზღვეველს დამზღვევის მიერ ავტომანქანათა დაკარგვის თაობაზე შეტყობინების დროულად განახორციელების შემთხვევაში, შეეძლო ტრანშების რიგითობის დაუცველად ვადამდე აენაზღაურებინა სესხის ძირითადი თანხის ზიანი და დამზღვევისაგან მიეღო მოთხოვნის უფლება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი ვერ უზრუნველყოფდა მსესხებლისგან დავალიანების ამოღებას, დამზღვევი ვალდებული იყო, მზღვევლისთვის გადაეცა მოთხოვნის უფლება მსესხებლის მიმართ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დამზღვევის მიერ მზღვევლისთვის მოთხოვნის დათმობა იურიდიულ დოქტრინაში (ცნობილია სუბროგაციის სახელით (სსკ-ის 832.1. პუნქტის თანახმად, თუ დამზღვევს შეუძლია, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვეულ ზიანს). მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაში იყავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არც შინაარსი და არც მოთხოვნა არ იცვლება, რომელიც შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისევე გადადის ახალ კრედიტორზე, როგორიც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ახალ კრედიტორის შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია, ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ეხება კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე მოვალის შესაგებელსაც, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია, მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ ინვეს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ახალი კრედიტორის მოთხოვნაც. განსახილველ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ ზიანის მიმართ მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამზღვევის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მო-

⁹⁵ სუს გადაწყვეტილება, 19 ივლისი, 2018, №ას-409-382-2017.

ხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისევე, როგორიც იყო დამზღვევის ხელში (იხ. სუსგ №ას-581-549-2011, 2012 წლის 5 სექტემბერი).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს დამზღვევსა და მზღვეველს შორის ვალ-დებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, ვინაიდან სუბ-როგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას, რომელ-შიც დამზღვევს (კრედიტორს) ჩაენაცვლება მზღვეველი (იხ. სუსგ №ას-581-549-2011, 2012 წლის 5 სექტემბერი).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დამზღვევმა მსესხებელთან დადებული სასესხო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემ-დეგ შეატყობინა მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანების დაკარგვის) თა-ობაზე, რის გამოც მზღვევლის უფლება, სუბროგაციის წესით მოთხოვნა მსესხებელს წაუ-ყენოს, განუხორციელებელი დარჩა და, შესაბამისად, დამზღვევის მიერ მზღვევლისთვის სადაზღვევო შემთხვევის (ავტომანქანების დაკარგვის) თაობაზე შეუტყობინებლობით არ-სებითად შეილახა მზღვევლის ინტერესები.

შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვლინდება 814-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მზღვეველის ინტერესების არსებითი დარღვევა, რაც დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვე-ვაში – ათავისუფლებს მას სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

6.8. სესხი, საპანცო პრედიტი

6.8.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 876-ე, 453-ე, 1484-ე, 1328-ე, 1330-ე მუხლები.

განვითარების მინისტრის ნარმოებვა უფლება, რომ მოთხოვნა ნარუდინოს მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას), რადგან სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად მოუწია დაზღვეულის მემკვიდრეს ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულება და ეს შესრულება მიიღო კრედიტორმა.

გადაცვალების შედეგი: სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მხარეთა შორის გაფორ-მებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეს-რულება დაზღვეულის მემკვიდრეებს ეკისრებათ.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,[%] საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 876-ე მუხლი) ნარმობობილი დავის ფარგლებში დაზღვეული (მამკვიდრებელი, მოსარჩე-ლის მეუღლე) სარგებლობდა სიცოცხლის დაზღვევის ღია ოფსეტური პოლისით, რომლის თანახმად დაზღვეული იყო დამზღვევის (ბანკის) ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მი-მართ. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებ-ლე (ბენეფიციარი – ბანკი) იქნებოდა. მამკვიდრებლის მეუღლემ ბანკის წინააღმდეგ აღ-ძრული სარჩელით მის მეუღლესა (დაზღვეულსა) და ბანკს (დამზღვევს) შორის გაფორმე-ბული ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდილი თანხის – 3 136 აშშ დოლარის დაბრუნება მოითხოვა.

[%] სუს გადაწყვეტილება 30 აგვისტო, 2016, საქმე №ას-461-435-2014.

სააპელაციო სასამართლომ საარჩელი დააქმაყოფილა, საკასაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახდა. პალატამ აღნიშნა, რომ დამზღვევმა დაზღვეულის მექვიდრისაგან მიიღო შესრულება, რომელიც რეალურად მზღვეველისაგან უნდა მიეღო. სადაზღვევო პოლისის მიხედვით: „მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაზღვეულის მექვიდრეების ვალდებულებად რჩება. ამგვარ შემთხვევაში, დაზღვეულის მექვიდრეებს არ აქვთ უფლება, მოსთხოვონ მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურებაზე განაცხადის გაკეთება და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მოსარგებლის უფლებამოსილებაა“.

სასამართლოს განმარტებით, საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად მოტივირებული და მართლზომიერი იყო მზღვეველის უარი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე და დამზღვევი შეედავა თუ არა მზღვეველს უარის გამო, სამართლებრივად არ ცვლის მხარეთა შორის არსებულ ზემოხსენებულ შეთანხმებას, რომ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება დაზღვეულის მემკვიდრეებს ეკისრებათ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბანკი არ შესდავებია მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაუცემლობის გამო, ანუ რამდენად დასაბუთებული იყო მზღვეველის უარი. აღნიშნული კი მოსარჩელეს ნარმოუშობს უფლებას, რომ მოთხოვნა ნარუდგინოს მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას), რადგან სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად მოუწია დაზღვეულის მემკვიდრეს ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულება და ეს შესრულება მიიღო კრედიტორმა.

6.8.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 302-ე მუხლის 3¹ ნაწილი, 328-ე მუხლი.

განვითარები: ვინაიდან, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მესაკუთრის იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისათვის გადაცემისა და რეალიზაციისას სავალდებულოა, მხარეთა შორის ხელშეკრულება რთული (სანოტარო) ფორმით იყოს დადებული, ამ ხელშეკრულების ცვლილებასთან დაკავშირებული მხარეთა ნებისმიერი შეთანხმება სანოტარო ფორმითაც უნდა გაფორმდეს.

გადაცვალების შედეგი: მსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეიცვალა სააღსრულებო ფურცელში აღსასრულებელი შეუსრულებელი ძირითადი ვალდებულების მოცულობა, მათ შორის შემცირდა მოვალის მიერ გადასახდელი პირგასამტებლოს ოდენობა.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში აღსასრულებელი შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის ცვლილების მოთხოვნით გამსესხებელსა (მეწარმე) და ფიზიკურ პირს (მსესხებელი) შორის ნარმოშობილ დავაში⁹⁷ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შედეგის შეცვლა განაპირობა მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებულმა განმარტებამ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სანოტარო წესით გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ერთობის ვადა, მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით რამდენჯერმე გაი-

⁹⁷ სუს გადაწყვეტილება, 8 თებერვალი, 2017, № ას-712-682-2016.

ზარდა. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 302-ე მუხლის 3¹ ნაწილისა („კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ, გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისთვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული გარიგება დადასტურებული უნდა იქნეს სანოტარო წესით“) და სსკ-ის 328-ე მუხლის („თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ“) დანაწესების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი იმპერატიული დანაწესი არ ექვემდებარება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განსხვავებულად განსაზღვრას (სსკ-ის 319-ე მუხლი). აღნიშნულ კანონისმიერ მოწესრიგებას ვერც მხარის განმარტება ვერ დაედება საფუძვლად, როგორც ეს საპელაციო სასამართლომ მიუთითა.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სანოტარო წესით დადასტურებული გარიგებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ მხარეთა შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი იყო კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, ვინაიდან, აშკარაა კანონით დადგენილი სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულების მე-3 მუხლის არასწორ გამომარტებას შედეგად მოჰყვა მხარეთა შორის შეთანხმებული და სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის არასწორად განსაზღვრა და, შესაბამისად, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ერთოვანი ვადის ამოწურვის შემდეგ გადახდილი თანხის მიჩნევა არა ხელშეკრულების ძირითადი თანხის ნაწილად, არამედ – თითქოსდა ზეპირი შეთანხმებით, ექვსჯერ გაგრძელებული ხელშეკრულების საპროცენტო სარგებლად. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩევლი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, შეცვალა სააღსრულებო ფურცელში აღსასრულებელი შეუსრულებელი ძირითადი ვალდებულების მოცულობა, მათ შორის შეამცირა მოვალის მიერ გადასახდელი პირგასამტებლოს ოდენობა.

6.8.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 623-625-ე, 51-ე მუხლები, სსსკ-ის 102-ე, 105-ე, 134.1. მუხლები.

განმარტებები: მარტოოდენ სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება), ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადაცობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დასაშვები და საკმარისი მტკიცებულებაა წერილობითი საბუთი (მაგ: სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი).

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩევლი უარყოფილ იქნა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის საგნის – ფულადი თანხის გადაცემა არ დადასტურდა.

ფიზიკურმა პირმა საწარმოს წინააღმდეგ წარმოებულ დავაში სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, კერძოდ, სესხის ძირითადი თანხის, სარგებ-

ლისა და შეთანხმებული პირგასამტებლოს დაკისრება მოითხოვა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე – მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელისგან დანაპირები თანხა არ მიუღია; ამასთან, მისი განმარტებით, სესხის დადებულად ცხობის შემთხვევაშიც კი, სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნა, ხანდაზმულობის გამო, განხორციელებადი არ იყო.

საკასაციო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი უარყო. სარჩელის უარყოფა სასამართლომ იმ გარემოებას დააფუძნა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის საგნის-ფულად თანხის გადაცემა არ დადასტურდა.⁹⁸

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ანუ ის დადებულად მიიჩნევა და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოებობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (**სუსგ, საქმე ზე №ას-361-343-2015, 14.12.2015**). შესაბამისად, მარტომდენ სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება), ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშანავს სესხის ხელშეკრულების დადგებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდგილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადაცობის შემთხვევებში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

სასამართლომ ამასთან აღნიშნა, რომ სამოქალაქო სამართლურთიერთობაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების წესის მიხედვით, გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის სახით თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, რომელიც პოზიტიური მტკიცების ტვირთი შემოსაზღვრულია სესხის თანხის დაფარვით. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. სესხის სახით თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს გამსესხებლისათვის, რადგან მან მხოლოდ ამგვარი დოკუმენტით შეიძლება, დაადასტუროს სესხის რეალურად დადგებისა და მისი ოდენობის ფაქტი, მსესხებლისათვის კი საჭიროება არ არსებობს, ფლობდეს და წარმოადგინოს ამგვარი დოკუმენტი არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით.

საკასაციო პალატამ გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია წერილობითი საბუთი (მაგ: სავალო საბუთი, გადარიცხვის ქვითარი, სალაროს შემოსავლის ორდერი).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც თავისიუფალია და იმავდროულად კანონის დანაწესითაა შეზღუდული. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი). „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზე დაფუძნებული (სუსგ №ას-279-264-17, 21.04.17).

⁹⁸ სუს გადაწყვეტილება, 6 ივნისი, 2017, №ას-398-371-2017.

შეაფასა რა მტკიცებულებები, სასამართლომ მიუთითა, რომ მესამე პირის სფეროს ჩანხის ჩარიცხვის შესახებ წერილი, რომელსაც ეყრდნობა მოსარჩევე, არ აკმაყოფილებს წერილობით მტკიცებულებისათვის კანონით დადგენილ სტანდარტს (სსკ-ის 134.1 მუხლი), რადგანაც არ შეიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა თაობაზე ცნობებს. ჯერ ერთი, გაურკვეველია, ვინაა ამ წერილის ადრესატი, მეორეც, წერილის შინაარსიდან არ ჩანს, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებდა მესამე პირთან წერილის ავტორს და კონკრეტულად არ არის მითითებული ფულადი ვალდებულების მოცულობა. გარდა ამისა, წერილი რომც აკმაყოფილებდეს მტკიცებულების სტანდარტს, ის მაინც არ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, რადგანაც არ არის შესრულებული სსკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცალმხრივი ნების ნამდვილობის წინაპირობა – მოპასუხის მიერ წერილის მიღება. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ამ გარემოების დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება. მოწმის ჩვენება, რომელსაც იშველიერს მოსარჩელე, არ არის იმ სახის მტკიცებულება, რომლითაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენაა შესაძლებელი (სსკ-ის 102.3), რადგანაც სადაც გარემოების დამტკიცება გამოლოდ ამ სახის მტკიცებულებებით დაუშვებელია (სსკ-ის 624-ე მუხლი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დასასვნა, რომ დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადაც ვო ფაქტობრივი გარემოების დადასტურება. არაერთხელ შეცვალა სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი, მისი პოზიცია არათანმიმდევრულია. სათანადო და დასაშვები წერილობითი მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მოპასუხისათვის ფულადი თანხის საკუთრებაში გადაცემა, რამაც სარჩელის წარუმატებლობა განაპირობა.

6.8.4.

გამოყენებული ცორები: სსკ-ის 623-ე და მომდევნო მუხლები, 393.გ., 417-ე მუხლები, სსკ-ის 219-ე მუხლი.

განმარტებები: კრედიტორმა, სარგებლისა და პირგასამტებლოს გარეშე ძირითადი ვალის მიღებაზე უარის თქმის გამო, დაკარგა მასზე მოთხოვნის უფლება (სსკ-ის 393.გ.)

გადაწყვეტილების შედეგი: სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნის შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი უსაფუძვლობის გამო.

სესხის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში გამსესხებლის (მეწარმე) მოთხოვნას მსესხებლისა და თავდების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულების (სესხის ძირითადი თანხის) ნაწილის, სარგებლის გადაუხდელი ნაწილისა და პირგასამტებლოს გადახდა წარმოადგენს. მოპასუხებმა მოთხოვნა ძირი თანხის ნაწილში ნაწილობრივ (ცნეს და ამ ნაწილში საქალაქო სასამართლომ სარჩელი დაკმაყოფილა, ხოლო სარგებლისა და პირგასამტებლოს ნაწილში უარყო. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უარყოფის ნაწილში გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარყო მსესხებლისათვის სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნა.⁹⁹

საქმის ფაბულის მიხედვით, მხარეთა შორის დავა გადახდის წესზე შეუთანხმებლობამ განაპირობა. მხარეებმა ხელშეკრულებით შეათანხმეს გადახდის რამდენიმე წესი და ამ წე-

⁹⁹ სუს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2018, №ას-1071-991-2017.

სიდან შესრულების არჩევის უფლება მოვალეს ენიჭებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა კრედიტორის მოსაზრება გადახდის წესის მისეულ ვერსიასთან დაკავშირებით, იმ საფუძვლით, რომ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მოსაზრების დადასტურება და თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც დასტურდება, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მსესხებელს მოსარჩელისათვის უნდა დაეპრუნებინა 38 358,78 აშშ დოლარი, მის მიერ განხორციელებული შესრულებიდან გამომდინარე ამ თანხების სხვაობა შეადგენს 28 758,78 აშშ დოლარს, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა ამ თანხის (*ძირი*) ოდენობა და ამ ნაწილში მსესხებელთა პოზიცია დასაბუთებულია. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 28 758,78 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მოვალეებმა მოთხოვნა ცნეს, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილებულია. სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და, სსკ-ის 264-ე მუხლის შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში.

საკასაციო პალატამ გაიზიარა მსესხებლის პრეტენზია, რომ კრედიტორმა უარი განაცხადა შესრულების მიღებაზე და, რადგანაც სსკ-ის 390-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მართლაც იკვეთება კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადაგადაცილების ფაქტი, ამავე კოდექსის 393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე (**მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება**), მან დაკარგა დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება.

სასამართლოს მოსაზრებით, უარყოფას ექვემდებარება გამსესხებლის პრეტენზია პირგა-სამტებლოს არათუ ოდენობის, არამედ, საერთოდ, მისი დაკისრების თაობაზე. მართალია, დადასტურებულია, რომ მოვალე იხდიდა არაჯეროვნად, შეთანხმებული გრაფიკის დარღვევით (*იხ. სსკ-ის 361.2. მუხლი: ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას*), რაც, სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს დაკისრების ფაქტობრივი წინაპირობაა, თუმცა მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილებისათვის გამსესხებლის სარჩელი ფორმალური, იურიდიული თვალსაზრისით არ არის გამართული, კერძოდ, არ შეესაბამება სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კერძოდ, სწორია შესაგებელში მოპასუხეთა მიერ გამოთქმული შედავება, რომ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტებლოს დაკისრება ემყარება გაურკვეველ გამოთვლას. მოსარჩელეს არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის შესაბამისი სარგებლის დონობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა პირგასამტებლოს გამოთვლა. მოსამზადებელ ეტაპზე გამსესხებელს ამ დროის ჩათვლით სარჩელი არ დაუზუსტებია, ხოლო მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ შას, სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ეს უფლება შეეზღუდა, რაც მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელის უარყოფის საკმარისი საფუძველია.

6.8.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 861-ე, 144-ე მუხლები.

განვითარების: ვალდებულების დასაფარად დამატებითი ნებართვის გარეშე თანხის ჩამოწერაზე კლიენტის თანხმობა გულისხმობს ხანდაზმული მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო თანხის ჩამოწერასაც.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო.

ქვემდგომშა სასამართლობმა პირველი და მეორე მოსარჩელის სარჩელი ბანკის წინააღმდეგ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაკისრების მოთხოვნით დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით¹⁰⁰ სარჩელი უარყო, ვინაიდან:

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელეთა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის გარემობა, რომ მყიდველის მიერ პირველი მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხული უძრავი ქონების საფასური მოპასუხემ იმავე დღეს ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწერა და მსესხებლის ვალის დასაფარად მიმართა. მოსარჩელის მოსაზრებით, ბანკს ამის უფლება არ ჰქონდა – თანხის ჩამოწერის მომენტში სესხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. სსკ-ის 861-ე მუხლის თანახმად, საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, ანგარიშიდან ფულადი სახსრები ჩამოწეროს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, იმავე მხარეების მონაწილეობით დადგინდა, სადაც საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ბანკის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ ხანდაზმული არ იყო, რის გამოც, სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მითითებული გარემოება დამტკიცებულად მიიჩნევა. ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ბანკის მოთხოვნა ხანდაზმულიც რომ ყოფილიყო, ბანკს მაინც ექნებოდა თანხის მსესხებლის ანგარიშიდან ჩამოწერის უფლება, ვინაიდან მსესხებელმა, თავისი ვალდებულების შესასრულებლად, თანხის დამატებითი ნებართვის გარეშე უაქცეპტოდ ჩამოწერაზე თანხმობა თავიდანვე ხელშეკრულებაში განაცხადა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცხადია, კლიენტის ეს თანხმობა გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო თანხის ჩამოწერასაც. თუ მსესხებელს არ სურს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება, იგი ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხას არ შეიტანს, ხოლო, თუ შეიტანს, ივარაუდება, რომ ნებაყოფლობით ასრულებს იმ მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის საგნის გაყიდვით მიღებული თანხის თავის საბანკო ანგარიშზე განთავსებით, მოსარჩელემ ნებაყოფლობით შესასრულა ბანკის წინაშე არსებული ვალდებულება. ეს მოთხოვნა ხანდაზმულიც რომ იყოს, მოსარჩელე შესრულებულს უკან ვეღარ დაიბრუნებს, ვინაიდან საკითხის ასეთი მოწესრიგება მოცემულია სსკ-ის 144.2 მუხლში (თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვთ უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო).

საკასაციო სასამართლომ მეორე მოსარჩელის სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნია, იმ საფუძვლით, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნის წარმოშობისათვის ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებს არ შეიცავს. მეორე მოსარჩელე ანგარიშის მფლობელი არ ყოფილა, შესაბამისად, ვერც ჩამოწერილი თანხის დაბრუნებას ვერ მოითხოვს, რამდენადაც სსკ-ის 861-ე მუხლი ამგვარი მოთხოვნის უფლებას მხოლოდ ანგარიშის მფლობელს ანიჭებს.

¹⁰⁰ სუს გადაწყვეტილება, 31 ოქტომბერი, 2018, №ას-305-290-2016.

6.8.6.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 180-ე მუხლი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნ-ქტი, 187.2., 275-ე, მე-7 მუხლები.

გამოართებები:

- ა. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება მისი აღსრულების გარეშე არასაკ-მარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად;
- ბ. განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ამ უფლებაზე ედავება.

გადაწყვეტილების შედეგი: აღიარებითი სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების აღიარების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ასევე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახლი გადაწყვეტილებით, აღიარებითი სარჩელი განუხილველად დატოვა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, რაც აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის საფუძველია.¹⁰¹

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ აღძრულია აღიარებითი მოთხოვნა მენარმის წინააღმდეგ, რომელიც მხარეთა შორის ფულადი ვალდებულების – კრედიტორული დავალიანების შემცირებისკენაა მიმართული. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელეს/მოვალეს სურს რომ მიიღოს, უნდა არსებობდეს დავა ვალდებულების შესრულებაზე – თანხის, სახელდობრ, პირგასამტებლოს გადახდევინებაზე, რომლის სამართლებრივი საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო სსკ-ის 50-ე, 327-ე, 623-ე, 417-ე, 418-ე, 361-ე მუხლები.

სახელშეკრულებო სარჩელის აღძვრის შემთხვევაში კი, მოვალე/მოპასუხე (განსახილველი სარჩელით მოსარჩელე) ისარგებლებდა, ნარედგინა ყველა ის მატერიალურსამართლებრივი შესაგებელი (სსსკ-ის 201-ე მუხლი), რომლებიც დაკავშირებულია პირგასამატებლოს მოთხოვნის წარმოუშობლობასთან (სსკ-ის 50-ე, 59, 69.2-ე, 418-ე და ა.შ), ნაწილობრივ გამორიცხვასთან (სსკ-ის 420-ე მუხლი) და ა.შ. მანამდე კი, მიიჩნევა, რომ არ არსებობს დავა უფლებაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო, დაესაბუთებინა აღიარებითი მოთხოვნის მიმართ მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, როგორც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის აუცილებელი წინაპირობა (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი). აღსანიშნავია, რომ, თუკი მოსარჩელის მიზანს, სარჩელის აღძვრის ინტერესს თეორიულად წარმოადგენს მოსარჩელის გათავისუფლება დარიცხული პირგასამტებლოს თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, რადგან მას ხელი ეშლება, ვალდებულება შეწყვიტოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით (სსკ-ის 427-ე მუხლი), ვინაიდან შიშობს, რომ მისი ფულადი შენატანით, ხელშეკრულების სტან-

¹⁰¹ სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას-955-2018.

დარტული პირობის შესაბამისად, პირველ რიგში, დაიფარება პირგასამტეხლო, პალატის აზრით, არ აქმაყოფილებს მართლზომიერი იურიდიული ინტერესის ნორმატიულ პირობას, რადგან მოვალის მოღლოდინი, რომ შესრულება ჩაითვლება პირგასამტეხლოს ანგარიშში, რაც ხელს შეუშლის მისი უფლების სამომავლოდ რეალიზაციას (სსკ-ის 361-ე მუხლის დისპოზიცია: ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას), შესაძლოა, გამოირიცხოს ძირითადი თანხის ნაწილში გადახდითა და იმაზე მითითებით, რომ მოვალე არ ეთანხმება პირგასამტეხლოს დარიცხვას.

საკასაციო სასამართლომ „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით რეგულირებულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე მითითებით განმარტა, რომ კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთვად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმასაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალურ სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება (სუსგ ქან. 302-285-2017, 16.06.2017). **ნიშანდობლივია,** რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და, თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება მისი აღსრულების გარეშე, არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა. გადაწყვეტილებაში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება, განიმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე – შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებოვი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ უმოქმედოდ დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40) (**ციტ: სუსგ ქან. 964-899-2017, 23 თებერვალი, 2018 ნელი, პ-15.4.3.**)

მითითებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების (რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სარჩელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო საქმისნარმოების პირველივე ეტაპზე. შესაბამისად, მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 287.2. მუხლი მითითებითი ხასიათისა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც დასაშვებია საპროცესო ანალოგის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც აშკარაა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ ქან. 302-285-2017, 16 ივნისი, 2017 ნელი; ქან. 551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 ნელი).

სასამართლოს დასკვნით, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელი არ აკ-მაყოფილებს სსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

6.8.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 891-ე, 892-ე, 54-ე, 69-ე, 301.1 და სსკ-ის 301.11 მუხ-ლები.

განხილული ნორმები: ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზ-ლვრული არ ყოფილა თავდებთა პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა, რის გამოც სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებებით არ წარმოშობილა კანონის ის წინაპირობები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის თავდებობის ხელშეკრულებას.

გადაწყვეტილების შედეგი: გასაჩივრებულ გადაწყვეტილება შეიცვალა და მიე-თითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზა-ციონდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვ-ნის დასაფარავად, მოთხოვნა დაკმაყოფილდეს მსესხებლისა და მესაკუთრის სხვა ქო-ნებაზე გადახდევინების მიქცევით.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავაში, მოსარჩელე (ბანკი) სასარ-ჩელო მოთხოვნას, თანხა დაიფაროს მოვალეთა საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქო-ნებისა და შემოსავლების ხარჯზე, ასევე, სარეალიზაციოდ მიექცეს იპოთეკით დატვირ-თული ქონება, აფუნქნებს იმ გარემოებას, რომ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, გარდა იპოთეკისა, უზრუნველყოფილ იქნა სოლიდარული თავდებობით. ფიზიკური პირები მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე – სესხის დაფარვაზე, თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს.

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავდებთა ვალდებულე-ბის შესრულების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რა ნაწილშიც გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებათა სამართლებრივ შეფასებას დააფუძნა, რომ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით არ განსაზღვრულა თავდებთა პა-სუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა, რის გამოც, სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულებებით არ წარმოშობილა კანონის ის წინაპირობები, რომელთა ერთობლიო-ბაც ქმნის თავდებობის ხელშეკრულებას.

საკასაციო სასამართლომ თავდებ პირებზე სოლიდარულად პასუხისმგებლობის დაკისრე-ბის ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები კანონიერად მიიჩნია, იმა-ვე დასაბუთებით, რომ სოლიდარული თავდებობის ორმხრივი გარიგების არსებით პირო-ბად სსკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი მიიჩნევს შეთანხმების მიღწევას თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალურ (ზღვრულ) თანხაზე, რაც განსახილველ დავაში მხარეთა შორის გაფორმებულ თავდებო-ბის ხელშეკრულებებში მითითებული არ არის.

საკასაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მოსარჩელის (ბანკი, კასატორი) საკა-საციო პრეტენზია მსესხებელი მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის მესაკუთრე მოპასუხეთა სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის თაობაზე და ამ ნაწილში გა-დაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.¹⁰²

¹⁰² სუს გადაწყვეტილება, 08 თებერვალი, 2019, №ას-1172-2018.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესაძლებლობა დადგენილია აღსრულების წესთან დაკავშირებულ მხარეთა შეთანხმებაში. შეთანხმების აღნიშნული პირობა კი, მოსარჩევეს ლეგიტიმურ მოლოდინს უქმნის მასზე, რომ მოვალისათვის დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის, იპოთეკის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისობის შემთხვევაშიც, დავალიანების სრულად დაფარვის მიზნით მოვალისა და სოლიდარული თავდების საკუთრებაში არსებული ყველა სხვა ქონების რეალიზაციის თაობაზე მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 301.1 და სსკ-ის 301.1¹ მუხლების დანაწესიდან და მხარეთა შეთანხმებიდან (მოვალის სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის შესახებ სასამართლო პრატიკა სუსგ №ას-1498-1418-2017, 8 ივნისი, 2018 წელი, პარაგ. 34:34-37; №ას-828-786-2013, 24 იანვარი, 2014 წელი).

საკასაციო სასამართლოს განსჯით, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა გასაჩივრებულ ნაწილში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც იპოთეკით დატვირთული ქონების გარდა სხვა ქონების რეალიზაციის თაობაზე სარჩელის დაკავშირებულებაზე უარის თქმით, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, აღნიშნული გარემოება, ბანკის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკავშირებულების, გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების და ამ ნაწილში სარჩელის დაკავშირების წინაპირობებს წარმოშობს.

6.8.8.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 873-ე მუხლი, სსსკ-ის 377.1.-ე, 105-ე მუხლები.

განვითარებები: სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. სარგებელი ეს არის ნივთის (ამ შემთხვევაში ფულის სარგებლობისათვის პროცენტი) გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისალები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – ის ზიანია (დანაკარგია), რომელიც ვერ მიიღო ბანკმა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო (მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, მაგრამ მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.)

დაპრუნების დასაპუთება: სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა, კერძოდ, სასამართლომ არ გაარკვია, როდიდან შეწყვიტა ხელშეკრულება ბანკმა და მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ითვალისწინებდა თუ არა შეწყვეტის შემდეგაც სარგებლის გადახდას.

მენარმესა და ფიზიკურ პირებს შორის სესხის (საბანკო კრედიტის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში სანარმომ (მოსარჩელე, გამსესხებელი) მოითხოვა მსესხებლისათვის დასაბრუნებელი სესხის ძირითადი თანხის, სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრება, ამასთან – მსესხებლის ვალდებულების უზრუნველსაყოფად მესაკუთრის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია. საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკავშირებილა ძირი თანხის, სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში, ხოლო დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა მეორე მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ქონება. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეთა საჩივრის საფუძველზე მიღებული განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საკასაციო სასამართლომ დააკავშირებილა მოპასუხეთა საკასაციო საჩივრი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოს დაუბ-

რუნა,¹⁰³ იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი იყო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა სესხით სარგებლობისათვის დაკისრებული სარგებლის ნაწილში და მისი რაოდენობის 2000 აშშ დოლარით შემცირება. საჩივარი დასაბუთებული იყო იმით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა პირგასამტებლოს და არა სარგებლის გადახდა. შესაბამისად, ფულადი ვალდებულების განსაზღვრა დამოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე: როდიდან შეწყვიტა ხელშეკრულება ბანკმა და მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ითვალისწინებდა თუ არა შეწყვეტის შემდეგაც სარგებლის გადახდას.

სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საჩივრის ფარგლებში სათანადოდ არ გამოიკვლია აღნიშნული გარემოებები. მან მხარეთა შორის არსებული საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა არასწორად დაუკავშირა საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღს, მაშინ, როდესაც მოსარჩელე თავის მოთხოვნას მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევაზე და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაზე ამყარებდა, ამიტომ შესამონებელი იყო, არსებობდა თუ არა სსკ-ის 873-ე მუხლის წინაპირობები (კრედიტის გამცემს შეუძლია, შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ გადაიხდა), რაც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს, დაედგინა საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი და რამდენად სწორად იყო განსაზღვრული დარიცხული სარგებლის ოდენობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო ფაქტობრივად გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს (სსსკ-ის 377.1), როცა დაასკვნა: „ვინაიდან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ამ დროისათვის აღსრულებული არ არის, სესხის თანხა კრედიტის გამცემს არ დაპირუება, რაც ადასტურებს, რომ კრედიტორს შესაძლებლობა არ ეძლევა, სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულებამდე უკვე გასული ბერიოდის (132 დღის) გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი 2000 ლარის (მიუღებელი შემოსავლის სახით) დაკისრება არ წარმოადგენს მოვალის უფლებების შეზღუდვას და გამართლებულია“.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, პალატის ეს მოსაზრება არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. ჯერ ერთი, დავის საგანი იყო არა 2000 ლარი, არამედ 2000 აშშ დოლარი. მეორეც, მოსარჩელე ზიანს (მიუღებელ შემოსავლს) კი არა, იმ სარგებელს მოითხოვდა, რაც სესხით სარგებლობის შედეგად მიიღო მსესხებელმა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. სარგებელი ეს არის ნივთის (ამ შემთხვევაში ფულის სარგებლობისათვის პროცენტი) გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისალები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – ის ზიანია (დანაკარგია), რომელიც ვერ მიიღო ბანკმა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო (მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, მაგრამ მიიღებდა – ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო).

¹⁰³ სუს განჩინება, 15 მარტი, 2016 , №ას-932-882-2015.

საკასაციომ სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა დადგინდეს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები, უნდა დაერიცხოს თუ არა პირცენტი (სარგებელი) სესხის თანხას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც იმ ვითარებაში, როცა მხარეებმა ვადაგადაცილებისათვის გაითვალისწინეს პირგასამტებლო და სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა გამოიტანოს შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები.

6.8.9.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 623-ე და მომდევნო ნორმები, 361.2.-ე მუხლი, სსსკ-ის 105.2.-ე მუხლი.

განმარტება: სადაცობისას სესხის ხელშეკრულების დადების – თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ვალდებულება ეკისრება გამსესხებელს-მოსარჩელეს. მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 623-ე მუხლი წარმოადგენს.

დაბრუნების დასაბუთება: საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები ობიექტურად არ შეფასდა, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში მოსარჩელე (გამსესხებელი, ფიზიკური პირი) მოპასუხის (საწარმოს, მსესხებლის) მიმართ აღდრული სარჩელით გასესხებული თანხის, სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრებას მოითხოვს. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს, იმ საფუძლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა წერილობით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის თანხის რეალურად გადაცემის ფაქტი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად, გამსესხებლის საკასაციო საჩივრის განხილვისას არსებითად გადასაწყვეტი საკითხი მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა გახდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო პალატამ განჩინებით დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში,¹⁰⁴ მიუთითა, რომ ქვემდგომმა სასამართლომ, წინამდებარე განჩინებაში მოხმობილი მტკიცებულებების ერთობლივად შეფასებით უნდა გამოარკვიოს, ხომ არ არსებობს იმ კანონისმიერი პრეზუმაციის (სსკ-ის 361.1 მუხლი) დაშვების წინაპირობა, რომ მხარეთა შორის მართლაც წარმოშობილია სესხის სახელშეკრულები ურთიერთობა. პალატამ დამატებით განმარტა, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმაციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). საკასაციო სამართალწარმოების ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო

¹⁰⁴ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1245-1168-2015.

სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, რომლის გადაწყვეტის გარეშეც შეუძლებელია, შეფასდეს მოსარჩელის მოთხოვნები სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრებაზე, ასევე – მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე მოპასუხის შედავება.

6.8.10.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 54-ე, 992-ე, 998-ე, 409-ე, 1198-ე მუხლები, სსსკ-ის 354-ე, 180-ე მუხლები.

განმარტება:

ა. დავა, სადაც გადასაწყვეტია მშობლების მიერ არასრულნლოვანის ქონებრივი უფლებების განკარგვის საკითხი, თავისი არსით, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მშობლები სარჩელში მოპასუხედ არ არიან დასახელებული, საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარეა;

ბ. როცა ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვასა და მშობლებს შორის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისწარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით.

დაპრუნების დასაბუთება: საქმე განხილულია საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებით, რომლებმაც განაპირობეს მიღებული განჩინების როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა.

საქმის ფაბულის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა (გამსესხებელი, მოპასუხე) და მოსარჩელეს (მსესხებელი, ფიზიკური პირი) შორის სხვადასხვა დროს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები, რომელთა უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის არასრულნლოვანი შვილის უძრავი ნივთი. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება აუქციონზე გაიყიდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ არასრულნლოვანი მესაკუთრის მშობელთა სარჩელი დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს¹⁰⁵ შემდეგი მოტივაციით: საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებით, რომლებმაც განაპირობეს მიღებული განჩინების როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დავა, სადაც გადასაწყვეტია მშობლების მიერ არასრულნლოვანის ქონებრივი უფლებების განკარგვის საკითხი, თავისი არსით, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მშობლები სარჩელში მოპასუხედ არ არიან დასახელებული, საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე დავების განხილვისას, სააპელაციო სასამართლო არ არის შეზღუდული რაიმე ფარგლებით და მან უნდა იხელმძღვანელოს საპროცესო სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც ითვალისწი-

¹⁰⁵ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1221-1146-2015.

ნებს ასეთი დავების განხილვის თავისებურებებს (სსსკ-ის XLIII თავი).

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, პირველ რიგში, დავის განმხილველ სასამართლოს უნდა გაერკვია, სწორად იყო თუ არა აღმრული სარჩელი და დასაშვები იყო თუ არა სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესის მიხედვით. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განესაზღვრა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გარკვევის შემდეგ ჩამოყალიბებინა მიკუთვნებითი მოთხოვნა და ისე დაედგინა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე (სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, მას შეეძლო, თვითონ გამოეთხოვა მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

სასამართლოს დასკვნით, არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები. მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა (სსკ-ის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), სინამდვილეში კი, იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, ანუ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისნარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ამონარიდს, რომლის მიხედვითაც: „საქმისნარმოებაში, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე და სადაც, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, მშობლის პასუხისმგებლობის მტკირთველ პირებს ეკრძალებათ ბავშვის წარმომადგენლობა, მათ და ბავშვებს შორის წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის გამო, სასამართლო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, დანიშნოს ბავშვის სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისნარმოების მიზნებისათვის“.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გარიგებების ბათილობა მიკუთვნებითი ხასიათის მოთხოვნის დაკამაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი წინაპირობაა და არა დამოუკიდებელი მოთხოვნა, რადგანაც ამ გზით მოსარჩელის მიზანი ვერ მიიღწევა, რომელიც მოსარჩელეს სურს. თუ მოსარჩელის მიზანი იქნება აუქციონზე რეალიზებულ ქონებაზე დარღვეული უფლების აღდგენა ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნებით, მაშინ მისი მოთხოვნაც მიზნის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს. სააპელაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში მოპასუხედ უნდა ჩართოს ნივთის ამჟამინდელი მესაკუთრეც. ამასთან, მოსარჩელეს მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განემარტოს, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს ასეთი მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშინ ამ მოთხოვნის მოპასუხები იქნებიან როგორც მშობლები, ისე – პირველი მოპასუხეც (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) სსკ-ის 54-ე, 992-ე, 998-ე და 409-ე მუხლების თანახმად. ამასთან, მოსარჩელეს უფლება აქვს, თავისი სურვილით ნებისმიერ მათგანს წაუყენოს მოთხოვნა (სსკ-ის 464-465-ე მუხლები). სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ამ ნორმებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა გამსესხებელი მიკროკურედიტის გაცემისას. იყო თუ არა კრედიტუნარიანი მსესხებელი და არსებობდა თუ არა სესხის გაცემის წინაპირობები (მიკროკურედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობისა და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული თანხა (კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მუხლი 5.1.). თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მსესხებელს სესხის მიღების დროს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლები (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით), მაშინ, ცხადია, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმე-

დად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დაკვირდებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. პალატამ მოიხმო უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაპირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაზინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს“ (საქმე № ას-15-15-2016, 1 მარტი 2016 წელი).

6.8.11.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 623-ე, 892 და მომდევნო მუხლები.

გამომარტება: სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ გამსესხებლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა ნაწილობრივ – მხოლოდ სესხის პროცენტისა და პირგასამტებლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ძირითადი თანხის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული, არასწორია, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

დაპრუნების დასაბუთება: გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა მიღებული, ვინაიდან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის ე1 პუნქტი).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საარჩელი მსესხებლისა და თავდების წინააღმდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელთ სოლიდარულად დაეკისრათ ძირითადი თანხის ნაწილის გადახდა და სარეალიზაციოდ მიექცა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება; სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში საარჩელი უარყოფილ იქნა; სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებით სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, საკასაციო სასამართლოს განჩინებით კი – ორივე მხარის საკასაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსაზილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს,¹⁰⁶ იმ საფუძლით, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა მიღებული, ვინაიდან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მითითების საწინააღმდეგოდ გაიზიარა გამსესხებლის საკასაციო პრეტენზია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მის მიერ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია არა მხოლოდ პროცენტისა და პირგასამტებლოს, არამედ ძირითადი თანხის ნაწილშიც, რაც, სსსკ-ის 394-ე მუხლის ე1 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს იმგვარ პროცესუალურ დარღვევას, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

¹⁰⁶ სუს განჩინება, 17 მაისი, 2016, № ას-85-79-2015.

საკასაციონ სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულად და არას-ნორად დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, ფაქტობრივი გარემო-ებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, სესხის ვადა – 12 თვით თუ მეტი ხნით გაიცა, ასევე – სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის რომე-ლი მეთოდი აირჩია მსესხებელმა, რამდენი იყო მსესხებლის მიერ გადასახდელი საპრო-ცენტო სარგებლის ოდენობა, რამდენად დასაბუთებულია მოსარჩელის მითითება, რომ მსესხებელმა აირჩია სესხის გადახდის მეორე მეთოდი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოების დასადგენად არსებითი მნიშვნელო-ბა აქვს იმის განსაზღვრას სესხის დაფარვის რომელი მეთოდი აირჩია მსესხებელმა, რად-გან სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, სესხის გადახდის სხვადასხვა მეთოდის გამო-ყენების შემთხვევაში საპროცენტო სარგებლის ოდენობა განისაზღვრობოდა სხვადასხვა წესით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზ-ღვრა მსესხებლის მიერ გადახდილი თანხიდან რამდენი შეადგენდა პროცენტისა და რამ-დენი ძირითადი თანხის დავალიზებას, ვინაიდან აღნიშნული თანხების სწორად განსაზ-ღვრა დამოკიდებულია საპროცენტო სარგებლის ოდენობის დადგენაზე, რაც არ განუხორ-ციელებია სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, როდის წარმოეშვა მსესხებელს ძირითადი თანხის საბოლოოდ დაფარვის ვალდებულება, რაც დამოკიდებუ-ლია იმის განსაზღვრაზე, სესხის დაფარვის რომელი მეთოდი აირჩია მსესხებელმა და რა ვადა იყო განსაზღვრული სესხით სარგებლობისათვის.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მსესხებლის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სასამართლოში სარჩელის შეტანამდე პერიოდის პირგასამტებლოს დარიც-ხვის საფუძველი.

6.8.12.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 623-ე, 625-ე, 417-418-ე და 301.1-ე მუხლები.

განვითარება: სესხის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთ-ვნება და დადებულად არ ჩაითვლება გასესხებული თანხის მსესხებლისათვის საკუთ-რებაში გადაცემის გარეშე (სსკ-ის 623-ე მუხლი). ამ გარემოების მტკიცების ტვირთი კი, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება გამსესხებელს და არა მსესხებელს.

დაპრეზენტის საფუძველი: გადაწყვეტილება, როგორც ფაქტობრივი, ისე სამარ-თლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სესხის სახელშეკრულებისამართლებრივ დავაში ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიე-როსაფინანსო ორგანიზაციის (გამსესხებელი) სარჩელი მოპასუხეთა (მსესხებელი, მესა-კუთრე) წინააღმდეგ ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სა-აპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუ-ნა¹⁰⁷ იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმების ისეთი დარ-ღვევებით, რომლებმაც მიღებული გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე – სა-მართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობა განაპირობეს.

პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სესხის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა

¹⁰⁷ სუს განჩინება, 20 სექტემბერი, 2016, №ას-150-146-2016.

რიცხვს მიეკუთვნება და დადებულად არ ჩაითვლება გასესხებული თანხის მსესხებლი-სათვის საკუთრებაში გადაცემის გარეშე (სსკ-ის 623-ე მუხლი). ამ გარემოების მტკიცების ტვირთი კი, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება გამსესხებელს და არა მსესხებელს. სასამართლომ სადაც თანხების მიუღებლობის მტკიცების ტვირთი მთლიანად მსესხებელს გადააკისრა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა დადგინდეს: მხარეთა შორის ნამდვილად დაიდო თუ არა სეს-ხის ხელშეკრულებები, რას შეადგენდა კრედიტორის მიერ პირველი მოპასუხისათვის სეს-ხის სახით გადაცემული თანხის მოცულობა, აქედან გამომდინარე – სარგებლისა და პირგა-სამტკებლოს ოდენობა, მსესხებლის დავალიანება, როდის წარმოეშვა კრედიტორს მოთხოვნის უფლება და მეორე მოპასუხის უძრავ ქონებაზე კრედიტორის სასარგებლოდ დად-გენილი იპოთეკა რამდენად უზრუნველყოფდა მის მოთხოვნას და სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა გამოიტანოს შესაბამისი სამარ-თლებრივი დასკვნები.

6.8.13.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 8.3.-ე, 115-ე, სსსკ-ის 180-ე, 83.4.-ე მუხლები.

განმარტება: სარჩელის გამართულობის შემოწმებისას, მოსარჩელის სურვილის შე-საბამისად, საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს გა-რიგების ბათილობის მომთხოვნი მოსარჩელისთვის უნდა მიეცა სარჩელში მითითე-ბული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების სა-შუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგე-ბების ბათილობა არა დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვ-ნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად უკან დაბრუნების) წინაპირობას წარმოადგენდა.

დაპრუნების საფუძველი: დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქმის გარემოებების საპროცესო ნორმების დარღვევით მიღებამ. კერძოდ, არ იმ-სჯელა, რამდენად დასაშვები იყო აღიარებითი სარჩელი, შესაფასებელია კრედიტის გაცემის კეთილსინდისიერების კვლევა: გარიგებების უჩვეულობის პირობებში, ჰქონ-და ან უნდა ჰქონდა თუ არა გაცნობიერებული ბანკს დამგირავებელი საწარმოს ყო-ფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი და რამდენად კეთილსინდი-სიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირისათვის კრედიტის გაცემი-სას. რამდენად იყო მის მიერ საკრედიტო რისკები გათვალისწინებული, იყო თუ არა გადახდისუნარიანი კრედიტის ამლები და არსებობდა თუ არა მისი გაცემის წინაპი-რობები.

კომპანიამ სარჩელი აღძრა მოპასუხის (ბანკის) წინააღმდეგ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მისი მტკიცებით, ოთხი დამოუკიდებელი ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის სასარგებ-ლოდ, მისმა ყოფილმა დირექტორმა დააგირვა შვიდ მილიონ ევროდ ლირებული კომპანიის მიერ მოპასუხე ბანკში გახსნილი ოთხი ანაბარი მესამე პირის – შპს-ს სასარგებლოდ, რო-მელსაც კომპანიასთან რაიმე კავშირი არ ჰქონდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაიკვა, მითითებული კომპანია დაკავშირებული იყო მის ყოფილ დირექტორთან, რომლის მეუღ-ლეც შპს-ს 30%-იანი წილის მესაკუთრე იყო. მოსარჩელის მტკიცებით, ყოფილი დირექტო-რისათვის კომპანიის დამფუძნებელს სადაც გირავნობის ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია. პარტნიორს არც გარიგებების დადების შემდგომ არ მო-

უნიტებია დირექტორის ეს მოქმედება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა, მოსამართლე-თა უმრავლესობით მიღებული საპელაციო სასამართლოს განჩინებით, სარჩელი დაკმა-ყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სადავო გირავნობის ხელშეკრულებები იმ საფუძვლით, რომ კომპანიის ყოფილ დირექტორს დამფუძნებლის თანხმობის გარეშე არ შეეძლო ანაბ-რების მესამე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით დაგირავება.

საკასაციო სასამართლომ დაკმაყოფილა ბანკის საკასაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრე-ბული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაპრუნა საპელაციო სასამართლო-ში შემდეგი დასაბუთებით.¹⁰⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ საპელაციო სასამართლომ პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო აღიარებითი სარჩელი, რომლითაც სადავო გირავნობის ხელ-შეკრულებების ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი. სინამდვილეში, სარჩელში აღნიშნული იყო, რომ დავის დაწყების მიზანი ქონებრივი დანაკლისის თავიდან აცილება და, აქედან გამომდინარე, მოპასუხის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობის უფლების გაუქ-მება იყო. საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს ცალსახა სასამარ-თლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია, თუ მხარეს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შეუძლია.

განსახილველ შემთხვევაში, საპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 380-ე მუხლი და დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს-ს მიერ საკრედიტო ვალდე-ბულებებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადების დარღვევის გამო, სადავო გი-რავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე დეპოზიტის თანხები მიმართულ იქნა მის მი-ერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, თუმცა, ამ ფაქტთან მიმართებით, არ შე-ამონმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). გამართულობის შემოწმებისას მას უნდა განეხილა და პასუხი გაეცა იმ საკითხზე, თუ რა სურდა მოსარჩელეს. საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს ამ უკანასკნელისთვის უნდა მიეცა სარჩელში მითითებული გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საშუა-ლება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგებების ბა-თილობა არა დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად უკან დაბრუნება) წინაპირო-ბას წარმოადგენდა.

საკასაციო პალატამ განმეორტა, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას, კერძოდ, მოქმედებდა თუ არა ის საწარმოს წესდებაში ცვლი-ლების შეტანისას დამფუძნებელი პარტნიორის მითითებითა და თანხმობით, ამ კონკრე-ტულ შემთხვევისათვის სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, რად-განაც მოპასუხეს შეუძლია, დაეყრდნოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემე-ბის მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციას („მეწარმეთა შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 7.3 მუხლი), რომლის გაქარნებულების გარეშე მოსარჩელე დასახულ მიზანს ვერ აღწევს, თუმცა საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დას-კვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი დირექტორის მიერ ოთხი ერთმანეთის მიყოლე-ბით დადებული დეპოზიტის გირავნობის ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყო-და მესამე პირის (ბანკის ძირითადი მოვალის) მიერ ვალდებულების შესრულებას, წარმო-ადგენდა „უჩვეულო“ და კომპანიისათვის ზიანის მომტან გარიგებებს, რადგანაც შპს-ს მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა, ავტომატურად გამოიწვევდა კომპანიი-სათვის ამ თანხის დაკარგვას და მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, რაც იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორი გარიგებების და-

¹⁰⁸ სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1219-1139-2017.

დებისას არ მოქმედებდა კომპანიის ინტერესებით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა (სსკ-ის 115-ე მუხლი). საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი ხელშეკრულებების მონაწილის (მოპასუხის) სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც (ცალსახა იყო დადებული გარიგებების უზრუნველობა და მისი დამაზიანებელი ხასიათი), ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა თუ არა გაცნობიერებული ბანქს ყოფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი, რამდენად კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირზე კრედიტის გაცემისას, რამდენად იყო მის მიერ საკრედიტო რისკები გათვალისწინებული, იყო თუ არა გადახდისუნარიანი კრედიტის ამღები და არსებობდა თუ არა კრედიტის გაცემის წინაპირობები (კრედიტი – დაბრუნებების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1, „თ“ ქ/პუნქტი). საკასაციო სასამართლოს აზრით, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ კრედიტის ამღებს იმ დროსათვის არ გააჩნდა საკმარისი შემოსავლები, მაშინ, ცხადია, რომ ბანკი მხოლოდ გირავნობის საგნის იმედად რჩებოდა, შესაბამისად, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, როგორც ყოფილი დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, ასევე ისიც, რომ მისი (ბანკის) მოქმედება კეთილსინდისიერების სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებდა (სსკ-ის 8.3-ე მუხლი).

ამრიგად, საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლომ თვითონ უნდა გამოიკვლიოს, თუ რა სახის მიეუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება, ჰქონდეს მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ და მას შემდეგ, რაც მოსარჩელე სარჩელის გარემოებებსა და მოთხოვნას დააზუსტებს, უნდა დაადგინოს, რომელი სამართლის ნორმიდან ან ნორმებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამგვარი მოთხოვნა (სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი) და შესრულებულია თუ არა იმ სამართლებრივი ნორმის წინაპირობები, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.

6.9. საპანკო გარანტია

6.9.1.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 879-ე, 881-ე, 885-ე, 887-ე, 976-ე მუხლები.

განვითარებები:

- ა. საპანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი;
- ბ. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საპანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება;
- გ. პირგასამტებლოს ანაზღაურება პრინციპალის მიერ, არ წარმოადგენს საპანკო გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან ამგვარ შეთანხმებას გარანტია არ ითვალისწინებდა და იგი არც საპანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

გადაცემის შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა, ვინაიდან პირგასამტებლოს ანაზღაურება პრინციპალის მიერ არ წარმოადგენს საპანკო გარანტიის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან ამგვარ შეთანხმებას გარანტია

ტია არ ითვალისწინებდა და იგი არც საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

საქმის ფაბულის მიხედვით¹⁰⁹ გამყიდველმა (მენარმე) საქონლის მიწოდების ვადა დაარღვია, რის გამოც შეთანხმებული პირგასამტეხლო გადაიხადა. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მიმწოდებლის ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით. გარანტმა დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდის თაობაზე. გამყიდველმა (პრინციპალი, მოსარჩევე) მყიდველისგან (ბენეფიციარი, მოპასუხე) საბანკო გარანტიის საფუძველზე უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩევემ მხოლოდ მიწოდების ვადა დაარღვია, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო, ამით მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა და საბანკო გარანტიის თანხის მიღებით მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა რა საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებაზე ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა საბანკო გარანტიის განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას [სსკ-ის ის 881-ე მუხლი]. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, ამიტომაც საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები. (**სუსვ №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი**). საბანკო გარანტიის, როგორც არააქცესორული ვალდებულების, შედეგი ისაა, რომ გარანტს არ შეუძლია, ბენეფიციარს წარუდგინოს შესაგებელი, რომელიც ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული გარანტიით უზრუნველყოფილი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი“ (**იხ. სუსვ 2009 ნოემბრის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-562-871-09**). ნერილობით მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ასევე ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, ვინაიდან, ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოპასუხემ მოსარჩევეს მოს-

¹⁰⁹ სუს გადაწყვეტილება, 01 თებერვალი, 2017, №ას-1038-999-2016.

თხოვა პირგასასამტებლოს გადახდა, რომელიც ამ უკანასკნელმა სრულად გადაიხადა, ხოლო ხელშეკრულების პირობის ერთი და იმავე დარღვევის ფარგლებში თანხის მიღებით, ნარმობიშვა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება, რადგან გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას – „ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების მომენტიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაეხადა გარანტით გათვალისწინებული თანხა“. ბენეფიციარმა გარანტის მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების დარღვევის გამო და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტით გათვალისწინებული ვალდებულება (სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, მოცემულ საქმეში სახეზეა საბანკო გარანტით წაკისრი ვალდებულების შესრულების განმაპირობებელი ყველა წანამდგრარი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირგასამტებლოს ანაზღაურება პრინციპალის მიერ, არ წარმოადგენს საბანკო გარანტის მოთხოვნის დაცმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან ამგვარ შეთანხმებას გარანტია არ ითვალისწინებდა და იგი არც საბანკო გარანტის იურიდიული ბუნებიდან არ გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტია პირგასამტებლოს ჩათვლის ან გაქვითვის შესახებ რაიმე დათქმას არ ითვალისწინებდა.

6.9.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 8.3., 879-ე, 51-ე მუხლები, სსსკ-ის 393.2.-ე, 186-ე, 187.2., 180-ე, 275-ე, 178.1.ე.-ე მუხლები.

განმარტივები:

ა. კეთილსინდისიერება კონტრაჰენტს იცავს მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით (მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი), რამდენადაც კანონმდებლის ამგვარი მიღებომა წარმოადგენს კოლიდირებულ სიკეთეთა შორის უპირატესი უფლების მქონე პირის განსაზღვრის ინსტრუმენტს და ცდილობს, ამ გზით დაიცვას ყველა იმ კეთილსინდისიერი პირის ინტერესები, რომლებიც მართლზომიერად განკარგვდნენ საკუთარ სამოქალაქო უფლებებს და ჰქონდათ ამ განკარგვის ლეგიტიმური შედეგის მოლოდინი. განსხვავებით ამისაგან, კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვა ვერ გადაწონის იმ პირის უფლებებს, რომელსაც სამოქალაქო ურთიერთობა არ ჰქონია და არც შესაბამისი უფლება-მოვალეობები წარმოშობია;

ბ. გარანტსა და ბენეფიციარს შორის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება, ბენეფიციარის კეთილსინდისიერების მიუხედავად, არ წარმოშობილა, ვინაიდან, კონკრეტული თანხის ანაზღაურების თაობაზე შესაბამისი საბანკო გარანტიის გაცემის მიუხედავად, ეს ნება ადრესატს (ბენეფიციარი) არ მისვლია, არამედ მას გადაეცა სრულიად განსხვავებული (გაყალბებული), არარა ნება, რომელიც ვალდებული პირისაგან არ მომდინარეობდა.

გადაწყვეტილების შედეგი: ბენეფიციარის სარჩელი უარყოფილ იქნა, იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის საბანკო გარანტიის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს, დოკუმენტის სიყალბის აღიარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენის თაობაზე გარანტის შეგებებული სარჩელი დარჩა განუხილველად იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გარანტისათვის (სადაზღვევო კომპანიისათვის) საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის მოსარჩელის (ბენეფიციარი – სამინისტრო) სასარგებლოდ დაკისრების შესახებ საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების გადახდა და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტით გათვალისწინებული ვალდებულება (სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ყვეტილებით სარჩელი უარყო, იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა შორის საბანკო გარანტიის სახელშეკრულები ურთიერთობა არ არსებობს.¹¹⁰ საქმის ფაბულის მიხედვით, პრინციპალის (მენარმე) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულება შეწყდა), ბენეფიციარმა გარანტის მოსთხოვა გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგინდა, რომ პრინციპალის მიერ საბანკო გარანტია გაყალბდა, კერძოდ, გაცემული იყო 35000 და არა 835000 ლარზე. ქვემდგომმა სასამართლოებმა იმ მოსაზრებით, რომ სისხლის სასამართლოს საქმეზე დოკუმენტის გაყალბების ფაქტის მიმართ არ დადგინდა ბენეფიციარის რაიმე მართლსანინააღმდეგო ქმედება, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, მიიჩნიეს, რომ სამინისტრო (მოსარჩელე), როგორც კეთილსინდისიერი მხარე, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა შესრულება, ხოლო გარანტი ვალდებული – აენაზღაურებინა იმდენი თანხა, რამდენითაც რეალურად გაიცა საბანკო გარანტია.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომ სასამართლოთა დასკვნა და განმარტა, მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს (სკ-ის 8.3. მუხლი), თუმცა კეთილსინდისიერებით არ შეიძლება, ყოველთვის იქნეს ახსნილი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინტერესი, რადგანაც თავად კეთილსინდისიერება კონტრაპენტს იცავს მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით (მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი), რამდენადაც კანონმდებლის ამგვარი მიღვამა წარმოადგენს ერთმანეთის სანინააღმდეგო (კოლიდირებულ) სიკეთეთა შორის უპირატესი უფლების მქონე პირის განსაზღვრის ინსტრუმენტს და ცდილობს, ამ გზით დაიცვას ინტერესები ყველა იმ კეთილსინდისიერი პირის, რომელიც მართლზომიერად განკარგავდა საკუთარ სამოქალაქო უფლებებს და ჰქონდა ამ განკარგვის ლეგიტიმური შედეგის მოლოდინი. განსხვავებით ამისაგან, კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვა ვერ გადაწინის იმ პირის უფლებებს, რომელსაც სამოქალაქო ურთიერთობა არ ჰქონია და არც შესაბამისი უფლება-მოვალეობები არ წარმოშობია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გარანტსა და ძირითად მოსარჩელეს (სამინისტროს) შორის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება, ბენეფიციარის კეთილსინდისიერების მიუხედავად, არ წარმოშობილა, ვინაიდან, 35 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე შესაბამისი საბანკო გარანტიის გაცემის მიუხედავად, ეს ნება ადრესატს (ბენეფიციარი) არ მისვლია, არამედ გადაეცა სრულიად განსხვავებული, არარა ნება, რომელიც ვალდებული პირისაგან არ მომდინარეობდა.

ამდენად, ბენეფიციარმა სსკ-ის 879-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა რა გარანტისაგან თანხის ანაზღაურება, ამ მოთხოვნას მოპასუხემ (გარანტი) იმგვარი შესაგებელი დაუპირისპირისა, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს (მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი), რადგან მან, საბანკო გარანტიის სიყალბეზე მითითებით, სადაცო გახადა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ მხარეთა შორის არათუ რაიმე ფორმით ბათილი ხელშეკრულება, არამედ, ნების არარსებობის პირობებში (835 000 ლარი), გარიგება საერთოდ არ წარმოშობილა, შესაბამისად, მას ვერც დადასტურება (სკ-ის 61-ე მუხლი) და ვერც ნებაზე ზემოქმედების რაიმე კანონისმიერი საშუალება ნამდვილად ვერ აქცევს.

ზემოაღნიშულ ნაწილში გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, სასამართლომ დოკუმენტის სიყალბისა და სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენის თაობაზე გარანტის სარჩელი განუხილველად დატოვა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

¹¹⁰ სუს გადაწყვეტილება, 15 მაისი, 2017, №ას-367-348-2015.

6.9.3.

გამოყენებული წორები: სსკ-ის 985-ე, 987-ე მუხლები.

გამომარტივები:

ა. პრინციპიალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახისა და ხარისხის კვლევა გარანტის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უწოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტის ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას;

ბ. უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტიების თავისებურება ისაა, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა წარმოშობს გარანტის მიერ თანხის გადასხდის ვალდებულებას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძვლის დამატებითი მტკიცების გარეშე.

გადაცევატილების შედები: ბენეფიციარის სარჩელი უარყოფილ იქნა, იმ საფუძვლით, რომ საბანკო გარანტია არ იყო გაცემული უზრუნველსაყოფად იმ ძირითადი ხელშეკრულების, რომელსაც მოსარჩელე მიუთითებს.

მენარმე სუბიექტებს შორის წარმოშობილ დავაში, მოსარჩელე (ბენეფიციარი) მოპასუხისათვის (გარანტი) საბანკო გარანტიის საფუძველზე თანხის დაკისრებას მოითხოვს. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი წანილობრივ დაკავმაყოფილა, საკასაციო სასამართლომ კი დააკავმაყოფილა გარანტის საკასაციო საჩივარი და გადაწყვეტილებით ბენეფიციარის სარჩელი უარყო მტკიცებულებათა სსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ არასწორად შეფასების გამო. (სსკ-ის 393.3)¹¹¹ დაგაში არსებითი საკითხი გახდა იმ საკითხის გარევევა-შეფასება, გაცემული იყო თუ არა საბანკო გარანტია უზრუნველსაყოფად იმ ძირითადი ხელშეკრულების, რომელსაც მოსარჩელე მიუთითებს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იურიდიული დოქტრინისა და დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას. მოცემულ შემთხვევები, ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამება საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპიალის ვალდებულების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 881-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელი არ არის საბანკო გარანტია არსებობდეს მითითება იმ ვალდებულებაზე (ვალდებულების წარმომშობ ხელშეკრულებაზე), რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, მნიშვნელოვანია, შემოწმდეს გამომდინარებს თუ არა მოთხოვნა სწორედ იმ ვალდებულებიდან (ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულებიდან), რომელსაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტია. იმის დასადგენად, საბანკო გარანტიები რომელი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაიცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ვალდებულებების (მათი წარმომშობი ხელშეკრულების) იდენტიფიცირება ზედმინევნით შესაძლებელი იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ გარანტიის ტექსტში დაცული ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ, თუ ზუსტად იდენტური არ იქნება ამ ვალდებულებების წარმომშობ ხელშეკრულებაში მოცემულისა, მინიმუმ არ უნდა ენინააღმდეგებოდეს მას, მით უმეტეს, ისეთ არსებით პირობას, როგორიც არის ვალდებულების შინაარსი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, საბანკო გარანტიების ტექსტებ-

¹¹¹ სუს გადაწყვეტილება, 27 სექტემბერი, 2017, № ას-960-925-2016.

ში, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ხელშეკრულების ტექსტში მოცემული ძირითადი ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (ხელშეკრულების ნომერი და ლოტის ნომერი), მართალია, ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შინაარსი, კერძოდ, გზის მონაცემთა დასახელება, კილომეტრაჟი და შესასარულებელი სამუშაოების აღწერილობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ აღნიშნული შეუსაბამობა მხოლოდ მექანიკური უზუსტობაა, რომელიც შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების იდენტიფიცირებისას.

სასამართლოს დასკვნით, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახისა და ხარისხის კვლევა გარანტის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უწოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას (**სუსგ №ას-782-739-2015, 2015 წლის 19 ოქტომბერი**).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ პენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფირმალური საფუძვლით შემოწმებას და პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, საბანკო გარანტიაში მეტაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (**სუსგ №ას-749-709-2015, 2015 წლის 25 სექტემბერი**).

საკასაციო სასამართლომ, საბანკო გარანტიების შესწავლის შედეგად, მიიჩნია, რომ აშკარაა უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტიები, რომელთა თავისებურებით, ბენეფიციარის მოთხოვნა წარმოშობს ვალდებულებას, გარანტმა თანხა გადაიხადოს ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძვლის დამატებითი მტკიცების გარეშე.

სასამართლოს განსჯით, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამება საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულების გამაიგივებელ მონაცემებს, შეუძლებელია აღნიშნული გარანტიების დადგენა კონკრეტულად ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გაიცა თუ არა, რაც გამორიცხავს მათ შესაბამისობას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ გამოვლენილა სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ან ბათილობა, არ დასტურდება საბანკო გარანტიებით შექმნილი ძირითადი ვალდებულების არსებობა, რაც გამორიცხავს ამ შემთხვევაზე სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის გავრცელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

6.10. ამხანაგობა

6.10.1.

გამოყენებული წორმები: „პინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კანონის“ პირველი, მე-ორე, მე-8 მუხლის პირველი ნაწილი, მე-13, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვე-პუნქტი, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, სსსკ-ის 248-ე მუხლი.

გამოართებები: საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც ეხება ამხა-ნაგობის საერთო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სავალდებულოა ამხანაგობის წევრებისათვის.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილია, ამხანაგობასა და წევრებს შო-რის კანონისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის გათ-ვალისწინებით.

დავაში, სადაც ამხანაგობის მოთხოვნას ამხანაგობის წევრის მიმართ კანონის საფუძველ-ზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების (შენობის მოვლა-პატრონობისთვის დადგენი-ლი მოსაკრებლის) შესრულება წარმოადგენს სააპელაციო სასამართლომ ამხანაგობის კრე-ბის ოქმი და გამგეობის გადაწყვეტილება უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ მი-იჩნია, რაც საფუძვლად დაედო ამხანაგობის სარჩელის უარყოფას.¹¹²

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი, ასევე, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რითაც დაუშვა ისეთი საპროცესო დარღვევები, რომელთაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა შედე-გად (სსსკ-ის 393.1. „ა“, „გ“, 393.3, 105-ე მუხლები).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხებ შესაგებელში სხვა გარემოებებზე მი-უთითა, მას არ გაუსაჩივრებია კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებები, შესაბამისად, ამხანაგობის სარჩელის ფარგლებში, რომლითაც მოთხოვნილია საერთო საკუთრებაში რიც-ხული ქონების მოვლა-პატრონობისთვის ამხანაგობის მიერ განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდა, სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ამხანაგობის გადაწყვეტილებების ან/და საერ-თო კრებაზე დამტკიცებული წესდების კანონიერებაზე, კრების მოწვევისა და გადაწყვე-ტილებების მიღების პროცედურის ლეგიტიმურობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არ-სებობს კანონისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა საერთო საკუთრე-ბაში არსებული უძრავი ნივთის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სა-ერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც ეხება ამხანაგობის საერთო ქონების ნორმალურ ფუნქციონირებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სავალდებულოა ამხა-ნაგობის წევრებისათვის. ამხანაგობის გამგეობის, როგორც ასეთი ორგანოს არსებობას, კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე (დაშ-ვებულია, რაც აკრძალული არ არის კანონით, სსკ-ის მე-10 მუხლი), ამხანაგობას შეუძლია, შექმნას ნებისმიერი სხვა ორგანო, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, ოღონდაც იმ პირობით, რომ ეს არ შეაფერებს და არ გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული ორგა-ნოების – წევრთა საერთო კრებისა და თავმჯდომარის – ფაქტობრივ გაუქმებას.

¹¹² სუს გადაწყვეტილება, 26 თებერვალი, 2016, №ას-1046-986-2015.

6.10.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 934.5-ე, 935.1-ე, 463-ე-465-ე, 709-ე, 715-ე მუხლები.

განვითარებები:

- ა. ამხანაგობის თავმჯდომარესა და ამხანაგობას შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს დავალების ხელშეკრულება წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც რნმუნებულად გვევლინება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მარწმუნებლად – ამხანაგობის წევრები;
- ბ. ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმა (935.2 მუხლი) ხელშეკრულების მონაწილეს აღჭურავს უფლებით, მოსთხოვოს წევრს ვალდებულების არა საკუთარი, არამედ საერთო მიზნის მისაღწევად შესრულება, თუმცა წევრთა ურთიერთმოწხოვნის არსებობის შესაძლებლობას ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი არცერთი დანაწესი არ გამორიცხავს.

დაპრუნების დასაბუთება: გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

ამხანაგობის წევრის (მოსარჩელის) მიერ ამხანაგობის თავმჯდომარის (მოპასუხის) წინააღმდეგ დავაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის, როგორც დავალიანების, ისე – მიმდინარე ქირის დაკისრება და ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოსარჩელისათვის გადაცემის დავალდებულება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ, კერძოდ, დავალიანებისა და დოკუმენტების გადაცემის მოთხოვნის ნაწილში დაკამაყოფილდა, ხოლო ქირის დაკისრების ნაწილში – უარყოფილ იქნა. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილების ნაწილში და პირველი ინსტანციის სასამართლოში დააპრუნა განსახილველად. საკასაციო სასამართლომ დააკამაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მითოთებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააპრუნა იმავე სასამართლოში შემდეგი მოტივაციით:¹¹³ სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამხანაგობის მატერიალური სამართლის ნორმათა გათვალისწინებით, მოპასუხე არ წარმოადგენდა სარჩელზე პასუხისმგებელ ერთადერთ პირს, შესაბამისად, განსასაზღვრი იყო მოპასუხეთა წრე, რის გამოც არსებობდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად და დაბრუნების საფუძვლები.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „ინვესტორმა“ იკისრა ვალდებულება ამხანაგობის წევრი მოსარჩელის წინაშე, რომ ჩააბარებდა მისთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ფართს ე.ნ. თეთრ კარკასს, ამასთანავე, „ინვესტორმა“ წევრმა იკისრა ვალდებულება, არსებული საცხოვრებელი სახლის დასრულებამდე გადახეხადა ბინის ქირა – თვეში 800 აშშ დოლარი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრე-

¹¹³ სუს განჩინება, 27 იანვარი, 2017, №ას-777-744-2016.

ტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე დამყარებული გარიგება, მოითხოვს წევ-რებისაგან ისეთ მოქმედებებს, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ხელშეკრულებისათვის და-მახასიათებელი თავისებურებები. ამხანაგობისათვის დამახასიათებელია კოლექტიური გა-ერთიანების (კორპორაციული სტრუქტურის) ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, რო-გორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს, რითაც საბოლოოდ უზრუნველყო-ფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. მართალია, ერთობ-ლივი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმა (935.2 მუხლი) ხელშეკრულების მონაწილეს აღჭურავს უფლებით, მოსთხოვოს წევრს ვალდებულების არა საკუთარი, არამედ საერთო მიზნის მისაღწევად შესრულება, თუმცა წევრთა ურთიერთმოთხოვნის არსებობის შესაძ-ლებლობას ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი არცერთი დანაწესი არ გამორიც-ხავს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბინების დაქირავების ვალდებულების ფარგლებში, მოპასუხე არ ნარმოადგენს პერსონალურად პასუხისმგებელ პირს, თუმცა მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გამოვლენილია ხელ-შეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულება, რომლის ფარგლებ-შიც მოვალეებად გვევლინებიან ამხანაგობის „ინვესტორი“ წევრები, ხოლო კრედიტორე-ბად – „მესაკუთრე“ წევრები, რომელთაც, სსკ-ის 463-ე-465-ე მუხლების თანახმად, საკუ-თარი სურვილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულება შეუძლიათ, მოითხოვონ რო-გორც ერთ-ერთი, ისე – ყველა სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისაგან.

პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 473.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, „მესაკუთრეთა“ წინაშე მშენებლობის განმავლობაში ბინის ქირის გადახდის ვალდებულების „ინვესტორ-თა“ მიერ სოლიდარულად დაკისრების გამო, მოპასუხე, როგორც სოლიდარულად ვალდე-ბული პირი, სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული სათანადო მოპასუხეა, რომელსაც აქვს ყველა იმ მატერიალური შესაგებლის წარდგენის უფლება, რომლითაც აღჭურვილი არიან დანარჩენი სოლიდარული მოვალეები (სსკ-ის 466-ე მუხლი).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარესა და ამხანაგობას შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს დავალების ხელშეკრულება წარ-მოადგენს (სკ-ის 934.5 მუხლი), რომლის ფარგლებშიც რწმუნებულად გვევლინება წარმო-მადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – ამხანაგობის თავმჯდომარე, ხოლო მარ-წმუნებლად – ამხანაგობის წევრები (სსკ-ის 709-ე მუხლი), თავის მხრივ, სსკ-ის 713-ე მუხ-ლის პირველი ნაწილი ადგენს რწმუნებულის მოვალეობას, მისცეს მარწმუნებელს აუცი-ლებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიანოდოს დავალების შესრულების მიმ-დინარეობის შესახებ ცნობები, შესრულების შემდეგ კი, ჩააბაროს ანგარიში. ამდენად, კა-ნონის გათვალისწინებით, ამხანაგობის დოკუმენტაციის გადაცემაზე მოპასუხე, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე, განიხილება სათანადო მოპასუხედ და არც ამ წაწილში არ არსებობს ამხანაგობის ყველა წევრის მოწვევის წინაპირობები.

7. უსაფუძვლო გამდიდრება, კონდიცია

7.1.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 976-ე მუხლი.

განვითარებები:

სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას ახორციელებს, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა, ვინაიდან სადაც თანხა სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძლების შედეგად.

ერთ-ერთ დავაში¹¹⁴ მოსარჩელის მოთხოვნას სპეციალურ აუქციონში გამარჯვებული მესამე პირის მინის ნაკვეთის ღირებულების ნაწილის გადასახდელად გადარიცხული თანხის – როგორც სამართლებრივი საფუძლის გარეშე მიღებულის უკან დაბრუნება წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მესამე პირის ვალდებულების შესასრულებლად გადარიცხული თანხის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, ვინაიდან აუქციონზე ქონების გასხვისებას საბოლოო შედეგი არ მოჰყოლია და ისევ ირიცხება სახელმწიფოს სახელზე, აშკარაა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი, რაც მოპასუხის კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სარჩელის უარყოფას საფუძვლად სსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია დაედო, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 976-ე მუხლის არასწორი გამოყენებითა და განმარტებით.

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით განმარტა კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები და მიუთითა, რომ სსკ-ის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემსრულებელი ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას ახორციელებს, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანწესიდან გამომდინარე.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სადაც თანხა სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის გამო, კერძოდ, მოსარჩელის ანგარიშიდან სახელმწიფო ხაზინაში გადაირიცხა გამარჯვებული მესამე პირის მინის ნაკვეთის ღირებულება.

ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აუქციონის შედეგების ბათილობის თაობაზე არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება, მოსარჩელის მითითებას სადაც თანხის სამართლებრივი საფუძლის გარეშე გადარიცხვასა და მიღებაზე, სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, რაც, თავის მხრივ, გამოიცხავს კონდიქციური ვალდებულების არსებობას.

¹¹⁴ სუს გადაწყვეტილება, 19 აპრილი, 2016, №ას-135-131-2016.

7.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 979.2-ე, 411-ე მუხლები, სსკ-ის 106.პ., 266-ე მუხლები.

გამოართებები:

ა. ყოფილი მოპასუხეების წინააღმდეგ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი ვერ გახდება ერთ-ერთი მოპასუხისათვის, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სტატუსით მოდავე მხარის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მოპასუხის (ყოფილი მაჟორიტარი აქციონერის) წინააღმდეგ;

ბ. ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არა-მედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსი – რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პროცესუალურ-სამართლებრივი მოტივაციისა და, აქედან გამომდინარე, მატერიალური საფუძვლის დაუსაბუთებლობის გამო.

ერთ-ერთ საქმეზე¹¹⁵ საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდა უზენაესი სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტის პრეიუდიციულად ცნობა.

საქმის ფაბულის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სააქციო საზოგადოების 15,3%-ის მფლობელი წილის აქციონერთა საკასაციო საჩივარი, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა ამ უკანასკნელთა მიერ სს-ისა და მერიის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი; საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სს-ის აქციონერთა კრების ოქმი და ამავე ოქმის საფუძველზე სს-სა და მერიის შორის პირველ, მეორე და მესამე საწარმოში მოსარჩელის (სააქციო საზოგადოების) კუთვნილი წილების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სს კრების ოქმის დღის წესრიგის მეორე საკითხი უკავშირდებოდა მერიისათან დასადებ გარიგებას და თავად მერია არ იყო უფლებამოსილი, მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

სააქციო საზოგადოებამ მოგვიანებით სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელისათვის, მოსარჩელისადმი მიყენებული ზიანის, ასევე, დივიდენდის სახით მიღებული თანხისა და მიუდებელი შემოსავლის სახით, სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულ ანაზღაურებამდე, დაკისრებული თანხის წლიური 6%-ის დაკისრება სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 979.2 მუხლისა და 411-ე მუხლის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ სს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილა, მოპასუხეს დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სს-ს უარი ეთქვა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ.

¹¹⁵ სუს გადაწყვეტილება, 21 ოქტომბერი, 2016, №ას-341-326-2016.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამავე სასამართლოს 14.11.2012 წლის გადაწყვეტილებაში, სადაც განსახილველი დავის პროცესუალური მოწინააღმდეგები მოპასუხები იყვნენ და იმსანად ერთიანი პოზიცია ჰქონდათ მათ წინააღმდეგ სააქციო საზოგადოების (მეორე კასატორის) 15,3%-იანი წილის მფლობელი აქციონერების მიერ აღძრულ სარჩელზე, თავს სწორედ იმით იცავდნენ, რომ დაუსაბუთებელი იყო სააქციო საზოგადოების კრების ოქმისა და მერიასა და სააქციო საზოგადოებას შორის წილების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე ე.ნ. მინორიტარ აქციონერთა (მოსარჩელეთა) მოთხოვნა დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე.

საკასაციო სასამართლომ სასამართლომ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ „ფაქტების პრეიუდიცულებრივი შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგვევ მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სუსკ №ას-827-791-2014, 13.11.2015). სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ის ფაქტია პრეიუდიცული ძალისა, რომ სს, რომელიც მერიასთან ერთად მოპასუხე იყო მინორიტარ აქციონერთა მიერ ინიცირებულ დავაში, საკუთარ პოზიციას სამართლებრივად იცავდა და არ დავობდა კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებასა და სამ სხვა სანარმოში კუთვნილი წილების გასხვისების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე. განსახილველი დავის მოსარჩელე მოპასუხესთან ერთად, პროცესუალურად მოსარჩელის მოპასუხის სტატუსით მონაწილეობდა და, როდესაც საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ არის გაუქმებული, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც სარეზოლუციო ნაწილში აისახა – სადაც კრების ოქმისა და გარიგებების ბათილად ცნობის სახით, მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნის ფაქტობრივ წინაპირობად წარმოაჩენს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ყოფილი მოპასუხების წინააღმდეგ გადაწყვეტილ დავაში, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე (სსსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილი), დადგენილი ფაქტები და გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი ვერ გახდება ერთ-ერთი მოპასუხისათვის, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის სტატუსით მხარის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მოპასუხის (ყოფილი მაჟორიტარი აქციონერის) წინააღმდეგ, ამასთან, საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოცემული დავის მოსარჩელე (მეორე კასატორი), რომელიც ადრე განხილული დავის მოპასუხე იყო, მერიასთან (პირველ კასატორთან) ერთად, „არათუ სადაცოდ ხდიდა ხელშეკრულებებს, არამედ იგი, როგორც მოპასუხე, უარყოფდა აქციონერთა მიერ აღძრულს სარჩელს“.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი იურიდიული შედეგის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის ფაქტობრივ წინაპირობად გამოყენება მერიის წინააღმდეგ, რომელიც დასახელებულ დავაში მოსარჩელესთან ერთად მოპასუხის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობდა, თითქოსდა, მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრების გამო, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნით, დაუსაბუთებელია პროცესუალურსამართლებრივი დასაბუთებისა და, აქედან გამომდინარე, მატერიალური საფუძვლის გათვალისწინებით, რის გამოც სარჩელი წარუმატებელია.

7.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე, 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, სსსკ-ის 105.2.-ე, 393.2.-ე, 393.3.-ე მუხლები.

გამოარტება: უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის არცერთი ნორმა არ ადგენს კრე-ლიტორის უფლებადამცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღ-დგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად განსაზღვრავდა, შესრუ-ლების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსა-ცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისა-საა დასაშვები.

დაპრუნების დასაბუთება: გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურების თა-ობაზე სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე -სა-მართლებრივი თვალსაზრისით (სსსკ-ის 393.2., 393.3., 105.2. მუხლები).

მენარმეებს შორის დავაში მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის როგორც შესრულე-ბის, ისე – გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურება, იმ საფუძლით, რომ შესრუ-ლებას ნამდვილი ხელშეკრულება არ ედო საფუძვლად. მოსარჩელის განმარტებით, მან ძალაში შეუსვლელი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი მხრივ, შეასრულა გარეკეული ღირებულების სარემონტო სამუშაოები, ხოლო, მეორე მხრივ, დაზუსტებული ფასით შეი-ძინა და დაუმონტაჟა მოპასუხეს ნივთი.

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ ხარჯების განევის ფაქტი საქმის მასალებით არ დას-ტურდება, მოთხოვნა ხანდაზმულია, ამასთანავე, მოსარჩელე ვერ ამტკიცებს მოპასუხის გამდიდრების ფაქტს. რაც შეეხება საპარტო ამორტოველის ღირებულების ანაზღაურებას, მოპასუხის განმარტებით, მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგანაც მას ნივთით არ უსარგებ-ლია და ამით არ გამდიდრებულა, ის თანახმაა, დაუბრუნოს ნივთი მოსარჩელეს, რომელსაც ნაცვლად მისი ღირებულების ანაზღაურებისა, მოპასუხისაგან სწორედ ქონების გამოთ-ხოვა შეეძლო მოეთხოვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი დაკმაყოფილთა, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმა-ყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება გადაცემუ-ლი ნივთის ღირებულების, ასევე, ამ ღირებულების პროპორციულად საქმის განხილვას-თან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილვე-ლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.¹¹⁶

საკასაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი შეფასება იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარეობს და მისი სამართლებრივი საფუძველი, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედი-ტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამარ-თლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი ნორ-მაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შეწ-ყდა. შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუ-ტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კანო-

¹¹⁶ სუს განჩინება, 22 აპრილი, 2016, №ას-344-329-2016.

ნისმიერი ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; შატერიალურ/არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. მითითებულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს, ამასთანავე, როგორც მატერიალური (სკ-ის 976-ე მუხლი), ისე – საპროცესო (სსსკ-ის 102-ე მუხლი) ნორმის თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

გადაცემული ნივთის ლირებულების ანაზღაურების საკითხის შეფასებისას, პალატამ აღნიშნა, რომ, შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს, უპირველესად, **უნდა შემოწმდეს რამდენადა შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება** (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ლირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა დასაშვები მხოლოდ მას შემდეგაა, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი). სარჩელის თანახმად, კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორმა ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა და დაუმონტაჟა მოვალეს ნივთი, რასაც შესაგებლით არ დაეთანხმა მოპასუხე და განმარტა, რომ ნივთის გადაცემით არ გამდიდრებულა, ნივთი დასაწყობებულია და არ მოუხმარია. ამ გარემოების გათვალისწინებით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაცემული ნივთის ლირებულების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს იმის დადასტურება, რომ ნივთი მართლაც დაამონტაჟა, ამ დამონტაჟების შედეგად გაუმჯობესდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობა და მან დაზოგა შესაბამისი მატერიალური სახსრები.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ სააპელაციო შესაგებელში მითითებული გარემოება და, შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნივთი, რადგანაც გამდიდრების კრედიტორისათვის გამოსაყენებელი არაა და მისი უკან დაბრუნება მოსარჩელის ინტერესს არ შეესაბამება, ამასთანავე, არა ფორმადაუცველი ნასყიდობის, არამედ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში გადაეცა, ნივთის ლირებულების ანაზღაურების თაობაზე სარჩელი საფუძვლიანია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის ამგვარი მსჯელობა არ გამომდინარეობს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების სწორი განმარტებიდან.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის არცერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადამცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა, შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასაა დასაშვები. კანონის ნება ემყარება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რომლის ფარგლებშიც კონტრაპენტი თავადაა განხორციელებული შესრულების ნეგატიური შედეგების რისკის მქონე. იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ ვითომ კრედიტორს გადაცემული ქონებით არ უსარგებლია, ნივთი ობიექტურად არსებობს, რის გამოც შესაძლებელია მისი დაბრუნება, მაგინ კონდიქციური ვალდებულების არსის საპირისპიროდ, ნივთის ლირებულების დაკისრება არა უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრებას, არამედ მოვალის მდგომარეობის გაუმართლებელ გაუარესებას გამოიწვევს. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც, თუკი დავუშვებდით, რომ მომსახურების ფარგლებში განხორციელებული ნივთის გადაცემის გამო, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ნივთის ლირებულების გადახდა, გასაჩივრებული განჩინებით პასუხი არ არის გაცემული მთავარ კით-

ხვაზე: – სადაცო ნივთის გადაცემით რა სიკეთე/სარგებელი მიიღო ვითომ კრედიტორმა?

პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის შედავება მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეუფასებლობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ დაუდგენიათ მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ხომ არ აქარნყლებს ნივთის გადაცემით მოპასუხის გამდიდრების, ნივთის გამოთხოვის შეუძლებლობისა და მისი კომპენსაციის დაკისრების თაობაზე მოსარჩელის პოზიციას და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში დარღვეულია სსკ-ის 105.2 მუხლი, რამდენადაც შეკრებილი მტკიცებულებები ობიექტურად არ შეფასდა, რის გამოც გადაცემული ნივთის ლირებულების ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით.

8. დელიქტური მოთხოვები

8.1. საკუთრების უფლების დაცვა და სავა მოთხოვები

8.1.1.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 326-ე, 992-ე, 408-ე მუხლები.

გამოართებები: სსკ-ის 326-ე მუხლის ძალით, დელიქტით გამოწვეული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელის აღძვრისა და საპენსიო ასაკის მიღწევის თარიღების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ, მიუღებელი სარჩოს მოთხოვნის ნაწილში, ხანდაზმულად არ იქნა მიჩნეული და დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკავითა ასაკის მიღწევის თანრიგის მუშაკის ხელფასის პროპორციულად დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების, ასევე, მიუღებელი სხვაობის ანაზღაურების თაობაზე შრომითა მოვალეობის შესრულების შედეგად დასახიჩრებული მუშაკის მოთხოვნა იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელე, საპენსიო ასაკის გამო, ვერ შეძლებდა ამავე თანამდებობაზე მუშაობას, შესაბამისად – ვერც გაზრდილი ხელფასის მიღებას. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის მიერ ადრე დაკავებული თანრიგის მუშაკის თანამდებობრივი სარგო 2006 წლიდან პერიოდულად იზრდებოდა და, საბოლოოდ, 2013 წლიდან შეადგინა 625 ლარი, მოსარჩელე 1949 წლის 25 მაისს დაიბადა და საპენსიო ასაკს – 65 წელს 2014 წლის 25 მაისს მიაღწია. დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე სარჩელი 2016 წლის 27 მაისსაა აღძრული.

საკასაციო პალატამ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად მიუთითა სსკ-ის 326-ე, 992-ე, 408-ე მუხლები და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულად მიიჩნევა პირი, რომლის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) არის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი და ამ ქმედებას შედეგად მოჰყვა სხვა პირის მიმართ ზიანის მიყენება, შესაბამისად, ვალდებულ პირს ეკისრება იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა, რომ არა მისი სამართლებრივად გასაკიცხი ქმედება, ხოლო, თუკი ამ ქმედებას მოჰყვა სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება და დაზარალებულს წაერთვა/შეუმცირდა შრომის უნარი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკავიდრებული პრაქტიკით, მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთვევაში ზიანის (სარჩოს) ოდენობა იანგარიშებოდა დაზარალებული პირის შრომის ანაზ-

დაურებისა და შრომის უნარის დაკარგვის პროპორციული თანაფარდობით (იხ. მაგ: სუსგ-ებები: №ას-169-497-09, 24 ივლისი, 2009 წელი; №ას-1304-1224-2015, 5 თებერვალი, 2016 წელი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ბოლო დროს დამკვიდრებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადრე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის ფარგლებში წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე, პრეზუმირებულად მიიჩნევა, რომ დაზარალებული იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც მამაკაცები-სათვის 65 წელს შეადგენდა, სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული პირი, ანაზღაურებინა მისთვის ხელფასი, რომ არ შექმნილიყო სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები (სუსგ-ებები: №ას-789-746-2015, 22 იანვარი, 2016 წელი; №ას-1216-1141-2015, 3 ივნისი, 2016 წელი, №ას-1220-1145-2015, 3 ივნისი, 2016 წელი). პალატამ ნაწილობრივ გაითვალისწინა მოპასუხის არსებითი შედაგება ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლი არა მარტო ადგენს დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, არამედ განსაზღვრავს ამ ვადის ათვლის მომენტსაც და მას უკავშირებს დროს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, მაგრამ აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზიანის მიყენებით წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები. პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 326-ე მუხლის ძალით, დელიქტით გამოწვეული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კანონის 130-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ზემოთ მითითებულის საფუძველზე, პალატამ ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის აღდვრისა და საპენსიო ასაკის მიღწევის თარიღების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ, კერძოდ, 2013 წლის 27 მაისიდან 2014 წლის 25 მაისამდე მიუღებელი სარჩოს მოთხოვნის ნაწილში, ხანდაზმულად არ მიიჩნია და დაკავშირდება.¹¹⁷

8.1.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები.

განმარტებები: იმ ვითარებაში, როდესაც პაციენტს აღნიშნებოდა სხვადასხვაგვარი ჩივილი, მხოლოდ პაციენტის ახსნა-განმარტება, რომ მტანჯველი, გაუსაძლისი ტკივილი გამოწვეული იყო სამედიცინო ქმედებით, საკმარისი არ არის მორალური ზიანის დასაკისრებლად.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზაციის შეუძლებლობის გამო.

პაციენტსა (მოსარჩელე) და კლინიკას (მოპასუხე, სანარმო) შორის დავის საგანია არასწორი მკურნალობა და ამით პაციენტის ჯანმრთელობისათვის ვნების, ტანჯვის მიყენება, რაც, სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევის შემთხვევაში, კლინიკისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და მოსარჩელეს მორალური ზიანი მიაკუთვნა. საკასაციო სასამართლომ სარჩელი უარყო იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის სრულ-

¹¹⁷ სუს გადაწყვეტილება, 31 მარტი, 2017, №ას-1180-1141-2016.

ყოფილად რეალიზება და სსკ-ის 1007-ე და 992-ე, ასევე – 413-ე მუხლების განმაპირობებელ გარემოებებზე მითითება, რამაც მოცემულ საქმეზე იურიდიულად არასწორი მატერიალურსამართლებრივი შედეგი განაპირობა.¹¹⁸ დაუდასტურებელია არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური მკურნალობის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გამორიცხავს მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

საქმის ფაქტულის მიხედვით, პაციენტს შარდკენჭოვანი დაავადების გამოვლინების გამო კლინიკაში გაუკეთდა შარდსაწვეთის სტენტირება. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სტენტი პაციენტის ორგანიზმიდან დაგვიანებით ამოიღეს, რის გამოც პაციენტი იტანჯებოდა გაუსაძლისი ტკივილებისაგან, რაც მოპასუხე კლინიკას წარმოუშობს სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ არის დაფიქსირებული სტენტის სხეულში ყოფნის კონკრეტული ვადა, არამედ მითითებულია ის გონივრული ვადა, რომელიც 6 თვეს არ უნდა ალემატებოდეს და რომ მუდმივი სტენტი არ არსებობს, საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ პაციენტს სტენტი 6 თვემდე ამოუღეს, შესაბამისად, დაუდასტურებელია სტენტის ჩადგმით ან ამოღებით ჯანმრთელობისათვის ზიანის, ვნების მიყენების ფაქტი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს, სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნანილით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი, ვინაიდან მოსარჩეულებს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას უნდა წარმოედგინა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩეულის ავადმყოფობას შორის ადგევატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

სასამართლოს მითითებით, იმ ვითარებაში, როდესაც პაციენტს აღენიშნებოდა სხვადასხვაგვარი ჩივილი, მხოლოდ პაციენტის ახსნა-განმარტება, რომ მტანჯველი, გაუსაძლისი ტკივილი, რომლითაც იტანჯებოდა, გამოწვეული იყო სხეულში სტენტის ჩადგმით, საკმარისი არ არის.

სასამართლოს დასკვნით, მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების დადგენილად მიჩნევის შემთხვევაშია სარჩელი წარმატებული. განსახილველ შემთხვევაში, კი მოსარჩეულებ ვერ დაადასტურა, რომ გაუსაძლისი ტკივილი, როგორც ამას თავად აღნიშნავს, გამოწვეული იყო მოპასუხე კლინიკის მკურნალობით – სტენტის ჩადგმის ხანგრძლივობით.

8.1.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1-ე, 408.2-ე, 409-ე მუხლები.

გამოარტებები: სოლიდარული ვალდებულების საფუძველის ვალდებულების საგნის, კონკრეტულ შემთხვევაში – მიყენებული ზიანის განუყოფლობა.

გადაწყვეტილების შედეგი: დელიქტური ვალდებულებიდან სარჩოს დაკისრების შესახებ დაზარალებულის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ სარჩოს გადახდა.

¹¹⁸ სუს გადაწყვეტილება, 11 მაისი, 2018, №ას-111-111-2018.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მძღოლის, მყიდველის-ქვეკონტრაქტორისა და ინდმენარმის – გამყიდველის გარდა, დამკვეთსა და კონტრაქტორსაც ეკისრებათ. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოსარჩელე სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა დამკვეთთან, ხელშეკრულების თანახმად, დამკვეთი ვალდებული იყო, შემსრულებლი-სათვის სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელი პირობები შეექმნა, შემსრულებელი კი – სამშენებლო მოედანზე დამკვეთის მიერ მითითებულ სხვადასხვა ტექნიკურ და ფიზიკურ სამუშაოებს შეასრულებდა. მითითებული ხელშეკრულებით, მოვალეობის შესრულებისას, მოსარჩელე სამშენებლო მოედანზე განთავსებულ ხარაჩოზე იმყოფებოდა, სწორედ ამ დროს, შემთხვევისას, მოსარჩელე დაზიანდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზიანში წვლილი დამკვეთსაც და კონტრაქტორსაც მიუძღვით, რადგან ისინი ვალდებული იყვნენ, მოსარჩელის უსაფრთხოება დაეცვათ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილება (სსკ-ის 408.2-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში – მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1-ე, 408.2-ე, 409-ე მუხლებიდან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხებისათვის სოლიდარულად, ყოველთვიური სარჩოს გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია და გადაწყვეტილებით სარჩელი ამ ნაწილში დააკმაყოფილა.¹¹⁹

8.1.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 409-ე და 412-ე მუხლები.

განმარტებები: როდესაც ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოადგენს დავის საგანს, თავად ზიანის ფაქტიდან გამომდინარე, გამოირჩება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა (408.1), ამასთან, ზიანი წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს ნებისმიერი საშუალო წინდახედული ადამიანისათვის.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა მოპასუხების მიერ გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

დელიქტური კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავაში მოსარჩელე მოპასუხეს (საწარმოს) ედავება გარემოსათვის მიყენებული ზიანის ფულად ანაზღაურებას სსკ-ის 992-ე, 409-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დამაყოფილების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა მოპასუხების მიერ გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი¹²⁰ (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილი და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს დადგენილება საფუძ-

¹¹⁹ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2018, №ას-1423-1343-2017.

¹²⁰ სუს გადაწყვეტილება, 5 აპრილი, 2019, №ას-522-499-2016.

ველს აცლის სამართალდარღვევის ოქმში გადმოცემულ გარემოებებს, სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ ჩემომპალის (მიწის ჰუმუსოვანი ფენის) მოხსნით გარემოს ზიანი უშუალოდ მოპასუხემ მიაყენა, მოსარჩელეს არ წარუდგენია. სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსს-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამგვარად ვერ იქნება განხილული ვერც ზიანის გაანგარიშების უწყისი და ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკითხული სპეციალისტის განმარტება, რომლებიც შედეგის მხოლოდ კონსტატაციაა და არ ასახავს უტყუარ ინფორმაციას ქმედების მოპასუხის მიერ განხორციელებასა და ამ ქმედებასა და გარემოსათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირზე.

8.1.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408 და 409 მუხლები, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 333-ე მუხლის მეხუთე პუნქტი.

გამარტივება: თუ მოპასუხები მზღვეველთან დაკავშირებული პირები არიან, მაშინ დავის მოსაწესრიგებლად უნდა იქნეს გამოყენებული არა გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმები (სსკ-ის 56-ე ან 54-ე მუხლები), არამედ სპეციალური ნორმა – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 333-ე მუხლის მეხუთე პუნქტი.

დაპრუნების საფუძველი: სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე არასწორი სამართლებრივი დასკვნა.

მზღვეველსა (მოსარჩელე) და სანარმოს (პირველი მოპასუხე) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მოპასუხე იღებდა ვალდებულებას, უზრუნველეყყო მოსარჩელის მიერ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული პირების სამედიცინო მომსახურება. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეთათვის (საწარმო, საწარმოს დამფუძნებელი, საწარმოს დირექტორი, საწარმოს მარკეტინგის მენეჯერი და ფინანსური მენეჯერი) მიყენებული ზიანის სოლიდარულად დაკისრება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელი უარყოფილ იქნა. საკასაციო სასამართლომ გაუუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოს დაუბრუნა,¹²¹ იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე არასწორი სამართლებრივი დასკვნა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა მოთხოვნის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ: „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ თუ არა მოპასუხები მზღვეველთან დაკავშირებულ პირებს. სასამართლო აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი აღმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმისნარმოების წესის 3.„ა“ პუნქტის მიხედვით, მზღვეველთან დაკავშირებული პირია: მზღვეველის აღმინისტრატორი, აქციონერი, მათთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მექუვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, მზღვეველის თანამშრომელი, იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევ-

¹²¹ სუს განჩინება, 7 მარტი, 2016, №ას-884-834-2015.

რი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მზღვეველის მინიჭებულოვან წილს ან მათთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები”; სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულებების გაფორმების მომენტისათვის პირველი მოპასუხის 100% წილის მფლობელი იყო მესამე მოპასუხე, ხოლო დირექტორი კი – მეორე მოპასუხე, იმავდროულად მესამე მოპასუხე იყო მოსარჩელის მარკეტინგის მენეჯერი, ხოლო მეორე მოპასუხე კი – ფინანსური მენეჯერი. სააპელაციო პალატამ სამართლებრივად არასწორად განმარტა მზღვეველთან დაკავშირებული პირი, როცა დაეყრდნო საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ სამართლებრივ ტერმინებს. უნდა დაფუძნებოდა მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმისწარმოების წესის ზემოაღნიშნულ განმარტებას და ისე გამოეტანა შესაბამისი დასკვნები. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გაიზიარა კასაციის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხები წარმოადგენდნენ მოსარჩელესთან დაკავშირებულ პირებს. მესამე მოპასუხე იყო მოსარჩელის ყოფილი დირექტორის და, ხოლო მეორე მოპასუხე – მოსარჩელის ყოფილი დირექტორის დის ქმარი. გარდა ამისა, მეორე მოპასუხე, მოსარჩელესთან მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად, ხოლო მესამე მოპასუხე – მარკეტინგის მენეჯერად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33³-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით: მზღვეველის გაკოტრების მმართველი უფლებამოსილია, სასამართლოში სარჩელის შეტანით სადაცო გახადოს მზღვეველის ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის, ლიკვიდატორის ან გაკოტრების მმართველის დანიშნვამდე 12 თვით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მისი ბათილობა, თუ აღნიშნულის შედეგად მზღვეველთან დაკავშირებულმა პირებმა ამ მზღვეველის ხარჯზე მიღებული სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პროვილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია მზღვეველისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება“. მითითებული სპეციალური ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, გაკოტრების მმართველს უფლება ჰქონდა, მის დანიშნვამდე 12 თვით ადრე დადებული – სადაცო მომსახურების ხელშეკრულების ბათილობა მოეთხოვა.

საკასაციო პალატამ განმარტა, თუ მოპასუხები მზღვეველთან დაკავშირებული პირები არიან, მაშინ დაეის მოსახელესრიგებლად უნდა იქნეს გამოყენებული არა გარიგების ბათილობის ზოგადი ნორმები (სსკ-ის 56-ე ან 54-ე მუხლები), არამედ სპეციალური ნორმა – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33³-ე მუხლის მეხუთე პუნქტი. მოპასუხების მიერ მზღვეველის ხარჯზე ქონებრივი სარგებლის მიღება ან რაიმე სახის უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, დადებით შემთხვევაში, რას შეადგენს მათი მოქმედებით მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი (სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408 და 409 მუხლები).

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს მიუთითა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით გამოარკვიოს და სათანაბოდ შეაფასოს სადაცო ხელშეკრულების შესრულებით მოპასუხებმა მზღვეველის ხარჯზე რა სახის ქონებრივი სარგებელი მიღება ან ხომ არ ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, დადებით შემთხვევაში, რას შეადგენს მათი მოქმედებით მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი (სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408 და 409 მუხლები).

სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის ხელახლა განხილვისას განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უარყოფილი იქნა სარჩელიც. სააპელაციო პალატამ სარჩელის, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისობის შესამონმებლად არსებით სამართლებრივ საფუძვლად არ მიიჩნია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, იმ საფუძვლით, რომ არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება მეორე და მესამე მოპასუხის მოსარჩელესთან იმგვარად დაკავშირებულ პირად ყოფნის გარემოება, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა მათ პასუხისმგებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კვლავ გაასაჩივრა მოსარჩელემ საკა-

საციონ საჩივრით.

საკასაციონ პალატამ მიიჩნია, რომ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და, აგრეთვე, მათი სამართლებრივი შეფასების ნაწილში, წარმოდგენილია დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციონ პრეტენზია (სსსკ-ის 393.3 მუხლი), რაც გახდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.¹²²

საკასაციონ სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 07 მარტის განჩინებაზე, რომლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს სადაცო გარიგებათა ბათილობის განმაპირობებელ ფაქტორთა გამოკვლევისა და მოპასუხეთავის სოლიდარულად მიყენებული ზიანის, დაკისრების შესახებ მოთხოვნის მართლზომიერების შესამოწმებლად უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები, ხოლო დავის თავისებურებიდან გამომდინარე (დავა დაკავშირებულია მზღვევლის გაკოტრების საქმისნარმოებასთან), სასამართლო ვალდებული იყო, საქმის გარემოებათა დადგენის მიზნით, არათუ დაეკმაყოფილებინა მოსარჩევის შუამდგომლობა, არამედ საკუთარი ინიციატივითაც მიემართა სსსკ-ით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის (სსსკ-ის 4.2. მუხლი) და, თუ ამ გარემოებების დასადგენად სპეციალური ცოდნა იყო საჭირო, დაენიშნა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზა.

საკასაციონ სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის მოთხოვნის უარყოფას საქმარის საფუძვლად დაუდო საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულ პირთა – პირველი მოპასუხის თანამშრომელთა – ჩვენებები. საკასაციონ პალატამ მიიჩნია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელე სადაცოდ მიიჩნევს გარიგებათა ნამდვილობასა და მისთვის მიყენებული ზიანის – წარმომშობ სამართლებრივ საფუძვლად სწორედ სადაცო გარიგებებს ასახელებს, სათანადო გამოკვლევასა და შეფასებას საჭიროებს იმგვარი ფაქტობრივი გარემოება, როგორიცაა – სადაცო გარიგებათა გაფორმების აუცილებლობა, მისი გაფორმების მოლლოდინი შედეგობრივი კუთხით. შესაბამისად, საკასაციონ სასამართლოს მითითებით, სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, უნდა გაირკვეს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ თუ არა მოპასუხები მზღვეველთან დაკავშირებულ პირებს.

8.1.6.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე მუხლი, სსსკ-ის 162.2-ე, 169.4-ე მუხლები.

განმარტება: მხარეთა პროცესუალური სტატუსის გათვალისწინებით მათთვის მტკიცების გადაულახავი სტანდარტის დაწესება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმატიული ნებით ნაკარნახები არ არის.

დაპრუნების დასაბუთება: გამოიკვეთა საპროცესო სამართლის ნორმების ისეთი დარღვევა, რომლის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მხარეები დავობენ ზედა სართულიდან ჩამომავალი წყლით უძრავი ქონების დაზიანების შედეგად წარმომშობილი ვალდებულების არსებობაზე. მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების შემწყვეტი შედავება იმ კუთხით წარადგინა, რომ, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნა-

¹²² სუს განჩინება, 11 ოქტომბერი, 2017, №ას-917-857-2017.

ში არ არის დაზუსტებული, დაზიანება განპირობებულია თუ არა მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდინებული წყლის ზემოქმედების შედეგად და, რაკი ზემოთა სართულზე სხვა მესა-კუთრეთა უძრავი ქონებაა, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამარ-თლებრივი საფუძველი არ არსებობს. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი უარყო შემდეგი დასაბუთებით, მოსარჩელემ იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ პირველი უძრავი ქონების დაზიანება განპირობებულია კონკრეტულად მეორე უძრავი ქონებიდან ჩამოდი-ნებული წყლით, ახსნა-განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულება ვერ წარადგინა.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა რა საა-პელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად,¹²³ მიუთითა, საქმის მასალების მიხედვით, ექსპერტმა გამოიკვლია მხოლოდ პირველ უძრავ ქონებაში არსებული ობიექტები იმგვარად, რომ ზემოთა სართულზე მდებარე უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლოა, ჩამოედინებოდეს წყალი, არ დაუთვალიერებია და არ შეუსწავლია, რადგან ამისათვის საჭირო იყო ზემოთ მცხოვრები მეზობლის საცხო-რებელ სახლში შეშვება, წყლის მილების გაშიშვლება და ზუსტი მიზეზების დადგენა, ექსპერტი კი, მეორე უძრავ ქონების დამქირავებლებმა ბინაში არ შეუშვეს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედე-ბასა და ზიანს შორის მიზეზოპრივი კავშირის არსებობა, როგორც დელიქტური პასუხის-მგებლობის დადგომის სავალდებულო პირობა აშკარაა მაშინ, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყე-ნებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. იმავდროულად, გასათვალისწინებელია მხარეთა შორის – როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საპ-როცესო სამართლებრივი შედეგი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი (სსსკ-ის 102-ე მუხლი) იმგვარად იქნა განაწილებული, რომ მოსარჩელეს დაეკისრა 992-ე მუხლით გათვა-ლისწინებული ყველა წანამდლოვრების არსებობის დადასტურების ტვირთი, რაც მართებუ-ლიცა, თუმცა უნდა გათვალისწინდეს, რომ მხარეთა პროცესუალური სტატუსის გათ-ვალისწინებით მათვის მტკიცების გადაულახავი სტანდარტის დაწესება სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის ნორმატიული ნებით ნაკარნახები არ არის.

იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება და-ზიანებულია ზემოთა სართულიდან ჩასული წყლის ნაკადის შედეგად, თუმცა ექსპერტი-ზის დასკვნა არ შეიცავს პასუხს, წყალი მართლაც მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონები-დან ჩავიდა, რადგან, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, ამისათვის საჭიროა ზემოთა მეზობ-ლის საცხოვრებელ სახლში შეშვება და სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და, მაშასადამე, სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი წანამდლოვრის არსებობის მტკიცების ვალდებულება მოსარჩელემ ვერ შეასრულა, სა-კასაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს სწორედ, ის შემთხვევაა, როდესაც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია საექსპერტო კვლევის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ – სარჩელის წარმატებულობისა თუ, პი-რიქით, წარუმატებლობის შესახებ საკითხის გადაწყვეტა (სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქვე გასათვალისწინებელია მოპასუხის უძრავი ქონების დათვალიერების აუცი-ლებლობის შესახებ მიღებული ექსპერტის ახსნა-განმარტებაში მითითებული პოზიცია, რომლის შესაძლო შედეგები წესრიგდება სსსკ-ის 169-ე მუხლის ნორმატიული დანაწესით და, საბოლოოდ, აისახება მტკიცების ტვირთის ტრასფორმირებაშიც (სსსკ-ის 169-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილი).

¹²³ სუს განჩინება, 12 დეკემბერი, 2016, №ას-915-881-2016.

8.1.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 183-ე, 185-ე, 312-ე, 170-ე, 172-ე, 992-ე, 998-ე, 408-ე მუხლები.

გამოარტება:

- ა. ქონების შეძენისას საწარმოს კეთილსინდისიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს ამ საწარმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და წილის შემძენის კეთილსინდისიერება ნასყიდობის ობიექტის მიმართ;
- ბ. იურიდიული პირის სამართლებრივი არსის გათვალისწინებით, მისი გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგებისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად ეფუძნება მის მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერებას, შესაბამისად, გარიგების საფუძველზე იურიდიული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, მით უფრო, თუკი არსებობს უფლების ნაკლი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს სწორედ იურიდიული პირის მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პირთა სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უფლების შესაძლო ხარვეზთან მიმართებით (კეთილსინდისიერება);
- გ. ქონების შეძენისას საწარმოს კეთილსინდისიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს ამ საწარმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და წილის შემძენის კეთილსინდისიერება ნასყიდობის ობიექტის მიმართ;
- დ. სამოქალაქო გარიგებათა მიმართ მოქმედებს ნამდვილობის პრეზუმუცია, შესაბამისად, პირი, რომელიც უფლების ნაკლა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობაზე აპელირებს, ვალდებულია, მიუთითოს იმგვარ ფაქტებზე და წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელთა ინდივიდუალური და/ან ერთობლივი შესწავლა მინიმუმ შეარყევდა სადაც სამართალურთიერთობის მართლზომიერების პრეზუმუციას, ამის შემდგომ კი, მტკიცება იმისა, რომ ქონებრივი მიმოქცევა მართლზომიერი იყო, ეკისრება მოპასუხეს (ქონების შემძენს);
- ე. არამართლზომიერად გასხვისებული ქონების (საკუთრების უფლების) დაბრუნებისას მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას შესაძლოა, სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე (1) მუხლები ან ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები წარმოადგენდეს, თუკი დადგინდება, რომ მოსარჩელეს საკუთრების უფლება არ დაუკარგავს, აღნიშნულ მოთხოვნაზე, როგორც აბსოლუტურ უფლებაზე, ხანდაზმულობის ვადა არ გავრცელდება;
- ვ. თუ მესაკუთრეს ნივთთან სამართლებრივი კავშირი – საკუთრება არ დაუკარგავს, ნივთის ვინდიცირების აბსოლუტური მოთხოვნა განხორციელებადია.

დაბრუნების საფუძველი: სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტი.

მენარმეებს შორის დავაში მოსარჩელემ მოითხოვა უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების გაუქმება, ამ ქონების მოსარჩელის ერთპიროვნულ საკუთრებად აღიარება და მისი მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაუქმების წინაპირობები, გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.¹²⁴

¹²⁴ სუს განჩინება, 28 თებერვალი, 2018, №ას-28-25-2017.

საკასაციონ სასამართლომ შეაფასა რა მოსარჩელისათვის სადავო ქონების დაპრუნების მართლზომიერება, შეამოწმა ქონებაზე განხორციელებული ტრანზაქციები შეესაბამება თუ არა კანონის მოთხოვნებს, რის შედეგადაც მოსარჩელემ დაკარგა მასზე საკუთრების უფლება, თუ უძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო (მესაკუთრის ნების საწინააღმდეგო) გასხვისების გამო მას, როგორც ნივთის მესაკუთრეს, კვლავ ჰქონდა მისი მოპასუხისავან გამოთხოვის უფლება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ სარჩელის საფუძვლიანობა ძირითადად ქონების ბოლო შემძენის კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით უარყო (სკ-ის 183-ე, 185-ე და 312-ე მუხლები) და განმარტა, რომ რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმეციიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა ნდობის როგორი სტანდარტით სარგებლობდა რეგისტრირებული მონაცემები, ასევე – შემძენის წინდახედულობის ფარგლები.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის ფარგლებში, უპირველესად, უნდა შემოწმდეს სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების არსებობა, სწორედ ამ საკითხის განსაზღვრის შემდეგა სამართლებრივად გამართლებული შესაგებლის საფუძვლიანობის კვლევა. იმის გასარკვევად, მოსარჩელის მფლობელობის არეალიდან სადავო ქონების გასვლით მან დაკარგა თუ არა მასზე უფლება, უნდა შემოწმდეს სარჩელში მითითებული გარემოებები და ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაშია გამართლებული ნაკლის მქონე ნების მიმართ მოპასუხის სუბიექტური დამოკიდებულების (კეთილსინდისიერების) შეფასება. პალატამ მიუთითა, რომ ამ კუთხით სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას სასარჩელო მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმების თაობაზე, არამედ მასში გადმოცემულია მხოლოდ მოპასუხის მიერ არჩეული თავდაცვის მატერიალურსამართლებრივი საშუალების ვარგისიანობა, ანუ სააპელაციო სასამართლო შესაგებელში გადმოცემული ფაქტების შეფასების გზით იმგვარად უარყო სასარჩელო მოთხოვნა, რომ იგი ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისითაც არ შეუსწავლია.

სააპელაციო პალატის დასკვნით, სარჩელის წარუმატებლობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია ის, რომ სამეწარმეოსამართლებრივად ქონების შემძენად მეწარმე სუბიექტი მიიჩნევა და არა მისი პარტნიორი, თუმცა შემძენის კეთილსინდისიერების კვლევის კუთხით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორთა კეთილსინდისიერებას, როდესაც ისინი კომპანიაში წილის შესაძნად თანხას იხდიან, მათ მიერ გარიგების დადებასა და გარიგების შინაარსს, მათ შორის, წილის ლირებულებას მნიშვნელოვანილად საზოგადოების ქონება განსაზღვრავს. სასამართლო მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხე სანარმოს დამფუძნებელი (პარტნიორი) საწარმოების არაკეთილსინდისიერება მოპასუხე სანარმოში წილის შეძენის მიმართ, ისევე, როგორც მათი რაიმენაირი ფორმით კავშირი სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებულ სუბიექტთა მხრიდან განხორციელებულ არა-მართლზომიერ ქმედებასთან.

საკასაციო პალატამ უარყო გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა, მოპასუხის პარტნიორთა კეთილსინდისიერებაზე, რამდენადაც, სამივე პარტნიორის შენაძენი მოპასუხე კომპანიაში წილი და არა კომპანიის ქონება და საკუთრების დამოუკიდებელ ობიექტს ნარმოადგენს ამ წილზე უფლება, რომლის ნამდვილობა არც სარჩელითაა შედავებული და არც დავის საგანია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავის სუბიექტთა სპეციფიკიდან გამომდინარე, შემძენის კეთილსინდისიერების საკითხის შეფასებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფიზიკური და იურიდიული პირის ობიექტური შესაძლებლობა, იცოდეს ან არ იცოდეს რეგისტრირებული უფლების ხარვეზის, ასევე, ქონებაზე სანარმოს საკუთრების უფლებისა და მისი დამოუკიდებლობის შესახებ ამ სანარმოში პარტნიორის ქონებრივი უფლებებისაგან (პარტნიორის მიერ საწარმოს წილის შეძენისას რა წარმოადგენს პარტნიორის სა-

კუთრების ობიექტს და პარტნიორის ცვლილება აქცევს თუ არა ხარვეზიანი საკუთრების მიმართ საწარმოს კეთილსინდისიერად). სსკ-ის 24-ე მუხლში მოცემული იურიდიული პირის ლეგალური დეფინიციან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ ტიპის კორპორაციული გაერთიანება არის ხელოვნური წარმოხაქმნი, რომელსაც მართლწესრიგი ბუნებითი პირის თვისებებს სძენს და, ამდენად, სამართალსუბიექტად მიიჩნევს და რომელიც ასოციაციის კონსტიტუციურ საფუძველს ემყარება. ნორმაში კლასიფიცირებული იურიდიული პირის ნიშნებიდან მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მის გარიგებაუნარიანობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი სწორედ აღნიშნულის მეშვეობით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში და დებს გარიგებებს, თუმცა, იურიდიული პირის სამართლებრივი არსის გათვალისწინებით, მისი გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგებისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად ეფუძნება მის მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერებას, ამგვარად კი, გვევლინებიან, პირველ რიგში, ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – დირექტორები, პარტნიორები, შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ გარიგების საფუძველზე იურიდიული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, მით უფრო, თუკი არსებობს უფლების ნაკლი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს სწორედ იურიდიული პირის მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პირთა სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უფლების შესაძლო ხარვეზთან მიმართებით (კეთილსინდისიერება). რაც შეეხება ქონებრივ უფლებებს, იურიდიული პირის დეფინიცია მოიცავს მის უნარსაც, ჰქონდეს საკუთარი ქონება. იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ეს ელემენტი სანივთო სამართალს განეკუთვნება. მას, როგორც ნორმატიულ ცნებას, განამტკიცებს სსკ-ის 147-ე მუხლი.

საბოლოოდ, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ კეთილსინდისიერი პარტნიორის მიერ სანარმოში წილის შეძენა ამ სანარმოს ტრანზაქციის განხორციელებამდე ხარვეზიანი ნების საფუძველზე შეძენილი ქონების ნამდვილ მესაკუთრედ ვერ აქცევს, ანუ პარტნიორის ცვლილება, რომელიც წილს მართლზომიერად შეიძენს, სანარმოს კეთილსინდისიერების განსაზღვრის ინსტრუმენტად არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგანაც გადამწყვეტია თავად სანარმოს მიერ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის დროს არსებული მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერების საკითხი ანუ, საკასაციო პალატის განმარტებით, ქონების შეძენისას სანარმოს კეთილსინდისიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს ამ სანარმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და წილის შემძენის კეთილსინდისიერება ნასყიდობის ობიექტის მიმართ. აღნიშნული საკითხი სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადაც ხდის საბანკო დაწესებულების მოქმედების მართლზომიერებას ქონებრივ ტრანზაქციებში, შემონმებას ექვემდებარება მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და წარდგენილი მტკიცებულებები ხომ არ ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ ბანკმა (უფლებამოსილი პირების მეშვეობით) იცოდა რეგისტრირებული უფლების შესაძლო ხარვეზის შესახებ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასესხო ურთიერთობის უზრუნველსაყოფად იქნა ქონება გამოყენებული, ასევე, ბანკმა იგი აუქციონზე შეიძინა, შემძენს ვერ აქცევს კეთილსინდისიერად, თუკი არ დადგინდა ბანკის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების უფლების ხარვეზის თაობაზე ინფორმირება. ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება არათუ მტკიცებულებათა კვლევას, არამედ ფორმალურ შეფასებასაც არ შეიცავს.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო გარიგებათა მიმართ მოქმედებს ნამდვილობის პრეზუმუცია, შესაბამისად, პირი, რომელიც უფლების ნაკლია თუ სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობაზე აპელირებს, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, მიუთითოს იმგვარ ფაქტებზე და

წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელთა ინდივიდუალური და/ან ერთობლივი შესწავლა მინიჭუმ შეარყევდა სადაც სამართალურთიერთობის მართლზომიერების პრე-ზუმფიციას, ამის შემდგომ კი, მტკიცება იმისა, რომ ქონებრივი მიმოქცევა მართლზომიერი იყო, ეკისრება მოპასუხეს (ქონების შემძენს).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და არც სააპელაციო სასამართლოს არ უარუყვია ის გარემოება, რომ ქონება თავდაპირველად არამართლზომიერად გასხვისადა, კერძოდ, მოსარჩელე კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები დამნაშავედ იქნენ ცნობილი. განაჩენის თანახმად, ქონების გასხვისების ფაქტი კვალიფიცირებულია მითვისებად. საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობის პირობებში დასტურდება, რომ ხსენებული პირები მოქმედებდნენ არამართლზომიერად, საწარმოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენების მიზნით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქონების არამართლზომიერად გასხვისების ფაქტი დელიქტური ვალდებულების წინაპირობას წარმოშობს (სსკ-ის 992-ე მუხლი), რომელიც განხორციელებულია რამდენიმე პირის მიერ ერთდროულად (სსკ-ის 998-ე მუხლი). რაც შეეხება ქონების შემდგომ მიმოქცევას, მას მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს მოსარჩელეც. ამ ფაქტის სამტკიცებლად საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის მასალები, ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობები, პროკურატურის შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებები, რომლებიც ასევე დასაშვები წერილობითი მტკიცებულებებია. სწორედ მათი ანალიზით უნდა გამოირკვეს ქონების შემდგომი გასხვისების მართლზომიერება, ამ მხრივ სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა როგორც საქმეში წარდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, ისე – მოსარჩელის მითითება მოვლენების განვითარების ქრონოლოგიასთან მიმართებით, ასევე – სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც, საკასაციო პალატის შეფასებით, სსსკ-ის 102.2.-ე მუხლის თანახმად, არსებითია მტკიცების საგანში შემავალი გარემოების დასადასტურებლად.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მას საკუთრება არ დაუკარგავს. არცერთ მომდევნო შეძენას არ მოჰყოლია ნამდვილი უფლების წარმოშობა, შესაბამისად, მას შეუძლია, არანამდვილი უფლების საფუძველზე ქონების მფლობელ მოპასუხეს მოსთხოვოს მისი დაბრუნება.

საკასაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალურსამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად დასკვნა, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნირმას, შესაძლოა, სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე (1) მუხლები ან ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები ქმნიდეს, რამდენადაც, მხარის განმარტებებით, დგინდება, რომ დავის მიმართ ინტერესს ქონების, როგორც საკუთრების უფლების ობიექტის, ნატურით დაბრუნება წარმოადგენს.

მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მოპასუხეს შედავებაზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, უდავოა, რომ მოსარჩელემ უფლების დარღვევის თაობაზე შეიტყო ქონების პირველი უკანონო განკარგვისთანავე და სწორედ ამ ეტაპიდან წარმოეშვა მას სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ასევე – უფლების დარღვევიდან სარჩელის შეტანამდე გასულია კანონით განსაზღვრული მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადა, თუმცა ეს ვერ გახდება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თუკი საქმის ხელახლი განხილვის შედეგად სააპელაციო პალატა დასკვნას გამოიტანს, რომ მოსარჩელეს ნივთან სამართლებრივი კავშირი – საკუთრება არ დაუკარგავს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასაშვებია მოთხოვნის ვინდიცირების გზით დაკმაყოფილება (სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები). ვინაიდან ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ უნდა გავრცელდეს.

8.1.8.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე, 982-ე, 1008-ე, 130-ე მუხლები.

განვითარდება:

- ა. პარტნიორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულებას (არა აქვს მნიშვნელობა გასვლით, საკუთარი წილის გასხვისებით, გაცვლითა თუ დათმობით) უკავშირდება წესდებაში ცვლილება და რეესტრში რეგისტრაცია, რაც განაპირობებდა სანოტარო წესით დამოწმების თაობაზე კანონის მოთხოვნას;
- ბ. ერთი და იმავე პარტნიორის ერთდროულად საზოგადოებიდან გასვლაცა და გარიცხვაც დაუშვებელია, რამდენადაც განსხვავებულია მათი წინაპირობები და პროცედურა;
- გ. გარიცხვა ინვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს;
- დ. პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა, მაგრამ იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩევეს სურს, საზოგადოების წილის მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამდენად, ხანდაზმულობისათვის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა სსკ-ის 1008-ე მუხლი იქნება;
- ე. თუ დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუმატებელი იქნება, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, ვლინდება თუ არა სსკ-ის 982-ე და 408.1 მუხლებით განსაზღვრული წინაპირობათა ერთობლიობა, რომლის სამართლებრივი შედეგი წილზე საკუთრების უფლების აღდგენაა;
- ვ. გარიცხვა ინვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს.

დაპრუნების დასაბუთება: სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამდლორები, ამასთან, არასწორად გაანანილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორსა (ყოფილი დირექტორი, მოსარჩევე) და საზოგადოებასა და საზოგადოების პარტნიორებს (მობასუხეები) შორის დავის საგანს სანარმოს 20%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობა წარმოადგენს. სარჩელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მობასუხეებმა მოსარჩევე თავისი ნების საწინააღმდეგოდ გაიყვანეს საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობიდან, რის თაობაზეც მისთვის უცნობი იყო. მოსარჩელემ მოგვიანებით გაარკვია, რომ იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან 1996 წლის 15 მარტის კრების №2 ოქმით, რომელიც გაყალბებულია, მოსარჩელე კრებას არ ესწრებოდა, მისთვის ოქმი არავის გაუცვნია და არც თავისი ხელმოწერით არ დაუდასტურებია მისი შინაარსი. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი უარყვეს, საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილებით გააუქმა

აპელაციონ სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.¹²⁵

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წარმატები, ამასთან, არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტეორთი და არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოოდ არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელი ისეა უარყოფილი, რომ გასაჩივრებული განჩინებით არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე არც დასაბუთებას არ შეიცავს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სარჩელის დასაბუთებულობის შემონმების უგულებელყოფით, გაიზიარა მოპასუხის შედავება პარტნიორის საზოგადოებიდან არა გარიცხვის, არამედ გასვლის თაობაზე. მტკიცებულებებიც შეაფასა მხოლოდ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ჭრილით მაშინ, როდესაც ამ მტკიცებულებებით სადავო გარემოებები არ მტკიცდებოდა.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო პალატის დასკვნები ურთიერთგამომრიცხველი და არათანმიმდევრულია, ის, ერთი მხრივ, ასკვნის, რომ საზოგადოებიდან გასული პარტნიორის ნების გამოვლენის საფუძველზე დანარჩენმა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება მისი საზოგადოებიდან გაყვანის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურებულად მიიჩნევს, №2 პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც მოსარჩელე გაირიცხა საზოგადოებიდან, დაედო საფუძვლად რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ერთი და იმავე პარტნიორის ერთდროულად საზოგადოებიდან გასვლაცა და გარიცხვაც დაუშვებელია, რამდენადაც განსხვავებულია მათი წინაპირობები და პროცედურა. პალატამ განმარტა, რომ საზოგადოებიდან გასვლა პარტნიორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც გულისხმობს პარტნიორის ნება-ყოფლიბით გასვლას საზოგადოებიდან, ხოლო პარტნიორის გარიცხვა არის მისი ნების საწინააღმდეგო უკიდურესი ღონისძიება, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებისას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ ცნობა, ითვალისწინებს როგორც დელიქტური სამართლის, ისე – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. ვინაიდან კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემონმდეს მისი საფუძვლიანობა კონდიქციური სამართლის ნორმების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ, პირველ რიგში, სარჩელის საფუძვლიანობა დელიქტური ნორმების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოთხოვნის საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებზე დაყრდნობით უნდა ეკვლია და ამ ნორმებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეებმა მისი საკუთრების უფლება მართლსაწინააღმდეგოდ ხელყვეს გაყალბებული კრების ოქმის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, პირველ რიგში, სწორედ ის უნდა გა-

¹²⁵ სუს განჩინება, 8 ოქტომბერი, 2018, №ას-201-201-2018.

მოარკვიოს, კანონით ან დადგენილი წესდებით მოწვეული იყო თუ არა მოსარჩელე სადაც კრებაზე, გაიმართა თუ არა ეს კრება საერთოდ, ხოლო თუ გაიმართა, მიიღეს თუ არა პარტნიორებმა მოსარჩელის საზოგადოებიდან გარიცხვის გადაწყვეტილება. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი კი, სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება.

პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატას, გარიცხვის მართლზომიერების შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დაედგინა, დაიცვა თუ არა მოპასუხების საფეხურები, რომელიც პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის იმ დროს მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამოქალაქო კოდექსითა და სასამართლო პრაქტიკით იყო დადგენილი, კერძოდ: 1. საერთო კრების მიერ გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; 2. საზოგადოების მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში, პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით; 3. გარიცხვის მატერიალური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ სარჩელის დაქმაყოფილება; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილ ორგანომ საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია. შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელე მოწვეული იყო კრებაზე, რომელზედაც მისი გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, საკმარისი იყო თუ არა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, იმ პირობებში, როდესაც პარტნიორის გარიცხვის თაობაზე საწარმოს სარჩელი არ აღუძრავს სასამართლოში.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საზოგადოების მიერ აღდრული სარჩელის საფუძველზე უნდა დაედგინა სასამართლოს გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და, სსკ-ის 399-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელმეცნიერულებოსამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას, ეკვლია საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლოს უნდა დაედგინა პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამოწმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პარტნიორთა ცალკეული ჯგუფის პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციო პალატა გარიცხვის პროცედურულ წინაპირობებს შესრულებულად მიიჩნევდა, მას კრების №2 ოქმში მითითებული გარიცხვის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობების სათანადოობა და საკმარისობა მითითებული წესით უნდა შეემოწმებინა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, გარდა იმისა, რომ გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების დაკარგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს პარტნიორის საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გარიცხვას, სასამართლო პრაქტიკითაც დგინდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით შესაძლებლობა (გარდა შესატანის შეუტანლობისას, როდესაც პარტნიორის გარიცხვას სასამართლო გადაწყვეტილება არ სჭირდებოდა). პარტნიორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულებას (არა აქვს მნიშვნელობა გასვლით, თავისი წილის გასხვისებით, გაცვლითა თუ დათმობით) უკავშირდებოდა წესდებაში ცვლილება და რეესტრში რეგისტრაცია, რაც განაპირობებდა სანოტარო წესით დამოწმების თაობაზე კანონის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო, გასვლის წინაპირობე-

ბის შემოწმებისას, თუ დაადგენს მოსარჩელის მიერ საზოგადოებიდან გასვლის ნების გა-
მოხატვას, უნდა გამოიკვლიოს, სსკ-ის 51-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მიღლ
თუ არა კრებამ პარტნიორის გასვლის თაობაზე გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო პალა-
ტამ საზოგადოების №2 კრების ოქმის შინაარსის მიხედვით უნდა გამოარკვიოს, კერძოდ,
იყითხება თუ არა მასში პარტნიორის სურვილის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება,
ვინაიდან არსებითი ისაა, პარტნიორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დასრულების წი-
ნაპირობა მოსარჩელის განცხადება იყო თუ არა.

პალატამ განმარტა, რომ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის
განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1008-ე მუხლით დადგენილი წე-
სით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა,
მაგრამ იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების 20% წილის
მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამდენად, მოცემულ შემ-
თხვევაში, ხანდაზმულობისათვის უბირატესად გამოსაყენებელი ნორმა სსკ-ის 1008-
ე მუხლი იქნება, მისი სპეციალურობიდან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადასთან შედარებით. საკითხის ამგვარი გა-
დაწყვეტა მიზანშეწონილია ნორმათა ერთობლიობის დაცვითი ფუნქციისა და მიზნებიდან
გამომდინარეც.

პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის მი-
ხედვითაც პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საწარმოს მიერ აღძრულ სარჩელზე გამო-
იყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი სპეცია-
ლური ვადა, განსხვავდება მოცემული შემთხვევებისაგან, რაც განპირობებულია იმით, რომ,
უფლება, რომელიც დაირღვა, სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარეობს, თუმცა დარ-
ღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური სა-
მართლის ნორმებია.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლი მოთხოვნის ნარმოშობის მომენ-
ტის განსაზღვრის ზოგადი წესისაგან განსხვავებულ ნინაპირობას განამტკიცებს და მხო-
ლოდ პოზიტიურ ცოდნაზე უთითებს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ
მოთხოვნა წარმოშობილია და არ შეწყვეტილა, მან უნდა იმსჯელოს რამდენად განხორცი-
ელებადია ის. ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლო უნ-
და გაითვალისწინოს, რომ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის შესახებ მტკიცე-
ბის ტვირთი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკი-
ცებით, მან 2008 წელს შეიტყო მისი საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე, ხოლო იმ გარე-
მოების დამტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელე უფლების დარღვევის თაობაზე 2008 წლამ-
დე შეიტყო, მოპასუხეს ეკისრება.

საკასაციო პალატამ მიჩნია, რომ ხანდაზმულობის საკითხის კვლევისას, სააპელაციო სა-
სამართლომ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვით უნდა განიხილოს და შეაფასოს რო-
გორც მოპასუხის, ისე – მოსარჩელის მოსაზრებები და არგუმენტები და მხოლოდ ამის
შემდეგ გამოიტანოს სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმუ-
ლობის თაობაზე.

საკასაციო პალატამ აქვე მიუთითა, რომ, მართალია, უბირატესად გამოსაყენებელი მოთ-
ხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დელიქტური სამართლის ნორმებია მიჩნეული, მაგ-
რამ, თუ სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა
აღარ არსებობს მისი ხანდაზმულობის გამო და განუხორციელებადია, სასამართლომ
როგორც მოთხოვნის წარმოშობა, ასევე – მისი განხორციელებადობა კონდიციური
სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა შეამოწმოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა,
სამართლებრივი შედეგი – ნიღბზე საკუთრების უფლების აღდგენა შესაძლებელია უსა-

ფუნქციურ გამდიდრების ნორმებითაც. უსაფუნქციულ გამდიდრების ინსტიტუტის მიმართ კი, გამოიყენება სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი.

პალატის აზრით, სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება განპირობებულია იმითაც, რომ მოთხოვნის საფუნქციულის შერჩევისას გასათვალისწინებელია იმ მხარის სამართლებრივი ინტერესი, რომლის უფლების დაცვასაც ემსახურება სამართლებრივი საფუნქციულის შერჩევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, სადაც შემთხვევის მომწესრიგებელი მოთხოვნის ყველა საფუნქციული გამოსაყენებელ ნორმათა უპირატესობის გათვალისწინებითა და მათი ერთგვარი რიგითობის მიხედვით შეამოწმოს.

ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ, თუ დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუმატებელი იქნება, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, ვლინდება თუ არა სსკ-ის 982-ე და 408.1 მუხლებით განსაზღვრული წინაპირობათა ერთობლიობა, რომლის სამართლებრივი შედეგი წილზე საკუთრების უფლების აღდგენაა.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, მხარეთა შორის სწორად უნდა გაანაწილოს მტკიცების ტვირთი, სრულყოფილად გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუნქციულები, ისე – მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

8.1.9.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 992-ე მუხლი.

განმარტება: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუნქციულზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას.

დაპრუნების საფუძველი: გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსსკ-ის 393.3.-ე, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

მოპასუხის (საწარმოს) მიერ შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის გამო მიწის ნაკვეთის გაუფასურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ფიზიური პირის სარჩელი სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია, ამიტომ საკასაციო პალატამ კასატორის პრეტენზია შეამოწმა არა ზიანის მიყენების (ფაქტობრივი გარემოება), არამედ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში. საკასაციო სასამართლოს განსჯით, საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვებად დააბრუნა იმავე სასამართლოში.¹²⁶

საკასაციო სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლო მოსარ-

¹²⁶ სუს განჩინება, 19 აპრილი, 2019, №ას-1639-2018.

ჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დაეყრდნო მიწის ნაკვეთის არსებული (დღევანდელი) ფუნქციური დანიშნულების დაკარგვას, იმსჯელა, რამდენად წონადი არგუმენტია წარდგენილი მიწის ნაკვეთის სარგებლობის პერსპექტივასთან (ფუნქციური დანიშნულებით გამოყენება) მიძართებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის პერსპექტიულობა სწორადაა შემოწმებული დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის წანამძღვრებთან (სსკ-ის 992-ე მუხლი) და, შესაბამისად, მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობა სსკ-ის 992 -ე მუხლისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში შეამოწმა.

პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ზიანის ოდენობა მხოლოდ აუდიტის დასკვნის საფუძველზეა შეფასებული. აუდიტის დასკვნა მიწის ნაკვეთის პერსპექტიულობის დაკარგვასთან დაკავშირებით, ძირითადად ემყარება მიწის ნაკვეთის 30კვ.მ ფართით შემცირებას და შემცირებული მიწის ნაკვეთის მდებარეობას, რამაც, აუდიტის მოსაზრებით, ზეგავლენა იქონია მიწის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობაზე. სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა სსვა გარემოებები, რომელიც უკავშირდება მიწის ნაკვეთთან მისასვლელი ალტერნატული გზის არსებობას, ამგვარი გზის მოძიების ობიექტურ შესაძლებლობას. ამგვარი ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, ცენტრალური სასმელი წყალმომარაგების სისტემასთან და ბუნებრივ აირის საკომუნიკაციო ქსელთან კავშირის არსებობა-არარსებობის დადგენას სამუშაოების (საგვარაუდო სამომავლო ხარჯები) ღირებულებას და ა.შ. საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ საქმეში წარდგენილი ქონების შეფასების აქტის მიხედვით, გაურკვეველია რას ეფუძნება მიწის ნაკვეთის ლირებულების მნიშვნელოვად შემცირების თაობაზე აუდიტის დასკვნა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის შესაძლო როლზე ზიანის მიყენებაში და აღნიშნა, რომ სარჩელის აღდვრამდე მოსარჩელემ იცოდა, ამ ნაკვეთის ნაწილის გასხვისებით მდგომარეობას გაიუარესებდა და ვეღარ შეძლებდა თავისთვის დატოვებულ ნაკვეთთან მისვლას საავტომობილო გზით. მიწის ნაკვეთი მოსარჩელემ გაასხვისა თავის ახლო ნათესავზე, ბიძაშვილზე, რაც დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოში. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მან ეს ნაკვეთი კი არ გაყიდა, არამედ ფორმალურად გადააფორმა ნათესავზე. სსვა შემთხვევაში მას ნაკვეთის გასხვისებისას უნდა დაეტოვებინა (და ყველა ნორმალური ადამიანი ასე მოიქცეოდა) თავის ნაკვეთთან მისასვლელი გზა. სააპელაციო პალატას გასაჩივრებულ განჩინებაში არ უმსჯელია ამ გარემოებაზე.

8.1.10.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 54-ე, 992-ე, 998-ე, 465-ე, 408-ე მუხლები.

განვარტება:

- ა. სსკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გამოყენება დაუშვებელია, რადგან ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. მარტომოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება არასაკმარისია;
- ბ. მოპასუხეთა მიერ შეუდავებელი და არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმაციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულებით;
- გ. მიუუთვნებითი (ალსრულებითი) სარჩელის აღდვრის შემთხვევაში გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ

მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღ-სრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათი-ლად ცნობა მიეთითება, რადგან თავისოთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწ-ვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღი-არებითი სარჩელი არ იხილება;

დ. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამო-სილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასა-მართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სა-წარმოს პარტნიორების (მოპასუხეთა) წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და საწარმოს წილების მესაკუთრეებად ცნობილ იქნენ მოსარჩელეები.

გახმაურებულ საქმეში, სადაც მოსარჩელეები სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების ბათილობასა და საკუთრების (საწარმოს წილების) დაბრუნებას მოითხოვდნენ, საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რომელიც სააპელაციო სასა-მართლომ უცვლელად დატოვა. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილე-ბით, მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელა-ციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა საწარმოს პარტნიორების (მოპასუხეთა) წილების რეგისტრაცია საჯა-რო რეესტრში და საწარმოს წილების მესაკუთრეებად ცნობილ იქნენ მოსარჩელეები.¹²⁷

დიდმა პალატამ გაიზიარა კასატორების პრეტენზია სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილ-ში მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კონდიქციური (უსაფუძვლო გამ-დიდრება) სამართლის ნორმების გამოყენების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ გაიზიარა მათი მოსაზრება, რომ წილებზე საკუთრების აღდგენის (დაბრუნების) მოთ-ხოვნას საერთოდ არ გააჩნია საფუძველი.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურთ მოსარჩელეებს (ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუ-ნება), ამ უკანასკნელთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალის-წინებით, სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1-ე მუხლების შემადგენლობიდან გამომდინარე-ობს.

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სსკ-ის 992-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურების ვალდე-ბულება) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან (სხვა პირის მიმართ განხორციელე-ბული ქმედება) გამომდინარებს. ამ შემთხვევაში ზიანი აშკარაა და ის გამოწვეულია მო-სარჩელეთა საკუთრების ხელყოფით.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელში მითი-თებულ ფაქტებსა და მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებებს არ მიანიჭეს სწორი იური-დიული კვალიფიკაცია, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ფაქტობრივი გა-რემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთი არასწორად გამიჯნა და გაანაწილა. მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა ექნებო-და, განხორციელებულად ჩაეთვალა სსკ-ის 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი ნანამდლვრები და გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობას-

¹²⁷ სუს გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, №ას-664-635-2016.

თან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტანა.

დიდი პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება) შესაძლებელია.

საქმის ფაბულის მიხედვით, დადგენილია, რომ ერთ-ერთმა მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა, მეორემ კი – წარადგინა არაკვალიფიციური შესაგებელი. სსკ-ის 201.4-ე, 201.7-ე და 206-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნინა იმის პრეზუმაციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარნებულების ტვირთი მოპასუხეს ანევს. დიდი პალატის განმარტებით, იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია.

დიდმა პალატამ გაიზიარა კასატორთა პრეტენზია სსკ-ის 54-ე მუხლის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენების დაუშვებლობაზე და განმარტა, რომ ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის არააღეკატურობის გამო. მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება, დიდმა პალატამ არასაკმარისად მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია – არადამაჯერებლად, რადგანაც ენინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ დათქმას გარიგებაზე, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და, გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის ხელშეკრულების დადების განმაპირობებელი გარემობათა დადგენა-დადასტურება, იმთავითვე მცდარია, ვინაიდან ენინააღმდეგება ხელშეკრულების გაფორმებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს.

დიდმა პალატამ იურიდიული დოქტრინის საფუძველზე აღნიშნა, რომ: „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათოლობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“, „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახელსაც იღებს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა“. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება, ნარდგენილ იქნეს ერთნლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი ვადით შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.

დიდი პალატის განმარტებით, სადაც წილების მოსარჩელეებისათვის დაბრუნების (აღდგენის) მოთხოვნის საფუძვლიანობას მოპასუხეთა შესაგებლები ვერ აქარნებულებს (ერთმა მოპასუხემ არ წარადგინა შესაგებელი, ხოლო მეორემ არაკვალიფიციური შესაგებელი

ნარადგინა), მოთხოვნას ვერ უპირისპირდება შესაგებლები ვერც იმ მოპასუხეთა, რომლებიც, საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადაც წილების მესაკუთრებად ირიცხებიან. პალატის შეფასებით, მათი შესაგებლები, მსგავსად, ერთ-ერთი მოპასუხის შესაგებლისა, არ აქმაყოფილებს არც კონკრეტული და არც კვალიფიციური შედავების კრიტერიუმებს, კერძოდ, დასახელებულ მოპასუხებას სადაცოდ არ გაუხდიათ მოსარჩელის მიერ მითითებული არსებითი მნიშვნელობის ფაქტები, როგორიცაა: ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა ვინაობა, გარიგებათა მრავლობით ჯაჭვში ურთიერთდაკავშირებული პირების, მათ შორის, ერთი და იმავე პირების არაერთხელ მონაწილეობა, ხშირად ხელშეკრულების მხარის ან მისი წარმომადგენლის სახით.

დიდმა პალატამ ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენის (დაბრუნების) თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნა სანივთო სამართლის ნორმების გამოყენებითაც შესაძლებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ საკუთრება კანონიერია და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ შეძენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკუთრების განკარგვა თავისუფალია მესაკუთრის ნების გამომჟღავნების შესაძლებლობის შედეგად და წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას.

დიდმა პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემონმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემონმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშენონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. პალატამ დოქტრინის საფუძვლზე მიუთითა, რომ მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილება მოთხოვნათა შორის არჩევაა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე – ვალდებულებითსახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო.

პალატის დასკვნით, იძულებით დადებული გარიგებების შემდეგ, წილების ყოველი მორიგი გასხვისება ფორმალური (მოჩვენებითი) ხასიათისაა, მიზნად ისახავდა იძულებით ჩამორთმეული საკუთრების ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნების გართულებას. ამასთან, გარიგებათა ჯაჭვში მონაწილეობდნენ ურთიერთდაკავშირებული პირები და მათი ქმედებები კოორდინირებული იყო, მათ საკუთრებად სადაც წილების კეთილსინდისიერ შემძენებად, შესაბამისად, მოპასუხეთა აპელირება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუციაზე (სსკ-ის 311-312-ე მუხლები) და, აქედან გამომდინარე, მათ კეთილსინდისიერებაზე, დაუსაბუთებელია, რადგანაც თითოეული მათგანი მონაწილეობდა იმ არაერთ გარიგებაში, რომლის შედეგად მოსარჩელეთა საკუთრების უფლება შეიღავა, რაც გამო

რიცხავს სადავო წილების შემძენთა კეთილსინდისიერებას.

პალატამ მიუთითა, რომ პარტნიორის წილის (მიმოქცევადი უფლება), შემძენზე საკუთრების უფლებით გადასვლისათვის აუცილებელია პარტნიორებს შორის ნამდვილი შეთანხმება ანუ ურთიერთმფარავი ნების არსებობა და ამ უფლების კანონით დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაცია. განსახილველ შემთხვევაში, წილის შემძენებზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც ნამდვილი შეთანხმება არ არსებობდა და, აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ვითარება – საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც სადავო წილების მესაკუთრეებად მოპასუხები არიან რეგისტრირებული – არასწორია („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3. მუხლი).

პალატამ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელების მოთხოვნა წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება), ე.ი. მათ მიერ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელია აღძრული, მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემოწმების შემდეგ, გარიგებების ბათილობა დაქტიობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთვალი გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რამე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები 55-56-ე პუნქტებში, საქმე № ას- 121-117-2016).

პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორთა მტკიცება, რომ სადავო წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ, ასევე, წილის გასხვისებაზე თანხმობა სანარმოს პარტნიორთა კრების ოქმით იყო დადასტურებული და, შესაბამისად, კონკრეტული სანოტარო აქტების ბათილობის გარეშე შეუძლებელია ამ აქტებით დადასტურებული გარიგებების იურიდიული შედეგის შეცვლა და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ კანონის ნორმის მოძიება, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან თავის შეკავება, არ საჭიროებს ამ მოთხოვნის იურიდიული შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, კონკრეტული გარიგებისა თუ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დამოუკიდებლად დაყენებას.

8.2. სარჩო

8.2.1.

გამოყენებული წორმები: სსკ-ის 992-ე, 408-ე მუხლები, ადრე მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი.

განმარტებები: მენარმეთა კანონის სანარმოს რეორგანიზაციის დროს მოქმედი რედაქციის შესაბამისად, შესაბამისად, გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ყველა სუბიექტი სოლიდარულად აგებს პასუხს გაყოფამდე წარმოქმნილი ვალდებულებებისთვის.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე სანარმოებს სოლიდარულად დაეკისრათ სარჩოს გადახდა.

საკასაციო სასამართლომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მიიჩნია, რომ გადაუხდელი სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ სანარმოთა მიმართ სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს

მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალ-დებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 408-ე მუხლის მეორე (თუ სხულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ახდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით) ნაწილის დანაწესიდან გამომდინარეობს.

საკასაციო პალატამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის წინაშე სარჩოს გადახდის ვალდებულება წარმოიშვა თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე, გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია მის წინაშე მოპასუხეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თავდაპირველი საწარმოს გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროისათვის (2006 წლის 28 ივნისი) მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით, გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ შეცვალა გსაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი და, ახალი გადაწყვეტილებით, მოპასუხე საწარმოებს სოლიდარულად დააკისრა სარჩოს გადახდა.¹²⁸

8.2.2.

გამოყენებული წორმები: სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლები.

გამომარტივებები: დიდი ალბათობით პირი იმუშავებდა თავისი პროფესიით და მიიღებდა იმ შეღავათებსა და უპირატესობას, რასაც ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშაკი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი, გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით, უარყოფილია იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე ასაკის გამო ვერ შეასრულებდა საწარმოში შრომით მოვალეობას და მასზე ვერც დასახელებულ პერიოდში შესული სახელფასო ცვლილებები გავრცელდებოდა.

კონკრეტულ დავაში¹²⁹ დაზარალებული მუშაკი საწარმოს მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვს სარჩოს გადაანგარიშებას. სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ ზოგადად დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებსა და ზიანის ანაზღაურების არსზე მიუთითა, რაც, მისი შეხედულებით, მიყენებული ზიანის კომპენსირებაა. ასეთ დროს კი, გასათვალისწინებელია ის მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული არ მიიღებდა, რომ არა დელიქტი.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე შეაფასა მოპასუხისათვის გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერება მოსარჩელის სასამართლოდ და გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო, ვინაიდან: სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩოს გადაანგარიშების მიზანს დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შევსება წარმოადგენს, რასაც ის მიღებდა, სარჩოს მიღების საფუძვლის – დაზიანების (უბედური შემთხვევის) ფაქტის არარსებობისას, რაც დაზარალებულის მხრიდან (დელიქტის წარმოუშობლობის პირობებში) აქტიური შრომისუნარიანობის

¹²⁸ სუს გადაწყვეტილება 30 მაისი, 2017, №ას-118-110-2017.

¹²⁹ სუს გადაწყვეტილება, 29 სექტემბერი, 2017, №ას-424-397-2017.

შესახებ ზოგადი კრიტიკულის გათვალისწინებას ნიშნავს. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილიც იმაზე მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ საწარმო როდემდეა ვალდებული, გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაციას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დიდი ალბათობით პირი იმუშავებდა თავისი პროფესიით და მიიღებდა იმ შედავათებსა და უპირატესობას, რასაც ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშავი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი, გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის (სუსგ №ას-789-746-2015, 22.01.2016წ). ვინაიდან მოსარჩელე ამჟამად 88 წლისაა, პრეზუმირებულია, რომ იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. შესაბამსად, სადაც პერიოდში 2012-16 წლებში და 2016 წლიდან დღემდე (დაზუსტებული მოთხოვნა) მოსარჩელე ვერ შეასრულებდა საწარმოში შრომით მოვალეობას და მასზე ვერც დასახელებულ პერიოდში განხორციელებული სახლფასო ცვლილებები ვერ გავრცელდებოდა.

9. მტკიცების ტვირთი

9.1.

გამოყენებული ცორმები: სსკ-ის 411-ე, სსსკ-ის 102-ე, 103.3.-ე მუხლები.

განვითარებები: მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას,

ა. მოსარჩელეს უნდა წარედგინა იმგვარი მტკიცებულებები, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მიუღებელი შემოსავალი, ეს არის სარგებელი, რომელიც შეიძლება, მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებული კომერციული ინტერესია, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული;

ბ. სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელი და იურიდიული ძალის არმქონე მტკიცებულებაა, ვინაიდან ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებით განსაზღვრა რა კვლევის საგანი, სააპელაციო სასამართლომ, ერთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი ფაქტების, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვებით, დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და ამ დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილება მოჰყვა.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთის დაუძლევლობის გამო.

მენარმე სუბიექტებს შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ (მენარდე) იყიდა ვალდებულება, ჩამოყალიბებინა და ემუშავებინა მოპასუხე საწარმოში (შემკვეთი) დასაქმებული 100 პირისთვის კაფეტერია. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა მის მიერ განთავსებული ინვენტარი. საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მფლობელს დაე-

კისრა კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მოწყობილობების დაბრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა სადაც ქონების ღირებულება, შესაბამისად, ვალდებული პირი გარკვეული პერიოდი უკანონოდ ფლობდა უფლების მქონე პირის კუთვნილ ინვენტარს (მოწყობილობებს). სწორედ ამ ქონებით სარგებლობის უკანონო ხელშეშლას ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურების თაობაზე სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარყო სარჩელი და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაძლია მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხემ სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარმოადგინა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.¹³⁰

საკასაციო სასამართლომ განმარტა სსკ-ის 411-ე მუხლი (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც) და აღნიშნა, რომ მიუღებელია შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი ნინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად ზიანი მოჰყევა.

საკასაციო პალატის დასკვნით, ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა თავად „მიუღებელი შემოსავლის“ განმარტებაც. სასამართლო პრაქტიკაში დამკიდრებული მოსაზრების თანახმად, ეს არის სარგებელი, რომელიც შეიძლება, მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად; ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებული კომერციული ინტერესია, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ყოველგვარი ხარჯების გამოქვითების გარეშე ერთობლივ შემოსავალს, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაშვები მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელის სამენარმეო ურთიერთობის ფარგლებში (რასაც ნინასნარ ივარაუდებდა ვალდებული პირი) შემოსავლის რეალურად მიღების შესაძლებლობას დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარუდგენია. საყურადღებოა, რომ საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საპროცესო წესების დარღვევით მოპოვებულ, იურიდიული ძალის არმქონე მტკიცებულებად მიიჩნია იმ საფუძვლით, რომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებით განსაზღვრა რა კვლევის საგანი, ერთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი

¹³⁰ სუს გადაწყვეტილება, 21 აპრილი, 2017, №ას-1018-979-2016.

ფაქტების, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარე-მოებების დამადასტურებელი მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვებით, და-არღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და ამ დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილე-ბის გამოტანა მოჰყვა.

9.2.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 316-317-ე, 327-ე, სსსკ-ის 102-ე, 105-ე, მე-4 მუხლები.

განვითარებები: მტკიცებულებათა შეფასება სათანადო მოტივირებული და დამა-ჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარ-გლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობი-ექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლოს, როგორც წეიტრალური არბიტრის როლი მტკიცების პროცესში შემოიფარგლება მტკი-ცების საგნის სწორად განსაზღვრით, მხარეთა შეჯიბრებითობის ხელმძღვანელობით, წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა-განკუთვნადობის შემოწმებითა და შეკრებილ მტკიცებულებათა სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შესწავლა-ანა-ლიზით, სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა და იგი საფუძვლად დაედება მიღებულ გადაწყვეტილებას.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ კონკრე-ტული პირობებით მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქ-ტის დაუდასტურებლობის გამო.

დავაზე, სადაც იურიდიული კომპანია (მოსარჩელე) დავობდა მოპასუხე-საწარმოსათვის განეული სამართლებრივი მომსახურების ანაზღაურების დაკისრებაზე, საკასაციო სასა-მართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელზე უარის თქმის საფუძველი გახ-და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით.¹³¹ (სსსკ-ის 393.3. მუხლი) საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია მტკი-ცების საგანში შემავალი ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლი), კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ მტკიცებულებებსა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ ფაქტებს შორის არ იკვეთება ურ-თიერთკავშირი. მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი მხა-რეთა შორის მიღწეული შეთანხმების პირობების დასადგენად და მხარეთა მიერ ყოვე-ლი შესრულებული დებიტორული ვალდებულებიდან 30%-ის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის არ გვაწვდის. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ აღნიშნუ-ლი ფაქტობრივი გარემოების დადგენის შედეგად მიიღწევა მოსარჩელისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგი – მოპასუხე კომპანიისათვის თანხის დაკისრება.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა კონკრეტუ-ლი პირობებით მხარეთა შორის სახელშეკრულების ურთიერთობის არსებობის ფაქტის და-დასტურება, რაც მან ვერ შეძლო სათანადო და სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით (სსსკ-ის 102-ე მუხლი), კერძოდ, მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ იუ-რიდიული მომსახურებას უწევდა კონკრეტული საწარმოდან თანხების ამოღების პროცედუ-რები და მომსახურების ღირებულება (პონორარი) განსაზღვრული იყო დებიტორული და-ვალიანებიდან თითოეული ამოღებული თანხის 30%-ით.

¹³¹ სუს გადაწყვეტილება, 6 აპრილი, 2017, № ას-303-288-2016.

9.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 623-ე, 624-ე, 626-ე მუხლები, სსსკ-ის 102-ე მუხლი.

განმარტებები: იმ პირობებში, როდესაც მოსარჩევე უთითებს სესხზე, როგორც მოპასუხისათვის თანხის გადაცემის საფუძველზე, მოპასუხის მხრიდან სასესხო ურთიერთობის მხოლოდ უარყოფა არ არის საკმარისი მის საწინააღმდეგოდ ამოქმედებული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად, რომ მან ეს თანხა მიიღო სამართლებრივი საფუძვლით. მოსარჩელის მითითება, რომ თანხის მიღება განპირობებული იყო სესხის საფუძველზე, ნარმოშობს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის ვარაუდს იმ დრომე, სანამ მოპასუხე მიღების სხვა სამართლებრივ საფუძველზე მითითებით ამ ვარაუდს არ გააქარწყლებს.

გადაცვეტილების შედეგი: სარჩელი დაკმაყოფილდა მტკიცების ტვირთისა და პრეზუმციების სწორად განაწილების გათვალისწინებით.

სესხის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში გამსესხებლის (მოსარჩელე, მენარმე) სარჩელი მსესხებლის წინააღმდეგ სააპელაციო სასამართლომ უარყო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სესხის ხელშეკრულების არსებობა. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებისა და მატერიალურსამართლებრივი პრეზუმციების უგულებელყოფის გამო და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.¹³²

სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებებით დასტურდება თანხის გადაცემის ფაქტი, მაგრამ სადავოა საფუძველი (სესხი თუ სხვა ხელშეკრულება), მაშინ იმ ფაქტის დადგენა – თანხის მიღების საფუძველს ნარმოადგენდა თუ არა სესხის ხელშეკრულება, განპირობებულია მოპასუხის შედავებით. უფრო ზუსტად, მნიშვნელობა ენიჭება იმას, მოპასუხე რამდენად აქარწყლებს მოსარჩელის მითითებას სესხის ხელშეკრულების არსებობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაგებელი არ უთითებს სარჩელის არც გამომრიცხავ და არც შემაფერხებელ გარემოებებზე, რაც, შესაბამისი მატერიალური ნორმის საფუძველზე, შესაძლებელს გახდიდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უთითებს სესხზე, როგორც მოპასუხისათვის თანხის გადაცემის საფუძველზე, მოპასუხის მხრიდან სასესხო ურთიერთობის მხოლოდ უარყოფა არ არის საკმარისი მის საწინააღმდეგოდ ამოქმედებული პრეზუმციის გასაქარწყლებლად, რომ მან მიიღო სამართლებრივი საფუძვლით. მოსარჩელის მიერ მითითება, რომ ამ თანხის მიღება განპირობებული იყო სესხის საფუძველზე, ნარმოშობს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის ვარაუდს, იმ დრომდე სანამ მოპასუხე თანხის მიღების სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვ.) მითითებით ამ ვარაუდს არ გააქარწყლებს.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე არ უთითებს არცერთ გარემოებაზე, რაც გონივრული განსჯის შედეგად ცხადს გახდიდა ამ თანხის მიღების სხვა საფუძველს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მტკიცების ტვირთი და მოსარჩელეს დააკისრა იმაზე მეტის მტკიცების ვალდებულება, რაც მას პროცესუალურად ეკისრებოდა, რის შედეგადაც არასწორად იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთარი მტკიცების ტვირთის რეალიზება. მოსარჩელის მხარეს მტკიცების ტვირთის ხელახლა გადატანა მოპასუხის მხრიდან მხოლოდ კვალიფიციური უარყოფის პირობებში იქნებოდა მართებული, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე შესაგებელში თანხის მიღების რამე საფუძველზე მიუთითებდა. იმ პირობებში, როდესაც მხარის მიერ არაკვალიფიციური შესაგებლის წარდგენის გამო, ვერ იქნა გააქარწყლე-

¹³² სუს გადაწყვეტილება, 19 თებერვალი, 2018, № ას-1062-1022-2016.

ბული მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობების არსებობის პრეზუმფცია, სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე სარჩელი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზიარებული იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელემ სასესხო ურთიერთობის არსებობა ვერ დაამტკიცა, მოპასუხის მხრიდან თანხის მიღების სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის პირობებში ამოქმედდებოდა მეორე პრეზუმფცია, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის მიღებას, რაც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია, რადგან კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა იკვეთებოდეს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს.

10. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

10.1.

გამოყენებული წორმები: სსსკ-ის 266-ე, 387-ე, 106-ე მუხლები.

განმარტებები: სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამონმოს ხომ არ ვლინდება პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი არ დაკმაყოფილდა პრეიუდიციული ფაქტის საფუძველზე.

ნარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში¹³³ მენარდის სარჩელი შემკვეთის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა და საბოლოოდ – უზენაესი სასამართლოს განჩინებით შევიდა კანონიერ ძალაში, მაგრამ შემკვეთის შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში გააუქმდა ქვემდგომი სასამართლოს განჩინება და დამკვეთის მოთხოვნის საფუძვლიანობის შესამონმებლად საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს. შემკვეთის სააპელაციო საჩივრის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შემკვეთის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მენარდეს შემკვეთის სასარგებლოდ დაეკისრა გარკვეული თანხის გადახდა. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით გააუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და არ დაკმაყოფილა შემკვეთის შეგებებული სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გაღმოცემული აპელან-

¹³³ სუს გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2016, №ას-75-72-2016.

ტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე). ამ შემთხვევაში, მტკიცებულებები არ გამოიკვლევა და არ ფასდება, თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამოწმოს, ხომ არ ვლინდება პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა სასამართლოს მიერ იმავე მხარეებს შორის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების გაუთვალისწინებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამავე დავის ფარგლებში მენარდის სარჩელის ნაწილში, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, დადგენილია ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან შემკვეთის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ფაქტი (სსკ-ის 629-ე მუხლი). სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპირისპიროდ, მიუხედავად აპელანტის მონინააღმდეგვ მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა, სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია დადგენილად ამავე სასამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მენარდისთვის ზედმეტად (უსაფუძვლოდ) თანხის გადახდის ფაქტი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარდის მხრიდან სამუშაოების შესრულების ფაქტი, რომელთა ღირებულება დამკვეთს სრულად არ აუნაზღაურებია, შეუძლებელია ამავე სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასტურდებოდეს მენარდის მიერ დამკვეთისაგან კუთვნილზე მეტი ანაზღაურების მიღების ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესრულების კონდიქციის საფუძვლით შეგებებული სარჩელის, თუნდაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში დაკმაყოფილების წინაპირობები.

10.2.

გამოყენებული ცორებები: სსკ-ის 417-ე მუხლი, სსსკ-ის 230-ე მუხლი.

განმარტებები: მოსარჩელის (მიმწოდებლის) მიერ სარჩელში მითითებულ, ვალდებულების წაწილობრივ შესრულების, ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით მოპასუხეს (შემსყიდველს) შესაგებელში მოსაზრება/პრეტენზია არ გამოუთქვამს, რაც საკასაციო სასამართლომ, საქმის სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი განხილვის ეტაპზე სარჩელის იურიდიული გამართულობის შემოწმებისას, დადგენილად მიიჩნია და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ამ ნაწილში დაუდო საფუძვლად;

გადაწყვეტილების შედეგი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა მოთხოვნის იურიდიული გაუმართლებლობის გამო, გადახდილი პირგასამტებლის ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ კი – უარყოფილ იქნა.

მენარმე სუბიექტებს (მიმწოდებელსა და შემსყიდველს) შორის ჩამოჭრილი პირგასამტებლის დაბრუნების თაობაზე დავაში საკასაციო სასამართლომ აპელანტის (მიმწოდებლის) პოზიციის გათვალისწინებით, სადაც იგი ადასტურებს ხელშეკრულების დარღვევას და შესასრულებელი ვალდებულების მოცულობიდან გამოითვლის მხარეთა შორის შეთანხმებულ პირგასამტებლის, ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ შემსყიდვე-

ლის (მოპასუხის) საკასაციო პრეტენზია განჩინების გასაჩივრების კონტექსტით და შეამ-ცირა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკისრებული მიმწოდებლისათვის დასაბრუნე-ბელი პირგასამტებლოს ოდენობა.¹³⁴

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილებისას, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიუ-ლი თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზ-რებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც და-ვის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრი-ვი მოწესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას ქმნის. ნორმის მოძიების შემდეგ სასა-მართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამ-ფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღნერილობას აქმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრე-ბელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია (იხ. საქარ-თველის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-664-635-2016, 02.03.2017; პ.202).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მიმწოდებელმა სარჩელში დაადასტურა, რომ მიღე-ბა-ჩაბარების აქტით მის მიერ შესრულებული სამუშაოს ლირებულება – 477 995.41 ლარია (აღნიშნული თანხის შესაბამისი პირგასამტებლო კი – 9034.11 ლარი). ამ ფაქტობრივ გა-რემოებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შესაგებელში მოსაზრება/პრეტენზია არ გა-მოუთქვამს, რაც საკასაციო სასამართლომ საქმის სააპელაციო სასამართლოში და-უსწრებელი განხილვის ეტაპზე, სარჩელის იურიდიული გამართულობის შემოწმები-სას, დადგენილად მიიჩნია და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ამ ნაწილში დაუდო საფუძვლად;

საკასაციო სასამართლომ დაასკენა, რომ მიმწოდებლის მიერ სარჩელით მოთხოვნილ 62 558 ლარს უნდა გამოაკლდეს 9034.11 ლარი (შესრულებული ვალდებულების ნაწილის შესა-ბამისი პირგასამტებლო) და ამ ოდენობის თანხის დაბრუნება უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დარჩენილი 53 523.89 ლარის, პირგასამტებლოს დაკის-რების ნაწილში, სარჩელი უარყო. საკასაციო სასამართლომ, სასარჩელო მოთხოვნის იური-დიული გამართულობის თვალსაზრისით, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს

სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და პრეტენზიები ჯეროვნად არ შეუმოწმებია, რაც საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით იურიდიული შედეგის შეცვლას დაედო საფუძვლად.

10.3.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 576-ე, 420-ე მუხლები, სსსკ-ის 230-ე, 387.2.-ე, 233-ე 241-ე მუხლები.

გამომარტებები: გამოუცხადებლობის გამო კანონის ძალით დადგენილად მიიჩნევა სარჩელში/სააპელაციო საჩივრიში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 230-ე და 387-ე მუხლები) და ამ შემთხვევაში მტკიცებულებებს აღარ იკვლევენ, თუმცა დადგენილად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას: სასამართლომ უნდა მოიძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და კანონის ძალით დადგენილი ფაქ-ტები (აპელანტის ახსნა-განმარტების) ერთმანეთს შეაფარდოს (სუბსუმირება).

¹³⁴ სუს გადაწყვეტილება, 24 იანვარი, 2018, №ას-931-871-2017.

გადაწყვეტილების შედეგი: გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარგებლი-სა და პირგასამტებლოს ნაწილში მოთხოვნის იურიდიულად გაუმართლებლობის გა-მო და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკავშაყოფილა.

ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში საწარმომ (ლიზინგის გამ-ცემი) მოითხოვა მოპასუხისათვის (ლიზინგის მიმღები) შეუსრულებელი ფულადი ვალდე-ბულების, სარგებლისა და პირგასამტებლოს დაკისრება. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყო-ფილების თაობაზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, და-უსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა და მო-პასუხეს სრულად დააკისრა სარჩელით მოთხოვნილი თანხა. საკასაციო სასამართლომ შე-ამონმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება საკასაციო საჩივრის ფარგლებში და ნაწილობრივ დაკმაყოფილა საჩივარი, გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მიიჩ-ნია რა სარგებლისა და პირგასამტებლოს ნაწილში მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლე-ბელია და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.¹³⁵

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპა-ტიობის თაობაზე კასატორის პრეტენზია. სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტის მოწი-ნაა მომდევე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გა-მოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილებისათვის კანონმდებლობა, 387.2.-ე და 233-ე მუხ-ლებით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების გარდა, დამატებით ადგენს ნინაპირობას: მხარის გამოუცხადებლობის გამო კანონის ძალით დადგენილად მიიჩნევა სარჩელში/საა-პელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები (**სსკ-ის 230-ე და 387-ე მუხლები**) და ამ შემთხვევაში მტკიცებულებები აღარ გამოიკვლევა, თუმცა დადგენილად მიჩნეული გა-რემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას: სასამართლომ უნდა მოი-ძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და კანონის ძალით დადგენილი ფაქტები (აპე-ლანტის ახსნა-განმარტება) ერთმანეთს შეაფარდოს (სუბსუმირება).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნ-ქტით გათვალისწინებული ნინაპირობაა, კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტები მხო-ლოდ ნაწილობრივ ამართლებს სსკ-ის 576-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას: ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლის, ასევე, მოთხოვ-ნილი ოდენობით პირგასამტებლოს ნაწილში რაიონულმა სასამართლომ სწორად განსაზ-ღვრა დასაკისრებელი თანხის გონივრული ოდენობა, რამდენადაც ხელშეკრულებით შე-თანხმებული ყოველთვიური სარგებელი წლიურ 58,68%-ს წარმოადგენდა და ამგვარი შე-თანხმება, სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, სწორედ ამორალური გარიგებაა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია (**სსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი**), რომ საქართველოს საბანკო სექტორში სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის სამუალო დენობა შეადგენს 18%-ს, რაც თვეში 1,5%-ია და განსხვავებით წლიური 58,68%-ისა, იგი ფულად მიმოქცევაში საკმა-რისად უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეთან-ხმებული პირგასამტებლო შეუსაბამოდ მაღალია, რაც, სსკ-ის 420-ე მუხლის შესაბამისად, სწორად შეამცირა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო სამართლებრივი პრეტენ-ზიის ფარგლებში სააპელაციო პალატამ არასწორად გაზარდა მისი ოდენობა.

¹³⁵ სუს გადაწყვეტილება, 18 მაისი, 2018, №ას-1262-1182-2017.

10.4.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 730.2.-ე, 709-ე, მე-400, 418.2.-ე, 59-ე, 61-ე მუხლები, სსკ-ის 230-ე, 387.2.-ე, 233-ე 241-ე მუხლები.

განვითარებები:

- ა. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა გულისხმობს, სასამართლომ სწორად მოიძიოს დამფუძნებელი ნორმები, რომელიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და ქმნის ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აპსტრაქტულ შემადგენლობას;
- ბ. სარჩელის იურიდიული საფუძვლიანობის გამორკვევა სამართლის საკითხს წარმოადგენს და, მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, ამ კუთხით წარმართოს შესაბამისი კვლევა.

გადაწყვეტილების შედეგი: პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა მოთხოვნის იურიდიულად გაუმართლებლობის გამო და სარჩელი ამ ნაწილში უარყოფილ იქნა.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, მენარმებს შორის დავაში, ექსპედიტორის სარჩელი შემკვეთის მიმართ სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ექსპედიტორის სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა მოთხოვნის იურიდიული გაუმართლებლობის გამო.¹³⁶ საკასაციო სასამართლომ განმარტა რა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალური წინაპირობები, აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილებისას, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულების კვლევა გულისხმობს, სასამართლომ სწორად მოიძიოს დამფუძნებელი ნორმები, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და ქმნის ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აპსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აპსტრაქტულ აღნერილობას აკმაყოფილებს თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის ნარმატების საფუძველია.

სასამართლომ გაიზიარა მოთხოვნის იურიდიული მართებულობის თაობაზე კასატორის (შემკვეთის) პრეტენზია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის კონტექსტით) და აღნიშნა, რომ პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის იურიდიული საფუძვლიანობის გამორკვევა სამართლის საკითხს წარმოადგენს და, მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, ამ კუთხით წარმართოს შესაბამისი კვლევა, სწორედ ამ დასაბუთებით უარყო საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ სენებული საკითხის სააპელაციო წესით სადავოდ გახდომა, იმ პირობებში, რომ საჩივრში მხარე მას არ შესდავებია, არღვევს სსკ-ის 380-ე მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელში აღნიშნული კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის ნარმატების საფუძველია.

¹³⁶ სუს გადაწყვეტილება, 11 მაისი, 2018, №ას-1468-1388-2017.

ბით დეინდება მხარეთა შორის სსკ-ის 730-ე მუხლით გათვალისწინებული სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადება, რომელიც ფორმათავისუფალი გარიგებაა (**სკ-ის 730.2 და 709-ე მუხლები**), რამდენადაც მოსარჩელე თავადვე ადასტურებს, რომ მოპასუხემ კონტრაქტს ხელი არ მოაწერა, თუმცა შესაბამისად მოქმედებდა. ხელშეკრულების ფარგლებში ექსპედიტორმა განახორციელა გადაზიდვა, ხოლო შემკვეთს არ გადაუხდია პროვიზია (**სკ-ის მე-400 მუხლი**). ამ მოთხოვნის ნაწილში პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა. ვინაიდან, სსკ-ის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, პირგასამტებლობზე შეთანხმებას კანონი იმპერატიულად უკავშირებს წერილობით ფორმას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირგასამტებლოს თაობაზე მხარეთა შეთანხმება უცილოდ ბათილია და, 61-ე მუხლის პირველი ნაწილით, შეთანხმებულად არ მიიჩნევა, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში სარჩელში მითითებული, დადგენილად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებდა სასამართლო მოთხოვნას.

10.5.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 73-ე მუხლის მერვე ნაწილის პირველი წინადაღება, სსკ-ის 427-ე მუხლი.

გამოარტიება: საპროცესო სამართლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, განვრცობითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ ქმნის, რადგანაც ეს დაარღვევდა სამართლებრივი ნორმების ერთიანობას და შეენინააღმდეგებოდა პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის არსი კი, ისაა, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობების მკაფრად დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიმღებსა და საწარმოს წარმომადგენელს (დირექტორს), შორის ბიოლოგიური კავშირი არსებობს (დედა-შვილია), კანონის გაგებით იგი (დედა) არ წარმოადგენს ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებული იქნებოდა, უწყება ადრესატისათვის გადაეცა.

დაპრუნების მოტივაცია: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელი ნორმები და არასწორად შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც მონინააღმდეგე მხარეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

გამყიდველმა (მეწარმე, პრინციპიალი) მრავალფუნქციური მოტობლოკის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში, სარჩელი აღძრა მყიდველის (ბენეფიციარის) წინააღმდეგ და მოითხოვა გარანტის მიერ მყიდველისათვის უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაკისრება. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ დათქმულ ვადაში არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. საბანკო გარანტიის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა უპირობოდ გადაეცემოდა შემსყიდველს, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საგარანტიო თანხის მოთხოვნის დროისათვის ვალდებულება უკვე შესრულებული იყო, ხოლო პირგასამტებლოს თანხა – გადახდილი, გარანტი ამისგან დამოუკიდებლად, ვალდებული იყო, გადაეხადა საბანკო გარანტიის თანხა.

საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დააკმაყო-

ფილა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, მოგვიანებით, კი არ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საგანი გახდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მთავარი სხდომის დანიშვნის დროისა და თარიღის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც იურიდიული პირია, შეტყობინება გაეგზავნა იურიდიულ მისამართზე. შეტყობინება ჩაპბარდა დირექტორის დედას, რომელიც ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი არ არის. კანონის თანახმად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს (სსსკ-ის 73-ე მუხლის მერვე ნაწილის პირველი წინადადება). საპროცესო სამართლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, განვირცობითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ ქმნის, რადგანაც ეს დაარღვევდა სამართლებრივი ნორმების ერთიანობას და შეენინაღმდეგებოდა პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის არსი კი, ისაა, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობის მკაცრად დაცვით (შეად. სსსკ-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიმღებსა და საწარმოს წარმომადგენელს, (დირექტორს) შორის ბიოლოგიური კავშირი არსებობს (დედა-შვილია), კანონის გაგებით იგი (დედა) არ წარმოადგენს ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებული იქნებოდა, უწყება ადრესატისათვის გადაეცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოს განსჯით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეზე დაგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარს, მოკლებულია დამაჯერებელ, სამართლებრივ არგუმენტაციას. პალატამ გაიზიარა კასატორის (მოსარჩელის) შემდეგი მოსაზრება, როდესაც მხარეთა შორის არსებული ვალდებულება შეწყდა შესრულებით (სსსკ-ის 427-ე მუხლი) და მოწინააღმდეგე მხარემ ვადაგადაცილებისათვის ზიანიც აანაზღაურა (გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლო), რამდენად არსებობდა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ნორმების ამოქმედებისა და პრინციპალისათვის ასეთი მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატამ იმ საფუძვლით, რომ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული არასაპატიო მიზეზით, სააპელაციო სასამართლომ კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმათა არასწორი განმარტებისა და, წარდგენილი მტკიცებულებების არასწორად შეფასების გამო, მოწინააღმდეგე მხარეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე, განჩინებით გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.¹³⁷

¹³⁷ სუს განჩინება, 12 თებერვალი, 2016, №ას-872-822-2015.

10.6.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 180-ე, 178-ე, 275-ე, 186-ე მუხლები.

განვარტება: აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ესე იგი, თუ შესაძლებელია, აღიძრას მიეუთვებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიკისა და სწრაფი მართლმასჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღმდევრა.

დაპრეზენტის საფუძვლი: სასამართლოს არ შეუმონებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები, კერძოდ, სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩელის იურიდიული ინტერესი და არ დაუდგენია, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შორის დავაში მოსარჩევე ქირაცნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარება მოითხოვა. საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო მოწინააღმდეგის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამტკიცილ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

საკასაბაციო სასამართლოს განჩინებით¹³⁸ გაუქმდა საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმი-სა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამარ-თლოს განჩინება, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვე-ლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყო მოწვეული საქმის განხილვაში, მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუმონმებია, არსებობდა თუ არა სარჩელის აღდვრის წინაპირობები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის აღდვრის წინაპირობები ჩამოთვლილა სსსკ-ის 186-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნანილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით. სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი. ამდენად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მაგრამ მოსარჩელეს არა აქვს მითითებული ასეთი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიიღოს, ხოლო, თუ შეცდომით მიიღო, განუხილველად უნდა დატოვოს იგი (სსსკ-ის 275-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული აქვს აღიარებითი სარჩელი, კერძოდ, იგი მოითხოვს ქირავ-

¹³⁸ სუს განჩინება, 19 ოქტემბერვალი, 2016, №ას-914-876-2014.

ნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასა და იჯარის ხელშეკრულების კანონიერად აღიარებას. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე.

საკასაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს სტაბილურ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკათესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკამაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ესე იგი, თუ შესაძლებელია, აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიკისა და სწრაფი მართლმასჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა (სუსგ 27.11.2015, საქმე №ას-148-138-2015).

სასამართლოს მითითებით, გარდა იმისა, რომ არაა გარკვეული მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, არც ისაა დადგენილი, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, რაც ენინაალმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

10.7.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე, 232¹ და 201-ე მუხლის მეორე ნაწილი.

განმარტება: სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

დაგრუების საფუძველი: სსსკ-ის 394-ე მუხლის ე¹ პუნქტი.

მენარმებს შორის დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილ დავაში სარჩელი მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უარყოფის ნაწილში მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოწინაალმდეგე მხარის მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამარ-

თლომ დააკმაყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნა.¹³⁹

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების (სსსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე, 232¹ და 201-ე მუხლის მეორე ნაწილი), რადგანაც აპელაციის ეტაპზე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მხოლოდ შესაგებლის წარუდგენლობა არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი... მიუხედავად იმისა, რომ საქმის მომზადების მიზნით პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც, სააპელაციო შესაგებელს აქვს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც, უპირველესად, ვლინდება მტკიცებით საქმიანობაში. სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი საპროცესო სამუალება, არ შეიძლება, გავაიგივოთ სარჩელის ნინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებიდან გამომდინარე იხილება იგივე სადაც მატერიალურსამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით, პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად, მტკიცების საგანი არ განისაზღვრება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მოწინააღმდეგ მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, „შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია“ (იხ. სუსგ 2016 წლის 17 მარტის დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

10.8.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 394-ე, 385.2.-ე, სსსკ-ის 232¹-ე, 84-ე მუხლები.

გამომარტივება: იმის განსაზღვრა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოთხოვნას, სამართლებრივი შეფასების საკითხია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ საქმე განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა დაუბრუნოს.

დაპრუნების დასაბუთება: სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტი. გასარკვევია, გა-

¹³⁹ სუს განჩინება, 28 ივნისი, 2016 წელი, №ას-26-26-2016.

მართლებულია თუ არა მოთხოვნა სამართლებრივად და არის თუ არა სარჩელი აღ-ძრული სათანადო მოპასუხის მიმართ.

ფიზიკური პირის (მოსარჩევე) მიერ სანაარმოს (მოპასუხე) წინააღმდეგ დავაში, რომელშიც მოსარჩევე მოითხოვდა მის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემული თანხის დაკისრებას, **მოპასუხე შესაგებელი არ ნარაღინა.** საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – სარჩევი არ დაკამაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩევო მოთხოვნას. მოსარჩელის საპელაციო საჩივრის საფუძველზე საპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმის გასაჩივრებული განჩინება, არასწორად მიიჩნია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლში დაბრუნება და საქმე ხელახლა განსახილველად საპელაციო სასამართლოში დააბრუნა.¹⁴⁰

საკასასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტით, სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აპსოლუტური საფუძვლების განხილვა თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი (კერძოდ, 394-ე მუხლის „ა-დ“ და „ვ-თ“ ქვეყნებტები) პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწილეობისა და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც დარღვევა ვლინდება, თუმცა, სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, ქმნის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას (**სუსგ №ას-1234-1175-2014, 2015 ნლის 23 ოქტომბერი**).

მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, პირველი ინ-
სტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მართებულობის
შეფასებისათვის აუკილებელია მისი სამართლებრივი თავისებურების გათვალისწინება,
რაც გამოწვეულია პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხის მიერ შესაგებლის წა-
რუდგენლობით.

სასკ-ის 232¹ მუხლიდან გამომდინარე, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გა-დაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული (სარჩელში მითითებული) ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. ასეთ დროს (ივარაუდება შესაგველის შეუტანლობა ან მოპასუხის გამოუცხადებლობა) გადაწყვეტილება გამოიტანება დადგენილად მიჩნეული გარემოებების მატერიალურ კანონმდებლობასთან ფორმალური შესაბამისობის კვლევის საფუძველზე, ისე, რომ სასამართლო არაუფლებამოსილია, სასკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში არსებული მტკაცებულებების შეფასების შედეგად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ აღნიშხა, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრას და იმის უტყუარად დადგენებას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული

¹⁴⁰ სუს განჩინება, 12 ივნისი, 2017, № ას-825-791-2016.

გარემოებების სამართლებრივი შეფასება ქმნის თუ არა მოთხოვნის მატერიალური ნორმის შემადგენლობას. ამრიგად, იმის განსაზღვრა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოთხოვნას, სამართლებრივი შეფასების საკითხია. გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლოს განსჯით, ვინაიდან სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნეოდა, სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად, სათანადოდ შეეფასებინა და გამოეტანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, დაუსაბუთებელია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განსჯით, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ გარემოებას, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა გადასცა მოპასუხე კომპანიის პარტნიორებთან შეთანხმების საფუძველზე, ასევე, ეწინააღმდეგება დადგენილ სხვა ფაქტობრივ გარემოებასაც, კერძოდ, მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორები შეთანხმდნენ, თანხის სანაცვლოდ მოსარჩელეს გადასცემდნენ კომპანიის 100%-იან ნილს.

სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული ფაქტები არ ქმნის იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას, როგორც დამოუკიდებელი უფლება-უნარიანობის სამართალსუბიექტს შორის, არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუნდაც ზეპირი გარიგების საფუძველზე. მით უმეტეს, დაუსაბუთებელია იმაზე მითითება, რომ მოპასუხე კომპანიამ მხარეთა შორის დადგებული ზეპირი ხელშეკრულებით იკისრა თანხის დაბრუნების ვალდებულება. პირიქით, სარჩელის შეინარსიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიის პარტნიორებისგან ელოდებოდა თანხის დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად შეცვალა ზეპირი შეთანხმების მხარეები, შესაბამისად, სსსკის 230-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ნორმის დარღვევით, დამტკიცებულად მიიჩნია ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც თავად მოსარჩელეს არ მიუთითებია და ამის შედეგად გამოიტანა არასწორი დასკვნა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ საზოგადოებას თანხა გადასცა მოპასუხე კომპანიის პარტნიორებთან შეთანხმებით და კომპანიისათვის გადაცემული თანხის დაბრუნებას ელოდა კომპანიის პარტნიორებისაგან. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტი, რომ თანხის დაბრუნების შეუძლებლობის გამო, მოსარჩელე და კომპანიის პარტნიორები კომპანიის 100%-იანი ნილის დათმობის თაობაზე შეთანხმდნენ თანხის სანაცვლოდ, ამყარებს ვარაუდს სწორედ კომპანიის პარტნიორებთან შეთანხმების არსებობაზეც, რაც სასამართლოს ადლევს საფუძველს, რომ მოცემულ საქმეში მოპასუხის სათანადოობის საკითხი შეამოწმოს.

საკასაციო პალატის შეფასებით, დავის სწორად გადაწყვეტილათვის არსებითი მნიშვნელობისაა იმის თაობაზე საკითხი, სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად მიჩნევის პირობებში, ვის ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა, მოპასუხე კომპანიას თუ მის პარტნიორებს, რაც უნდა გახდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. თუ აღნიშნული მსჯელობის შედეგად სააპელაციო პალატა გამოიტანს დასკვნას, რომ სათანადო მოპასუხეებს წარმოადგენენ მოპასუხე კომპანიის პარტნიორები, საქმე წარიმართება იმის შესაბამისად, იქნება თუ არა მოსარჩელე თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხეებით შეცვლაზე. აღნიშნული თანხმობის არსებობის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ხელახლა განსახილველად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მიზანშეწონილობაზე, ხოლო ასეთი თანხმობის არარსებობისას, სარჩელის დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის საკითხზე.

10.9.

გამოყენებული ცორმები: სსსკ-ის 70-72-ე მუხლები.

განმარტება: კანონით ამომწურავად არის დადგენილი სასამართლო უწყების შინა-არსი, რომლის რომელიმე ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო უწყება არასრულად და კანონშეუსაბამოდ ჩაბარებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

დაპრუცების საფუძველი: განჩინება საპროცესო ნორმების დარღვევითაა მიღებული, რასაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა შედეგად.

შრომითსამართლებრივ დავაში, სადაც საკასაციო სასამართლო დამსაქმებლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე იხილავდა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებლის პრეტენზიათა ნაწილი, რომელიც ეხება სსსკ-ით დადგენილი წესით სასამართლო სხდომის შესახებ მხარისათვის უწყების ჩაბარების წესს, დასაბუთებულია, რის გამოც გააუქმა განჩინება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.¹⁴¹

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო მოხელის მიერ დამსაქმებლის წარმომადგენლის გაფრთხილების შესახებ შედგენილი აქტის აუდიოჩანაწერი არ შეიცავდა სსსკ-ის 72.1-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას, სხვებთან ერთად – მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ გამოსაყენებელი ზომების თაობაზე; მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა შეხედულებაზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მოწესრიგების ფარგლებში, მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესის შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებს, რომ დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, სხდომის თარიღის თავად მხარის მიერ არასწორად მონიშვნის შესახებ სასამართლოს მსჯელობა და დასაბუთება გაუმართლებელია, რადგან, უპირველესად, შესამოწმებელია, რამდენად დაიცვა სასამართლოს მოხელემ მხარისათვის შეტყობინების ჩაბარების დროს საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ეს საკითხი არ წარმოადგენს იმგვარ ფორმალობას, რომელიც სასამართლოს განმარტების საგანია, რადგან სსსკ-ის 72.1 მუხლით ამომწურავად არის დადგენილი სასამართლო უწყების შინაარსი, რომლის რომელიმე ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო უწყება არასრულად და კანონშეუსაბამოდ ჩაბარებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

10.10.

გამოყენებული ცორმები: სსსკ-ის 230-ე, 216.1.-ე მუხლები.

განმარტება: სხდომაზე სანარმოს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გამოცხადების შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოპასუხესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუ-

¹⁴¹ სუს განჩინება, 24 ივლისი, 2017, №ას-1188-1148-2016.

და. ამის თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გა-დაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო. მინდობილობის არასრებობის შემთხვევაში, მხარეს არ უხდა წარმომადგენი საქმის არსებითად განხილვის უფლება.

დაპრუების საფუძველი: საქმის გარემოებები საპროცესო წორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მენარმებს შორის დავაში საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით – საქონლის გადაზიდვის ღირებულების ანაზღაურების შესახებ შემსრულებლის (მოსარჩელე) მოთხოვნა დამკვეთის (მოპასუხე) მიმართ დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს განჩინებითვე უარყოფილ იქნა მოპასუხის საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა.¹⁴²

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნა, რომ მოპასუხის არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გამოცხადება მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად უნდა იქნეს მიჩნეული და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“) დაყრდნობით, განმარტა, როდესაც საკითხი ესება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (Legal certainty), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პროცედურული მოთხოვნის არაგონივრული კონსტრუქციაა, რამაც გამოიწვა ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუბთ, ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მყაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (Mirigall Escalano and Others v. Spain, 38366/97, §33, 2000, ECHR).

საქმის მასალების მიხედვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო სხდომის დანიშნვის შესახებ, სხდომაზე კი მოპასუხის სახელით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა საწარმოს წარმომადგენლი, რომელსაც სსსკ-ის 96.1-ე მუხლით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობა არ ჰქონდა წარდგენილი. ქვემდგომმა სასამართლოებმა არაუფლებამოსილი წარმომადგენლის გამოცხადება მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად მიიჩნიეს და მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომ სასამართლოებს განსახილველ შემთხვევაში სსსკ-ის 216.1-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით უნდა ესარგებლათ და საქმის განხილვა გადაედოთ, რათა თავიდან აცილებულიყო მოპასუხის არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენება მეორე მხარესთან შედარებით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება გამოდინარეობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან. ასეთ ვითარებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებით შეიღახა მოპასუხის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ

¹⁴² სუს განჩინება, 23 აპრილი, 2019, №ას-1142-1062-2017.

თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში ოპონენტთან შედარებით (*Niderost-Huber v. Switzerland; Kress v. France; Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტურ საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Azdzaič v. Slovenia*), თუმცა, არა – სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით მხარის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების საზიანოდ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოპასუხესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო, შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოპასუხის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო (სუსგ №ას-1033-953-2017, 30.01.2018).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მინდობილობის არარსებობის შემთხვევაში მხარეს არ უნდა წაერთვას საქმის არსებითად განხილვის უფლება, რადგან სხდომაზე წარმომადგენლის მივლინებით მხარემ გამოხატა ინტერესი საქმისადმი და, თუ წარმომადგენლის უფლებამოსილების შემოწმებისას ხარვეზი დაფიქსირდა, საკითხი მოპასუხის საწინააღმდეგოდ არ უნდა გადაწყვდეს. მხარეს ერთხელ მაინც უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ, თუ მისი წარმომადგენლის უფლებამოსილება კანონით დადგენილი წესით არ არის გაფორმებული, მან ეს უზუსტობა გამოასწოროს.

11. სსვა დავები

11.1.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის მე-11, 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის 272-ე მუხლის „ა¹“ ქვეპუნქტი, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

განმარტებები: ალიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემოწმების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს.

გადაცვალის შედეგი: სსიპ-ის სარჩელის გამო შპს-ს მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და სსიპ-ის საკასაციო საჩივარზე სამოქალაქო საქმისწარმოება, სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა¹“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდა საკასაციო საჩივრის განხილვის საგნის არარსებობის გამო, ხოლო სარჩელი საწარმოს დირექტორის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

კონკრეტული დავის საგანს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, რომლის ფაქტობრივ საფუძვლადაც მოსარჩელე მიუთითებს შემდეგს: საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე შპს-ს გადასახდელად დაეკისრა გარკვეული თანხა. დარიცხვის კანონიერება დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის გამოც საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ. სარჩელის თანახმად,

ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების აუნაზღაურებლობის გამო გადასახდელი თანხა გაიზარდა. შესაბამისად, მოსარჩევემ მოთხოვა ამ თანხის როგორც საწარმოსათვის, ისე – მისი იმდროინდელი დირექტორისათვის სოლიდარულად დაკისრება.¹⁴³ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკეთებულია რა სსიპ-ის სარჩელი, მოპასუხე დირექტორსა და საწარმოს სოლიდარულად დააკისრა გადასახადის დარიცხვის აქტით გათვალისწინებული თანხა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ-ის სარჩელის გამო, შპს მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო საქმისწარმოება შეწყდა, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა დირექტორის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატამ სსსკ-ის მე-11, 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნია, რომ ალიარებული საგადასახადო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემოწმების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს.

ვინაიდან პალატამ შეწყვიტა საქმისწარმოება სსიპ-ის სარჩელზე შპს-ს მიმართ ზიანის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, შესაბამისად, შეწყვიტა საქმისწარმოება სსიპ-ის საკასაციო საჩივარზე, სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ-ის საკასაციო საჩივრის განხილვის საგნის არარსებობის გამო.

პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დირექტორისთვის, როგორც ზიანის მიყენებაში სოლიდარულად ვალდებული პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან, საგადასახადო ვალდებულების წარმომბობა-შესრულების საკითხი სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის არ შეიძლება დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში იქნეს განხილული. ამასთან, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში შესული ცვლილების შესაბამისად, დაკორექტირებულია გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი და ალარ არსებობს დავალიანება, მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა, არ არსებობს დირექტორისთვის (კალკეულა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, რადგანაც სახელმწიფომ წებაყოფლობით უარი განაცხადა იმ თანხის (დავალიანების) ამოღებაზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა.

11.2.

გამოყენებული წორები: სსსკ-ის 266-ე მუხლი.

გამოართებები: მოსარჩელეს ალარ ჰქონდა უფლება, სადაც გაეხადა შეთანხმებებით გათვალისწინებული დებულება, რომლითაც კრედიტორი უფლებამოსილი იყო, აღსრულება მიექცია მოვალის სხვა ქონებაზეც იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა იპოთეკარის მოთხოვნას, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იყო დადგენილი.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა მოთხოვნის სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო.

¹⁴³ სუს გადაწყვეტილება, 9 დეკემბერი, 2016, №ას-708-677-2014.

რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გამსესხებლის (მენარმის) მოთხოვნა მსესხებლის წინააღმდეგ დაკამაყოფილდა და სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე (აღსრულების მიზნით) დადგინდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა იპოთეკარის მოთხოვნას, გადაწყვეტილებით დადგინდა მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევაც. ახალი სარჩელით მოსარჩელემ (წინა დავის მოპასუხემ (მსესხებლმა) მოითხოვა მოპასუხისათვის (გამსესხებლისათვის) იძულებითი აღსრულების შედეგად (იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის გარდა) მიღებული თანხის დაკისრება. ქვედა ინსტანციის სასამართლობმა სარჩელი დაკამაყოფილეს. **საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შედეგი და სარჩელი უარყო იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, ედავა იპოთეკისა და მომსახურების ხელშეკრულებების კონკრეტული პუნქტების ნამდვილობაზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართალუროთიერთობის პრეიუდი-ციულობის გამო (სსსკ-ის 266-ე მუხლი).¹⁴⁴**

სასამართლომ გადაწყვეტილება შემდეგი მოტივაციით დაასაბუთა: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ დავაში მსესხებელმა (მოპასუხემ) ცნო მის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა, მათ შორის – ის მოთხოვნაც, რომელიც სსკ-ის 301-ე მუხლის 1¹ ნაწილიდან გამომდინარებდა (მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკამაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი) ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა საბანკო მომსახურებისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ნამდვილობა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს აღარ ჰქონდა უფლება, სადაც გაეხადა შეთანხმებებით გათვალისწინებული ის დებულება, რომლითაც კრედიტორი უფლებამოსილი იყო, აღსრულება მიექცია მოვალის სხვა ქონებაზეც იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა სრულად არ დაფარავდა იპოთეკარის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლომ მცდარად მიიჩნია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფარგლებში, სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესაძლებლობის დადგენა ნარმოადგენდა აღსრულების წესის განსაზღვრის პროცესუალურ ნაწილს და ამ დატემის არსებობა ვერ გახდებოდა იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილის ბათილობის დამაბრკოლებელი წინაპირობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლომ აღსრულების წესი კი არ დაადგინა (სსსკ-ის 251-254-ე მუხლები), არამედ დააკმაყოფილა კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც კანონის დანაწესითა და მხარეთა შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა შესრულების კონდიქციის მომწერიგებელი ნორმები (სსკ-ის 976-ე მუხლი), მაშინ, როდესაც არ არსებობდა ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორივი წინაპირობები. პალატის დასკვნით, მოსარჩელემ ვალდებულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე კი არ შეასრულა, არამედ გამოვლინდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებით (მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ) აღსრულება „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

¹⁴⁴ სუს გადაწყვეტილება, 23 იანვარი, 2018, №ას-1167-1087-2017.

მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, ედავა იპოთეკისა და მომსახურების ხელშეკრულებების პუნქტების ნამდვილობაზე, სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ამ დებულებების სამართლებრივ ბუნებაზე და სტანდარტული პირობის ბათილობიდან გამომდინარე შედეგებზე (სსკ-ის 342-ე და მომდევნო მუხლები).

11.3.

გამოყენებული ნორმები: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

განხარტებები: სავარაუდო უფლების დარღვევის თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილება ენინაალმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას (ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს), რომელიც დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას მოიაზრებს და არ არის მიმართული უფლების პრევენციული და/ან აბსტრაქტული დაცვისკენ.

გადაწყვეტილების შედეგი: სარჩელი უარყოფილ იქნა ფაქტობრივი და სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო.

მოსარჩელემ მოპასუხე საწარმოს მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა მის რეპერტუარს მიეკუთვნებული ნაწარმოების საჯაროდ შესრულების აკრძალვა. საკასაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციების მიერ დაკმაყოფილებული სარჩელი უარყო სსკ-ის 394.ე. პუნქტის საფუძველზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე ვერ ასახელებს/ადასტურებს მოპასუხის მხრიდან კონკრეტული დარღვევის ფაქტს, არამედ სარჩელით მოითხოვს მისთვის ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული შესრულების აკრძალვას.¹⁴⁵ პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ენინაალმდეგება კანონის პრინციპებს, ასევე, ეჭვქვეშ აყენებს უფლების რეალურად დაცვის შესაძლებლობას, რაც სარჩელის სრულად უარყოფის საფუძველია.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია საავტორო უფლების დაცვაზე და, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე, მას მმართველი ორგანიზაციი ახორციელებს, ის უფლებამოსილია, აღძრას სარჩელი კონკრეტული დარღვევის თავიდან ასაცილებლად და არა აბსტრაქტულად, დარღვევის ყოველგვარი ფაქტის დადასტურების გარეშე. ამგვარი დასკვნის საფუძველს ქმნის თავად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ აშკარაა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის საჯარო შესრულება, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის კანონიერ გამოყენებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (მოედანი, სცენა, დარბაზი და სხვა), სადაც სრულდება საჯარო შესრულება. სწორედ კანონის ზემოხსენებული მიზნის მიღწევის ხელშეწყობას ემსახურება 65-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული პრეზუმეცია იმის თაობაზე, რომ საწინაალმდეგოს დამტკიცებამდე იგარაუდება, ყველა ნაწარმოები ... რომელიც საჯაროდ სრულდება ... ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, ... შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. კანონის სხვაგვარი განმარტება, ასევე, სავარაუდო უფლების დარღვევის თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმა-

¹⁴⁵ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2018, №ას-256-256-2018.

ყოფილება ენინაალმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას (ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს), რომელიც დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას მოიაზრებს და არ არის მიმართული უფლების პრევენციული და/ან აბსტრაქტული დაცვისკენ, გარდა ამისა, გაურკვეველია, რა ფორმით უნდა განხორციელდეს უფლების დაცვა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ფორმირებულ იქნა იმდენად ბუნდოვნად, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ნაწარმოების შესრულების უფლება აეკრძალა მოპასუხეს.

11.4.

გამოყენებული ნორმები: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20¹.1 მუხლის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹.1, 5¹.2, 5¹.3 მუხლები, სსკ-ის 408.1 მუხლი, სსსკ-ის მე-3, 85-ე, 86-ე მუხლები.

განვითარება: სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი-დან გამომდინარეობს მოსამარჩელის უფლება, მოპასუხედ დაასახელოს პირი, რომლის-განაც მოითხოვს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვას, თუმცა ამ პრინციპის აპსოლუტურ ბუნებას ზღუდავს სწორი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, გამოარკვიოს, როგორც მხარის სათანადოობის საკითხი, ისე იმ პირთა მოწვევის აუცილებლობა, რომელთაც შეიძლება, შეეხოთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

დაგრუნვების მოტივაცია: სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა იმსჯელოს, სარჩელი აღდრულია თუ არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს მასზე, კერძოდ, არის თუ არა მარეგისტრირებული ორგანო, როგორც გარიგების კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე, ისე – გარიგების ნამდვილობაზე პასუხისმგებელი პირი, დაადგინოს სათანადო მოპასუხეთა წრე.

მარეგისტრირებული ორგანოს (მოპასუხე) წინააღმდეგ აღდრული სარჩელით ფიზიკურმა პირმა (კოოპერატივის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე) სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოების ბრძანებების ბათილად ცნობა, ამ ბრძანებების საფუძველზე სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის გაუქმება და ამ ცვლილებების რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც სადავო ბრძანებები გაუქმდა, ხოლო მოპასუხეს დაევალა მოსამარჩელის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება¹⁴⁶ და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსამარჩელეს სურს, გამომდინარეობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20¹.1 მუხლის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹.1, 5¹.2, 5¹.3 მუხლებისა და სსკ-ის

¹⁴⁶ სუს განჩინება, 11 თებერვალი, 2016, №ას-673-640-2014.

408.1 მუხლის დანაწესებიდან. ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობების შემოწმებამდე სასამართლომ, პირველ რიგში, მოპასუხეთა სათანადოობის საკითხის უნდა გამოიკვლიოს, რის თაობაზეც, მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი კასატიორიც აპელირებს, კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ კონკერატივის საბჭოს კრებაზე მიღებული სადაცო გადაწყვეტილებების ბათილობისა და სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის (პირვანდელი ჩანაწერის აღდგენის) თაობაზე დასკვნა სააპელაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტის (კონკერატივის) მონაწილეობის გარეშე არ უნდა გამოიტანა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ კონკერატივის კრების ოქმების (გადაწყვეტილებების) კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცებისათვის დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა აუცილებელი არ არის. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მიზანია სუბიექტური უფლების მიეუთვნება – სამენარმეო რეესტრში კონკერატივის გამგეობის თავმჯდომარედ მოსარჩელის რეგისტრაცია. ამდენად, კონკერატივის სადაცო გარიგებების ბათილობა აღნიშნული უფლების დაბრუნების წინაპირობა, რის გამოც, გარიგებათა ბათილობის მოთხოვნის გარეშეც, სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული საფუძველი გააჩნია, თუმცა პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ზემოხსენებული გარიგებების ბათილობის საფუძვლად მითითებული გარემოებების გამაქარწყლებელი ფაქტების დადასტურება ადმინისტრაციული ორგანოების მტკიცების საგანში შედის. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადაცო გარიგებების ნამდვილობის თაობაზე დასაბუთებული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება ამ გარიგებათა დამდებ ორგანოს აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული გარიგებების ნამდვილობის შესაფასებლად, პირველ რიგში, სათანადო მოპასუხეთა წრეა დასადგენი. პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა იმსჯელოს, სარჩელი აღძრულია თუ არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს მასზე, კერძოდ, არის თუ არა მარეგისტრირებელი ორგანო, როგორც გარიგების კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე, ისე გარიგების ნამდვილობაზე პასუხისმგებელი პირი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად, პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას და რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემოწმებაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივა და ორიენტირებულია მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაზე. სწორედ სათანადო მხარეთა მორის უნდა დადგინდეს ის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც მტკიცების საგანში შედიან და მიღწეულ იქნეს მართლმსაჯულების მიზანი – კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებით აღიკვეთოს მხარეთა სადაცოდ ქცეული უფლების დაცვას, თუმცა ამ პრინციპის აბსოლუტურ ბუნებას ზღუდავს სწორი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, გამოარკვიოს, როგორც მხარის სათანადოობის საკითხი, ისე – იმ პირთა მოწვევის აუცილებლობა, რომელთაც შეიძლება, შეეხოთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (სსსკ-ის 85-ე, 86.1, 89-ე მუხლები). ამდენად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხეთა დადგენის თაობაზე, რომელთაც ყველა იმ შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა ექნებათ, რომელიც მოპასუხეს აქვს და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასოს მოსარჩელის მოთხოვნა (შდრ. სუსგ, ას-1085-1042-2016, 10.05.2017; ას-922-880-2013, 03.10.2014).

საკასაციო პალატამ, სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად (სარ-

ჩელი შეიძლება, წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება), განმარტა, რომ მთითებული ნორმის მიხედვით, თუკი უფლება შეიძლება, ეკუთვნოდეს მესამე პირებს, ისინი აუცილებლად უნდა იქნენ საქმეში ჩართული მოპასუხეებად, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეიძლახოს მათი ინტერესები. ამასთან, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, ასეთ შემთხვევაში, აშკარაა სავალდებულო თანამონანილეობა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის მიკუთვნებით მოთხოვნას წარმოადგენს სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაცია, კერძოდ, კოოპერატივის თავმჯდომარედ, მეოთხე კასატორის ნაცვლად, მოსარჩელის რეგისტრაცია, რადგან ახლანდელი თავმჯდომარე ბათილი გარიგებების საფუძველზეა რეგისტრირებული. აღნიშნული მოთხოვნა მიმართულია სადაც გარიგებების დამდები სუბიექტის – კოოპერატივის წინააღმდეგ და ასაბუთებს მოსარჩელის პრეტენზიას რეგისტრაციის საფუძვლად არსებული კოოპერატივის საბჭოს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობის თაობაზე. კოოპერატივის ყრილობისა და კრებების სადაც გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილება თუ მითითებული კრებების წესდების შესაბამისად გამართვა, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია და მტკიცების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ კოოპერატივის შესაბამისი პროცესუალური სტატუსი ექნება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აღნიშნულ დავაში მისი სავალდებულო თანამოპასუხის სტატუსით ჩაბმის თაობაზე. ამდენად, თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო დაადგენს, რომ მარეგისტრირებელი ორგანო სათანადო მოპასუხეა, ასეთ შემთხვევაში, მან უნდა იმსჯელოს კოოპერატივის სავალდებულო თანამოპასუხეობაზეც (სუსგ, №ას-655-621-2015, 15.12.2015).

მესამე პირების საქმეში ჩაბმის თაობაზე მეოთხე კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, სსსკ-ის 89-ე და 90-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი სასარჩელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვა დასაშვებია ორი გზით, კერძოდ, საქმეში მონანილე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან თავად იმ პირის შუამდგომლობით, რომელსაც მესამე პირად საქმეში ჩართვა სურს. ამდენად, სასამართლოს ინიციატივით დავაში მესამე პირის ჩართვის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, საქმეში ჩააბას მეოთხე კასატორის მიერ დასახლებული მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ დაადგენს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია, შემდგომში გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ (სუსგ, №ას-1017-978-2016, 25.01.2017).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც ამ განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე.

11.5.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 744-ე, 745-ე, 748-ე, 930-ე და მომდევნო მუხლები.

განმარტება: საშუალებელი ხელშეკრულება, როგორც ორმხრივი კონსესუალური გარიგება გულისხმობს შუამავლის მოქმედებებს, შემკვეთის ინტერესების სასიკეთოდ, რათა მიღწეულ იქნეს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადება, რაც უკავშირდება სასყიდლიან ანუ ანაზღაურებად საქმიანობას. ამ კონტექსტში სსკ-ის 744-ე მუხლში

მითითებული გასამრჯელო, ამავე კოდექსის 745-ე, 748-ე მუხლების დეფინიციის გათვალისწინებით, არ გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას.

დაპრუნების საფუძველი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება, სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს, მხარეთა ურთიერთვალდებულებები უკავშირდება საშუამავლო გარიგებას (სსკ-ის 744-ე მუხლი) თუ ერთობლივ საქმიანობას (სსკ-ის 930-ე მუხლი).

მოსარჩელემ (ფიზიკური პირი) იკისრა ვალდებულება საშუამავლო მომსახურება გაეწია მოპასუხისათვის (მეწარმე). შუამავლის ვალდებულებას წარმოადგენდა: ა) მესამე პირებთან მოლაპარაკებების გამართვა, რათა მათ დაეთმოთ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემკვეთის სასარგებლოდ შესაბამისი საზღაურის ფასად; ბ) მოლაპარაკებების გამართვა სხვა მესამე პირებთან, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული უფლებები სამშენებლო ტერიტორიაზე; გ) მშენებლობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა; დ) სამშენებლო ტერიტორიის მესაკუთრებისთვის ან/და მასზე რაიმე იურიდიული უფლების მქონე პირებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

საშუამავლო ხელშეკრულებით, შუამავალს უფლება ჰქონდა, დროულად და სრულად მიეღლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება, გაეყიდა ან/და მესამე პირებისათვის გადაეცა ის ფართობი, რომელიც მას, როგორც შუამავალს, ხელშეკრულების საფუძველზე ერგებოდა. მოსარჩელეს მოპასუხისაგან უნდა მიეღო სამშენებლო ტერიტორიაზე აშენებული მთლიანი ფართის 3 %, საცხოვრებელი, კომერციული და ავტოსადგომების პროპორციულად, მისი გაყიდვის, გასხვისების ან/და გაჩუქრების უფლებით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ზიანის სახით მოპასუხისათვის გარკვეული თანხის დაკისრების შესახებ შუამავლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში¹⁴⁷ მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაზე, რათა საკასაციო განაცხადის იურიდიული დასაბუთებულობის კვლევა, სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები დაემყაროს იმ ურთიერთობას, საიდანაც წარმოიშვა დავა მხარეებს შორის.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს მხარეთა ურთიერთვალდებულებები უკავშირდება საშუამავლო გარიგებასა (სსკ-ის 744-ე მუხლი) თუ ერთობლივ საქმიანობას (სსკ-ის 930-ე მუხლი). შუამავლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.2. პუნქტსა „შუამავალს უფლება აქვს, დროულად და სრულად მიიღოს ნინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება“ და იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულების მე-5 მუხლს შორის კავშირი შუამავლობისათვის გასამრჯელოს თაობაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს საშუამავლო ხელშეკრულებაზე, როგორც ორმხრივ კონსესუალურ გარიგებაზე, რომელიც გულისხმობს შუამავლის მოქმედებებს, შემკვეთის ინტერესების სასიკეთოდ, რათა მიღწეულ იქნეს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადება, რაც უკავშირდება სასყიდლიან ანუ ანაზღაურებად საქმიანობას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 744-ე მუხლში მითითებული გასამრჯელო, ამავე კოდექსის 745-ე, 748-ე მუხლების დეფინიციის გათვალისწინებით, არ გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში აქვთ დათქმული მხარეებს, შესაბამისად, გამოსაკვლევია სა-

¹⁴⁷ სუს განჩინება, 21 იანვარი, 2016, №ას-803-758-2015.

კითხი, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ხომ არ განეკუთვნება სსკ-ის 930-ე მუხ-ლით გათვალისწინებულ ერთობლივ საქმიანობას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთობლივი საქმიანობის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მონაწილეთა შორის პირად დამოკიდებულებას, ურთიერთნდობას, იმ საქმიან და პროფესიულ თვისებებს, რის გამოც ამხანაგობის მონაწილენი, იურიდიული პირის შეუქმნელად, ერთიანდებიან საერთო მიზნისა და ამოცანების მისაღწევად. სწორედ ამ კონტექსტით უნდა შეფასდეს მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს შეიძლება, ჰქონდეთ ურთიერთმოთხოვნები, რომლებიც უნდა გაიმიჯნოს იმ უფლება-მოვალეობებისაგან, რაც ამხანაგობის მონაწილეებს აქვთ საერთო მიზნის მისაღწევად. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოდავე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის დამატებითი გამოკვლევის შედეგად, უნდა შეფასდეს, რა ურთიერთვალდებულებები შესრულდა და რა მოცულობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოში მხარეებმა მათ შორის არსებული გარიგება და მისგან გამომდინარე ურთიერთვალდებულებები განიხილეს სახელშეკრულებო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის ერთობლიობითა და სამართლებრივი მოწესრიგების მიხედვით, რაც საქმეზე საბოლოო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ ქმნის.

11.6.

გამოყენებული ნორმები: სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

განმარტება: მართლმსაჯულება სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანით ხორციელდება. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება დაკავშირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. გადაწყვეტილების ხარისხი უმთავრესად მის დასაბუთებულობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, დასაბუთებულობა იმპერატიულად სავალდებულოა და იგი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სიჩქარის გამო.

დაპრუნების დასაბუთება: გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უძრავი ნივთის მესაკუთრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ბანკის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ დარჩა უცვლელად და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა¹⁴⁸ შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის (უძრავი ნივთის მესაკუთრის) პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლო თავის განჩინებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებაში მსჯელობს სხვა მსესხებელსა და მოსარჩელეს შორის არსებულ სამართლურთიერთობაზე, რომელსაც განსახილველ საქმესთან კავშირი არ გააჩნია, კერძოდ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული მსესხებელი მოცემულ დავაში არ ნარმოადგენს მონაწილე მხარეს.

¹⁴⁸ სუს განჩინება, 7 აპრილი, 2017, № ას-730-698-2016.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ ემთხვევა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მართლმსაჯულება სასამართლოს დასაბუთებული გა-დაწყვეტილების გამოტანით ხორციელდება. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება დაკავშირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. გადაწყვეტილების ხარისხი უმთავრესად მის დასაბუთებულობაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ, დასაბუთებულობა იმპერატიულად სავალდებულოა და იგი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სიჩქარის გამო. დასაბუთება აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ მხარეების მიერ გაგებული იყოს გადაწყვეტილება, ასევე – იმისთვისაც, რომ თავიდან ავიცილოთ თვითნებური გადაწყვეტილების მიღება. ეს პრინციპი, პირველ რიგში, ავალებს მოსამართლეს, უპასუხოს მხარეთა მოსაზრებებს და დააზუსტოს ის არგუმენტები, რაც ამართლებს გადაწყვეტილებას და კანონიერს ხდის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნები, რომელთა თანახმად, გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, ასევე სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საერთოდ არ შეიცავს მოცემულ საქმეზე ფაქტობრივ დასაბუთებას, არ არის მითითება მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მასში სრულად არ არის მითითება განსახილველ დავასთან მიმართებით სასამართლოს მიერ გამოყენებულ სამართლებრივ ნორმებზე, სამართლებრივი დასაბუთება არის არასრული, შესაბამისად, საკასაციო პალატისთვის უცნობია, კონკრეტულად რომელ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებსა და სამართლებრივ შეფასებაზე დაყრდნობით გამოიტანა სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის სააპელაციო საჩივრზე უარის თქმის შესახებ დასკვნა გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის სააპელაციო საჩივრი არ არის შემონმებული ფაქტობრივი და, ასევე, ნაწილობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მოცემულ განჩინებაში არ არის ასახული განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, რაც საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა. შესაბამისად, შეუძლებელია, საკასაციო პალატამ იმსჯელოს კასატორის სხვა პრეტენზიებზე, რომლებიც გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მოცემული არასრული სამართლებრივი შეფასებიდან.

11.7.

გამოყენებული ნორმები: სსკ-ის 198.1.-ე, 199-ე, 203.1.-ე, 992-ე მუხლები.

განმარტება: დოქტრინიორული შეხედულების თანახმად, შესაძლებელია, რომ მოთხოვნის შესრულებაში ამავე დროს მოთხოვნის დათმობა მოიაზრებოდეს.

დაპრუნების საფუძველი: გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული, რადგან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფება მესამე პირთან (საწარმოსთან), რომლის სამენარმეო საქმიანობასაც წარმოადგენს გაყინული პროდუქციის საქართველოში იმპორტი და რეალიზაცია. მოსარჩელის განმარტებით, მან, როგორც საწარმოს უფლებამოსილმა პირმა, საწარმოს სახელით დადო გაყინული თევზის ნასყიდობის ხელშეკრულება ინდმენარმესთან კონსიგნაციის პირობით. შემძენმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესარულა არაჯეროვნად, კერძოდ, სრულად არ გადაიხადა პროდუქციის საფასური, რის გამოც, როგორც საწარმოს წინაშე ანგარიშვალდებულმა/შრომით ურთიერთობაში მყოფმა პირმა, მოსარჩელემ ინდმენარმის ვალდებულება საკუთარი სახსრებით აანაზღაურა. მოსარჩელის განცხადებით, ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოტანილი გადახდის ბრძანებით, ინდმენარმეს მის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის (ნასყიდობის დაგალიანების) გადახდა და დაინტ საადსრულებო წარმოება, თუმცა მოპასუხემ (საკრედიტო ორგანიზაციამ) წერილობით მიმართა ალსრულების ეროვნულ ბიუროს და, როგორც ინდმენარმის უზრუნველყოფილმა კრედიტორმა, მოითხოვა ალსრულების საგნის – მოვალის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ყადაღისაგან გათავისუფლება იმ დასაბუთებით, რომ მითითებული მოძრავი ქონება წარმოადგენდა განმცხადებელსა და ინდმენარმეს შესრის დადებული სესხის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებას (გირავნობის საგანი). მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გირავნობის ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, იგი გაფორმებულია მოწვენებით და მის მიზანია მხოლოდ მოსარჩელის მიმართ ინდმენარმის მიერ ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება. როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა. საკასაციო სასამართლომ შეფასა რა მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის (ზიანის ანაზღაურების) კანონიერება, დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, გააუქმა სარჩელის უარყოფის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა¹⁴⁹ იმ საფუძვლით, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა მიღებული, რადგან მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შეუძლებელია არასრული დასაბუთების გამო.

საკასაციო პალატამ გაიზიარა მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 992-ე მუხლი წარმოადგენს, რომელიც ქმნიდა დელიქტური ვალდებულების გენერალურ დათქმას და ამ ნორმის საფუძველზე, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, სავალდებულოა, დადგინდეს მის აღნერილობით წანიში გადმოცემული სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოს შეფასება, ინდმენარმის მიმართ იძულებითი ალსრულება დაინტ მესამე პირის სასარგებლოდ, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, მოსარჩელემ ხომ არ დაიკავა მესამე პირის ადგილი და ხომ არ ჩანაცვლა მას მოთხოვნაში? პალატის განსჯით, ამ თვალსაზრისით საქმის მასალები სრულყოფილად არ არის გამოკვლეული, სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს არა მხოლოდ მართლმსაჯულების მიუკერძობლად განხორციელება, არამედ ამ პროცესში სადავო გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა (სსკ-ის 105-ე მუხლი).

საკასაციო პალატის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, თუ რის საფუძველზე შესარულა მოსარჩელემ ინდმენარმის ვალდებულება და რა სამართლებრივი ურთიერთობა ვლინდება. საქმეში წარდგენილი მესამე პირის მიერ გაცემული მინდობილობით დავალების მიმცემი მოსარჩელეს მიანდობს ინდმენარმის ვალდებულების ამოღების უფლებამოსილებას და სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა კრედიტორს გამარტივებული წარმოების პროცესში. საკასაციო

¹⁴⁹ სუს განჩინება, 28 ნოემბერი, 2017, №ას-921-861-2017.

პალატის აზრით, მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შესრულება შესაძლოა მატერიალურსამართლებრივ უფლებამონაცვლეობაზე მიუთითებდეს. ამ მხრივ კი, გამოსაკვლევია სასყიდლანი ცესია (სსკ-ის 198-ე (1), 199-ე მუხლები) თუ კრედიტორსა და მესამე პირს შემორის დადებული ვალის გადაქისრებაა (სსკ-ის 203-ე (1) მუხლი).

საკასაციო პალატის დასკვნით, მოპასუხის ქმედების მართლზომიერების შეფასების წინაპირობა დღის წესრიგში მხოლოდ მას შემდეგ დადგება, რაც სასამართლო გამოიტანს დასკვნას, რომ მოსარჩელესა და მესამე პირს შემორის სწორედ ცესის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა, რომლის ძალითაც მან ფაქტობრივად ჩაანაცვლა კრედიტორი ინდმენარმის მიმართ უკვე დაწყებულ სააღსრულებო პროცესში. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უნდა შეფასდეს საკასაციო პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას კასატორის მიერ არაერთგზის მიცემული განმარტება, რომლის თანახმადაც მან მოთხოვნა მესამე პირისგან შეიძინა და სწორედ ამას ემსახურებოდა მისი მხრიდან ინდმენარმის ნაცვლად ვალდებულების შესრულება. დოქტრინიორული შეხედულების თანახმად, შესაძლებელია, რომ მოთხოვნის შესრულებაში ამავე დროს მოთხოვნის დათმობა მოიაზრებოდეს. ამ საკითხზე მსჯელობას ვერ დააბრკოლებს ის ფორმალური მხარე, რომ სააღსრულებო წარმოების პროცესში კრედიტორად მესამე პირია მოხსენიებული.

ინდმენარმესა და მოპასუხეს შორის არსებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით (მოსარჩელის განმარტების გათვალისწინებით, რომ დასახელებული ხელშეკრულების დადება მიმართული იყო მხოლოდ ვალდებულების შესრულებისაგან ინდმენარმის გათავისუფლებისკენ; მოპასუხები ძირითად მოვალესთან ერთად იმოქმედა მართლსაწინააღმდეგოდ, რათა ზიანი მისდგომოდა კრედიტორის ინტერესებს და მის მიმართ აღსასრულებელი ვალდებულება დარჩენილიყო აღსრულების საგნის გარეშე), საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით, შეიძლება ვლინდებოდეს სსკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა (სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის).

საკასაციო სასამართლო მითითებით, სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლების გათვალისწინებით, მოპასუხის ქმედების მართლზომიერების გამოსარკვევად არსებული მოცემულობა უნდა შემონმდეს სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტით. პალატამ მიიჩნია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მესამე პირი სადაც ხდის რეალური ხელშეკრულების დადებას, შეფასებას ექვემდებარება, მოპასუხე ამტკიცებს თუ არა სსკ-ის 623-ე მუხლის წინაპირობების არსებობას, მით უფრო, როდესაც სესხის გამცემი საკრედიტო ორგანიზაციაა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე მოსარჩელის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ განრინების კანონიერებაზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ზიანის მიყენების ფაქტს მხარე სწორედ სააღსრულებო წარმოების პროცესში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მესამე პირის საქმეში ჩაბმა მხარეთა ინტერესებს ემსახურება, ხოლო ამ საპროცესო მოვალეობის განუხორციელებლობით დარღვეულია სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები.

სამართლებრივი დასკვნა

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, არაერთ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში გამოიკვეთა ისეთი მატერიალური და საპროცესოსამართლებრივი ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს საქმის შედეგზე. ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობისა და გამოუკვლეობის მოტივით საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსაზღველად აბრუნებს.¹⁵⁰

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, რომლებიც პირობითად, შეიძლება, ორჯგუფად დაიყოს: პირველ მათგანს წარმოადგენს ამავე კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული იმგვარი კანონდარღვევები (მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა არსებითი დარღვევა), რომლებზეც მოდავე მხარემ უნდა მიუთითოს და ზემდგომი სასამართლოც პრეტენზიის დასაბუთებულობას კასატორის შედაებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესაბამისი დასკვნების ურთიერთშეჯერების გზით ადგენს, ხოლო გადაწყვეტილების გაუქმების მეორე ჯგუფს განეკუთვნება იმგვარი შემთხვევები, რომელთა არსებობასაც, მიუხედავად მხარის მითითებისა, საკუთარი ინიციატივით ამონმებს სასამართლო. ისინი პროცესში გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლებითაა მოხსენიებული და წესრიგდება სსს-ის 394-ე მუხლით, თავის მხრივ, ზემდგომი სასამართლო მომჩინენის პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემონმებამდე ყოველთვის არკვევს, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების რომელიმე აბსოლუტური საფუძვლი.¹⁵¹

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას კი, ხშირ შემთხვევაში განაპირობებს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტების ნაწილი სამართლებრივად არასწორად გაანალიზა, შესაბამისად, ამ ნაწილში გამოტანილი დასკვნები იურიდიულად არგუმენტირებული არ არის, უფრო მეტიც, ენინაალმდეგება სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმების მიზანსა და შინაარსს.¹⁵² საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინაარესი საფუძველია იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ, პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აპსტრაქტული შემადგენლობა და შეამოიწმოს, თითოეული განხორციელებულია თუ არა განსაზღველ საქმეზე.¹⁵³ სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და შესაბამისი წინაპირობების დადგენა მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასე-

¹⁵⁰ სსს-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსაზღველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვემუნქტებისა.

¹⁵¹ მრავალთაგან სუს განჩინება, 10 მაისი, 2017, №ას-1085-1042-2016.

¹⁵² სსს-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მიღების გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსაზღველად დაბრუნების საფუძვლები.

¹⁵³ სუს გადაწყვეტილება, №ას-860-860-2018, 16 ნოემბერი, 2018.

ბისათვის, რაც სასამართლოს უფლებამოსილებაა.¹⁵⁴ გასაჩივრებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც შეიცვალა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით/განჩინებით დადგენილი დავის სამართლებრივი შედეგი, როგორც წესი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებისა და დასკვნების გაუზიარებლობის შედეგია.

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ გარკვეული ლოგიკური რიგითობით უნდა შემოწმდეს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც კანონი არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირება, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავიზდიკაციო, სავიზდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავიზდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. პალატამ დოქტრინიორულ შეხედულებაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძვლთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.¹⁵⁵

- საკუთრების დაბრუნების მოთხოვნის დავებში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კვალიფიკაციის თვალსაზრისით შემდეგი ვითარებაა. საწარმოს წილებზე საკუთრების აღდგენის მოთხოვნით წარმოებულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, გაუქმდა საწარმოს პარტნიორების (მოპასუხეთა) წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და საწარმოს წილების მესაკუთრეებად ცნობილ იქნებ მოსარჩელები. უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეცვალა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლი, რომელსაც სააპელაციო სასამართლომ დააფუძნა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავიზდიკაციო), ისე ვალდებულებითსახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ. პალატამ მოთხოვნის სამართლებრივად საფუძვლად სსკ-ის 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილი მიიჩნია, განხორციელებულად ჩათვალა რა მითითებული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წარმომადგენერის ნანამდლვრები.¹⁵⁶

სხვა დავაში,¹⁵⁷ სადაც დავის საგანი მოსარჩელების მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების შემდგომი მიმოქცევის კანონიერება და ქონების ვინდიცირება, საკასაციო პალატამ აღნიშნა, ვინაიდან, მოსარჩელეთა მიზანი ქონების დაბრუნებაა, დავის გადაწყვეტისათვის უმთავრეს წინაპირობებს სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები ადგენს. მოხმობილი ნორმების თანახმად კი, მოსარჩელე მხარე უნდა წარმოადგენდეს სადაცო ქონების მესაკუთრეს, რაც ქონების შემდგომ ყოველ მიმოქცევას მართლსაწინააღმდეგოს გახდის. საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლი გახდა, საქმის არსებითად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ის გარემოება, მოსარჩელეები კვლავ წარმოადგენერი თუ არა ქონების მე-

¹⁵⁴ სუსგ 11 აპრილი 2018, №ას-737-689-2017.

¹⁵⁵ სუს გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, №ას-664-635-2016, სუს განჩინება, 8 ოქტომბერი, 2018, №ას-201-201-2018.

¹⁵⁶ სუს გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, №ას-664-635-2016.

¹⁵⁷ სუს განჩინება, 8 ოქტომბერი, 2019, №ას-427-427-2018.

საკუთრებებს, რაზეც არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ უმ-სჯელია და არ დაუდგენია მოსარჩელეთა უფლებრივი კავშირი ნივთთან მიმართებით.

ერთ-ერთ საქმეში¹⁵⁸ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების კაპიტალის 20% ნილის მესაკუთრედ ცნობა, ითვალისწინებს როგორც დელიქტური სამართლის, ისე – უსაფუძვლო გამდიდრების ნორ-მები. იმის გათვალისწინებით, რომ კონდიქციიდან გამდინარე მოთხოვნები სუბსიდიუ-რი ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემომდევს მისი საფუძვლიანობა კონდიქციური სამართლის ნორმების შესაბამისად. დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად, პალატამ მიუთითა, რომ, პირველ რიგში, სარჩელის საფუძვლი-ანობა დელიქტური ნორმების საფუძველზე უნდა შემომდეს, კერძოდ, სარჩელში მითი-თებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოთხოვნის საფუძვლიანობა სა-აპელაციო სასამართლოს სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებზე დაყრდნობით უნდა ეკ-ვლია და ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის გამაბირობებელი ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა. საკასაციო პალატამ აქვე მიუთითა, რომ, მართალია, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დელიქტური სა-მართლის ნორმებია მიჩნეული, მაგრამ, თუ სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ დე-ლიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა აღარ არსებობს მისი ხანდაზმულობის გამო და განუხორციელებადია, სასამართლომ როგორც მოთხოვნის წარმოშობა, ასევე – მისი განხორციელებადობა კონდიქციური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა შეა-მონმოს.

უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების გაუქმების, ამ ქონების მოსარჩელის საკუთრებად აღიარებისა და მისი მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთ-ხოვნით მენარმეებს შორის დავაში,¹⁵⁹ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი უარ-ყვეს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების სსკ-ის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაუქმების წინაპირობები, გააუქმა იგი და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში. საკასაციო პალა-ტამ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალურსამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას შესაძლოა, სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408-ე (1) მუხლები ან ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები წარმოადგენდეს, რამდენადაც მხარის განმარტებებით დგინდება, რომ დავის მიმართ ინტერესს ქონების, როგორც საკუთრების უფლების ობიექტის წატურით დაბრუნება წარმოადგენს. მოთხოვ-ნის ხანდაზმულობის შესახებ მოპასუხის შედავების თაობაზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების დარღვევიდან სარჩელის შეტანამდე გასულია კანონით განსაზ-ღვრული მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადა, თუმცა, ეს ვერ გახდება მოთხოვ-ნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თუკი საქმის ხელახლი განხილვის შე-დეგად სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ მოსარჩელეს ნივთთან სამართლებრივი კავ-შირი-საკუთრება არ დაუკარგავს. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია მოთხოვნის ვინდიცირე-ბის გზით დაკმაყოფილება.

- მიუხედავად იმისა, რომ შრომითსამართლებრივ დავებზე არსებობს უზენაესი სასა-მართლოს მყარი პრაქტიკა, სააპელაციო სასამართლოები აღნიშნულ დავებს ზოგჯერ მაინც უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკასთან შეუსაბამოდ წყვეტილ.

საკასაციო სასამართლომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის გამოყენების საკითხზე¹⁶⁰ აღ-

¹⁵⁸ სუს განჩინება, 8 ოქტომბერი, 2018, №ას-201-201-2018.

¹⁵⁹ სუს განჩინება, 28 ოქტომბერი, 2018, №ას-28-25-2017.

¹⁶⁰ სუს 29.01.2016, №ას-951-901-2015, 15 აპრილი, 2016, №ას-1083-1020-2015.

ნიშნა, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბა-თილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა დადგენილი წესი არ შეიძლება, იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფ-ლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხელულები-სამებრ გამოყენება. სპკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომით ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლ-ფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გა-თავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი ეს შეუძ-ლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება. საკა-საციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად, მიუთითა, რომ და-საქმებულის უფლების აღდგენისას სასამართლომ მიზანშენონილობის პრინციპით კი არ უნდა გადაწყვიტოს დავა, არამედ დაიცვას კანონით მოცემული რიგითობა, ჯერ იმსჯე-ლოს მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობაზე, ხოლო შემდგომ, საჭიროების მიხედვით – კომპენსაციის სამართლიან და გონივრულ ოდენობაზე.¹⁶¹

საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, რომ დადგენილი სა-სამართლო პრაქტიკის მიხედვით, შრომითსამართლებრივ დავებს მტკიცების ტვირთის გა-ნაწილების გარკვეული თავისებურება ახასიათებს, რასაც მტკიცებულებების წარმოდგე-ნის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს.¹⁶² ამდენად, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათა-ვისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამო-ყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს აქვს მტკიცებითი უპირა-ტესობა, სასამართლოს ნარუდგინობის მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები. სასამარ-თლომ, მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილების გამო, გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.¹⁶³ საქმეზე, რო-მელშიც სადავო გახდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი, მტკიცების ტვირთის სტან-დარტთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 3633 მუხლის საფუძველზე, განმარტა, რომ სარჩელის ალდვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტე-ბი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების ვარაუ-დის საფუძველს ქმნის, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. საკასაციო პალატამ აქვე აღნიშნა, რომ სრულად იზიარებს „თავისუფალი მეწარმეობის“ იდეას, რომელიც საქართველოს კონსტი-ტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებადაა მოხსე-ნიებული და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლებასაც მოიცავს, თუმცა პრაქ-ტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კანონით გარანტირებული უფლების, თუნდაც კანონიერად გამოყენების შესაძლებლობა, ხშირად განსხვავებული მოპყრობის გადაფარვის მცდელო-ბას ემსახურება და სწორედ ამ საკითხის კვლევის შედეგად სავალდებულოა, შემოწმდეს უფლების მქონე პირის მხრიდან ამ უფლების განკარგვის მართლზომიერება.¹⁶⁴

შრომითსამართლებრივ დავაში, სადაც დასაქმებული კონკურსის შედეგების მართლზო-მიერების საკითხზე დავობდა, სასამართლომ განმარტა, რომ კონკურსის შედეგების მარ-თლზომიერების შეფასება სცილდება სასამართლო კონტროლის სფეროს.¹⁶⁵

¹⁶¹ სპკ-ის განჩინება, 24 ნოემბერი, 2017, №ას-1122-1042-2017.

¹⁶² მრავალთაგან სუსკ 07.10.2015, № ას-483-457-2015.

¹⁶³ სუს განჩინება, 19 ივლისი, 2018, № ას-366-340-2017.

¹⁶⁴ სუს განჩინება, 29 სექტემბერი, 2017, №ას-247-235-2017.

¹⁶⁵ სუს განჩინება, 22 ნოემბერი, 2016, №ას-792-759-2016.

საკასაციო სასამართლომ დასაქმებულის სარჩელი გამოუყენებელი შვებულებისთვის კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნით უარყო¹⁶⁶ იმ საფუძვლით, რომ გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციისა და განაცდურის ერთდროულად მიღება შეუძლებელია.

სხვა საქმეზე კი, სარჩელის უარყოფის საფუძველი გახდა ის გარემობა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო პერიოდში მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოსარჩელის მიერ მიუღებლობა მას კანონისმიერი საურავის მიღების უფლებას არ ანიჭებს.¹⁶⁷ სარჩელის უარყოფა განაპირობა საკასაციო სასამართლოს მიერ დასაქმებულის გათავისუფლების მართლზომიერად ცნობამაც.¹⁶⁸

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა, პირგასამტებლოს სახით იძულებითი განაცდური თანხის დაყოვნების ყოველი დღისთვის, ამ თანხის 0.07 პროცენტის გადახდის დაკისრებაზე, უარყო სამართლებრივად ვარგისი საფუძვლის არარსებობის გამო.¹⁶⁹

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმ საფუძვლით, რომ გასარკვევია მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი, კერძოდ, მრომითი ურთიერთობაა თუ ნარდობა, ამასთან, განმარტა, მიუხედავად მითითებული ხელშეკრულებების მსგავსებისა, მრომითი ურთიერთობის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით. ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში კი, მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია მისი სუბიექტების თანასწორობა (დამოუკიდებლობა), რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების მიზნის მიღწევაზე და არ ახასიათებს ორგანიზაციული დაქვემდებარება.¹⁷⁰

- ანალიზმა აჩვენა, რომ კვლავ პრობლემურია აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხი. სასამართლომ მრავალ გადაწყვეტილებაში იმსჯელა აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე (ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებას. ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას. გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა მიიღებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო იღლვევა),¹⁷¹ ასევე, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით რეგულირებულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე მითითებით, არაერთგზის მიუთითა, რომ კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც, თავისთავად, მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება.¹⁷² პალატამ ევროსასამარ-

¹⁶⁶ სუს გადაწყვეტილება 28 ოქტომბერი, 2016, №ას-578-553-2016.

¹⁶⁷ სუს გადაწყვეტილება, 27 ოქტომბერი, 2016, №ას-268-255-2016.

¹⁶⁸ სუს გადაწყვეტილება, 17 აპრილი, 2019, №ას-1649-2018.

¹⁶⁹ სუს გადაწყვეტილება, 09 მარტი, 2018, №ას-82-82-2018.

¹⁷⁰ სუს განჩინება, 17 თებერვალი, 2017, №ას-1132-1088-2016.

¹⁷¹ მრავალთაგან სუს გადაწყვეტილება, 12 სექტემბერი, 2018, №ას-609-609-2018.

¹⁷² სუს №ას-302-285-2017, 16.06.2017.

თლოს განმარტებაზე დაყრდნობით ასევე აღნიშნა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისა დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და, აქედან გამომდინარე,¹⁷³ სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამონმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.¹⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ რამდენიმე გადაწყვეტილებაში იმსჯელა აღნიშნულ ინსტიტუტზე, საკითხის არსებული პრაქტიკის შესაბამისად გადაწყვეტა, როგორც ჩანს, მაინც გარკვეულ სირთულეს უკავშირდება.

საკასაციო სასამართლომ ერთ შემთხვევაში, დააპრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად,¹⁷⁵ მიუთითა, რომ საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე მოსარჩელის მოთხოვნის შემოწმების დროს, თუკი სააპელაციო სასამართლო დაადგენს მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენებას შეუძლებლად, ხოლო განსახილველი დავისადმი მოსარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ გამოიკვეთება, მაშინ სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს, ხოლო სხვა შემთხვევებში, საკასაციო პალატამ სარჩელი ახალი გადაწყვეტილებით განუხილველად დატოვა.¹⁷⁶

სხვა საქმეზე¹⁷⁷ საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეს უნდა მისცეს სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების საშუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგან ამ შემთხვევაში გარიგებების ბათილობა არ დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძლო გამდიდრების წესების თანახმად უკან დაბრუნება) წინაპირობას ნარმოადგენს.

- ქართული სასამართლო პრაქტიკით, იურიდიული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანი არ შეიძლება, მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსი გულისხმობს სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფას, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიული პირის მოთხოვნა იურიდიულად უსაფუძლოა,¹⁷⁸ თუმცა საკითხზე მსჯელობა შე-

¹⁷³ სუს გადაწყვეტილება, 30 მარტი, 2018, №ას-833-779-2017.

¹⁷⁴ სუსგ №ას-91-91-2018, 31 ივლისი, 2018.

¹⁷⁵ სუს განჩინება, 8 ოქტომბერი, 2019, №ას-427-427-2018.

¹⁷⁶ სუს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2018, №ას-1071-991-2017. სუს გადაწყვეტილება, 12 სექტემბერი, 2018, №ას-609-609-2018. სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას-955-2018.

¹⁷⁷ სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1219-1139-2017.

¹⁷⁸ სუს გადაწყვეტილება, 26 ივლისი, 2017, №ას-1011-972-2016.

იძლება მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილების კონტექსტით,¹⁷⁹ სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა იურიდიული პირის კეთილსინდისიერების შესახებ.

- საკასაციო სასამართლომ იურიდიული პირის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სამართლებრივი არსის გათვალისწინებით, იურიდიული პირის გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგებისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად ეფუძნება მის მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა (ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები-დირექტორები, ასევე, პარტნიორები) კეთილსინდისიერებას. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ გარიგების საფუძველზე იურიდიული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, მით უფრო, თუკი არსებობს უფლების ნაკლი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს სწორედ იურიდიული პირის მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პირთა სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უფლების შესაძლო ხარვეზთან მიმართებით (კეთილსინდისიერება).¹⁸⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული პირის კეთილსინდისიერებაზე საკასაციო სასამართლო სხვა საქმეშიც ამხვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი ხელშეკრულებების მონაწილის (მოპასუხის) სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც ცალსახა იყო დადებული გარიგებების უწვეულობა და მისი დამაზიანებელი ხასიათი, ბანქს ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა თუ არა გაცნობიერებული ყოფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი? რამდენად კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირზე კრედიტის გაცემისას.¹⁸¹
- არის შემთხვევები, რომ სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად ერთხელ უკვე დაბრუნებული საქმე, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მატერიალური და საპროცესო დარღვევების გაუთვალისწინებლობის გამო, საკასაციო სასამართლომ თითქმის იდენტური საფუძვლით ხელახლა განსახილველად დააბრუნა.¹⁸²
- აღსანიშნავია, რომ სარჩელის წარუმატებლობას ზოგჯერ, არა მარტო სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული მატერიალურ/პროცესუალური დარღვევები, არამედ მოდავე მხარის მიერ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობა განაპირობებს, რაც შესაგებლის წარდგენის და/ან მტკიცების ტვირთის განხორციელების საპროცესო დანაწესების შეუსრულებლობით გამოიხატება. კონკრეტულ დავაძი¹⁸³ მოპასუხემ არაკვალი-ფიციური შედავება განახორციელა, მისი კუთვნილი მტკიცების სტანდარტი ვერ დაძლია და სსსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით სრულყოფილად და თანმიმდევრობით არ ასახა საკუთარი მოსაზრებები შესაგებელი, ვერ გააბათილა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და წარდგენილი მტკიცებულებები, არ გააანალიზა ვალის აღიარების ხელშეკრულების პირობები, საწარმოს პარტნიორთა კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი, რათა დაპპიროსპიროდა სასარჩელო მოთხოვნას და მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადებიდან დაწყებული ურთიერთობისა და შემდგომში განვითარებული მოვლენების მისეული ვერსია შეეთავაზებინა სასამართლოსათვის, რასაც სარჩელის უარყოფა მოჰყვა შედეგად.

ერთ-ერთ დავაში,¹⁸⁴ სარჩელის წარმატება გარკვეულწილად სწორედ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის სამართლებრივი რეგულაციების დაუცველობამ განაპირობა. ერთ-

¹⁷⁹ სუს განჩინება, 28 თებერვალი, 2018, №ას-28-25-2017.

¹⁸⁰ სუს განჩინება, 28 თებერვალი, 2018, №ას-28-25-2017.

¹⁸¹ სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1219-1139-2017.

¹⁸² სუს განჩინება, სუს განჩინება, 7 მარტი, 2016, №ას-884-834-2015. 11 ოქტომბერი, 2017, №ას-917-857-2017.

¹⁸³ გადაწყვეტილება, 5 დეკემბერი, 2017, №ას-679-633-2017.

¹⁸⁴ სუს გადაწყვეტილება, 2 მარტი, 2017, №ას-664-635-2016.

ერთ საქმეზე საკასაციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201.4-ე, 201.7-ე და 206-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემობები სამართლებრივად ქმნიან იძის პრეზუმაციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტების გაქარწყლების ტვირთი კი მოპასუხეს აწევს. სხვა საქმეში,¹⁸⁵ იმ პირობებში, როდესაც მხარის მიერ არაკვალიფიციური შესაგებლის წარდგენის გამო, ვერ იქნა გაქარწყლებული მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობების არსებობის პრეზუმაციის, საკასაციო სასამართლომ სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია. საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საკმარისი პროცესუალური საფუძველი გახდა არსებითი შესაგებლის წარუდგენლობა, რომლითაც მენარდის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.¹⁸⁶

- საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმების მნიშვნელოვანი საფუძველი მტკიცების ტვირთის საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული სტანდარტის დარღვევა და, შესაბამისად, მისი არასწორი განაწილებაა. საკასაციო სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია, მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავისი სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით, ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.¹⁸⁷

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესოსა-მართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად განხორციელებით, იგივე მხარე უარყოფით, არახელსაყრელ შედეგს იღებს.¹⁸⁸

¹⁸⁵ სუს გადაწყვეტილება, 19 თებერვალი, 2018, № ას-1062-1022-2016.

¹⁸⁶ სუს გადაწყვეტილება, 9 ივნისი, 2017, № ას-1100-1057-2016.

¹⁸⁷ სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, № ას-860-860-2018.

¹⁸⁸ სუს № 28.04.2017, ას-386-359-2017, ასევე სუსგ-ები: № 29.09.2017, ას-939-879-2017, 19.07.2017, № ას-719-672-2017, 07.07.2017, № ას-625-593-2017, 08.05.2016, № ას-746-714-2016.

კონკრეტულ დავაზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში თითოეული საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას და გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო მხარეთა კუთვნილი მტკიცების ფარგლებში წარმატებით და-საბუთებული სასარჩელო მოთხოვნა და პროცესუალური მოწინააღმდეგის მიერ წარდგე-ნილი არგუმენტაციის საპირისპიროდ დაძლეული მტკიცება.¹⁸⁹

ერთ-ერთ საქმეში¹⁹⁰ საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გა-უქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლად მიუთითა, ის გა-რემოება, რომ, მხარემ მტკიცების ტვირთის რეალიზაცია ვერ შეძლო მისგან დამოუკიდე-ბელი მიზეზით, მოწინააღმდეგე მხარის ბრალით, რომელმაც ექსპერტი არ დაუშვა ბინაში, რაც მხარის საწინააღმდეგოდ არ უნდა შეფასდეს.

სხვა საქმეში¹⁹¹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირ-თის გადანაწილება და დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოების მოსარჩელის სასარ-გებლოდ გადაწყვეტა ენინააღმდეგება დისპოზიციურობის ფუნდამენტურ პრინციპს. სა-სამართლოს კონტროლის ფარგლებში არ შედის კონკურსის შედეგების მიზანშეხონილო-ბის შეფასების შემოწმება. საკასაციო სასამართლო ხელახლა განსახილველად დაპრუნე-ბულ საქმეზეც მიუთითა, ვინაიდან ხარჯის გაღება დამტკირავებლის ვალდებულებას არ წარმოადგენდა, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ ხარჯი მოსარჩელებ განია და ამ პრეზუმ-ფციის უარყოფის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება.¹⁹²

სხვა დავაზე საკასაციო სასამართლომ სარჩელი გადაწყვეტილებით უარყო და მიიჩნია, რომ მოსარჩელებ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაძლია მიუღებელი შემოსავ-ლის სახით ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხემ სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება წარადგინა, რაც გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.¹⁹³

კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მტკიცების ტვირ-თის დადგენილი სტანდარტის დაუცველობაშ განაპირობა. საკასაციო სასამართლოს დას-კვნით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ მტკიცებულებებსა და ამ მტკიცებუ-ლებების საფუძველზე დადგენილ ფაქტებს შორის არ იკვეთება ურთიერთკავშირი. მხარის მიერ დასახელებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი მხარეთა შორის მიღწეული შე-თანხმების პირობების დასადგენად და არ იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მხა-რეები შეთანხმებული იყვნენ ყოველი შესრულებული დებიტორული ვალდებულებიდან 30%-ის ანაზღაურების შესახებ.¹⁹⁴

ასევე, მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებამ და მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმაციების უგულებელყოფამ განაპირობა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრუ-ლად დაკმაყოფილება.¹⁹⁵ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უთითებს სესხზე, როგორც მოპასუხისათვის თანხის გადაცემის საფუძველ-ზე, მოპასუხის მხრიდან სასესხო ურთიერთობის მხოლოდ უარყოფა არ არის საკმარისი მის საწინააღმდეგოდ ამოქმედებული პრეზუმაციის გასაქარნებლად, რომ მან ეს თანხა მიიღო სამართლებრივი საფუძვლით. მოსარჩელის მიერ მითითება, რომ ამ თანხის მიღება განპირობებული იყო სესხის საფუძველზე, წარმოშობს სესხის ხელშეკრულების ნამდვი-

¹⁸⁹ სუს გადაწყვეტილება, 10 ივლისი, 2017, №ას-918-884-2016.

¹⁹⁰ სუს განჩინება, 12 დეკემბერი, 2016, №ას-915-881-2016.

¹⁹¹ სუს განჩინება, 22 ნოემბერი, 2016, №ას-792-759-2016.

¹⁹² სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1002-923-2017.

¹⁹³ სუს გადაწყვეტილება, 21 აპრილი, 2017, №ას-1018-979-2016.

¹⁹⁴ სუს გადაწყვეტილება, 6 აპრილი, 2017, №ას-303-288-2016.

¹⁹⁵ სუს გადაწყვეტილება, 19 თებერვალი, 2018, №ას-1062-1022-2016.

ლობის ვარაუდს იმ დრომდე, სანამ მოპასუხე თანხის მიღების სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვა) მითითებით ამ ვარაუდს არ გააქარწილებს.

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა რა სსკ-ის 429-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების მტკიცების სტანდარტი, მიმინია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოება გამყიდველისათვის/მიმწოდებლისათვის გადახდის შესახებ მიღებული საქონლის (პროდუქციის) ღირებულების მყიდველის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, რომლის სადავონობისას, მხოლოდ მყიდველის ახსნა-განმარტება ვერ შეფასდება საკმარის მტკიცებულებად, რაც შეიძლებოდა, საფუძვლად დასდებოდა შედავებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებულად მიჩნევას და, მაშასადამე, სარჩელის დაკმაყოფილებას. სასამართლოს დასკვნით, მოვალისათვის დაკისრებული მტკიცების ვალდებულების შეუსრულებლობა, განაპირობებს მის მიერ წარდგენილი სარჩელის უარყოფას.¹⁹⁶

სხვა შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპის დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, არ დაემაყოფილდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა, რაც გახდა სარჩელის უარყოფაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.¹⁹⁷

• სასამართლო პრაქტიკის ანალიზი პირგასამტებლოს დაკისრებასთან მიმართებით აჩვენებს, რომ, ძირითადად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე შეუსაბამოდ მაღალი პირგა-სამტებლოს შემცირებით გამოიხატება,¹⁹⁸ თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკისრებული პირგასამტებლოს ოდენობა გაიზარდა საკა-საციო პალატის გადაწყვეტილებით.

ერთ-ერთ საქმეში¹⁹⁹ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და პირგა-სამტებლოს ოდენობის გაზრდა განაპირობა საკასაციო სასამართლოს განმარტებამ, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენებისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს კონტრა-ჰენტა, როგორც ხელშემკვრელ პირთა, სტატუსი და, როდესაც საკითხი მეწარმე სუბიექტის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებაზე, მას ფიზიკური პირისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით უნდა მოეთხოვოს, შეუსრულებელი ვალდებულების გამო, მხარისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია. სხვა საქმეში²⁰⁰ კი, საკასაციო პალატამ უურადღება გამამახვილა მენარდის სახელშეკრულებო ვალდებულების არსე, სახელდობრ, იმ გარემოებაზე, რომ ამ უკანასკნელმა საბავშვო ბალთან მისასვლელი გზის მოწყობის ვალდებულება უხეშად დაარღვია.

ერთ-ერთ დავაში²⁰¹ სასამართლომ არ შეამცირა პირგასამტებლო და განმარტა, რომ პირგა-სამტებლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურ-

¹⁹⁶ სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას- 860-860-2018.

¹⁹⁷ სუს განჩინება, 19 ივლისი, 2018, № ას-366-340-2017.

¹⁹⁸ სუს გადაწყვეტილებები: 27 იანვარი, 2017, №ას-708-678-2016, 13 აპრილი, 2016, №ას-1199-1127-2015, 22 ივნისი, 2016, №ას-214-204-2016, 6 მაისი, 2016, №ას-336-317-2014, 28 ივლისი, 2016, №ას-164-160-2016.

¹⁹⁹ სუს გადაწყვეტილება, 23 მაისი, 2017, №ას-1031-992-2016.

²⁰⁰ სუს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2019, №ას-1511-2018.

²⁰¹ სუს გადაწყვეტილება, 13 ნოემბერი, 2018 №ას-1451-1371-2017. სუს გადაწყვეტილება, 28 დეკემბერი, 2016, №ას-848-814-2016.

თიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტებლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მეწარმეა და ა.შ, ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტებლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.

- აღსანიშნავია, რომ საკვლევ გადაწყვეტილებებში, სახელშეკრულებო დავებში მხარეები ხმირად თავიანთ მოთხოვნას აფუნდებენ ხელშეკრულებიდან გასვლაზე ან მოითხოვენ ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის აღიარებას. ერთ-ერთ დავაში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებაზე²⁰² და განმარტა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც აღმჭურველი, მეორადი მოთხოვნის უფლება გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-359-ე მუხლები), თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები.²⁰³

საკასაციო სასამართლომ სხვა საქმეზე²⁰⁴ განმარტა, რომ ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელშეკრულების შეწყვეტის, ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს, რომელთა შორის უმთავრესი სხვაობა მხარეთა პოსტისახელშეკრულებო მდგომარეობაა. ხელშეკრულების/ვალდებულების შეწყვეტის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მხარეები ინარჩუნებენ მიღებულ სიკეთეს, მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება, იყოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება ან სხვა შესრულება (სსკ-ის 427-ე-454-ე მუხლები). რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლას, შეწყვეტისაგან განსხვავებით, ამ დროს კანონი ითვალისწინებს მხარეთა რესტიტუციის შესაძლებლობას (სსკ-ის 352-ე-359-ე მუხლები) და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა გასვლის წინაპირობების შემოწმება (**ზოგალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა**). სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზემოხსენებული სამართლებრივი კონსტრუქციის გარდა, შესაძლებელია იმ შემთხვევებიც, როდესაც აშკარაა შეცვლილი გარემოებები. ასეთ დროს, გასვლა დასაშვებია არა მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევის, არამედ სსკ-ის 398-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას, შეცვლილი გარემოებების პირობებში კანონისმიერი მოთხოვნაა, რომ მხარეებმა ცადონ ხელშეკრულების მისადაგება ამ გარემოებისადმი და, თუკი მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ, გავიდნენ ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 398.3 მუხლი). ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე მსჯელობისას, რა საფუძვლითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, შესამოწმებელია, ხომ არ არსებობს გასვლის გამომრიცხველი წინაპირობები (რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ კანომდებლობაში, მაგალითად, სსკ-ის 358-ე, 442-ე-447-ე მუხლები, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა). რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც სსენებულ საკითხს აგვარებს, ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ მას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირ-

²⁰² სუს განჩინება, 04 ოქტომბერი, 2018, №ას-360-360-2018, სუსგ-ები 01 დეკემბერი, 2017, №ას-1189-1119-2015, 23 მარტი, 2016, №ას-146-142-2016.

²⁰³ სუსგ 01 დეკემბერი, 2017, №ას-1003-924-2017.

²⁰⁴ სუს გადაწყვეტილება, 19 აპრილი, 2019, №ას-1076-996-2017.

თვა აქვს (მოშლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთავად უკავშირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს-პირთა რესტიტუციას, იხ მაგ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა).

ერთ-ერთ საქმეზე,²⁰⁵ რომელშიც მოსარჩელე სხვა მოთხოვნებთან ერთად ითხოვდა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი (ბინის ქირა, რომელსაც ბინის გაქირავებით მიიღებდა მოსარჩელე და რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე პერიოდისათვის) არ ექვევა სსკ-ის 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში. ბინის შესყიდვის მიზნით ბანკიდან აღებული კრედიტი და ამ კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი არ არის ის ზიანი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით, რადგან ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას, თუმცა იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადოდ გადაცემის, არამედ მისი ლირებულების დაბრუნების ვალდებულება, რომლის შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს მიეცემოდა ბანკისათვის დარჩენილი საკრედიტო დავალიანების დაბრუნების შესაძლებლობა, ამიტომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ზიანის – ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის პროცენტის სახით გადასახდელი თანხა.

მოსარჩელის – ფიზიკური პირების (მყიდველების) მიერ გამყიდველის (მოპასუხე საწარმოს) წინააღმდეგ ხელშეკრულებიდან გასულად აღიარებისა და გამყიდველის მიერ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ დავაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც მოსარჩელები მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევაზე აპელირებდნენ, განკუთვნადი იყო მხოლოდ ერთ-ერთი მოსარჩელის მიმართ, შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი წანამდლვრები ერთი მოსარჩელის მიერ განხორციელდა, რასაც მისი მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვა, ხოლო სხვების მიმართ სარჩელი უარყოფილ იქნა.²⁰⁶

• კვლევაში მითითებულ საქმეებში მრავლადა დავები, რომლებშიც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სადაცო ურთიერთობის სამართლებრივ კვალიფიკაციას, რის გარეშეც შეუძლებელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის განსაზღვრა და, საბოლოოდ, კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო, ერთ შემთხვევაში, შესაბამისი პროცესუალური წინაპირობების არსებობისას თავად ახდენს სამართლებრივი ურთიერთობის სწორ შეფასება-კვალიფიკაციას და გადაწყვეტილებით წყვეტს დავას, ხოლო, მეორ შემთხვევაში, სათანადო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის მიზნით ხელახლა განსახილველად აბრუნებს საქმეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

ერთ-ერთი საქმის მიხედვით²⁰⁷ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს მენარდესა და მზღვეველს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33⁴ მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში არასწორად განსაზღვრეს კრედიტორის მოთხოვ-

²⁰⁵ სუს გადაწყვეტილება, 14 მარტი, 2016, № ას-945-895-2015.

²⁰⁶ სუს გადაწყვეტილება, 08 ივნისი, 2018, №ას-38-38-2018.

²⁰⁷ სუს გადაწყვეტილება, 24 თებერვალი, 2017, №ას-906-872-2016, ასევე, სუს განჩინება, 17 თებერვალი, 2017, №ას-1132-1088-2016.

ნის სამართლებრივი საფუძველი. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებობდა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შედეგი და სარჩელი უარყო იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა შორის №177 დადგენილებით განსაზღვრული სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო, რაც გამორიცხავდა კრედიტორის მე-5 რიგისთვის მიკუთნებას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, №177 დადგენილებით განსაზღვრული „მიმწოდებლისა“ და მზღვევლის სამართლებრივი კავშირი მომსახურების ტრიბუნის სახელშეკრულებო ურთიერთობის ელემენტებზე მიანიჭნებს და ყველაზე ახლოს სკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ურთიერთობასთან დგას.

სხვა საქმეში სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობა შუამავლობის ხელშეკრულებად მიიჩნია და ნანილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სადავო შეთანხმების შინაარსზე და სხვადასხვა ხელშეკრულებების შუამავლობის, ნარდობის, ერთობლივი საქმიანობის, დავალების სამართლებრივი ბუნების დიფერენცირების გზით დასკვნა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არა საშუალებლო, არამედ მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობა (სკ-ის 629-ე მუხლი) არსებობდა. საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა რა სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის გამო, რადგან მოსარჩელემ მისი წილი მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია.²⁰⁸

კონკრეტულ დავაში ქვემდგომმა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს, მაგრამ საკასაციო სასამართლომ უარყო იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ ურთიერთობა მოდავე მხარეთა შორის არასწორად დააკვალიფიცირა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად და არა ნარდობად და, შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.²⁰⁹ პალატის აზრით, შინაარსობრივად ხელშეკრულების დადების მიზანი იყო შესრულებული სამუშაოს შედეგი, კონკრეტული საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა, რისთვისაც მოპასუხებებს შეჰქონდათ არა არაფულადი სახის რაიმე შენატანი, არამედ იხდიდნენ კონკრეტული ფართის ბინის განსაზღვრულ ღირებულებას.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილებად, მიუთითა, რომ ჯერ უნდა დადგინდეს სადავო სამართლურთიერთობის მიხედვით მოდავე მხარეთა პრეტენზიების წარმოშობის იურიდიული დასაბუთებულობა, საკასაციო განაცხადის ფაქტობრივი საფუძველი და სათანადო ხორმით დადგენილი სამართლებრივი შედეგი, ხოლო შემდეგ – თითოეული მხარის მოთხოვნის შესაბამისობა საქმეში წარდგენილი სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.²¹⁰

საწარმოსა და საწარმოს პარტნიორს შორის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავაზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ დაადგინა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია, ევალებოდა თუ არა მოპასუხეს საწარმოს წინაშე რაიმე მოქმედება, რისი შეუსრულებლობაც ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი საფუძვლის დადგენის წინაპირობა გახდებოდა.

ერთ-ერთ საქმეზე²¹² საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ

²⁰⁸ სუს გადაწყვეტილება, 13 ოქტომბერი, 2017, №ას-304-287-2017.

²⁰⁹ სუს გადაწყვეტილება, 17 ოქტომბერი, 2017, №ას-866-808-2017.

²¹⁰ სუს განჩინება, 15 იანვარი, 2016, №ას-700-670-2014.

²¹¹ სუს განჩინება, 5 მაისი, 2016, №ას-758-719-2013.

²¹² სუს განჩინება, 21 იანვარი, 2016, №ას-803-758-2015.

დამატებით უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს მხარეთა ურთიერთვალდებულებები უკავშირდება საშუალო გარიგებას (სსკ-ის 744-ე მუხლი) თუ ერთობლივ საქმიანობას (სსკ-ის 930-ე მუხლი), სასყიდლიანი ანუ ანაზღაურებადი საქმიანობა 745-ე, 748-ე მუხლების დეფინიციის გათვალისწინებით, არ გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა დათქვეს.

სხვა საქმეზე საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობა იჯარად მიიჩნია და არ გაიზიარ საპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების თაობაზე.²¹³ საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ კონდიქციური დანაწესების (სკ-ის 976-ე-991-ე მუხლები) გამოყენების უმთავრესი წინაპირობა მისი სუბსიდიურობით ვლინდება, რაც ნიშნავს – უსაფუძვლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად გვევლინება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო მოვლენათა დინამიკის გათვალისწინებით დაასკვნის, რომ გამორიცხულია სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება (მაგ: პოსესორული ან ვინდიკაციური სარჩელები (სანივთო სამართლი), სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ (როგორც პირველადი, ისე – მეორადი მოთხოვნები და სხვა)).

კონკრეტულ დავაში მხარეთა შორის წარმოშობილი განსახილველი ურთიერთობა სააპელაციო სასამართლოს დასკნით შეიცავს როგორც ნარდობის, ისე – ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს. საკასაციო სასამართლომ კი განმარტა, რომ ამ დროს გამოიყენება ნასყიდობის წესები (სსკ-ის 629.1-ე მუხლი), ვინაიდან გამყიდველმა ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარი მასალებით იკისრა მყიდველისათვის საქონლის დამზადება და მიწოდება, დამზადებულია გვაროვნული წივთი, შესაბამისად, სსკ-ის 629.1-ე მუხლის საფუძველზე სადაცო სამართალურთიერთობა ნასყიდობის სახელშეკრულებო ნორმებით უნდა გადაწყდეს.²¹⁴

საკასაციო სასამართლომ ერთ საქმეზე მიუთითა, რომ მოკლებულია საშუალებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან დასადგენია კომპანიასა და ინდმენარმეს შორის სამართლებრივი კავშირი,²¹⁵ დაუსაბუთებელია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უარყოფის სამართლებრივი საფუძველიც და გასარკვევია შეწყვეტის მოთხოვნის წარმოშობა.²¹⁶

- ერთ-ერთ საქმეზე პალატამ სსკ-ის მე-11, 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნია, რომ აღიარებული საგადასახადო დავალინების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა თუ ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე სააღსარულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემოწმების წინაპირობები წინააღმდეგება სამოქალაქო სამართალ-წარმოების პრინციპებს, რის გამოც სსიპ-ის საკასაციო საჩივარი შპს-ს მიმართ ზიანის სოლიდარულად დაკასრების მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკამაყოფილა, შეწყვიტა საქმისწარმოება, სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ-ის საკასაციო საჩივრის განხილვის საგნის არასებობის გამო.²¹⁷
- საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკასაციო პალატამ გააუქმა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე²¹⁸ სააპელაციო სასამართლოს არაერთი განჩინება. ზოგადად, საკასაციო სასამართლოს დამოკიდებულება საკითხის

²¹³ სუს განჩინება, 11 ოქტომბერი, 2017, №ას-774-723-2017.

²¹⁴ სუს განჩინება, 10 ნოემბერი, 2017, №ას-629-588-2017.

²¹⁵ სუს განჩინება, 11 მაისი, 2018, №ას-1190-1110-2017.

²¹⁶ სუს განჩინება, 04 ოქტომბერი, 2018, №ას-360-360-2018.

²¹⁷ სუს გადაწყვეტილება, 9 დეკემბერი, 2016, №ას-708-677-2014.

²¹⁸ სუს განჩინება, 16 თებერვალი, 2016, №ას-973-922-2015, სუს განჩინება, 17 თებერვალი, 2017, №ას-1132-1088-2016.

მსგავს გადაწყვეტასთან მკვეთრად უარყოფითია. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ენინაალმდეგება რაციონალური მართლმასჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპებს, სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს.

- აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებების კანონიერების შემონმებისას საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის აღძვრის ნინაპირობების გაურკვევლობა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის საფუძველია. სასამართლოს მითითებით, გარდა იმისა, რომ არაა გარკვეული მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, არც ისაა დადგენილი, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, რაც ენინაალმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები).²¹⁹
- საყურადღებოა, რომ საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არაუფლებამოსილი პირის გამოცხადების გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება უკანონოდ მიჩნია და განმარტა, მინდობილობის არარსებობის შემთხვევაში, მხარეს არ უნდა წაერთვას საქმის არსებითად განხილვის უფლება, რადგან სხდომაზე წარმომადგენლის მივლინებით მხარემ გამოხატა ინტერესი საქმისადმი და, თუ წარმომადგენლიბის უფლებამოსილების შემონმებისას ხარვეზი დაფიქსირდა, საკითხი მოპასუხის სანინაალმდეგოდ არ უნდა გადაწყდეს.²²⁰

ერთ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ უწყებაში არ იყო მითითებული სსსკ-ის 72.1 მუხლით დადგენილი სასამართლო უწყების ყველა ელემენტი, რის გამოც სასამართლო უწყება არასრულად და კანონშეუსაბამოდ ჩაბარებულად იქნა მიჩნეული.²²¹

სხვა საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად შეცვალა ზეპირი შეთანხმების მხარეები, შესაბამისად, სსსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ნორმის დარღვევით, დამტკიცებულად ჩათვალა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც თავად მოსარჩელეს არ მიუთითებია და არასწორი დასკვნაც გამოიტანა.²²²

საკასაციო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას დააფუძნა და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება, გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.²²³

რამდენიმე საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძვლით გაუქმდა, რომ საკა-

²¹⁹ სუს განჩინება, 19 თებერვალი, 2016, №ას-914-876-2014.

²²⁰ სუს განჩინება, 23 აპრილი, 2019, №ას-1142-1062-2017.

²²¹ სუს განჩინება, 10 ნოემბერი, 2017, №ას-629-588-2017.

²²² სუს განჩინება, 12 ივნისი, 2017, № ას-825-791-2016.

²²³ სუს განჩინება, 28 ივნისი, 2016 წელი, №ას-26-26-2016.

საციონ სასამართლომ მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლებლად მიიჩნია.^{224/225} პირველ შემთხვევაში – სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

• კონკრეტულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში საქმეში სათანადო მოპასუხის ჩართვის საკითხის გადასაწყვეტად.²²⁶ სხვა საქმეში კი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოპასუხე, რომლის უფლებებსაც უკავშირდებოდა გადაწყვეტილება, არ იყო სათანადოდ მიწვეული საქმის განხილვაზე.²²⁷

• სამენარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე დავაზე გადაწყვეტილების მიღება ძირითადად იმ გარემოებამ განაპირობა, რომ სააპელაციო სასამართლო არ იმსჯელა მოსარჩელის დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლითაც ეს უკანასკნელი ითხოვდა მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევის დავალდებულებას კონკრეტული დღის წესრიგით.²²⁸ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება, შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს. პალატის დასკვნით, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ წლიური მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობა მიუთითებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე, ვინაიდან მოპასუხე მხარემ მოსარჩელის კვალიფიციური სარჩელის საპირისპიროდ ვერ მიუთითა პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის ლეგიტიმურ სამენარმეო მიზანზე, რითაც უსაფუძლოდ შეზღუდა პარტნიორის ქონებრივი უფლება დივიდენდზე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით,²²⁹ საწარმოს მიმართ ყოფილი დირექტორის სარჩელი საწარმოში შეტანილი თანხის დაკისრებისა და საწარმოს შეგებებული სარჩელი ყოფილი დირექტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის (ყოფილი დირექტორის) მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს კონდიქციური ნორმებიდან, ხოლო საწარმოს მოთხოვნა დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6, სსკ-ის 709-ე, 394.1 და 408.1 მუხლებიდან გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლომ, ახალი გადაწყვეტილებით, საწარმოში შეტანილი თანხის დაბრუნების თაობაზე საწარმოს ყოფილი დირექტორის მოთხოვნა, სსკ-ის 976.1.„ა“-ე, 979.2-ე მუხლების საფუძველზე იმ მოტივით დააკმაყოფილა, რომ საწარმომ (მოპასუხება) ვერ განახორციელა სადაც თანხის კუთვნილების მტკიცების ტვირთი.²³⁰

საკასაციო სასამართლომ საწარმოს პარტნიორთა აღიარებითი სარჩელი დაუშვებლად მი-

²²⁴ სუს გადაწყვეტილება, 11 მაისი, 2018, №ას-1468-1388-2017, ასევე, სუს გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2016, №ას-75-72-2016.

²²⁵ სუს გადაწყვეტილება, 18 მაისი, 2018, №ას-1262-1182-2017, ასევე, სუს გადაწყვეტილება, 24 იანვარი, 2018, №ას-931-871-2017.

²²⁶ სუს განჩინება, 10 მაისი, 2017, №ას-1085-1042-2016.

²²⁷ სუს განჩინება, 23 ოქტომბერი, 2018, №ას-1107-1027-2017.

²²⁸ სუს გადაწყვეტილება, 6 აპრილი, 2017, №ას-552-527-2016.

²²⁹ სუს გადაწყვეტილება, 10 ივლისი, 2017, №ას-918-884-2016, ასევე, სუს განჩინება, 25 აპრილი, 2019, №ას-1203-2018.

²³⁰ სუს გადაწყვეტილება, 14 სექტემბერი, 2017, №ას-270-258-2017.

იჩნია სანარმოს კრების ოქმისა და უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით და, სსსკ-ის 187.2-ე, 275-ე და მე-7 მუხლების საფუძველზე, განჩინებით განუხილველად დატოვა.²³¹ სასამართლომ აღნიშნა, რომ მინორიტარ პარტნიორთა მიერ აღძრულია დერივაციული სარჩელი (დომინანტი პარტნიორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ საკუთარი უპირატესობის გამოყენების წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნა), რომლის მიზანიც საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვაა და მიმართულია სადაცვა გარიგებებით განკარგული საზოგადოების საწესდებო კაპიტალის დაბრუნებისკენ. ამ მიზნის მიღწევა კი, მხოლოდ აღიარებითი სარჩელის პირობებში შეუძლებელია, მოთხოვნის რეალიზაციის საშუალებას მიკუთვნებითი სარჩელი წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ სანარმოს მიმართ აღძრული აღიარებითი სარჩელი, სააქციო საზოგადოების კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ოქმებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით, განუხილველად დატოვა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო²³² და განმარტა, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობას პროცესუალურად გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, იურიდიულად რა სასარგებლო შედეგს განაპირობებს მისთვის ამ გარიგებათა (საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმები) და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძვლით, გააუქმა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სანარმოს პარტნიორის სასარგებლოდ დივიდენდის გადახდა დაეკასრა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო.²³³ სასამართლომ აღნიშნა, რომ სანარმოს პარტნიორს იმ პირობებში, როცა არ დავობს არც კრების მოწვევის, არც მისი გამართვისა და არც კომპეტენციის კანონიერებას, დივიდენდის განაწილების საფუძვლით სარჩელის აღვრის უფლება არ გააჩნია. ვინაიდან საზოგადოების წმინდა მოგების განაწილება სანარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია, სწორედ, პარტნიორთა კრებაზე უნდა იქნეს განხილული, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, შესაძლოა, სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს.

სანარმოსა და ერთ-ერთ დამფუძნებელს შორის მიყენებული ზიანის მოთხოვნით წარმოებულ დავაზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება არც სსკ-ის 992-ე და არც სსკ-ის 115-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ დაადგინა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი,²³⁴ რაც საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსაზილველად დაბრუნების საფუძველი გახდა.

სანარმოში წილის დათმობისა და იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოებულ სამენარტი დავაზე, სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსაზილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში.²³⁵ სასამართლომ მიუთითა: განსაზილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არათუ არ უნდა გამიჯნოს სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლები, არამედ უნდა გამოიკვლიოს გარიგების დადების დროისათვის მოქმედი ნორმით – 55-ე მუხლით დადგენილი კუმულაციური წინა-

²³¹ სუს გადაწყვეტილება, 30 მარტი, 2018, №ას-833-779-2017.

²³² სუს გადაწყვეტილება, 12 სექტემბერი, 2018, №ას-609-609-2018.

²³³ სუს გადაწყვეტილება, 30 ნოემბერი, 2018, №ას-1141-2018.

²³⁴ სუს განჩინება, 5 მაისი, 2016, №ას-758-719-2013.

²³⁵ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1224-1149-2015.

პირობები, ასევე, დამატებით გამოკვლევას საჭიროებს საიჯარო ხელშეკრულებების ბათილობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თუკი მიკუთვნებითი სარჩელის აღმდება იყო შესაძლებელი, მაშინ პროცესუალურად უნდა შეფასდეს, რამდენად იყო დასაშვები აღიარებითი სარჩელი; შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციების ერთობლივად გამოყენება მიზანშეუწონელია.

მოპასუხის (ყოფილი დირექტორის) საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებით, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს კომპანიის პარტნიორის გარიცხვისა და ამავე საწარმოსთვის მოპასუხის (საზოგადოების დირექტორის) მიერ მიყენებული ზიანის საკითხების დამატებითი გამოკვლევის მიზნით.²³⁶ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია მენარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარად ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონის 91.„ე“ ქვეპუნქტი).

სამართლებრივად დირექტორთან დადებული შეთანხმება დავალების (სასამსახურო)

ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, მისი ცალმხრივად შეწყვეტის მართლზომიერების შემოწმებისას „მენარმეთა შესახებ“ კანონის ნორმებთან ერთად, გამოიყენება დავალების ხელშეკრულების მოწმესრიგებელი ნორმები (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავის მხარეებს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების გათვალისწინებით ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემონმდეს და არა დელიქტური ვალდებულების, როდესაც დგინდება ზიანის ანაზღაურების განმაპირდებელი ყველა ნინაპირობა. საკასაციო პალატამ მიზანშენონილად მიიჩნია, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს, არსებობდა თუ არა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის ნინაპირობები და დაადგინოს პარტნიორის წილის კომპანიებასთან დაკავშირებული გარემოებები. პალატამ განმარტა, რომ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი ზომაა, შესაბამისად, ასეთი ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი იკვეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი მონაწილეობა, სახელდობრ, როდესაც მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდიდა საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა, მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საკასაციო პალატის მითითებით, პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციაში შემავალ საკითხს, რომლის მიზანშენონილობაზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ პარტნიორის გარიცხვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობაზე, სახელდობრ, რამდენადაა დაცული კომპანიის წესდებით განსაზღვრული პროცედურები სადაც გადაწყვეტილების მიღებისას. ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, პალატის მოსაზრებით, შესაბამისი ფაქტორივი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში, საზოგადოებიდან პარტნიორი არ უნდა გაირიცხოს მისი წილის კომპენსაციის საკითხის გადაუწყვეტილების მიღებისას. ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობების კვლევისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გამიჯვნოს მოპა-

²³⁶ სუს განჩინება, 25 აპრილი, 2019 , №ას-1203-2018.

სუხის – როგორც პარტნიორისა და მოპასუხის, როგორც დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა კომპანიის წინაშე.

- საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში/განჩინებებში დავალების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები მნიშვნელოვან ადგილს იჭერს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – ა(ა)იპის ყოფილი დირექტორის სარჩელი უარყოფილ იქნა სსკ-ის 709-ე, 720-ე მუხლების საფუძველზე.²³⁷ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე განწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის მიერ ორგანული თანამდებობის დაკავებას, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებული ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და, შესაბამისად, ამაზე უფლებამოსილი პირის ნების აღსრულების საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე განწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიმობა. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკავალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ პირობითად შეიძლება, მოვიხესენიოთ სასამსახურო ხელშეკრულებად, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან და ყველაზე მეტ მსგავსებას დავალების ხელშეკრულებასთან ავლენს. სსკ-ის 709-ე, 710-ე, 720-ე მუხლების დანაწენების გათვალისწინებით ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

სხვა დავაში²³⁸ საკასაციო სასამართლომ შეცვალა გამოუყენებელი შევებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაკავშირებული მოთხოვნა. პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა სრულად ექცევა როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მოწესრიგების სტანდარტში, ვინაიდან „ყოველწლიური ფასიანი შევებულების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამოანგარიშების წესი მოცემულია შრომის კოდექსის 26-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – საწარმოს დირექტორს ბლოკირებული ბონუსი და მიუღებელი შემოსავალი აუნაზღაურდა.²³⁹ საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დირექტორის შრომის ანაზღაურება (ბონუსი) ფართო გაგებით წარმოადგენს ხელფასს და იგი საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ექცევა (ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი), თავად საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე კი, ამ უფლებისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი ელემენტის გამოყენება (ფლობა, სარგებ-

²³⁷ სუს გადაწყვეტილება, 15 ივლისი, 2016, №ას-302-287-2016. იხ. იმავე საკითხზე სუს გადაწყვეტილება, 15 ივლისი, 2016, №ას-101-97-2016, სუს გადაწყვეტილება, 23 სექტემბერი, 2016, №ას-131-127-2016.

²³⁸ სუს გადაწყვეტილება, 23 სექტემბერი, 2016, №ას-131-127-2016.

²³⁹ სუს გადაწყვეტილება, 25 იანვარი, 2019, №ას-164-164-2018.

ლობა, განკარგვა) მესაკუთრის ნებაზეა დამოკიდებული (სკ-ის 170.1 მუხლი). საკუთრების სანივთო უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ქონების რაიმე ფორმით განკარგვის შეზღუდვა გამართლებულია მხოლოდ კანონის ან სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კომპანიას დირექტორთან სასამსახურო ურთიერთობის მოშლისას წარმოეშვა ბლოკირებული ბონუსის ანაზღაურების ვალდებულება და, ამასთან, სკ-ის მე-400-ე, 404-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე მიუღებელი შემოსავლის მიღების მოთხოვნაც საფუძვლიანია. საწარმოს ყოფილი დირექტორის მიერ მიუღებელი ხელფასისა და ხელფასის დაყოვნებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საწარმოს წინააღმდეგ წარმოებულ დავაზე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააპრუნა იმავე სასამართლოში.²⁴⁰ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ურთიერთობა სწორად დააკვალიფიცირა დავაღების ხელშეკრულებად, მაგრამ შემოწმებას ექვემდებარება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, კერძოდ, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ გასამრჯელოს გადახდა.

- ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში აღსასრულებელი შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის ცვლილების მოთხოვნით გამსესხებელსა (მეწარმე) და ფიზიკურ პირს (მსესხებელი) შორის წარმოშობილ დავაში²⁴¹ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შედეგის შეცვლა განაპირობა მხარეთა შორის სანოტარო წესით გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებულმა განმარტებამ. საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სანოტარო წესით გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ერთთვიანი ვადა, მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებით რამდენჯერმე გაიზარდა. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სანოტარო წესით დადასტურებული გარიგებით განსაზღვრული ვადის ამონურვის შემდეგ მხარეთა შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი იყო კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დაიდო ხელშეკრულება კანონით დადგენილი სანოტარო წესით.

ფიზიკური პირის სარჩელი საწარმოს წინააღმდეგ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, საკასაციო სასამართლომ უარყო, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სესხის საგნის – ფულადი თანხის გადაცემა არ დადასტურდა.²⁴² საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მარტოოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადაცობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – გამსესხებლის მოთხოვნა სარგებლისა და პირგასამტკებლოს ანაზღაურებაზე არ დაკმაყოფილდა სამართლებრივად ვარგისი საფუძვლის არარსებობის გამო.²⁴³ კრედიტორმა უარი განაცხადა შესრულების მიღებაზე და, რადგანაც სსკ-ის 390-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მართლაც იკვეთება კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადაგადაცილების ფაქტი, ამავე კოდექსის 393-ე

²⁴⁰ სუს განჩინება, 3 ნოემბერი, 2017, №ას-650-606-2017.

²⁴¹ სუს გადაწყვეტილება, 8 ოქტომბერი, 2017, № ას-712-682-2016.

²⁴² სუს გადაწყვეტილება, 6 ივნისი, 2017, №ას-398-371-2017.

²⁴³ სუს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2018, №ას-1071-991-2017.

მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მან დაკარგა დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებაც.

მოსარჩელები ბანკის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვდნენ უაქცეპტოდ ჩამოწერილი თანხის დაბრუნებას, იმ მოტივით, ბანკმა ხანდაზმული დავალიანება შეასრულა. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უარყო,²⁴⁴ იმ საფუძვლით, რომ კლიენტის თანხმობა გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო თანხის ჩამოწერასაც. თუ მსესხებელს არ სურს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება, იგი ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხას არ შეიტანს, ხოლო, თუ შეიტანს, ივარაუდება, რომ ნებაყოფლობით ასრულებს იმ მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების აღიარებაზე სარჩელის დაკაუფილების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით აღიარებითი სარჩელი განუხილველად დატოვა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, რაც აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის საფუძველია.²⁴⁵

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე თავდებ პირებზე სოლიდარულად პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები კანონიერად მიიჩნია, იმავე დასაბუთებით, რომ სოლიდარული თავდებობის ორმხრივი გარიგების არსებით პირობად სსკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი მიიჩნევს შეთანხმების მიღწევებს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალურ (ზღვრულ) თანხაზე, რაც განსახილველ დავაში მხარეთა შორის გაფორმებულ თავდებობის ხელშეკრულებებში მითითებული არ არის. საკასაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია მსესხებელი მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის მესაკუთრე მოპასუხეთა სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქეცვის თაობაზე მოსარჩელის (ბანკის, კასატორის) საკასაციო პრეტენზია და ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.²⁴⁶

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე, საკასაციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად,²⁴⁷ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა დადგინდეს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი, სრულყოფილად გამოიკვლიონ საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები, დაერიცხოს თუ არა პროცენტი (სარგებელი) სესხის თანხას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც იმ ვითარებაში, როცა მხარეებმა ვადაგადაცილებისათვის გაითვალისწინეს პირგასამტებლო და სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა გამოიტანოს შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში,²⁴⁸ რომელშიც არსებითად გადასაწყვეტი საკითხი მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა გახდა, საკასაციო პალატის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები ობიექტურად არ შეფასდა, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით.

²⁴⁴ სუს გადაწყვეტილება, 31 ოქტომბერი, 2018, №ას-305-290-2016.

²⁴⁵ სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას-955-2018.

²⁴⁶ სუს გადაწყვეტილება, 08 ოქტომბერი, 2019, №ას-1172-2018.

²⁴⁷ სუს განჩინება, 15 მარტი, 2016, №ას-932-882-2015.

²⁴⁸ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1245-1168-2015.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის არასრულწლოვანი შეიღების უძრავი ნივთი. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება აუქციონზე გაიყიდა. სააპელაციო სასამართლომ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შესახებ არასრულწლოვანი მესაკუთრის მშობელთა სარჩელი დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს²⁴⁹ შემდეგი მოტივაციით: საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, უპირველესად, დავის განმხილველ სასამართლოს უნდა გაერკვია, სწორად იყო თუ არა აღძრული სარჩელი და დასაშვები იყო თუ არა სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესის მიხედვით. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განესაზღვრა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენის შემდეგ ჩამოეყალიბებინა მიკუთვნებით მოთხოვნა და ისე განესაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე (სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, მას შეეძლო, თვითონ გამოეთხოვა მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

სასამართლოს დასკვნით, არასრულწლოვნის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შეიღების უფლებები. მათი უფლება ამ ნანილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა (სსსკ-ის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), სინამდვილეში კი, მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, ანუ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისწარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოთხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშინ ამ მოთხოვნის მოპასუხები იქნებიან როგორც მშობლები, ისე – პირველი მოპასუხეც (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) სსსკ-ის 54-ე, 992-ე, 998-ე და 409-ე მუხლების თანახმად.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით მოპასუხის (ბანკის) წინააღმდეგ კომპანიის მიერ წარმოებულ დავაზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა იმ საფუძვლით,²⁵⁰ რომ ამ უკანასკნელმა არ იმსჯელა, რამდენად დასაშვები იყო აღიარებითი სარჩელი, რომლითაც სადაცო გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა იყო მოთხოვნილი. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელისთვის უნდა მიეცა სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საშუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგებების ბათილობა არა დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად, უკან დაბრუნება) წინაპირობას წარმოადგენდა.

- დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე დავაზე, საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1-ე, 408.2-ე, 409-ე მუხლების საფუძველზე დააკმაყოფილა სამშენებლო მოედანზე დაზარალებული მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად, ყოველთვიური სარჩელს გადახდის დაკისრების ნანილში იმ საფუძვლით, რომ

²⁴⁹ სუს განჩინება, 20 მაისი, 2016, №ას-1221-1146-2015.

²⁵⁰ სუს განჩინება, 12 იანვარი, 2018, №ას-1219-1139-2017.

ზიანში წვლილი დამკვეთსაც და კონტრაქტორსაც მიუძღვით, რადგან ისინი ვალდებული იყვნენ, მოსარჩელის უსაფრთხოება დაეცვათ, მაგრამ არაფერი მოუმოქმედებიათ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მხრიდან მათთვის დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა იმ ზიანის თავიდან აცილება, რაც მოსარჩელეს მიადგა (სსკ-ის 408.2-ე მუხლი).^{251/252}

საკასაციო სასამართლომ სარჩელის აღძვრისა და საპენსიო ასაკის მიღწევის თარიღების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ, მიუღებელი სარჩოს მოთხოვნის ნაწილში, ხანდაზმულად არ მიიჩნია და დააკმაყოფილა.²⁵³ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი გახდა პალატის განმარტება, რომ სსკ-ის 326-ე მუხლის ძალით, დელიქტით გამოწვეული პერიოდულად შესასრულებული ვალდებულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებული ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით – დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე პაციენტის სარჩელი კლინიკის მიმართ უარყოფილ იქნა მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზაციის შეუძლებლობის გამო.^{254/255}

- წარდობის სახელშეკრულებოსამართლებრივ დავაში საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მენარდის სარჩელი.²⁵⁶ საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისას, შემკვეთს უნდა დაეცვა ხელშეკრულებიდან გასვლის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი (სსკ-ის 398-ე მუხლი), ასევე, სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლოს მითითება პატივსადები საფუძვლებით ხელშეკრულებიდან გასვლის წესზე (სსკ-ის 399-ე მუხლი). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების დარღვევის ზოგადი დებულებების კონკურენციისას სპეციალურ რეგულაციასთან (სსკ-ის 636-ე მუხლი), სწორედ ეს უკანასკნელი გამოიყენება. სსკ-ის 636-ე მუხლის გამოყენებისთვის არ არის საჭირო წინაპირობების დაცვა, რადგან მოხმობილი ნორმის შინაარსს ენინააღმდეგება შემკვეთის იძულება და ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მენარდეს სამუშაოების დასრულებაში.

ერთ-ერთ საქმეში²⁵⁷ – ორ სამეწარმეო სუბიექტს, მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში მიმწოდებელი ითხოვს მომხმარებლისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – როუმინგული მომსახურების ხარჯის, 50 611 ლარის, გადახდას. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სსკ-ის 632-ე, 415-ე, 325-ე, მე-8, მე-10.3. მუხლებზე და დაასკვნა, რომ ნარდებილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოდავე მხარეებს თანაბრად მიუძლვით ბრალი ზიანის (დავალიანების) წარმოშობაში, რადგან თითოეულის მოქმედება ამ დავალიანების წარმოქმნაში ფაქტობრივად დადგენილია, შესაბამისად, სასამართლომ მხარეთა შორის პასუხისმგებლობა თანაბრად გაანაბილა, საკასაციო საჩივრის წაწილობრივ დაკმაყოფილებით, ნაწილობრივ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მომხმარებელს მენარდის სასარგებლოდ დააკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხის ნახევარი.

²⁵¹ სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2018, №ას-1423-1343-2017.

²⁵² სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2018, №ას-1423-1343-2017.

²⁵³ სუს გადაწყვეტილება, 31 მარტი, 2017, №ას-1180-1141-2016.

²⁵⁴ სუს გადაწყვეტილება, 11 მაისი, 2018, №ას-111-111-2018.

²⁵⁵ სუს გადაწყვეტილება, 5 აპრილი, 2019, №ას-522-499-2016.

²⁵⁶ სუს გადაწყვეტილება, 5 თებერვალი, 2016, საქმე №ას-901-851-2015.

²⁵⁷ სუს გადაწყვეტილება, 4 ივლისი, 2016, №ას-1-1-2016.

შემკვეთის მიერ მენარდის წინააღმდეგ, ნარდობის შედეგად დამზადებული წივთის – აშენებულ სახლში კონკრეტული საცხოვრებელი ფართის გადაცემისა და საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მოთხოვნით წარმოებულ დავაზე საკასაციო სასამართლომ შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ დაასკვნა, რომ მოპასუხემ აღიარა შეუსრულებელი ვალდებულება და ამ შემთხვევაში გამოვლენილი წება არა აპსტრაქტული, არამედ – კაუზალური, წარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების აღიარებაა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ სარჩელი არ მიიჩნია ხანდაზმულად, შეცვალა სამართლებრივი შედეგი და გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა, კერძოდ, სადაც უძრავი ქონება შემკვეთის საკუთრებად აღირიცხა.

მენარდის სარჩელის საფუძველზე წარმოებულ დავაზე²⁵⁸ შემკვეთის საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად არ გამოიკვლია და არ შეაფასა სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე შემკვეთის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო. გააუქმა რა საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილელად დაპრუნა იმავე სასამართლოში, სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა უნდა შეაფასოს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, რადგან შეუძლებელია ამ მტკიცებულების გვერდის ავლით სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული დავის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტით გადაწყვეტა.

- მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით ორ მეწარმე სუბიექტს შორის დავაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა კვლევის სტანდარტის დარღვევა გახდა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. საკასაციო სასამართლომ შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი და შემძენს დააკისრა ნაყიდი წივთის ღირებულების ანაზღაურება.²⁵⁹ სასამართლომ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის გამოყენებით ავტორიზებულმა მომხმარებელმა დაადასტურა „ნსაფი“ (რაც, კეთილსინდისიერების პრინციპითან გამომდინარე, უდავოდ უქმნიდა გამყიდველს რჩენას, რომ შემძენი დაეთანხმა ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებს); „ნსაფში“ მითითებული პირობების შესაბამისად, ნასყიდობის საგნის მიღებაზე ხელი მოაწერა პირმა, რომელმაც განაცხადა, რომ მოქმედებს შემძენის დავალების ფარგლებში. ამ გარემოებათა ერთობლივი ანალიზი ქმნის იმ პრეზუმაციის დაშვების წინაპირობას, რომ მესამე პირი შემძენის დავალების ფარგლებში მოქმედებდა, რომლის მიმართ შესრულებით გამყიდველის ვალდებულება შეწყდა, ხოლო შემძენს წარმოეშვა საპასუხო შესრულების ვალდებულება.

მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელის (გამყიდველი-მენარმე) მიწოდებული საქონლის ნაწილი მოპასუხემ (მყიდველი) ნაკლის გამო გადაარჩია და უკან დააპრუნა. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მყიდველს არ შეიძლება, დაეკისროს ნასყიდობის საგნის ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებში, როდესაც მას ქონება (ნასყიდობის საგანი) საკუთრებაში არ გადასცემია. საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლით მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე²⁶⁰ იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში – პირმა ვალდებუ-

²⁵⁸ სუს გადაწყვეტილება, 5 დეკემბერი, 2017, №ას-679-633-2017.

²⁵⁹ სუს განჩინება, 22 მარტი, 2019, №ას-455-455-2018.

²⁶⁰ სუს გადაწყვეტილება, 20 იანვარი, 2017, №ას-793-760-2016.

²⁶¹ სუს გადაწყვეტილება, 31 მარტი, 2017, №ას-75-71-2017.

ლება შეასრულოს.

სასამართლომ გაიზიარა ძირითადი სადავო ფაქტობრივი გარემოების, ნასყიდობა-მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველის მიერ მიღებული საქონლის ღირებულების გამყიდველისათვის/მიმწოდებლისათვის გადახდაზე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილების შესახებ მოპასუხე – კასატორის პრეტენზია.

- საკასაციო პალატამ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა რა სსკ-ის 429-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების მტკიცების სტანდარტი, მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მიღებული საქონლის (პროდუქციის) ღირებულების გამყიდველისათვის/მიმწოდებლისათვის გადახდის შესახებ ფაქტობრივი გარემოება მყიდველის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, რომლის სადავოობის შემთხვევაში, მხოლოდ მყიდველის ახსნა-განმარტება ვერ შეფასდება საკმარის მტკიცებულებად, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა შედაცებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებულად მიჩნევას და, მაშასადამე, სარჩელის დაკმაყოფილებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მყიდველს (მოპასუხეს, მოვალეს) ეკისრებოდა გამყიდველის (მოსარჩელის) ნინაშე ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, რაც მან ვერ შეასრულა და ვერ შეძლო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის კრედიტორისათვის გადახდის დადასტურება, ყოველივე ეს სარჩელის უარყოფის საფუძველია.²⁶²
- სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი უარყო იმ საფუძვლით, არ არსებობდა საწარმოს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ნასყიდობის საფასურის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების – მოპასუხესთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხის ვალდებულების არსებობის დადასტურება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საწარმოს მიერ შექმნილ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტზე, სასაქონლო ზედნადებზე, როგორც მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შექმნილ და არასარწმუნო მტკიცებულებაზე მსჯელობა, თანაც იმ პირობებში, როდესაც ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ინსტრუქციაზე დაყრდნობით არ არსებობს მყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადების დადასტურების ვალდებულება, დაუსაბუთებელი მსჯელობა და არ გამომდინარებს საგადასახადო მოხსერიგებიდან, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, ვინაიდან საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.²⁶³
- სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ განხილული ე.ნ. „ტრადიციული“ დარღვევის ფონზე აღსანიშნავია ქვემოთ მითითებული საქმეები, რომელშიც სასამართლომ გადაწყვეტილება პროცესუალური ნორმებისაგან გადახვევით მიიღო, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ მოსარჩელე მიუთითებდა სავარაუდო და არა კონკრეტულ დარღვევაზე, საქმეში დადგენილად მითითებული ფაქტები ეხებოდა სხვა და არა საქმეში მონაწილე პირებს, მხარის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულები შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით საკუთარი ინიციატივით მოიპოვა, ხელახლა დაადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-

²⁶² სუს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2018, №ას- 860-860-2018.

²⁶³ სუს განჩინება, 13 ნოემბერი, 2017, №ას-599-558-2017.

ბით დადგენილი ფაქტი და ისე მიიღო გადაწყვეტილება, გასცდა მოთხოვნის ფარგლებს.

კონკრეტულ საქმეზე²⁶⁴ საკასაციო სასამართლომ გაუუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ ფაქტები არ შეეხება საქმეში მონაცილე მხარეებს (განჩინებაში იმსჯელა სხვა, საქმეში არარსებულ მესამე პირზე), შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საერთოდ არ შეიცავს მოცემულ საქმეზე ფაქტობრივ დასაბუთებას, არ არის მითითება მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მასში არასრულადაა მითითებული განსახილველ დავასთან მიმართებით სასამართლოს მიერ გამოყენებულ სამართლებრივ ნორმებზე, სამართლებრივი დასაბუთება დაუმთავრებელია, შესაბამისად, საკასაციო პალატისთვის უცნობია, სააპელაციო სასამართლომ კონკრეტულად რომელ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებსა და სამართლებრივ შეფასებაზე დაყრდნობით გამოიტანა მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დასკვნა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ერთ-ერთ საქმეზე²⁶⁵ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელშიც მოსარჩელე მოითხოვდა მოქმედების აკრძალვას, მიუხედავად იმისა, ვერ უთითებდა და მით უმეტეს ვერ ადასტურებდა მოპასუხის მხრიდან კონკრეტული დარღვევის ფაქტს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ენინააღმდეგება კანონის პრინციპებს, ეჭვექვეშ აყენებს უფლების რეალურად დაცვის შესაძლებლობასაც, რაც უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ სარჩელის სრულად უარყოფის საფუძველი გახდა.

სხვა საქმეზე²⁶⁶ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაშვები მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელის სამეწარმეო ურთიერთობის ფარგლებში (რასაც წინასწარ ივარაუდებდა ვალდებული პირი) შემოსავლის რეალურად მიღების შესაძლებლობას დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარუდგენია. საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნანილის საფუძველზე საპროცესო წესების დარღვევით მოპოვებულ, იურიდიული ძალის არმქონება მტკიცებულებად მიიჩნია, იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ ექსპერტიზის დანიშნულის შესახებ განჩინებით განსაზღვრა რა კვლევის საგანი, ერთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი ფაქტების, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვებით, დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და ამ დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

ერთ-ერთ საქმეზე²⁶⁷ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო წარმომადგენლობის საფუძველი ანუ ხელახლა დაადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლომ აღსრულების წესი კი არ დაადგინა (სსსკ-ის 251-254-ე მუხლები), არამედ დააკმაყოფილა კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც კანონის დანაწესითა და მხარეთა შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით შეცვალა სამართლებრივი შედეგი, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით დააკმაყოფილა მოთხოვნა და სარჩელი უარყო იმ

²⁶⁴ სუს განჩინება, 7 აპრილი, 2017, № ას-730-698-2016.

²⁶⁵ სუს გადაწყვეტილება, 18 ივნისი, 2018, №ას-256-256-2018.

²⁶⁶ სუს გადაწყვეტილება, 21 აპრილი, 2017, №ას-1018-979-2016.

²⁶⁷ სუს გადაწყვეტილება, 23 იანვარი, 2018, №ას-1167-1087-2017.

დასაბუთებით, რომ მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, ედავა იპოთეკისა და მომსახურების ხელშეკრულებების კონკრეტული პუნქტების ნამდვილობაზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართალურთიერთობის პრეიუდი-ციულობის გამო (სსსკ-ის 266-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო წარმოების ფარგლებში განხილვის ფარგლების დარღვევის საფუძვლით.

ერთ საქმეში²⁶⁸ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს (სსსკ-ის 377-ე (1) და 384-ე მუხლები) და, ახალი გადაწყვეტილებით, შემკვეთს დაკისრა გარკვეული თანხა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებულ თანხას, ხოლო სხვა შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით გასცდა შეფასების საგანს და შესაგებელში შესაბამისი შედავების არარსებობის პირობებში საკუთარი ინიციატივით მიიჩნია არასაკმარისად მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით წარდგენილი ალტერნატიული კვლევის შედეგები.²⁶⁹

ვფიქრობთ, წინამდებარე განზოგადება სასამართლოს ღიაობას გარკვეულწილად უზრუნველყოფს არა მარტო მისი საქმიანობის შედეგების საქვეყნოობით, არამედ, ხარვეზებისა და დარღვევების მიუხედავად, მართლმსაჯულების განხორციელების რთული და საპასუხისმგებლო პროცესის საჯაროობითაც.

²⁶⁸ სუს გადაწყვეტილება, 20 ოქტომბერი, 2017, №ას-856-800-2017.

²⁶⁹ სუს გადაწყვეტილება, 9 ოქნისი, 2017, №ას-1100-1057-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge